საერთაშორისო კონფერენცია

ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანტისაბჭოთა მოძრაობა კავკასიასა და აღმოსავლეთ ცენტრალურ ევროპაში

რჩეული მოხსენებები/SELECTED PAPERS

International Conference

NATIONAL-LIBERATION AND ANTI-SOVIET MOVEMENT IN THE CAUCASUS EAST AND CENTRAL EUROPE

ეძღვნება 1924 წლის აჯანყების 100 წლისთავს

On the 100th Anniversary of the 1924 Georgia Uprising

ოქტომბერი 3-5 October
თბილისი/Tbilisi
2024

მხარდაჭერა / SUPPORTED BY:

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisis State University

Mieroszewski
Centre

მიეროშევსკის ცენტრი
Mieroszewski Centre

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation

პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით
[გრანტის ნომერი CS-II-24-036]

The project was supported by Shota Rustaveli National
Science Foundation of Georgia (SRNSFG)
[grant number CS-II-24-036]

ISBN 978-9941-36-397-9

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilis State University

ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანტისაბჭოთა მოძრაობა კავკასიასა და აღმოსავლეთ ცენტრალურ ევროპაში

NATIONAL-LIBERATION AND ANTI-SOVIET MOVEMENT IN THE CAUCASUS AND EAST CENTRAL EUROPE

უნივერსიტეტის გამომცემლობა

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SELECTED PAPERS

From
International Conference

NATIONAL-LIBERATION AND ANTI-SOVIET MOVEMENT IN THE CAUCASUS AND EAST CENTRAL EUROPE

On the 100th Anniversary of the 1924 Georgia Uprising

October 3-5, 2024
Tbilisi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საერთაშორისო კონფერენცია

ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანტისაბჭოთა მოძრაობა კავკასიასა და აღმოსავლეთ ცენტრალურ ევროპაში

ეძღვნება 1924 წლის აჯანყების 100 წლისთავს

რჩეული მოხსენებები

3-5 ოქტომბერი, 2024
თბილისი

მიხეილ ბახტაძე

სამხრეთ კავკასიის დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ (1920-1921 წლები)

1920 წლის 22 მარტს საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ს.კამენევმა ხელი მოაწერა დირექტივას, რომელიც ითვალისწინებდა თერგის ოლქის დაკავების შემდეგ შეტევის განხორციელებას ბაქოს მიმართულებით. დირექტივაში პირველ პუნქტად აღნიშნული იყო, რომ სამხედრო მოქმედებები არ უნდა დაწყებულიყო საქართველოს წინააღმდეგ[1].

1920 წლის 15 აპრილს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხან-ხისკიმ ნოტა გაუგზავნა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ჩიჩერინს, რომელშიც აზერბაიჯანული მხარე შეშფოთებას გამოთქვამდა საზღვართან საბჭოთა რუსეთის სამხედრო შენაერთების კონცენტრაციის გამო[2].

1920 წლის 21 აპრილს, კავკასიის ფრონტის სარდალმა მ.ტუხაჩევსკიმ გამოსცა ბრძანება აზერბაიჯანის წინააღმდეგ 27 აპრილს შეტევის დაწყებაზე. სამხედრო ოპერაციის შედეგად უნდა დაეკავებინათ ქალაქი ბაქო და ბაქოს გუბერნია[3]. 23 აპრილს მ.ტუხაჩევსკიმ ახალი ბარძანება გამოსცა, რომლითაც სამხედრო ოპერაციის საბოლოო მიზნად უკვე მთელი აზერბაიჯანის დაკავება განისაზღვრა[4].

საქართველოს ხელისუფლება კარგად ხვდებოდა თუ რა საფრთხე შეიქმნებოდა, თუ საბჭოთა რუსეთი აზერბაიჯანს დაიკავებდა. ამიტომ ქართული მხარე მზად იყო დახმარებოდა თავის მოკავშირეს. სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, 20 აპრილს ბაქოში გაიგზავნა ქართველ სამხედროთა დელეგაცია, რომელსაც გენერალი გიორგი კვინიტაძე ხელმძღვანელობდა. დელეგაციაში ასევე შედიოდნენ: საქართველოს შეიარაღებული ძალების არტილერიის მეთაური გენერალი კირილე ქუთათელაძე და საქართველოს საინჟინრო ძალების უფროსი გენერალი გიორგი თაყაიშვილი. აი როგორ აღწერდა შემდგომში გენერალი კვინიტაძე ბაქოში ყოფნას და იქ მიღებულ შთაბეჭდილებებს, „20 აპრილისთვის ბაქოს გავემგზავრე ... გენერალი მეხმანდაროვი, რომელთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, მთხოვდა დამეზუსტებინა ჯარების რაოდენობა, რომელსაც, აზერბაიჯანის ბოლშევიკებთან ომის შემთხვევაში, საქართველო მის დასახმარებლად გამოგზავნიდა. მე ავუხსენი, რომ ეს შექმნილ მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული, ანუ სად განახორციელებდნენ ბოლშევიკები მთავარ დარტყმას, და კიდევ იმაზე, თუ მოქმედების როგორ გეგმას შეიმუშავებდა სამხედრო-სამოკავშირეო საბჭო. შეიძლება საქართველოს მთელი ჯარი აზერბაიჯანში გადმოვიდეს ან, პირიქით, აზერბაიჯანის მთელ არმიას ბრძოლამ საქართველოში მოუწიოს-მეთქი.”[5]

თეორიულად და პრაქტიკულადაც საბჭოთა რუსეთს სამხრეთ კავკასიაში შემოჭრა შეეძლო ორი გზით: კასპიის ზღვის გაყოლებით, პეტროვსკიდან (დღევანელი მახაჩკალა) ბაქოზე და შავი ზღვის გაყოლებით, სოჭიდან სოხუმზე იერიშით. ამიტომაც იყო რომ გენერალმა კვინიტაძემ გენერალ მეხმანდაროვს უთხრა, რომ ყველაფერი იმაზე იყო დამოკუდებული თუ „სად განახორციელებდნენ ბოლშევიკები მთავარ დარტყმას”. თუმცა უფრო სავარაუდო ბა-

---

1 Директивы главного командования Красной армии (1917-1920). Сборник документов. (Москва 1969) გვ. 736

2 Азербайджанская демократическая республика (1918-1920). Внешняя политика (Документы и материалы), (Баку, 1998) გვ. 510

3 Директивы главного командования გვ. 301.

4 Директивы главного командования გვ. 302.

5 გიორგი კვინიტაძე, *ჩემი მოგონებები ტ.1* (თბილისი 1998) გვ. 146-147.

ქოზე დარტყმა იყო. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა: ბაქო ეს იყო ნავთოვბი, აზერბაიჯანის არმია გაცილებით სუსტი იყო ქართულზე, ბაქოში გაცილებით დიდი იყო ბოლშევიკების გავლენა ვიდრე თუნდაც თბილისში, სერიოზულ ძალას წარმოადგენდა კასპიის ზღვის წითელი ფლოტილია, პეტროვსკი-ბაქო სარკინიგზო ხაზის არსებობა ჯავშანმატარებლების გამოყენების საშუალებას იძლეოდა.

ქართული დელეგაციის სამშობლოში გამოგზავრება ფაქტობრივად დაემთხვა საბჭოთა რუსეთის XI არმიის შეტევის დაწყებას. 27 აპრილს დილით, 00 საათსა და 5 წუთზე ოთხი ჯავშანმატარებელი ("III ინტერნაციონალი", „წითელი დაღესტანელი", „ტიმოფეი ულიანცევი", „წითელი ასტრახანი") ბაქოს მიმართულებით დაიძრა. 23 საათზე ბოლშევიკები უკვე სადგური ბალაჯარიში იყვნენ.

27 აპრილსვე დილით დაიწყო ბოლშევიკთა გამოსვლები თავად ბაქოში. მათ დაიკავეს: რკინიგზის სადგური, ფოსტა-ტელეგრაფი, რადიოსადგური, მნიშვნელოვანი ნავთობსარეწები, საპოლიციო უბნები. ბაქოს გარნიზონი რევკომის მხარეს გადავიდა. რევკომს მხარს უჭერდა კასპიის ზღვის ფლოტილიაც[6]. ამ დროს აზერბაიჯანის ჯარის უდიდესი და საუკეთესო ნაწილი ყარაბაღში იყო, სადაც მარტის ბოლოს სამხედრო მოქმედებები განახლდა. არსებობს მოსაზრება და ალბათ არც თუ უსაფუძვლო, რომ სომხების მიერ ყარაბაღში ბრძოლის განახლება საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით მოხდა. ამ ხერხით მოსკოვი ცდილობდა გაეადვილებინა XI არმიის ნაწილებისათვის ბაქოს დაკავება[7].

შექმნილი ვითარების განსახილველად შეკრებილმა აზერბაიჯანის პოლიტიკურმა ელიტამ არ გაიზიარა წინადადება ბაქოს დატოვების, განჯაში გადასვლისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას შესახებ. 23 საათზე აზერბაიჯანის პარლამენტმა (1 -წინააღმდეგი, 3 - თავი შეიკავა, 3- მონაწილეობა არ მიიღო კენჭისყრაში) მიიღო გადაწყვეტილება ხელისუფლების რევკომისთვის გადაცემაზე[8].

28 აპრილს გამთენიისას, 4 საათზე, საბჭოთა ჯავშანმატარებლები უკვე ბაქოში იყვნენ. უკვე მეორე დღეს, 29 აპრილს, საქართველოს მთავრობამ ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა. ამავე დროს სამხედრო წესები გამოცხადდა ტფილისში, სიღნაღის, თელავის, ბორჩალოს, თიანეთის, დუშეთის, გორის, ახალციხის, ახალქალაქის მაზრებში. გადაწყვეტილება სრულიად ბუნებრივი იყო, რადგან აზარბაიჯანის დაპყრობის შემდეგ მე-11 არმიის საქართველოში შემოჭრა სავსებით რეალური იყო.

1920 წლის 1 მაისს ჯავშანმატარებლები და XI არმიის 32-ე დივიზიის მეწინავე ნაწილები ქალაქ განჯაში შევიდნენ. ყველაზე სერიოზული წინააღმდეგობა აზერბაიჯანის სამხედრო ნაწილებმა სწორედ განჯასთან გაუწიეს მოწინააღმდეგეს, თუმცა ვერაფერს გახდნენ[9]. იმავე დღეს მოხდა პირველი მცირე შეტაკებები საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზეც. ბრძოლის პირველი დღეების განმავლობაში უპირატესობას აშკარად მოწინააღმდეგე ფლობდა. მან დაიკავა წითელი ხიდი და 5-6 ვერსის მანძილზე შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე.

პირველი დღეების წარმატებებმა ბოლშევიკების ნაწილი როგორც ჩანს ოპტიმისტურად განაწყო. 4 მაისს ს.ორჯონიკიძე მოსკოვში უპატაკებდა ლენინსა და სტალინს, რომ ყველაფერი კარგად მიდის და არაუგვიანეს 12 მაისისა ის უკვე თბილისში იქნება - „События развертываются так, что не позже двенадцатого надеемся быть в Тифлисе, для этого все сделано.

---

6 Азербайджанская демократическая ресспублика გვ. 120.

7 Азербайджанская демократическая ресспублика გვ. 113.

8 Азербайджанская демократическая ресспублика გვ. 121.

9 Азербайджанская демократическая ресспублика გვ. 123.

Пройдет блестяще".[10] 1 მაისს წითელ ხიდთან დაწყებული ბრძოლის პარალელურად იგეგმებოდა არეულობების დაწყება თბილისშიც.

საინტერესოა, რომ 4 მაისს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა ნოტა გაუგზავნა რსფსრ-ს საგარეო საქმეთა კომისარ ჩიჩერინს და ამ ნოტაში სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნული იყო შემდეგი, „Эти вопросы могут послужить предметом обсуждения между нами лишь после полного прекпащения враждебных действии как в криму, так и на границах кавказских государств, где ваши войска ведут борьбу с британскими войсками или же с друзьями Зеликобритании ... Единственным средством для успешного восстановления мира является гарантия отказа от дальнейших нападений.[11]» ერთადერთი კავკასიური სახელმწიფო რომლის საზღვრებთანაც 1920 წლის 4 მაისს საბჭოთა რუსეთს ომი ქონდა საქართველო იყო. ლორდი კერზონი ფქტობრივად პირდაპირ მოითხოვდა მოსკოვისგან საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების შეწყვეტას. ჩიჩერინმა 5 მაისს საპასუხო ნოტა გაუგზავნა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრა, სადაც დაუფარავად ცრუობდა როდესაც წერდა, რომ საბჭოთა რუსეთის სამხედრო ძალების მოქმედება კავკასიაში შეჩერებულია. იქვე აღნიშნული იყო, რომ მოსკოვმა მიმართა მეზობელ სახელმწიფოებს რათა დაწყებულიყო სამშვიდობო მოლაპარაკებები. საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთ სახალხო კომისარი იმასაც შენიშნავდა, რომ საბჭოთა მთავრობა მზად იყო გაეთვალისწინებინა ბრიტანეთის სპეციალური ინტერესები კავკასიაში თუ კი ბრიტანეთი მათ შესახებ განაცხადებდა[12].

ამ დროს კი მოსკოვში მოლაპარაკებებს აწარმოებდა გრიგოლ ურატაძე. საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს აშკარად აჭიანურებდა და მოვლენათა განვითარებას ელოდა. 5 მაისს მოსკოვიდან გამოგზავნილი დეპეშით ორჯონიკიძეს ებრძანა საქართველოს საზღვრიდან უკან დაეწია საბჭოთა ნაწილები, რადგან შესაძლებელი იყო საქართველოსთან ხელშეკრულების გაფორმება - „ЦК обязывает Зас отвести части от пределов –рузии к границе и воздержаться от наступления на –рузию. После переговоров с Тифлисом ясно, что мир с –рузией не исключен...». მიღებულმა პასუხმა ორჯონიკიძე მეტად გააბრაზა - „Меня поражает, каким образом вы верите лживым заявлениям –егечкори ... Мы все считаем спасение погибающего –рузинского меньшевистского правительства непоправимой ошибкой, но нечего говорить, что все ваши распоряжения будут выполняться нами очень точно и непреклонно ... По-моему, если международная обстановка навязывает нам эту комедию, то по крайней мере необходимо потребовать от них объявления Советской власти.» სტალინი ცდილობდა დაემშვიდებინა ორჯონიკიძე - „Обстановка такая, что сейчас торопиться с –рузией в смысле превращения ее в советскую мы не должны, все равно через несколько месяцев, если коммунисты будут легализованы, она и так станет советской»[13].

ამ დროისათვის საბჭოთა რუსეთისთვის მთავარი მოწინააღმდეგე პოლონეთი იყო. კიევის დაკავების შემდეგ პოლონელებმა შეძლეს მდინარე დნეპრის მარცხენა ნაპირზეც გადასულიყვნენ და დაახლოებით 15 კილომეტრის სიღრმის პლაცდარმი შექმნეს. დასავლეთის ფრონტზე ვითარება კატასტროფული იყო. სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა საბჭოთა ხელისუფლებას ბარონი ვრანგელიც. მან შეძლო წითლების რამდენიმ დივიზიის დამარცხება და სამხედრო მოქმედებები ყირიმის ნახევარკუნძულის გარეთ, ჩრდილოეთ ტავრიაში გადაიტანა. ვრანგელის მოქმედებაც გაცილებით სახიფათო და საშიში იყო საბჭოთა ხელისუფლე-

---

[10] Счастье на штыках. Секретная борьба в большевистском руководстве по поводу «советизации» Закавказья. Исторический альманах „Лабиринти времени". http://www.hist.ru/kavbolsh.html

[11] Докумемнты внешней политики СССР. Т.2 М. 1958 გვ. 504.

[12] Ɓокумемнты внешней политики СССР. Т.2 (Москва 1958) გვ. 503.

[13] Счастье на штыках. Секретная борьба в большевистском руководстве по поводу «сове¬тизации» Закавказья. Исторический альманах „Лабиринти времени". http://www.hist.ru/kavbolsh.html

ბისათვის, ვიდრე ბრძოლები სამხრეთ კავკასიაში. გასათვალისწინებელია, რომ ბრძოლები მიმდინარეობდა ჩრდილოეთ კავასიაშიც.

შექმნილ ვითარებაში საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ საქართველოსთან ხელშეკრულების დადება გადაწყვიტა და 7 მაისს გაფორმდა კიდეც ეს დოკუმენტი. მიუხედავად ამისა საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე ბრძოლები არ შეწყვეტილა.

8 და 9 მაისს ძირითადი ბრძოლები კვლავ წითელი ხიდის რაიონში მიმდინარეობდა. წითელ ხიდთან მიმდინარე ბრძოლების რაიონში საქართველოს შეიარაღებული ძალების დამატებითი ძალების ჩამოსვლა 8 მაისის საღამოდან იწყება და შემდგომ დღეებშიც გრძელდება. ძირითადად ეს სახალხო გვარდიის ბატალიონები იყო. 9 მაისს ქართული მხარე იწყებს კონტრშეტევას, რომელიც წარმატებით გრძელდება მეორე დღესაც.

წითელი ხიდის გარდა საბჭოთა რუსეთის ნაწილებს პოზიციები ქონდა დაკავებული ბობკაირისა (იგივე ბაბაკიარი/ბაბაკერი) და ტარსის სიმაღლეებზე, საიდანაც მათი განდევნა მეტად რთული ამოცანა იყო. 10 და 11 მაისს ბრძოლების დროს მოწინააღმდეგე უკან იხევდა, მაგრამ სამხედრო მოქმედებები ჯერ კიდევ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

12 მაისს განხორციელდა მძლავრი იერიში, რომლის შედეგადაც მოწინააღმდეგემ დატოვა საქართველოს საზღვრები. ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს წითელი ხიდი და სტრატეგიული სიმაღლეები: ბაბკაირის ქედი და ტარსის მთა[14]. 13 მაისს დილით ქართულმა შენაერთებმა, კვლავ ორ კოლონად: მარჯვენა და მარცხენა, განაგრძეს შეტევა. სამხედრო მოქმედებები უკვე საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ორივე კოლონას გენერალი ჯიჯხია ხელმძღვანელობდა. ქართული მხარე დიდი შეტევისათვის ემზადებოდა. თუმცა მთავარსარდალმა გენერალმა კვინიკაძემ თბილისში მყოფი მთავრობის თავმჯდომარისგან მიიღო ბრძანება შეტევის შეჩერების შესახებ. „მე უკვე გაცემული მქონდა ბრძანება, რომლის თანახმად მეორე დღეს, 19 მაისს ჯარები შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ. მე და სამხედრო მინისტრი სადახლოში 18 მაისს ვიყავით. ამ დღეს მთავრობის თავმჯდომარისგან მოკლე დეპეშა მივიღე, მიბრძანებდა სამხედრო მოქმედებანი შემეწყვიტა და მოწინააღმდეგესთან მშვიდობიანი მოლაპარაკება დამეწყო.[15]”

დროებით ზავს ხელი 26 მაისს მოეწერა. გაგრძელდა მოლაპარაკებები საბოლოო შეთანხმების გასაფორმებლად და „აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დადებულ საზავო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა ივნისის 12 საღამოს 10 საათზე”[16].

1920 წლის მეორე ნახევარში ძალიან გართულდა სომხეთის მდგომარეობა. შემოდგომაზე დაიწყო ომი ქემალისტებთან, რომელიც სომხეთისათვის მეტად წარუმატებლად განვითარდა. 13 სექტემბერს ქემალისტების 30 ათასიანი არმია ქიაზიმ ქარაბექირის ხელმძღვანელობით შეტევაზე გადავიდა[17]. 30 ოქტომბერს ქარაბექირის შენაერთებმა აიღეს ყარსი, ხოლო 7 ნოემბერს ალექსანდროპოლი[18]. 13 ნოემბერს სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა, სამი თვით, დაიკავეს ლორეს ნეიტრალური ზონის მთელი ტერიტორია.

ორ სახელმწიფოს შორის გაფორმდა სათანადო ხელშეკრულებაც.

“სომხეთის რესპუბლიკაზე ანგორის მთავრობის ჯარის შეტევისა და ნეიტრალური ზონისა და თავად საქართველოსთვის შექმნილი საფრთხის გამო, ამ უკანასკნელის მთავრობის წინადადებით, ორივე დასახელებული მთავრობის წარმომადგენლებმა - საქართველოს

---

14 Счастье на штыках. Секретная борьба в большевистском руководстве по поводу «советизации» Закавказья. Исторический альманах „Лабиринти времени“. http://www.hist.ru/kavbolsh.html

15 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა» №104; 12/V 1920.

16 გიორგი კვინიტაძე, *ჩემი მოგონებები* ტ. 2 გვ. 171.

17 გაზეთი „სახალხო საქმე” №850, 15/VI 1920.

18 Werner Zürer, Kaukasien 1918-1921, (Düseldorf, 1978) გვ. 427.

მხრიდან: სამხედრო მინისტრმა გ.ს. ლორთქიფანიძემ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კ.ვ. საბახტარაშვილმა და სომხეთის მხრიდან: ს.გ. მამიკონიანმა, ტ.ა. ბეკზადიანმა და ს.ა. ხაჩატურიანმა დავდეთ შემდეგი ხელშეკრულება

1. საქართველოს მთავრობის წინადადებით სომხეთის მთავრობა თანხმდება ნეიტრალურ ზონაში ქართული ჯარის შესვლას.

2. ქართული ჯარის ყოფნა ნეიტრალურ ზონაში არ წარმოშობს დამატებით უფლებებს ამ ტერიტორიასთან დაკავშირებით

3. ადმინისტრაცია რჩება წინანდელ საფუძვლებზე

4. ყველაფერს რაც საჭიროა ჯარისთვის იყიდიან თავისუფალი ფასებით, რეკვიზიციის გარეშე

5. საჭიროების შემთხვევაში ნეიტრალურ ზონაში შეუშვებენ სომეხ დევნილებს, 10 ათასი ადამიანს

6. სომხეთის მთავრობისა და მისი დაწესებულებების სახელმწიფო ქონება შეუფერხებლად უნდა გაატარონ ნეიტრალურ ზონაში. ამავე დროს ქონება რჩება სომხეთის რესპუბლიკის საკუთრებაში და ამ უკანასკნელის მოთხოვნისთანავე უნდა დაუბრუნდეს.

7. ხელშეკრულების ზუსტ შესრულებაზე დაკვირვებისთვის ნეიტრალურ ზონაში არსებულ საქართველოს სარდლობასთან იქნება სომხეთის მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული.

8. ეს ხელშეკრულება იდება სამი თვის ვადით, რომლის შემდეგაც შესაძლოა გაგრძელდეს ორმხრივი თანხმობით. თუ ახალი შეთანხმება არ იქნება, მაშინ ეს ხელშეკრულება ძალას კარგავს და ჯარები უბრუნდებიან ძველ მდგომარეობას

9. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და შედგენილია ორ ცალად საერთო ხელმოწერით.

13 ნოემბერი 1920 წელი ტფილისი"[19].

ეს გადაწყვეტილება ფაქტობრივად ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის გადარჩენასაც ნიშნავდა ქემალისტების მოსალოდნელი ოკუპაციისგან.

29 ნოემბერს ქალაქ იჯევანში სომეხმა ბოლშევიკებმა საბჭოთა ხელისუფლების შექმნა გამოაცხადეს. სომხეთის რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა ბოლშევიკებისთვის წინააღმდეგობა არ გაეწია. სომხეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე კაჩაზნუნი წერდა, „ამას ორი მიზეზი ქონდა. პირველი, ამის სურვილიც რომ ყოფილიყო წინ ვერ აღვუდგებოდით. მეორე, იმედი გვქონდა რომ საბჭოთა ხელისუფლება, რომლის უკანაც რუსეთი იდგა სახელმწიფოში გარკვეულ წესრიგს დაამყარებდა.[20]" 2 დეკემბერს კი, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ „სრულ სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლებას გადასცემდა მთავარსარდალს". ამ თანამდებობაზე დაინიშნა გენერალი დრო. ამ უკანასკნელმა თავის მხრივ, ერევანში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელ სილინთან ერთად გამოსცა ბრძანება, რომლითაც სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადა[21].

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება კიდევ ერთი ნაბიჯი იყო სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთის ფაქტობრივი ბატონობის დამყარების გზაზე. აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო რჩებოდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

ჯერ კიდევ 1920 წლის 12 დეკემბერს, სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან მალევე, სერგო ორჯონიკიძე ლენინისა და სტალინისადმი გაგზავნილ წერილში ითხოვდა სა-

---

19 Werner Zürer, Kaukasien 1918-1921, (Düseldorf, 1978) გვ. 436.

20 საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 200, ფურცელი 5.

21 ფირუზ ქაზამზადე, *ბრძოლა ამიერკავკასიისთვის 1917-1921*, (თბილისი 2016) გვ. 358.

ქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყებას. „თავად საქართველოში მდგომარეობა ისეთია, რომ ადვილად შევძლებთ მასთან გამკლავებას. მოხდება გამოსვლები ბორჩალოს მაზრაში[22], აფხაზეთში, აჭარაში, დუშეთში. კიდევ ერთხელ გაცნობებთ ამას და ველი თქვენს მითითებებს"[23].

1921 წლის 6 იანვარს სერგო ორჯონიკიძე მოსკოვში ატყობინებდა, „საქართველო საბოლოოდ იქცა ახლო აღმოსავლეთში მსოფლიო კონტრრევოლუციის შტაბად ... თავს მოვალედ ვთვლი კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი ბაქოს რაიონისთვის მოახლოებულ სასიკვდილო საფრთხეს, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს გასაბჭოებით.[24]" არანაირი საფრთხე ბაქოს არ ემუქრებოდა. სერგო ორჯონიკიძე ყველაფერს აკეთებდა, რომ საქართველოს ოკუპაცია დაეჩქარებინა. ამაში მას სტალინი ეხმარებოდა აქტიურად. 24 იანვარს ამ უკანასკნელმა ცეკას წევრებს მისწერა, „რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს მივცეთ შესაბამისი დირექტივა. საჭიროა იგი დაუყოვნებლივ შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას იმისთვის, რათა გადაწყვიტოს საკითხი კავკასიაში სამხედრო ჩარევის წესის თაობაზე. ამავე დროს დირექტივა მივცეთ ორჯონიკიძეს, მოამზადოს აჯანყებულთა გამოსვლა საქართველოს ცნობილ რაიონებში".

1921 წლის 27 იანვარს, მოკავშირეთა საბჭოს მიერ საქართველოს აღიარებამ, სავარაუდოდ საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობას საქართველოს დაპყრობის გადაწყვეტილება დააჩქარებინა. მოსკოვში ალბათ მიხვდნენ, რომ რაც უფრო გადადებდნენ საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყებას, მით უფრო მეტი პრობლემა შეიძლება შექმნოდათ და მოვლენათა ფორსირება გადაწყვიტეს.

27 იანვარსვე ლევ ტროცკიმ, რსფსრ-ს სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარმა და სამხედრო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ, კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს მისწერა, „თუ საბჭოთა რესპუბლიკა[25], საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, იძულებული იქნება სამხედრო პასუხი გასცეს საქართველოს პროვოკაციულ პოლიტიკას, თვლით რომ გაგაჩნიათ ამ ოპერაციისათვის საჭირო ძალა, ტერიტორიის ოკუპაციის გათვალისწინებით."

იანვარში კიდევ უფრო გააქტიურდა ლორეს ოლქში შეგზავნილი დივერსიული რაზმები იოსებ ლაზიანის ხელმძღვანელობით.

საბჭოთა რუსეთის საქართველოში შემოჭრის შესაძლო მიმართულებები იყო: შავი ზღვის გაყოლებით (მეხადირა-გაგრა), დვალეთის უღელტეხილები (მამისონი, როკი, თრუსო და სხვ.), დარიალის ხეობა, კახეთი, წითელი და ფოილოს ხიდები, და ე.წ. „ლორეს ნეიტრალური ზონა". თუნდაც მხოლოდ ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე ცხადია, გინდა ტაქტიკური და გინდა სტრატეგიული თვალსაზრისით, მთავარი კახეთის, ფოილო-წითელი ხიდებისა და ლორეს მიმართულებები იქნებოდა (ამას ადასტურებდა 1920 წლის მაისში მიმდინარე საომარი ოპერაციებიც).

11 თებერვლიდან 12 თებერვლის ღამეს საბჭოთა სომხეთის შეიარაღებული ძალებისა და XI არმიის რამდენიმე შენაერთმა შეტევა ვორონცოვკის, ჯალალ-ოღლისა და სანაინის მიმართულებებით განახორციელა. სანაინის მიმართულებაზე ჯარი სრულიად მოუმზადებელი იყო შემოტევისათვის და მტერმა თითქმის სადახლომდე დაიკავა ბამბაკის ხეობა. მე-5 და მე-8 ათასეულები თითქმის მთლიანად განადგურდა. პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი დაიღუპა ან ტყვედ ჩავარდა.

---

22 ფირუზ ქაზამზადე, *ბრძოლა ამიერკავკასიისთვის 1917-1921*, (თბილისი 2016) გვ. 360.

23 იგივე ლორეს ნეიტრალური ზონა

24 Счастье на штыках. Секретная борьба в большевистском руководстве по поводу «советизации» Закавказья. Исторический альманах „Лабиринти времени". http://www.hist.ru/kavbolsh.html

25 Счастье на штыках. Секретная борьба в большевистском руководстве по поводу «советизации» Закавказья. Исторический альманах „Лабиринти времени". http://www.hist.ru/kavbolsh.html

14 თებერვალს მოწინააღმდეგემ გენერალ ჯიჯიხიასა და გენერალ სუმბათაშვილის ნაწილებზე შეტევა განაახლა. ამ უკანასკნელმა მდ. ხრამისკენ დაიხია. მტერმა დაიკავა სადახლო.[26]

14 თებერვალსვე ლენინმა დეპეშა გაუგზავნა XI არმიის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს. „ცეკა ემხრობა იმას, რომ ნება დართოს XI არმიას აქტიურად დაეხმაროს აჯანყებას საქართველოში და დაიკავოს თბილისი საერთაშორისო ნორმების დაცვის შემთხვევაში."[27]

15 თებერვალს სერგო ორჯონიკიძე და შალვა ელიავა მოსკოვში აგზავნიან დეპეშას, „დაიწყო ძალების გადმოსროლა ლორეში აჯანყებულთა წინააღმდეგ. ნებისმიერ წუთს მოსალოდნელია მათი შემოტევა. ეს ვითარება გვაიძულებს საპასუხო დარტყმ." სწორედ ამ დეპეშას მოყვა პასუხად სტალინის ცნობილი სიტყვები - „ახლა გადმოგცემ ცეკას დაშიფრულ დეპეშას. მანამდე გატყობინებ. ახლავე შეუტიე. დასტურია. აიღე ქალაქი". ცეკას პასუხი კი ასეთი იყო, „ცეკა განიხილავს XI არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს მოქმედებას, როგორც ნეიტრალურ ზონაში აჯანყებულთა დაცვას განადგურებისაგან, რომელიც მათ ემუქრება თეთრგვარდიელთაგან. ანგარიში გაუწიეთ თქვენი ოპერაციის ამ პოლიტიკურ ხასიათს თქვენს ყველა საჯარო გამოსვლაში. ცხადია ჩვენ XI არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოსგან ველით სწრაფ მოქმედებას. თბილისი აღების ჩათვლით თუ ეს საჭიროა სამხედრო თვალსაზრისით ნეიტრალური ზონის დასაცავად.[28]

16 თებერვალს წითელი და ფოილოს ხიდების მიმართულებაზე საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები საბჭოთა რუსეთის XI არმიამ დაიწყო და წითელი ხიდი ადვილად დაიკავა.

წითელი ხიდის დაკარგვამ უმძიმეს ვითარებაში ჩააგდო მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე გამაგრებული სუმბათაშვილისა და ჯიჯიხიას ნაწილები, რომლებიც იძულებული გახდნენ სარდარასაკენ (მარნეული) დაეხიათ .

ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფოილოს სარკინიგზო ხიდს. რუსები ცდილობდნენ ხიდი დაეკავებინათ და ქართველებისთვის მისი აფეთქების საშუალება არ მიეცათ. ქართველი მესანგრეების მიერ წინასწარ დანაღმული იყო ხიდის თავი (ხიდის მხოლოდ ნახევარი ეკუთვნოდა საქართველოს) და იერიშის დაწყებისთანავე ხიდი ააფეთქეს.

16 თებერვალსვე დაიწყო შემოტევა ზაქათალის მხრიდან. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში, დაახლოებით 13:00 საათზე მთავარსარდალი გენერალი ილია ოდიშელიძე გადააყენეს და მის ადგილზე გენერალი გიორგი კვინიტაძე დანიშნეს.

17 თებერვალს კავკასიის ფრონტის სარდლობა IX არმიის სარდალს, მიხეილ ლევანდოვსკის უბრძანა, XI არმიის ფრონტზე შექმნილი ვითარების გათვალისწინებით სასწრაფოდ დაეწყო შეტევა სოჭის მიმართულებიდან გაგრაზე და დაეკავებინა გაგრის რაიონი. შემდგომში განევითარებინა შეტევა რათა აფხაზეთში ანტისახელმწიფოებრივი აჯანყების საფრთხე შექმნილიყო[29].

მთავარი ამოცანა თბილისის დაცვა იყო. 17 და 18 თებერვალს თბილისთან ხდება ძალების თავმოყრა და პოზიციების დაკავება. მთავარსარდლის განკარგულებაში იყო არმიის და გვარდიის შენაერთები, სამხედრო სკოლა, მოხალისეები.

18 თებერვალს კავკასიის ფრონტის სარდალმა ვლადიმერ გიტისმა გამოსცა ბრძანება რომლითაც საქართველოს წინააღმდეგ ომში ჩაბმულ საბჭოთა ჯარებს შედეგი დავალებები მისცა: XI არმიას - თბილისის დაკავებისთანავე სწრაფად დაიძრას გორი, სურამი და ბორ-

---

26 იგულისხმება რსფსრ.

27 მიხეილ ბახტაძე, *1921 წლის ჰუსეთ-საქართველოს ომის საბჰძოლო მოქმედებების ისტოჰიიდან* (თბილისი 2013). გვ. 24.

28 Директивы командования фронтов Красной Армии Т. III. (Москва 1974). გვ. 371.

29 Директивы командования фронтов Красной Армии Т. III. (Москва 1974). გვ. 371.

ჯომის მიმართულებით. ცხენოსანი მზვერავების რაზმი გაიგზავნოს ახალციხეში, რომელიც საქართველოს საზღვართან მყოფ თურქეთის სამხედრო ნაწილებს დაუკავშირდება. ერთმა რაზმმა დაიკავოს დუშეთი რათა დაეხმაროს თერგის ოლქიდან მომავალ ძალებს. ფოილოს სარკინიგზო ხიდის აღდგენისთანავე, პირველ რიგში, ერთი ჯავშანმატარებელი გაიგზავნოს ბათუმისკენ; IX არმიას - გაგრის რაიონის დაკავებისთანავე დაიძარით სოხუმისკენ რათა მხარი დაუჭიროთ აჯანყებას აფხაზეთში; თერგის ოლქის ძალებს - დააჩქარეთ მოძრაობა ზარამაგისკენ და შემდეგ საქართველოს საზღვრისკენ. აღადგინეთ ქართველების მიერ აფეთქებული დარიალის ხიდი და ამ გზით სწრაფად დაიძრას რაზმი რომელიც თბილისის ჩრდილოეთი შეუერთდება XI არმიის ნაწილებს[30].

18 თებერვალს დაახლოებით 20:00 და 21:00 საათებს შორის, ქართველმა სადაზვერვო რაზმებმა მოწინააღმდეგის მოძრაობა დააფიქსირეს. 22:00 საათისათვის მოწინააღმდეგემ იაღლუჯას ქედს მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან შემოუარა და გენერალ მაზნიაშვილის პოზიციებისაკენ დაიძრა.

გამთენიისას, მოწინააღმდეგის მორიგი იერიშის მოგერიების შემდეგ სადარაჯო ათასეული იერიშზე გადავიდა. მას გორის ბატალიონმაც მიბაძა, სანგრებიდან ამოვიდა და მოწინააღმდეგეს შეუტია. მათ მხარი სარეზერვო ბატალიონმაც დაუჭირა. ბრძოლაში მონაწილეობდა ორი ქართული თვითმფრინავიც. დაკავებულ იქნა საყარაულო ათასეულის რაზმის მიერ დატოვებული თავდაპირველი პოზიციები. მტერმა უკან დაიხია იაღლუჯას მიმართულებით. ტყვედ ჩავარდა 1600 წითელარმიელი.

ღამის იერიში უცნობ პოზიციებზე რთული და სარისკო საქმეა. XI არმიის ხელმძღვანელობამ ეს გადაწყვეტილება ალბათ მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ დარწმუნებული იყო, ქართული შეიარაღებული ძალები წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. თუმცა შეცდა. თბილისის დაცვის ცენტრალურ ფრონტზე მტრის დამარცხება დიდი და მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო, მათ შორის მორალური თვალსაზრისით, პირველ განცდილი მარცხის გათვალისწინებით. თუმცა მდგომარეობა მაინც რთული იყო.

19 თებერვალს დილით დაახლოებით 08:00 საათზე მოწინააღმდეგ ახალი იერიში თბილისის დაცვის მარცხენა ფრთაზე კოჯორ-ტაბახმელას მიმართულებაზე მიიტანა. კოჯორი აიღო და დაახლოებით 13:30 საათზე ტაბახმელასა და წავკისი მიმართულებით დაეშვა. მარჯვენა ფრთის სარდალმა, გენერალმა ალექსანდრე ანდრონიკაშვილმა ტაბახმელაში პოზიციებზე მყოფ სამხედრო სკოლას უკანდახევა უბრძანა, რათა ალყაში არ მოქცეულიყო. სკოლის მეთაურმა პოლკოვნიკმა ალექსანდრე ჩხეიძემ მდგომარეობა სხვანაირად შეაფასა, გენერალ ანდრონიკაშვილს ვითარება აუხსნა, ბრძანება შეაცვლევინა და კონტრშეტევაზე გადასვლის ნებართვა სთხოვა. „გმირულ კონტრ-იერიშის მორალურმა დარტყმამ მტერი ადგილზე მიაქედა! ჩვენ უკვე გადარჩენილი ვიყავით!”[31]

ამავე დროს მთავარსარდლის ბრძანებით კოჯრისკენ გადაისროლეს რეზერვები და დაიწყო მზადება კონტრშეტევისთვის.

19 თებერვალსვე მოწინააღმდეგე მარცხენა ფრთაზეც გამოჩნდა. ამ მიმართულებით მცირე მასშტაბის შეტაკებები მიმდინარეობდა.

ამავე დღეს მე-9 არმიის 31-ე დივიზიამ შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით შემოტევა დაიწყო. ამ მიმართულებას: რეგულარული არმიის მე-2 და მე-3 ათასეულები და გვარდიის სოხუმის ბატალიონი იცავდა, გენერალ დავით ართმელაძის მეთაურობით[32].

---

30 Директивы командования фронтов Красной Армии Т. III. (Москва 1974). გვ. 372.

31 ალექსანდრე ჩხეიძე, *სამხედრო სკოლა*, ჟურნალი „მხედარი” #1 (თბილისი 1991) გვ. 56.

32 მიხეილ ბახტაძე, *1921 წლის ჰუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან* (თბილისი 2013). გვ. 60.

20 თებერვალს დილით კოჯრის გათავისუფლების ოპერაცია დაიწყო. 14:00 საათისთვის ოპერაცია წარმატებით დასრულდა, მოწინააღმდეგემ კოჯორი დატოვა და უკან დაიხია. ქართულმა ჯარმა ხელთ იგდო მტრის ოთხი ზარბაზანი, ათზე მეტი ტყვიამფრქვევი, ერთი პატარა ჯავშნოსანი და ტყვეები. გვარდიის იმერეთის მე-3 ბატალიონის მებრძოლთა ერთი ჯგუფი სოფელ ვაშლოვანში შევიდა. იქ მდგარი ბოლშევიკების აღალი გაანადგურა და თავის პოზიციებზე დაბრუნდა[33].

20 თებერვალსვე, მარცხენა ფრთაზე, გვარდიის ნაწილებმა მტერი უკუაგდეს და სადგური ვაზიანი დაიკავეს. „სადგურ ვაზიანიდან კარგი ამბები მოდის. ჩვენ ჯარს შუადღისასა უკვე გაურეკია იქ შეჭრილი მტრის კავალერია და მის დევნას განაგრძობს. უკუქცეული მტრის ლაშქარს ღვთის რისხვასავით ატყდება თავს ყუმბარები, რომელსაც ჩვენი მფრინავები მაღლიდან ესვრიან.”[34]

21 თებერვალს კავკასიის ფრონტის სარდლობა მე-11 არმიის ხელმძღვანელობას უბრძანებს, გაანალიზოს წარუმატებლობის მიზეზები და შეიმუშავოს თბილისის აღების ახალი გეგმა. მოწინააღმდეგემ მარალი შეფასება მისცა თბილისი დამცველთა ბრძოლას და ქართული სარდლობის მოქმედებას - „Умело руководящего своими хотя и незначительными, но сосредоточенными в кулак силами.”[35]

21 თებერვალსვე კავკასიის ფრონტის სარდლობა საყვედურობდა XI არმიის ხელმძღვანელობას, რომ აქამდე ოპერაცია მიმდინარეობდა ყოველგვარი გეგმის გარეშე და მოწინააღმდეგემ კი ერთ მუშტად შეკრა მის ხელთ არსებული ყველა ძალა თბილისის დასაცავად[36].

საქართველოს დედაქალაქის აღების უშედეგო მცდელობების შემდეგ XI არმიის სარდლობა ძალები გადააჯგუფა. შეიქმნა ორი დამრტყმელი დაჯგუფება. ერთი, ველიკანოვის ხელმძღვანელობით, რომელსაც დასავლეთიდან უნდა შეეტია თბილისისთვის და მეორე, კუიბიშევის, აღმოსავლეთიდან და ჩრდილო აღმოსავლეთიდან შესატევად.

გენერალური შტაბის ინფორმაციის თანახმად, „22 თებერვალს ტფილისის მიდამოებში დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. მხოლოდ საღამო ხანს შენიშნულ იქნა მტრის მცირე რაზმის წინსვლა ყარაიაზისა და საგარეჯოს მხრიდან” .

22 თებერვალსვე ქართული ჯარი მძიმე ბრძოლას აწარმოებდა IX არმიის ნაწილების წინააღმდეგ აფხაზეთის ფრონტზე. მტრის რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა და მან მეხადირის პოზიციები დაიკავა.

საბჭოთა რუსეთის შემოტევის კიდევ ერთი მიმართულება დარიალის ხეობა იყო, თუმცა ქართველმა მეომრებმა ხიდი ააფეთქეს და მოწინააღმდეგის პირველი იერიში მოიგერიეს. ამ მიმართულებაზე თერგ-დაღესტნის სამხედრო დაჯგუფების (შემდგომში X არმიად გადაკეთებული) შენაერთები უტევდა. მათი ამოცანა იყო ასევე კავკასიონის ქედზე არსებული მამისონის, როკისა და თრუსოს უღელტეხილების გადმოლახვა. დარიალის მიმართულებაზე მოწინააღმდეგეს დაახლოებით ათასი მეომარი ყავდა. დაახლოებით ამდენივე უტევდა თრუსო უღელტეხილიდან. ამ მიმართულებით მოქმედ ქართულ ჯარს პოლკოვნიკი სიმონ წერეთელი ხელმძღვანელობდა და მის განკარგულებაში რეგულარული არმიისა და გვარდიის 800-მდე მებრძოლი იყო. მას შემდეგ რაც მთავარსარდლის ბრძანებით ქართულმა შენაერთებმა 24-დან 25 თებერვლის ღამეს დედაქალაქის დატოვება დაიწყეს, ხევში მყოფ ქართულ შენაე-

---

33 გიორგი კვინიტაძე, *ჩემი მოგონებები* ტ.2 გვ. 127.

34 გაზეთი «სახალხო საქმე» № 1059 ,1921.

35 Директивы командования фронтов Красной Армии Т. III. (Москва 1974). გვ. 374.

36 Директивы командования фронтов Красной Армии Т. III. (Москва 1974). გვ. 375.

რთების ბრძოლას ამ მიმართულებაზე ადრი აღარ ქონდა და მათ უკანდახევა და ძირითად ძალებთან შეერთება ებრძანა[37].

23 თებერვალს მოწინააღმდეგემ თბილისი დამცველები მარჯვენა ფრთას, რომელსაც გენერალი არტემ ჯიჯიხია მეთაურობდა, შეუტია და აიძულა უკან დაეხია 21 თებერვლამდე არსებულ პოზიციებზე. 14:00 საათზე მოწინააღმდეგემ ქართველების მიერ უკანდახევის დროს აფეთქებული ფოილოს სარკინიგზო ხიდი აღადგინა[38]. ამან მას დამატებითი ძალების (მათ შორის ტანკების) სწრაფი გადაადგილებისა და რაც ყველაზე მთავარია ჯავშანმატარებლების გამოყენების საშუალება მისცა. იმავე საღამოს ამ ჯავშანმატარებლებმა ქართულ პოზიციებთან მოახლოება სცადეს, მაგრამ ქართველ არტილერისტთა ზუსტი ცეცხლის გამო იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

23 თებერვლის 15:00 საათზე კავკასიის ფრონტის სარდლობა XI არმიის მეთაურს კიდევ ერთ დირექტივას უგზავნი და შენაერთების შეთანხმებული მოქმედებების უზრუნველყოფას ავალებს. რაც მთავარია, უბრძანებს ეფექტურად გამოიყენოს მე-18 და მე-12 საკავალერიო დივიზიები, რომლებმაც მოწინააღმდეგის მარჯვენა ფლანგზე უნდა იმოქმედონ. დირექტივაში ხაზგასმულია, რომ მთელი ოპერაციის საბოლოო წარმატება სამი მეოთხედით სწორედ საკავალერიო დივიზიების ეფექტურ მოქმედებაზეა დამოკიდებული[39].

24 თებერვალს გამთენიისას საბჭოთა რუსეთის XI არმიის შენაერთებმა საქართველოს დედაქალაქის გენერალური იერიში დაიწყეს.

თბილისი დაცვის მარჯვენა ფრთაზე მტერმა დილიდანვე დაუშინა ჩვენს პოზიციებს საარტილერიო ცეცხლი და შემდეგ შეტევაზე გადმოვიდა. იუნკერთა შემადგენლობიდან დარჩენილი იყო 85-90 კაციღა. დიდი იყო დანაკლისი ნაცვალთა შორისაც. მიუხედავად მრავალგზის შეტევისა მოწინააღმდეგე ქართული პოზიციების გარღვევას ვერ ახერხებდა. რამდენჯერმე ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. მოწინააღმდეგეს დიდი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა, რამაც შედეგი გამოიღო და ნაშუადღევს მტერმა № 4 სანგარი დაიკავა. ამის შემდეგ ისინი პირდაპირ ლეიტენანტ გოგი მესხიშვილის ბატარეის წინ აღმოჩდნენ და ქართველ არტილერისტებზე ხიშტებით წამოვიდა. ლეიტენანტმა მესხიშვილმა ხმალი იშიშვლა და თავისთან მყოფ იუნკრებთან ერთად მოწინააღმდეგეს ეკვეთა. ოფიცრების შავდიას, ხოშტარიასა და ჩოჩუას წინამძღოლობით მათ სხვა იუნკრებიც წამოეშველნენ და მტერს უკან დაახევინეს. მოწინააღმდეგე მარჯვნივ და მარცხნივ გაიფანტა და ამით, უკან მყოფ თავის მეტყვიამფრქვევეებს 100-120 ნაბიჯის მანძილიდან იუნკრებისათვის ცეცხლი გაეხსნის საშუალება მისცა. სხვა გამოსავალი არ იყო და იუნკრების ნაწილმა კაპიტან ჩოჩუას მეთაურობით მეტყვიამფრქვევეებს შეუტია. მტრის რიგებამდე პირველმა იუნკერმა შალვა ერისთავმა მიირბინა და მემიზნე ოფიცერი ხიშტით მოკლა, თუმცა თავადაც სასიკვდილოდ დაჭრილი დაეცა. ასევე დაიღუპნენ იუნკრები ოთარ ლორთქიფანიძე და იოსებ ჯანდიერი, 15-მდე კი დაიჭრა. დაიჭრნენ კაპიტნები ჩოჩუა, შავდია და ხოშტარია. იერიშები დაღამებამდე გაგრძელდა, მაგრამ ბოლშევიკბმა ნაბიჯითაც ვერ წაიწიეს წინ. დაბნელებისთანავე მათ იერიშები შეწყვიტეს და უკან დაიხიეს. „ბოლშევიკებმა ყველაფერი გადმოისროლეს ბრძოლაში: გამწარებულად და უშიშრად მოიწევდენ წინ და კვდებოდენ, მაგრამ ყველა მათი მქუხარედ მოვარდნილი ტალღა იმსხვრეოდა ტაბახმელას გმირთა მკერდზე ისე, როგორც ზღვის ტალღები

---

37 დიმიტრი სილაქაძე, *„ხევში მიმდინარე ბრძოლები რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დროს"*. ჟურნალი ისტორიანი 2016 № 2. გვ. 12-16.

38 Виктор Зун. *Бронесилы 11-ой Армии в борьбе за освобождение Грузии*. Журнал «Механизация и Моторизация РККА» გვ. 20 1936 г. № 2.

39 Директивы командования фронтов Красной Армии Т. III. (Москва 1974). გვ. 376.

პიტალო კლდეზე. დღე იქცა ისტორიულად, გადამწყვეტ ჭიდილში ჩვენ გავიმარჯვეთ. გამარჯვება იყო სრული", ასე აფასებს ამ დღეს ალექსანდრე ჩხეიძე[40].

ცენტრალურ, სოღანლუღი-შავნაბადას მიმართულებაზე მოწინააღმდეგემ მთავარი დარტყმა გზატკეცილისა და რკინიგზის ხაზის გასწვრივ განავითარა. ამ მიმართულებით მტრის მოგერიება მოხერხდა, მაგრამ კრიტიკული ვითარება მას შემდეგ შეიქმნა, რაც რუსები თელეთიდან გადმოვიდა შეტევაზე, ფრონტი გაარღვია და 18:00 საათისათვის სოღანლუღის ქედზე მდებარე ტრიგონომეტრიული სიმაღლე 3.150 დაიკავა. შეიქმნა საშიშროება, რომ მოწინააღმდეგე წარმატებას განავითარებდა, უფრო ღრმად შემოიჭრებოდა და საშუალება მიეცემოდა ზურგში მოქცეოდა არა მარტო გენერალ მაზნიაშვილის ნაწილებს, არამედ გენერალ ანდრონიკაშვილის შენაერთებსაც. საჭირო იყო სასწრაფოდ სიმაღლის დაბრუნება. გენერალმა მაზნიაშვილმა პოლკოვნიკ ვაჩნაძეს კონტრშეტევა და დაკარგული სიმაღლის დაბრუნება უბრძანა. წყაროთა ერთი ნაწილი (გენერალი მაზნიაშვილი, რევაზ გაბაშვილი) ადასტურებს სიმაღლის დაბრუნებას, ნაწილი (გენერალი კვინიტაძე, პოლკოვნიკი ჩხეიძე) - არა[41]. საბჭოთა რუსეთის კავკასიის ფრონტის სარდლობის ინფორმაციით სიმაღლე 3.150 მათ ხელშია. თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ქართველების კონტრშეტევის შემთხვევაში სიმაღლის შენარჩუნება ვერ მოხერხდება[42]. ზუსტი ვითარების აღდგენა ამ ეტაპზე ვერ ხერხდება. სიმაღლე 3.150 რომც მოწინააღმდეგის ხელში ყოფილიყო ეს ბევრს არაფერს წყვეტდა ამ მიმართულებაზე.

უმძიმესი ბრძოლა მიმდინარეობდა მარცხენა ფრთაზე. დილის 7 საათზე მოწინააღმდეგის ქვეითი ნაწილები შეტევაზე გადმოვიდნენ. ქართული პოზიციებისკენ დაიძრა მოწინააღმდეგის ოთხი ჯავშანმატარებელიც. როდესაც მტერი ყარაჯალარის გადასარბენს მოუახლოვდა ქართველმა არტილერისტებმა ჯავშანმატარებლების მისამართით ცეცხლი გახსნეს. ამავე დროს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი ტყვიამფრქვევების ძლიერი ცეცხლის ქვეშ მოექცა, იძულებული გახდა შეტევა შეეჩერებინა და დაწოლილიყო. მოწინააღმდეგემ ყარაჯალარის გადასარბენის გავლა სცადა, მაგრამ ოთხი ქართული ბატარეის საარტილერიო ცეცხლის ქვეშ მოქცეული იძულებული გახდა უკან დაეხია. ჯავშანმატარებლების შეტევა სამჯერ განმეორდა. 11 საათისათვის, მიუხედავად ძლიერი საარტილერიო ცეცხლისა, მოწინააღმდეგემ ყარაჯალარის გადასარბენი გაიარა, თუმცა მისმა ჯავშანმატარებლებმა სერიოზული დაზიანებები მიიღეს. 14 საათზე ქართული პოზიციებიდან კვლა განახლდა საარტილერიო და ტყვიამფრქვევების ცეცხლი. 16 საათისათვის დაიწყო თოვა, ჩამოწვა ბურუსი, ძალიან აცივდა. სწორედ ამ დროს ოთხმა ქართულმა თვითმფრინავმა იერიში მიიტანა მტრის ჯავშანმატარებლებზე და ოცდაათამდე ბომბი ჩამოყარა. ბრძოლაში ქართული ჯავშანმატარებელიც ჩაერთო, მაგრამ მოწინააღმდეგის ძალიან დიდი უპირატესობის გამო ნავთლუღის მიმართულებით დაიხია. ნავთლუღის მიდამოები კი მოწინააღმდეგის ავიაციამ დაბომბა. ორხევის სანგრებში მყოფმა გვარდიელებმა მოწინააღმდეგის არაერთი იერიში მოიგერიეს, მაგრამ როდესაც დაახლოებით 17 საათისათვის სანგრებთან მტრის სამი ტანკი გამოჩნდა იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. გენერალმა ჯიჯიხიამ იმერეთის მე-2 ბატალიონს კონტრშეტევის განხორციელება დაავალა. ბატალიონის მეთაურის, აკაკი კვიტაიშვილის ინფორმაციით „ბატალიონმა წარმატებით აწარმოვა კონტრ-იერიში. ამ ბატალიონს შეუერთდნენ მეგრელები, რომლებიც სანგრების უკან, პატარა გორაკზე იყვნენ ჩასაფრებული. იმერლები

---

40 მიხეილ ბახტაძე, *1921 წლის ჰუსეთ-საქართველოს ომის საბჰძოლო მოქმედებების ისტოჰიიდან* (თბილისი 2013). გვ. 70-71.

41 მიხეილ ბახტაძე, *1921 წლის ჰუსეთ-საქართველოს ომის საბჰძოლო მოქმედებების ისტოჰიიდან* (თბილისი 2013). გვ. 72.

42 Директивы командования фронтов Красной Армии Т. III. (Москва 1974). გვ. 379.

და მეგრელები ყიჟინით შევარდნენ სანგრებში ამორეკეს იქიდან რუსები და დაედევნენ". ამ დროს რუსების ერთი ტანკი ხრამში გადავარდა და მწყობრიდან გამოვიდა[43].

სანამ ორხევის მიმართულებაზე მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა, მოწინააღმდეგემ თავისი კავალერიით ჩვენი ჯარების მარცხენა ფრთის შემოვლა განიზრახა და სოფელ ლილოსთან გამოჩნდა. მთავარსარდალი იძულებული გახდა ამ მიმართულებით დაცვის კიდევ ერთი სექტორი გაეხსნა და მის უფროსად გენერალური შტაბის ოპერატიული სამსახურის უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი დანიშნა. გენერალ ზაქარიაძის ინფორმაციით მას დაექვემდებარენ გვარდიის სამი ბატალიონი, მოხალისეები, არმიისა და გვარდიის ცხენოსანი რაზმები[44]. მოწინააღმდეგის მანევრს ქართულმა კავალერიამ უპასუხა პოლკოვნიკ ირაკლი ცაგურიას მეთაურობით. ცაგურია შემდგომში ასე იგონებდა ამ ამბავს, „24 თებერვალს ცხენოსანი ბრიგადა (სახალხო გვარდიის პოლკი და არმიის) სოფელ დიდ-ლილოსთან იდგა. გიორგი ხიმშიაშვილის წასვლის შემდეგ, მე როგორც უფროსი პოლკოვნიკი ავტომატურად პოლკის მეთაური გავხდი. სადილის შემდეგ, ჩვენი მზვერავებისგან შევიტყვე, რომ წითლების ცხენოსანი კოლონები წისქვილიდან შორიახლოს, დიდი ლილოს შემოვლით ავჭალისკენ მიდიოდნენ. ინფორმაცია სასწრაფოდ ეცნობა ბრიგადის შტაბს, ხოლო პოლკს ებრძანა სასწრაფოდ დაძრულიყო, რათა ბოლშევიკებისათვის ავჭალის დაკავებაში ხელი შეეშალა. გადავწყვიტე, საბჭოთა კავალერიის თამამ მანევრზე ჩვენი საკავალერიო იერიშით მეპასუხა. პოლკოვნიკი ერისთავი ისე დაიბნა, რომ მისი დანახვა საცოდაობა იყო. აზერბაიჯანში სამსახურის დროს, ძლივს გადაურჩა სისხლიან ჩეკისტებს და ეს ფსიქოლოგიური დათრგუნვა არ ტოვებდა. დიდი ლილოს შორიახლოს სახალხო გვარდიის პოლკი თავის ბელადს ვალიკო ჯუღელს შეხვდა, რომელსაც თან პოლკოვნიკი კარგარეთელი ახლდა - სახალხო გვარდიის ბატარეამ დიდი ლილოს მახლობლად მიგვატოვა და ერთი ყუმბარითაც კი არ დაგვეხმარა - მათმა მეთაურმა სასწრაფოდ უკან დაიხია ... ცხენოსანი ბატარეის არყოფნა მძაფრად იგრძნობოდა. მაღლობიდან, სადაც ჩვენი ბელადი ვალიკო ჯუღელი იდგა, შესანიშნავად ჩანდა ბოლშევიკების კავალერიის მოძრაობა. მისი ავანგარდი უკვე სოფელ ნორიოში შედიოდა - როგორც შემდეგ გაირკვა, მეწინავე რაზმები უკვე ავჭალაში იყვნენ. ბევრი არ მიფიქრია. ნებართვა ვალიკო ჯუღელს ვთხოვე, ამოვარჩიე ორი საუკეთესო ესკადრონი, 1-ლი და მე-4 და ისე, რომ ერისთავისთვის ნებართვაც არ მითხოვია, ჩორთით დავეშვი წისქვილისკენ, რათა არიერგარდისთვის შემეტია. ჩემი მანევრი ნათლად ჩანდა და ის წითელმა სარდლობამ შეამჩნია. სოფელ ნორიოსთან დავეწიე ბოლშევიკებს, მაგრამ სამწუხაროდ იერიშის დასაწყისშივე დავიჭერი თოფის ტყვიით"[45].

რაც შეეხება ავჭალას, მთავარსარდალმა 15:00-16:00 საათის შუალედში ავჭალის ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ინფორმაცია მიიღო, რომ მოწინააღმდეგის კავალერიამ დაიკავა სოფლები მამკოდა, გლდანი და თავად ავჭალაც. კვინიტაძე წერს, „იქ ჯავშანმატარებლით, შანიძის მეთაურობით, მოხალისეთა რაზმი გავაგზავნე, სადგურ ავჭალის განთავისუფლება და რკინიგზაზე თავისუფლად მიმოსვლის უზრუნველყოფა ვუბრძანე"79. გენერალური შტაბის უფროსის, ალექსანდრე ზაქარიაძის ინფორმაციით ავჭალაში ორი ჯავშანმატარებელი გაიგზავნა ვალოდია გოგუაძის მეთაურობით. ავჭალიდან მოწინააღმდეგის განდევნა მოხერხდა[46].

მთელი დღის ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგემ ფაქტობრივად ვერსად ვერ გაარღ-

[43] მიხეილ ბახტაძე, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან (თბილისი 2013). გვ. 73.

[44] ლექსანდრე ზაქარიაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა „მხედარი" (თბილისი 1994) № 1-4 გვ. 626.

[45] მიხეილ ბახტაძე, *პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია*. ჟურნალი „ქართული ემიგრაცია" № 3(6) თბ. 2015 გვ. 13

[46] მიხეილ ბახტაძე, *1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან* (თბილისი 2013). გვ. 79.

ვია ქართული შეიარაღებული ძალების თავდაცვითი პოზიციები. ყველა შეტევა მოგერიებულ იქნა. თბილისის დატოვებაზე არავინ არავინ ფიქრობდნენ. ამას თუნდაც 24 თებერვალს პრესაში გამოქვეყნებული განცხადება მოწმობს, რომელიც იუწყებოდა, რომ მოხალისედ ჩაწერილთათვის 25 და 26 თებერვალს საწვრთნელი სროლები ჩატარდებოდა[47].

24 თებერვალს, საღამოს მთავრობის თავმჯდომარე შტაბში მივიდა. ნოე ჟორდანიას ადიუტანტი კოტე იმნაძე იგონებდა, „მთავრობის თავმჯდომარე ჩემი თანხლებით ყოველ დღე შედიოდა რამდენჯერმე მთავარ შტაბში, სადაც ეცნობოდა ფრონტის მდგომარეობას. იმ საბედისწერო დღეს 1921 წ. 24 თებერვალს, რვა საათი სრულდებოდა შტაბში რომ დავბრუნდით. იქ დაგვხვდა შემდეგი პირები: მთავარსარდალი ღენ. კვინიტაძე და შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი გედევანიშვილი ... დაახლოებით ცხრა საათი იქნებოდა, საკავშირო-საინფორმაციო განყოფილებაში რომ შევედი. აქ აპარატები განუწყვეტლივ მუშაობაში იყო. სწორედ იმ დროს მომიხდა აპარატებში შესვლა, როდესაც ღენ. ჯიჯიხიას (ვაზიანის ფრონტი) დასრულებული ჰქონდა მთავარსარდლისათვის პატაკის გადმოცემა. ეს პატაკი - რომ ბოლშევიკების ტანკები იძულებული გავხადეთ ჩვენი სანგრები მიეტოვებინათ, გარღვეული ხაზი აღდგენილია და გვარდიელთა სულისკვეთება მტკიცეა _ როგორც ფრიად სასიხარულო ამბავი, მინდოდა რა თვითონ შემეტანა მთავრობის თავმჯდომარისა და მთავარსარდლისათვის, გამოვართვი მიმღებ მხედარს და შევუტანე აღნიშნულ პირთ. გაეცნო რა ღენ. ჯიჯიხიას პატაკს ღენ. კვინიტაძე, კვლავ თამბაქოს თამბაქოზე წევით მიუბრუნდა ისევ კედლის რუკას და ჩაილაპარაკა: „ვსიო რავნო" ... რამდენიმე წუთის შემდეგ უეცრად შემოტრიალდა, თითქოს კედელს მოწყდაო, გაექანა მთავრობის თავმჯდომარისაკენ და განუცხადა „ია ოტსტუპაიუ", ეს ორი სიტყვა იქ მყოფთ მეხივით დაატყდათ თავზე. მთავრობის თავმჯდომარემ და მის გვერდით მდგომ პოლკ. გედევანიშვილმა რუკაზე ჩაქინდრული თავი მაღლა ასწიეს და გაუსწორეს მთავარსარდალს. მთავრობის თავმჯდომარემ სათვალე მოიხსნა და გაოცებული გამომეტყველებით შეეკითხა მთავარსარდალს - როგორ, რა მოხდა ... უკან დახევა აუცილებელია?! - დიახ!.. გესმით ასეთი ნაბიჯის პასუხისმგებლობა და ღებულობთ ამ პასუხისმგებლობას თავზე? - დიახ ... და შეუდგა ამ მოულოდნელი გადაწყვეტილების დასაბუთებას შემდეგი სახით: კახეთიდან მოყოლებული ვიდრე მანგლისამდე ფრონტი 90 კილომეტრით გამიგრძელდა. არამც თუ რეზერვები არ მყავს დაქანცულ-დაზიანებული ჯარის შესავსებათ - პირიქით. მთელი რიგი „პუსტიე პროსტრანსტვა"... ამავე დროს მტრის ცხენოსანი ჯარი დაეშვა დიღომით და გამოჩნდა ზურგში. კოჯორით საბურთალოსაკენ მიემართება. ამავე დროს ვაზიანიდანაც გარს მივლიან. ადვილი შესაძლებელია მტერმა ავჭალა დაიკავოს და უკან დასახევი გზა მოგვიჭრას. უკან დახევით და მცხეთის ხეობის დაკავებით ფრონტს შევამოკლებ ორი კილომეტრით. აქ შევძლებ ჯარის გადაჯგუფებას და სათანადო რეზერვის შექმნას. აქვე დავამარცხებ მტერს, კვლავ დავიკავებ თბილისს. რის შემდეგ საშუალება მომეცემა დამარცხებული მტრის დევნისა და სავსებით განადგურებისა. ათი საათი სრულდებოდა - და დაუმატა: თქვენ განკარგულებაშია ბატონო თავმჯდომარე ორი საათი. მე ვიწყებ უკან დახევას ღამის 12 საათზე"[48].

თბილისთან ბრძოლის ანალიზის დროს, რა თქმა უნდა აუცილებელია მთლიანად საქართველოში და მთელს კავკასიაში არსებული ვითარების განხილვა. 1921 წლის თებერვალში რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ შეტევა ხუთი მიმართულებიდან აწარმოა. წითელი და ფოილოს ხიდებისა და ზაქათალის მხრიდან მე-11 არმია შემოიჭრა, შავი ზღვის გაყოლებით ქალაქ გაგრაზე მე-9 არმიის 31-ე დივიზია მოდიოდა, მამისონის უღელტეხილით 33-ე დივიზიის 98-ე ბრიგადა უტევდა და რუსეთის შეიარაღებული ძალების ერთი ნაწილი დარიალის

---

[47] გაზეთი „სახალხო საქმე" 24/II 1921.

[48] „ნოე ჟორდანია, *ჩემი წარსული*. (თბილისი 1990) გვ. 123.

ხეობით მოიწევდა. უნდა აღინიშნოს, რომ მე-11 არმიის გარდა, ყველა სხვა შენაერთი, მხოლოდ მეორეხარისხოვანი, დამხმარე დარტყმების განსახორციელებლად იყო გამიზნული. მთავარსარდალი კვინიტაძე სრულიად მართებულად ფიქრობდა, რომ ჯერ მე-11 არმია უნდა დაემარცხებინა და შემდეგ გამონთავისუფლებული ძალებით დანარჩენ მიმართულებებზეც დაამარცხებდა მტერს.

მართალია 24 თებერვლის მდგომარეობით 31-ე დივიზიის ნაწილებს გაგრა აღებული ჰქონდათ და წინ მოიწევდნენ, მაგრამ ქართული შენაერთები მათთან ბრძოლას განაგრძობდნენ და სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდნენ. მოგერიებული იყო მოწინააღმდეგის პირველი იერიში დარიალის მხრიდან. 33-ე დივიზიის 98-ე ბრიგადამ კი მამისონის უღელტეხილი მხოლოდ 25 თებერვალს გადმოლახა. ამდენად თბილისის დატოვების მომენტისათვის, სხვა მიმართულებებზე ზოგადი ვითარება რუსეთის ჯარების შემოჭრის თვალსაზრისით არ იყო კატასტროფული და ყველაფერს თბილისისათვის მიმდინარე ბრძოლა განაპირობებდა. დედაქალაქთან მოწინააღმდეგის დამარცხების შემთხვევაში, სხვა მიმართულებზე შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა სირთულეს არ წარმოადგენდა.

ბუნებრივია, დიდ მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთის პოზიციას, რომელმაც 22 თებერვალს საქართველოს მთავრობას ართვინისა და არდაგანის ოლქების დაცლა მოსთხოვა. მთავრობა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე იძულებული იყო ეს მოთხოვნა შეესრულებინა. თურქებმა ეს ტერიტორია დაიკავეს და იმ მომენტში საქართველოს სხვა მხარეებზე პრეტენზია არ განუცხადებია[49].

25 თებერვალს 02 საათსა და 45 წუთზე კავკასიის ფრონტის სარდალი გიტისი დირექტივას უგზავნის ჰეკერს და მოითხოვს: 24 თებერვლის შეცდომების თავიდან აცილებას, შენაერთების მოქმედებების კოორდინაციას და რაც მთავარია მარჯვენა ფლანგზე კავალერიის გააქტიურებას[50]. ამ დროისათვის კი ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მთავარსარდლის, ბრძანების თანახმად პოზიციების დატოვება დაიწყეს.

შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით მთავარსარდალმა მცხეთიდან გორის მიმართულებით უკან დახევის გადაწყვეტილება მიიღო.

ამასობაში კი საბჭოთა რუსეთის XI არმიის შენაერთები თბილისს იკავებდნენ. ველიკანოვის ინფორმაციით მისმა ქვედანაყოფებმა თბილისი 12 საათსა და 15 წუთზე დაიკავეს[51]. ხოლო უკვე 12 საათსა და 30 წუთზე კავკასიის ფრონტის სარდალი გიტისი მოსკოვში აგზავნის ცნობას თბილისის აღების შესახებ[52].

იმავე დღეს IX არმიამ ლიხნი აიღო, ხოლო 33-ე დივიზიის 98-ე ბრიგადამ მამისონის უღელტეხილი გადმოლახა.

26 თებერვალს დილის 8-9 საათზე მთავარსარდალი უკვე გორში იყო. ამ ქალაქში ქართული ჯარი ორი დღე იყო გაჩერებული. მოწინააღმდეგე სერიოზულ შეტევას არ ახორციელებდა. მხოლოდ მისი ცალკეული მცირერიცხოვანი, სავარაუდოდ სადაზვერვო, ნაწილები თუ გამოჩდებოდნენ. გორში ორდღიანი ყოფნის შემდეგ უკან დახევა ხაშურის მიმართულებით გაგრძელდა.

27 თებერვალს მე-9 არმიის ნაწილებმა გუდაუთა აიღეს. ქართულმა შენაერთებმა ახალ ათონთან თავდაცვითი ზღუდე შექმნეს და პოზიციები დაიკავეს[53].

28 თებერვალს გენერალი კვინიტაძე უკვე ხაშურში იყო და ცდილობდა ქართული შეია-

---

49 ლევან თოიძე *„ინტეხვენციაც, ოკუპაციაც, ძაღდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობხივი ანექსიაც. ხუსეთ-საქახთველოს 1921 წღის თებეხვაღ-მახტის ომის შეფასებისათვის”* (თბილისი 1991) გვ. 110-111.

50 Директивы командования фронтов Красной Армии Т. III. (Москва 1974). გვ. 379.

51 გაზეთი „კომუნისტი” № 2 3/III-1921.

52 Директивы командования фронтов Красной Армии Т. III. (Москва 1974). გვ. 379.

53 ნოდარ დარსანია, *მე-9 წითელი ახმია და 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენები აფხაზეთში*. საისტორიო ძიებანი 1. 1998. გვ. 139.

რაღებული ძალების წესრიგში მოყვანას და კონტრშეტევისათვის მომზადებას.

მძიმე ბრძოლებს აწარმოებდნენ ქართველი მეომრები აფხაზეთშიც. საბჭოთა მონაცემებით ახალი ათონის პოზიციებს 2000 მეომარი იცავდა. მათ 25 ტყვიამფრქვევი და 2 ზარბაზანი ქონდათ[54]. 1 მარტს მოწინააღმდეგე ახალი ათონის პოზიციებს მოუახლოვდა. 2 მარტს კი შეტევაზე გადმოვიდა. რუსებმა სოფელ ანუხვადან ჩვენი თავდაცვითი ზღუდის მარჯვენა ფლანგის შემოვლა სცადეს, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განახორციელეს. 3 მარტს გენერალ ართმელიძის შენაერთები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და თავგანწირვით ეკვეთნენ მტერს. ქართველების შეჩერების მიზნით მოწინააღმდეგ კვლავ სცადა ჩვენი მარჯვენა ფლანგის შემოვლა. ამჯერად რუსებმა თავისი ჩანაფიქრის შესრულება შეძლეს. ქართული ნაწილები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. IX არმიის ნაწილებმა, თავისი დიდი რიცხობრივი უპირატესობის წყალობით, ახალ ათონთან არსებული თავდაცვითი ხაზი გაარღვიეს და მდ. გუმისთაზე გავიდნენ[55].

XI წითელი არმიის შენაერთები უკანდახეული ქართული ჯარის დევნას არ ჩქარობდნენ. გორი მათ მხოლოდ 3 მარტს დაიკავეს.

3 მარტს გენერალმა კვინიტაძემ „ჯარები გადააჯგუფა და გასცა ბრძანება: 4 მარტს დილის შვიდ საათზე არმია შეტევაზე უნდა გადასულიყო.[56]" ქართული შეიარაღებული ძალების კონტრშეტევა 4 მარტს დილით დაიწყო. „მოწინააღმდეგის ნაწილები ... საარტილერიო ცეცხლის დახმარებით უკუაგდო მაზნიაშვილის ცენტრალურმა დაჯგუფებამ, ხოლო მეცხე ლეგიონმა დაიკავა სატივე. წარმატებით ვითარდებოდა მოვლენები, სუმბათაშვილისა და კონიაშვილის საბრძოლო უბნებზე ... მარცხენა ფლანგზე წარმატებული გამოდგა გვარდიელების შეტევა, მათ ფლანგიდან შემოუარეს მოწინააღმდეგეს, რომელიც უკვე ზარბაზნებს ტოვებდა ბრძოლის ველზე და გარბოდა, თუმცა დაბინდებამდე მტრის ზურგში გასვლა ვერ მოხერხდა ... როგორც ჩანს ქართველთა წარმატება იმდენად სერიოზული იყო, რომ მეთერთმეტე არმიის მეთაურმა თითქმის უკანასკნელი ძალები გადაისროლა ხაშურისკენ ... როგორც კვინიტაძე იხსენებს, გენშტაბის მაღალჩინოსნები მოწინააღმდეგის მოსალოდნელი განადგურების გამო, სიხარულით ხელებს იფშვნეტდნენ ... მაგრამ ამ სასიხარულო განწყობას 5 მარტის ღამის პირველ საათზე გენ. კონიაშვილის შეტყობინებამ ცივი წყალი გადაასხა. გენერალმა მთავარსარდალს უპატაკა, რომ გვარდიამ თვითნებურად, ბრძოლის გარეშე მიატოვა პოზიციები და სურამისკენ დაიხია ... გვარდიელთა უკანდახევა მტერმა შენიშნა და თავისი ნაწილები ჩრდილოეთისაკენ დაძრა ... მოწინააღმდეგე უკვე თვითონ უვლიდა ქართველთა ფლანგს და ახლა ქართული ჯარი ექცეოდა ალყაში. ამიტომ მთავარსარდალი იძულებული გახდა სამხედო ნაწილები უკან, ლიხის ქედისაკენ დაეხია."[57]

დამატებითი ძალებით გაძლერებულმა მტერმა 6 მარტს უღელტეხილს შეუტია.

რთული ვითარება იყო აფხაზეთის ფრონტზეც. 4 მარტს მტერმა სოხუმი აიღო.

ქართული შენაერთები უკან დახევას განაგრძობდნენ. 5 მარტს ისინი მდ. კოდორის მარცხენა სანაპიროზე გადავიდნენ და ხიდი ააფეთქეს[58].

7 მარტს მტერმა ბორჯომი აიღო, ხოლო აფხაზეთის ფრონტზე ოჩამჩირე დაიკავა. იმავე

---

54 История Абхазской АССР (Сухуми 1983). გვ. 75

On August 23, 1921, Akaki Chkhenkeli and Aharonian (representing Armenia) were received by Aristide Briand, President of the Allied Council.

On April 10, 1922, during the Genoa Conference – convened by the Allies to address inter-state relations in Europe and assess the Soviet Union – the situation in the Caucasus was also examined.

Vlasa Mgeladze brought from occupied Georgia a petition signed by Georgian workers, which:

- Condemned the elections and the resulting scandal in Georgia
- Outlined the critical situation within the country
- Called for the **withdrawal of Russian occupation forces from Georgia**.
- **The Catholicons-Patriarch of Georgia, Ambrosi**, who was imprisoned in Tbilisi, sent a letter to the **Genoa Conference**.[45]

Activities in Georgia and the Preparation for a National Uprising

At the end of **November 1921**, the **Social Democratic Party of Georgia** began publishing an underground newspaper, *The Voice of Georgia* (*Sakartvelos Khma*).

On **February 5, 1922**, the Social Democratic Party convened a secret conference of its organizational network and resolved to establish a *„Parity Committee of Independence".* The committee's task would be to unite Georgian forces resisting the occupation and to coordinate their work with the government-in-exile.

On **February 11, 1922**, exactly one year after the Russian invasion of Georgia, **60,000 youths** organized protests across the country under the leadership of the Socialist Youth Movement. The demonstrations were held to protest the Russian military invasion. Many demonstrators were arrested.

The **Social Democratic Party** also launched and distributed another weekly newspaper titled *Chveni Ertoba (Our Unity*).

On February 17, 1922, Silibistro Jibladze (1858–1922), one of the founders of the Social Democratic

[45] «Le Peuple Géorgien contre l'occupation bolcheviste russe – Documents» Edition de la Présidence de l'Assemblée Constituante de la république Géorgienne» - Imprimerie Union Paris mars 1922

Party, passed away. The Cheka had been persecuting him; he was eventually arrested and later released.

On May 24–25-26, 1922, the Social Democratic Party organized a demonstration to commemorate Georgia's Independence Day. Tens of thousands of people participated in the event.[46]

In Kvirila, Samtredia, Chokhatauri, and other locations, armed forces opened fire on demonstrators. The number of fatalities was considerable.

Following this, the occupation forces launched a wave of repression against all other Georgian political parties. In May 1922, 80 socialist leaders were exiled to Russia and Siberia. Also in May 1922, the agreement to form the Joint Committee for Independence (Damkom) was ratified by all opposition parties. Its first president was Gogita Paghava.

The Committee for Independence created a Military Committee, led by former General Kote Apkhazi. The goal of the Military Committee was to prepare an armed uprising against the occupiers.

From May 28 to June 23, 1922, Victor Serve, Director of the Belgian Cooperative Office, conducted an investigation in Georgia on behalf of the International Cooperative Alliance, examining the activities of cooperatives in the country. His conclusion was as follows: „In all Georgian circles, there prevails a hidden hatred toward Russian tyranny. One of Georgia's mountainous regions has already been liberated from Soviet control. Uprisings have taken place in neighbouring countries. It would not be surprising if, one day, Georgia – whose spirit is deeply democratic – rises up against its oppressor".[47]

The agrarian reform initiated by the Democratic Republic of Georgia was repealed by the Soviet authorities. The land distributed to peasants (representing 80% of the population) was confiscated by the communists. Peasants who had supported the government of the Democratic Republic immediately resisted the nationalization of land.

The Svans and other highland populations revolted against the occupation forces. In response, the Russian army bombed villages in these mountainous regions.

In the autumn of 1922, under the leadership of Kakutsa Cholokashvili, the mountain regions of Pshavi and Tusheti also rose in rebellion.

A classified military report dated November 9, 1922, stated that in Georgia and Azerbaijan:

- Highlanders attacked military detachments,
- In the **Soviet elections**, the lists presented by the communists received **less than 30% of the vote**.

On January 17, 1923, the Social Democratic Party convened a secret conference. Within the framework of the conference, participants reviewed two years of occupation, ratified the formation of the Parity Committee (Damkom), approved the action plan of the government-in-exile, and registered 26,000 party members along with 5,000 members of the Young Socialists.[48]

From January to June 1923, the Cheka launched a major operation aimed at arresting underground activists of the Georgian Social Democratic Party. In February 1923, a Chekist named Oboladze was sent to the Guria region of western Georgia to suppress the uprisings. There, Oboladze conducted mass arrests, executed peasants, looted property, and burned villages.

Shortly thereafter, he was killed near Ozurgeti, despite being surrounded by a personal guard of fifteen men. On February 13, 1923, in an act of retaliation, 92 prisoners – most of them socialist activists – were executed in Tiflis.

At the end of February 1923, the Cheka arrested the leaders of the Military Committee, including

---

46 Rapport de la seconde Conférence clandestine du parti social-démocrate de Géorgie.

47 Serwy, V. La Géorgie coopérative sous le régime bolcheviste, Bruxelles 1922.

48 Rapport de la Conférence clandestine du parti social-démocrate de Géorgie

General Kote Apkhazi and fourteen officers. On May 20, 1923, General Apkhazi was executed in Tbilisi's Vake Park along with the fourteen officers of the Military Committee.

On May 25, the Committee for Independence sent a formal address to the League of Nations regarding the situation in the country. In response to the widespread repression across Georgia, the United Committee for Independence in Paris, together with clandestine organizations inside Georgia, political parties, trade unions, and patriotic groups, began laying the groundwork for an uprising.

At the beginning of 1924, socialist activists, allied organizations, and partisans continued preparations for the planned insurrection. On February 14, 1924, the leaders of the Georgian Social Democratic Party departed Marseille to join the leadership of the Parity Committee for Independence.

On February 15, 1924, the president of the Committee for Independence, Gogita Paghava, was arrested by the Cheka in a clandestine printing house in the village of Omalo in Tusheti. He was replaced at the head of the underground committee by Kote Andronikashvili.

On August 5, 1924, the Committee for Independence sent a memorandum to the League of Nations, which was scheduled to convene in Geneva in September.

Former Minister of Agriculture Noe Khomeriki was arrested along with a deputy who had arrived from France and the Mayor of Tbilisi, Benia Chkhikvishvili. Soon after, Valiko Jugheli was also detained, along with party leaders Gogita Paghava, Vaso Nodia, and Gogi Tsinamdzghvrishvili.

They were transferred to Suzdal Prison, then sent to the Cheka headquarters in Moscow, and subsequently to Rostov, where they were executed at the onset of the 1924 uprising, officially under the pretext of „suppressing the rebellion".

On August 28, 1924, the uprising began in Chiatura, a manganese mining region and stronghold of Social Democratic worker activists.

Conclusion

The profound gulf between the Georgian people and the occupying forces created a decisive condition for the emergence of the uprising. As victims of Moscow's oppression and plundering, all social strata in Georgia had a stake in this revolt. Yet, force triumphed over law and social justice. To fully assess this episode in the history of our nation, it is essential to conduct a comprehensive study of the biographies of its key actors.

The 1924 uprising should not be referred to merely as the „August Events", nor should it be dismissed as „an action organized by landowners", or attributed to the „inaction of the government-in-exile", and so forth. Unfortunately, the national uprising is too often credited solely to one individual, who has two graves – one in Leuville and the other in the Pantheon in Georgia.

Of course, this is not to diminish his contribution. However, as a counterbalance, we must not forget the courage and sacrifices of countless men and women, the majority of whom remain nameless, without monuments – and in some cases, without graves.

Historians, researchers, and Georgian students must investigate the true history of the 1924 national uprising, so that we may properly understand the approximately thirty years of struggle that followed. This is a critically important period for the Georgian nation.

ალექსანდრე დაუშვილი

ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობა (1921-1923 წწ.)

მსოფლიოს ნებისმიერი ხალხის ისტორიაში, ჯერ კიდევ უძველესი ხანიდან, პარტიზანული მოძრაობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ფორმად ფიქსირდება – დამპყრობლის, თავისუფლების შემლახავი ნებისმიერი ძალის წინააღმდეგ ბრძოლა თითოეული ღირსების მოყვარე ხალხის გენეტიკური უფლებაა. ქართველი ხალხის გმირული ისტორიაც, უხსოვარი დროიდან, მდიდარია უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლის გმირული სურათებით.

ჩვენი მოხსენების ძირითადი შინაარსია ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობის ჩასახვა-განვითარება საბჭოთა წესწყობილობის ფორმირების პირველ ეტაპზე 1921-1923 წლებში. როგორც დოკუმენტურად დასტურდება, ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაიწყო საქართველოში საბჭოთა რეჟიმის ძალმომრეობით დამყარებისთანავე და მისი საფუძველი გახდა ქართველი ერის დიდი ნაწილის დაუმორჩილებლობის მოძრაობა, რომელმაც მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღება თავიდანვე მიიქცია. ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობა დღემდე მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის, თუმცა არსებობს ლიტერატურა, რომელშიც ასახულია პარტიზანული მოძრაობის სხვადასხვა ესპექტი, განვითარების ეტაპი (მხედველობაში გვაქვს ი. კაჭარავას[1], კ. შელიას[2], უ. ბლუაშვილის[3], ო. ჯანელიძის[4], გ.ციციშვილის[5], ა. დაუშვილისა და კ. წენგუაშვილის[6], თ. ენდელაძის[7] და სხვათა გამოკვლევები). ეს შეხედულებები და მოსაზრებები გამოთქმულია სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, სხვადასხვა მეთოდოლოგიის საფუძველზე, ამიტომაც ისინიერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია და მათში აშკარად იკვეთება ისტორიის იდეოლოგიზირების მომენტი. ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი პატრიარქი, აკად. იური კაჭარავა პარტიზანულ მოძრაობას თვლიდა: „კონტრრევოლუციურ სააჯანყო მუშაობად" და რომ „1922 წლის მარტიდან თელავის, სიღნაღისა და თიანეთის მაზრების ტერიტორიაზე შეიქმნა შეიარაღებული რაზმები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით. მათ მიზანს შეადგენდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა ჯერ საქართველოს მთიანეთში, ხოლო შემდეგ მთელს საქართველოში. შეიარაღებულ რაზმებს სათავეში ჩაუდგა მეფისა და მენშევიკების ყოფილი ოფიცერი ქ. ჩოლოყაშვილი". მსგავსი მოსაზრებები აქვს გამოთქმული ამ საკითხებზე პროფ. კ. შელიას და საბჭოთა ისტორიოგრაფიის სხვა წარმომადგენლებსაც. საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში პარტიზანული მოძრაობა უკვე ეროვნულ-განმათავისუფლეებელი მოძრაობის ორგანულ შემადგენელ

---

1 ი. კაჭარავა, *კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და ანტისაბჭოთა ფრონტის ღიკვიდაცია* „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. 7, (თბილისი., 1976), 193.

2 კ. შელია, *საქართველოს კომუნისტების ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ხალხთა მეგობრობის ლენინური პოლიტიკის გატარებისათვის*, (თბილისი, 1957). 50.

3 უ. ბლუაშვილი, *საქართველოს ისტორია 1900-2016*, (თბილისი, 2016), 165.

4 ო. ჯანელიძე, *ახალი და უახლესი ისტორია*, (თბილისი, 2009), 158.

5 გ. ციციშვილი, *სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მისიელ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ*, (თბილისი., 2003) და სხვ.

6 ა. დაუშვილი, კ. წენგუაშვილი, *„იქ სიკვდილი განა ბედნიერება არ არის, თამარ!"*, (თბილისი, 2005), 13-15.,

7 თ. ენდელაძე, *საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ*. თბ., 2003. მისივე, *საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურების ბრძოლა პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ საქართველოში (1921-1923 წ.წ.)*, „საისტორიო შტუდიები", ტ. 4 (თბილისი, 2003,), 135-151.

ნაწილად ჩაითვალა და მის საქმიანობას გამორჩეულად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა როგორც საბჭოთა ოკუპაციის პირველ წლებში, ისე განსაკუთრებით 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მზადებისა და რეალიზების დღეებში. პროფ. ო. ჯანელიძე წერს: „პარტიზანები მოსახლეობის თანაგრძნობითა და მხარდაჭერით სარგებლობდნენ... მთის ტრადიციისამებრ ფიცს დებდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთგულებაზე და აჯანყებულებს უერთდებოდნენ".[8]

ქართველი პარტიზანების საგმირო საქმეებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ალ. დაუშვილისა და კ. წენგუაშვილის ნარკვევშიც, რომელიც საფრანგეთიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტის სამშობლოში გადმოსვენების ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ სპეციალურად გამოსცა[9].

უდიდესი წვლილი დასდო ანტისაბჭოთა მოძრაობის საქართველოში ჩასახვა-განვითარების საკითხების, მათ შორის პარტიზანული მოძრაობის დეტალების სიღრმისეულ კვლევას პროფ. გ. ციციშვილმა, რომელმაც არა ერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა ჩვენთვის საინტერესო პრობლემის შესწავლას.[10]

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისტორიის დოქტორის თ. ენდელაძის წვლილი საკვლევი პრობლემის მეცნიერული დამუშავების საქმეში. მკვლევარმა როგორც თავის საკანდიდატო დისერტაციაში, ისე სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა არა ერთი სამეცნიერო სტატია და წერილი, გამოავლინა არა ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო და გამოთქვა საყურადღებო მოსაზრება, რამაც წინ წასწია ჩვენი ცოდნა საქართველოში პარტიზანული მოძრაობის გენეზისის რიგი საკითხის შესწავლის საქმეში.

წარმოდგენილი მოხსენება ძირითადად ეყრდნობა ჩვენს მიერ საქართველოს არქივებში (საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში (ფონდი 285), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის II განყოფილების საცავებში (ყოფილი „პარტარქივის") თავმოყრილ მასალას (ფონდი 13, ფონდი 14 და ა.შ.), გათვალისწინებულია საკითხის გარშემო არსებული კომუნისტური პრესის, გაზეთების: „კომუნისტი"-ს, „ზარია ვოსტოკა"-ს, „მუშა"-" და სხვა გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებული კორესპონდენციები და პოლიტიკური შეფასებები. ნაშრომში გათვალისწინებულია მდიდარი მემუარული მასალაც (ალ. ბადურაშვილის, ნ. ავალიშვილის, ალ. ზალდასტანიშვილის და სხვების).

როგორც ჩვენს მიერ მოძიებული წერილობითი წყაროები მიანიშნებენ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, ძალიან მალე, ქართველი ხალხის მნიშვნელოვან ნაწილში ორგანულად გავრცელდა ანტისაბჭოთა განწყობილება, რაც გამოიხატა როგორც სტიქიურ, ისე ორგანიზებულ პარტიზანულ მოძრაობაში. წყაროებში მითითებულია საკმაოდ მაშტაბური და განტოტვილი ქსელი პარტიზანული დაჯგუფებების რომელმაც თითქმის მთელი საქართველო მოიცვა. მაგალითად, ოზურგეთის მაზრაში აქტიურობდა მატიტაიშვილის პარტიზანული რაზმი, რომელიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ექვემდებარებოდა და ცნობილია მისი ხუთი წევრი: თვითონ მატიტაიშვილი (შესაძლებელია - მათითაიშვილი), მუხაშავრია, ინაშვილი, ურუშაძე, იმნაიშვილი და სხვ. ბაღდათის მაზრაში, სოფელ ზეგანთან მოქმედებდა ილია ალექსის ძე დოგრაშვილის რაზმი, რომელიც ასევე სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სამხედრო ორგანიზაციას ემორჩილებოდა და ცნობილია ამ რაზმის მეორე წევრიც – ავქსენტი ყარამანის ძე გორგოძე. დოკუმენტურად დასტურდება ამ რაზმის მტკიცე კავშირები მაზრაში მოქმედ კაპანაძისა და ჯუღელის პარტიზანულ რაზმებთან. ქუთაისის მაზრაში მოქმედებდა ილიკო ჯუღელის პარტიზანული რაზმი შემდეგი შემადგენლობით: ვლა-

---

[8] ო. ჯანელიძე, *ახალი* , 158.

[9] ა. დაუშვილი, კ. წენგუაშვილი, *„იქ სიკვდილი"*, 13-15.

[10] გ. ციციშვილი,*სიმახითღე* და სხვ.

დიმერ ბურჯანაძე, კოლია იშხნელი, აკაკი ჭიჭინაძე, გერასიმე ჭუმბურიძე, ივანე ბრეგაძე, შალვა გიორგაძე.

სიღნაღის მაზრაში დაფიქსრებულია რეზო ხოტუნაშვილის (შეიძლება- ხუტუნაშვილი) დაჯგუფება, რომელშიც შედიოდნენ იროდიონ ვარაზაშვილი, სიმონ წიკლაური, კიტა ქოჩორაშვილი, ილია რაიდოშვილი, ვინმე მოჟაშვილი და სხვ. მაზრაში მოქმედებდა თამაზაშვილის პარტიზანული ჯგუფი. დუშეთის მაზრაში აქტიურობდა სანდრო კახუაშვილის პარტიზანული გაერთიანება, რომელშიც შედიოდდნენ გედელაშვილი, გულარაშვილი და სხვ. გორის მაზრაში ჩანს ბესო კასრაძის მცირერიცხოვანი რაზმი, რომელსაც ინტენსიური კავშირები ჰქონდა მიხეილ ლაშქარაშვილის პარტიზანულ რაზმთან, რაც დოკუმენტურადაც დასტურდება.

რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთში ცნობილი იყო მალაქია ონიანის რაზმი (ცნობილია ამ რაზმის ორი წევრი: არტემ ონიანი და პორფირე ბანძელაძე), სვანეთში მოქმედებდა ნესტორ გარდაფხაძისა და ეგნატე გაბლიანის დაჯგუფებები, ზუგდიდში ესტატე ლატარიას რაზმი და სხვ.

სპეციალურ ლიტერატურაში, ასევე, ცნობილია შაქრო მოსულიშვილისა და ჭანქურიძის პარტიზანული რაზმების შესახებაც. სოციალ-დემოკრატ ვანო კრაწაშვილს 40 კაციანი პარტიზანული დაჯგუფება ჰყავდა, ხევსურეთში აქტიურად მოქმედებდა შალვა ფავლენიშვილის პარტიზანული დაჯგუფება, კახეთში საკმაოდ ცნობილი იყო ვ. ყარანგოზაშვილის ანტისაბჭოთა პარტიზანული ჯგუფის შესახებ. გურიაში მოქმედი თ. მუხაშავრიას და ა. გოგუაძის დაჯგუფებები და ა.შ.[11]

ყველაზე მრავარიცხოვანი და ორგანიზებული, რა თქმა უნდა, იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი, რომელიც დისლოცირებდა კახეთის რეგიონში და აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სამხედრო თუ სადამსჯელო ოპერაციებში. ჩვენ თავი მოვუყარეთ ამ პარტიზანული რაზმის შემადგენლობის შესახებ სხვადასხვა ინფორმაციას და ქვემოთ მათ სრულად მოვიტანთ. ალ. ზალდასტანიშვილი თავის წიგნში იგონებს ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის შემდეგ შემადგენლობას: ს. სულხანიშვილი, ლ. ჩიქოვანი, გაბო ოზიაშვილი, სერგო მაისურაძე, ა. ფეიქრიშვილი, ე. ვაჩნაძე, ჭიმბალიშვილი (შეიძლება – ქიმბალიშვილი?), რ. ერისთავი, გ. მაისურაძე, მიხ. ნაცვლიშვილი, ა. ბადურაშვილი, ი. ქარუმიძე, ძმები ლ. და შ. ჯავრიშვილები.

ალ. კარგარეთელი იგონებს პარტიზანული რაზმის შემდეგ წევრებს: მიშა ნაცვლიშვილი, კურდღელა ბიძინაშვილი, ალექსანდრე ბადურაშვილი, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფო ერისთავი, ლელო ჩიქოვანი, პეტიკო კარგარეთელი, გაბო ოზიაშვილი, ლ. ჯავახიშვილი, ბალალაშვილი და ქისტები (კონკრეტული მინიშნება ამ წყაროში არ იძებნება).

საკმაოდ ვრცელი სია მოგროვდა ქაქუცას შეფიცულებისა შალვა ამირეჯიბისა და ალექსანდრე ბადურაშვილის მოგონებების შეჯერების შემდეგ: შალვა ამირეჯიბი იხსენებს რაზმის 28 წევრს, ხოლო ა. ბადურაშვილიც. ასევე, 28 წევრს, თუმცა მათ სიებში არის განსხვავებები. საკმაოდ ვრცელ სიას გვთავაზობს პროფ. გურამ შარაძე თავისი კვლევების საფუძველზე და ეს სია მოიცავს ზუსტად 26 კაცს. ქაქუცას რაზმის წევრებს იხსენებს ჩოლოყაშვილების ახლო ნათესავი ქალი ნინო ავალიშვილი თავის მოგონებებში, თუმცა მხოლოდ 9 კაცს ასახელებს.[12]

შედარებით ვრცელია და, მიგვაჩნია რომ უფრო სანდოა საქართველოს შინსახკომის სპეცსამსახურების მიერ შეკრებილი ინფორმაცია ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის შემადგენლობის შესახებ, რომელიც მოიცავს 31 კაცს. ესენი არიან: ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მალაქია მაისურაძე, თედო მაისურაძე, კახიშვილი (წყაროებში არის – კახაშვილის ფორმითაც), სევერიან ჩხეტიანი, კანდელაკი, სოსო ლოსაბერიძე, გიორგი გვერდწითელი, მიხეილ (მიშა) ხელაშვილი, ლევან (ლელო) ჩიქოვანი, სერგო მაისურაძე, კოლა რაზმაძე, რაფაელ ერისტოვი (ერისთავი), რომან ყანჩაველი, გაბო ოზნაშვილი (წყაროებში არის ოზიაშვილის ფორმითაც), გიორგი ბიძინაშვილი, მიშა ნაცვლიშვილი, საშა ბადურაშვილი (წყაროებში არის ბადუაშვი-

---

11 თ. ენდელაძე, *საბჭოთა ძაღოვანი,* 139.

12 ნ. ავალიშვილი, *მოგონებანი გახდასუღ ღღეთა*, გაზ. „სამშობლო". 1991, # 15.

ლის ფორმითაც), საშა სულხანიშვილი, ლონჩო ციხისთავი, ალექსი ფეიქრიშვილი, იოსებ კიმბარაშვილი, კურდღელა ბიძინაშვილი, საშა ჭიაბრიშვილი, სანდრო დათუნაშვილი, გიორგი კოფლიშვილი, ილია ხინჩაკიშვილი, მახმედ იმედაშვილი. ამათ გარდა „ჩეკას" მასალებში მითითებულია „რამდენიმე ქისტი": ჩეზაღო, მახმანკოსა ომალოელი.[13]

პარტიზანული ჯგუფების შევსების წყაროები. როგორც ირკვევა პარტიზანულ რაზმებში ერთიანდებოდნენ არა მარტო ანტისაბჭოთა პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პირები, არამედ ყოფილი საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებიც. ასეთი გადაწყვეტილების მოტივაცია სხვადასხვაა – პირადი წყენა, სამსახურეობრივი შეცდომა ან გადაცდომა, კრიმინალური შემთხვევა და ა.შ. მაგალითად, არის ცნობა, რომ მცხეთის რაიონის მილიციის უფროსი „ყაჩაღად გავარდა" და ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს შეუერთდა.[14] ცნობილია, რომ ყოფილი თავადი ნიკოლოზ ვასილის ძე ყარანგოზოვი (ყარანგოზაშვილი), რომელიც თიანეთის მილიციის უფროსის თანაშემწედ მსახურობდა, წავიდა სამსახურიდან და შექმნა საკუთარი პარტიზანული დაჯგუფება.[15] ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანული ჯგუფის წევრი თ. ბაღიაური თავის აღიარებით ჩვენებაში მიუთითებს, რომ „პირველ ხანებში ერთგულად ვემსახურებოდი ხელისუფლებას, არა ერთი ბანდიტი შევიპყარი, ჯილდოზეც ვიყავი წარდგენილი".[16]

პარტიზანული რაზმების რიცხოვნობასთან ერთად გარკვეულ ინტერესს იწვევს ამ კონტინგენტის **ეროვნული, სოციალური და ასაკობრივი კუთვნილების** საკითხებიც. ეროვნული შემადგენლობა ამ რაზმებისა, შეიძლება დადასტურებულად ჩაითვალოს - ის ძირითადად ქართულია. მხოლოდ ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში სხვადასხვა ეტაპზე ვხვდებით არაქართველებს – ცნობილია რაზმში ოთხი ქისტის არსებობა (ჩეზაღო, მახმან და მახმედ იმედაშვილები, მახმაკოსა ომალოელი). პარტიზანული რაზმების ქართული ეროვნული შემადგენლობა განსაკუთრებით ხაზს უსვამს ამ ადამიანების პატრიოტულ მოტივაციას და მათ პოლიტიკურ მისწრაფებებს. მართალია, საბჭოთა პროპაგანდა პარტიზანების რაზმებს „თავადაზნაურთა ბანდებს" უწოდებდა, მაგრამ არსებული დოკუმენტებით თავადაზნაურობის წარმომადგენლობა დღეისთვის შემორჩენილ ჩამონათვალში, მიზერულია. მხოლოდ ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში ფიგურირებს რამდენიმე თავადური წარმომავლობა (თვითონ ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ლევან ჩიქოვანი, რაფაელ ერისტოვი (ერისთავი), ელიზბარ ვაჩნაძე, ელიზბარ მაყაშვილი). უდავოდ, იქნებოდნენ აზნაურიშვილებიც. ძირითადი შემადგენლობა ამ პარტიზანული დაჯგუფებების საშუალო და ღარიბი გლეხობა იყო, რომლებიც იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღსადგენად.

რაც შეეხება პარტიზანული რაზმების კონტინგენტის ასაკობრივ შემადგენლობას – ეს ჯერჯერობით მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ. თვითონ ქაქუცა ჩოლოყაშვილი პარტიზანული რაზმის ჩამოყალიბების დროისთვის უკვე ზრდასრული მამაკაცი იყო – 34 წლის, მას ჰქონდა I მსოფლიო ომში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება, რასაც აქტიურად იყენებდა ანტისაბჭოთა ბრძოლის დროს. მისი რაზმის სხვა წევრებიც დაახლოებით 20-30 წლის ახალგაზრდები, ფიზიკურად ძლიერი მამაკაცები იყვნენ, რომლებისთვისა მძიმე პარტიზანული ცხოვრების წესი, რაც თვეები და წლები გრძელდებოდა, გაუსაძლისი არ უნდა ყოფილიყო. თუმცა არის ცნობები, რომ ზოგიერთ პარტიზანულ რაზმში გაერთიანებული იყვნენ 60-წლამდე მამაკაცებიც.,

---

[13] საქართველოს „ჩეკას" დოკუმენტების საფუძველზე სია დავადგინეთ ჩვენ: იხ.:საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 285, აღ. 1, საქ. 652, ფურც. 9; ფურც. 129, ფურც. 265; საქ. 324, ფურც. 15; საქ. 654, ფურც. 268 და ა.შ.

[14] საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 285, აღ. 1, საქ. 324, ფურც. 189.

[15] იქვე, საქ. 652, ფურც. 2.

[16] იქვე, საქ. 811, ფურც.132.

“საქჩეკას” არქივმა შემოგვინახა ზოგიერთი პარტიზანის უფრო დეტალური აღწერილობაც. მაგალითად, თელავის რეგიონში მოქმედი პარტიზანი, დავით იაგორას ძე სარაჯიევი იყო 21 წლის, უცოლო. ყავდა მშობლები და ერთი და. იყო ქონების არმქონე, მაღალი ტანის, ტანწვრილი, შავგვრიმანი, ჰქონდა შავი თვალ-წარბი, ხუჭუჭი თმა პარტიზანი მიხა გიორგის ძე აჯამამედოვი, ეროვნებით იყო სომეხი, უცოლო, ქონების არმქონე, შუა ტანის, წვრილი, შავგრემანი, ჰქონდა პატარა აგრეხილი ულვაში.[17] წინანდლელი პარტიზანი ალექსი (პასკო) ზეობაშვილი 23 წლის ახალგაზრდა იყო, უცოლო, მეორე პარტიზანი – ალექსანდრე (საშა) ბადურაშვილი – 19 წლის, ჰყავდა მამა, დედინაცვალი, ორი ძმა, იყო მაღალი ტანის, შავი თმით, ბლუკუნა, მოგრძო პირისახით. „საქჩეკას” დოსიეებში არის მსგავსი ინფორმაციები ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, იოსებ ვარაზაშვილზე, ანგელოზა გეურქოვზე, ალექსანდრე სულხანიშვილსა და სხვა პარტიზანებზე.

უაღრესად მნიშვნელოვანია „საქჩეკას” დოკუმენტებში გაკეთებელი შემდეგი შენიშვნაც „ყველას ქონებრივი მდგომარეობა – მძლავრი”, რაც მიუთითებს მათ მოტივაციაზე – **ეს იყო მძლავრ ეროვნულ-პატრიოტულ მუხტი**.[18]

როგორც დოკუმენტურად დასტურდება, პარტიზანული რაზმები ჩაკეტილი, თვითკმარი ორგანიზაციული ერთეულები არ იყო, შესამჩნევია „მოძრაობის პროცესი”, როცა რომელიმე წევრი ერთი რაზმიდან გადადიოდა მეორეში, ან მესამეში. მაგალითად, დოკუმენტურად ცნობილია, რომ სიღნაღში მოქმედი რეზო ხუტუნაშვილის პარტიზანულ რაზმში გარკვეული პერიოდი იმყოფებოდა სიმონ წიკლაური – ქაქუცა ჩოლოყაშვილის ყოფილი რაზმელი. ფიქსირდება სხვა შემთხვევებიც.

იდეოლოგიური მოტივაცია – რაც დრო გადის, სულ უფრო ძნელი ხდება იდეოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება ისტორიული პროცესების ანალიზის დროს. საბჭოთა სისტემის კრიხმა, მარქსისტული მსოფლმხედველობის ცალსახად არამეცნიერულად და ყალბად გამოცხადებამ, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სამეცნიერო კვლევებში გამოიწვია გადაჭარბებულად მემარჯვენე შეხედულებების გავრცელება, რაც თავისი შედეგებით თითქმის უკვე მიუახლოვდა საბჭოთა ისტორიოგრაფიის ცალმხრივობასა და სუბიექტივიზმს. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამას კომუნისტური იდეოლოგია საზოგადოებათმცოდნეობის ცნებაში გაერთიანებული მეცნიერებათა (ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიკისა და ა.შ.) მიმართ კლასობრვი, პროლეტარუული მიდგომის დოგმის საფუძველზე აღიარება. სწორედ აქედან გამომდინარე დღეს საქართველში XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე პროცესების შესწავლის დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული: 1. მსოფლიო კვლავ რჩებოდა კოლონიალური იმპერიების არსებობის პირობებში და ამას „დემოკრატიული დასავლეთი” ანაქრონიზმად, დანაშაულად ჯერ კიდევ არ მოიაზრებდა; 2. კომუნისტური (ბოლშევიკური) იდეოლოგია და პრაქტიკა თავის აღმავლობის პერიოდს განიცდიდა და ყველაფერი რაც კრემლში და კრემლის მიერ რეალიზდებოდა, ითვლებოდა „პროლეტარიატის ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს” შესაქმნელად გადადგმულ აუცილებელ ნაბიჯებად უკვე დრომოჭმული, ბურჟუაზიული წყობილებისა და მისი დამქაშების (თავადების, კაპიტალისტების, მათი „მოსამსახურე” ინტელიგენციის) წინააღმდეგ. ეს პროცესი, ეს ბრძოლა კი უნდა დამთავრებულიყო მსოფლიო პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებით. 3. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, განსაკუთრებით აზიის, აფრიკის და მსოფლის სხვადასხვა კუთხეში იმჟამინდელი „დემოკრატიული” ქვეყნების ლიდერებისა და პოლიტიკური იპლებიშმენტის მიერ ყოველმხრივ ბრკოლდებოდა და მისი მხარდამჭერი მხოლოდ დასავლეთ ევროპის ჯერ კიდევ სუსტი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა იყო.

---

17 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 285, საქ. 652, ფურც. 6-7.

18 იქვე, საქ. 652, ფურც.9.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში ფაქტობრივად 1921-1923 წლებში მიმდინარეობდა ბრძოლა გლობალიზმსა და ეროვნულობას შორის, სადაც გლობალიზმს განასახიერებდა რუსული ბოლშევიზმი, რომელიც საკმაოდ კარგად ითავსებდა პროლეტარული მესიანისტური იდეოლოგიის რეალიზატორის ფუნქციას და, ამ იდეისაგან გამომდინარე, ჯერ კიდევ აპელირებდა მარქსისტულ დოგმაზე „პროლეტარიატს არა აქვს სამშობლო!", „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!".

საქართველოში ანტისაბჭოთა პარტიზანული ბრძოლის საქმიანობის მოტივაცია და მათი იდეოლოგიური შემადგენელი კი იყო ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ეროვნული სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა – პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რუსეთისაგან. ამაზე მიუთითებს ქართველი პარტიზანების, განსაკუთრებით მათი ხელმძღვანელი ბირთვის პარტიული სიმპატია ან კუთვნილება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მნიშვნელოვანი პარტიზანული დაჯგუფებები ცენტრალიზებული წესით ექვემდებარებოდნენ ან სოციალ-დემოკრატიული პარტიას, ან ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. ამ ორ პარტიას შორის არსებული იდეოლოგიური კამათი და დაპირისპირება პარტიზანული მოძრაობის სულისკვეთებაზე ისახებოდა და მას თავისებურებას სძენდა. მათი სლოგანი იყო „საქართველო უპირველეს ყოვლისა!", რაც აშკარაად ვლინდებოდა, მაგალითად, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ გავრცელებულ პროკლამაციებს თუ მოწოდებებში, საჯარო გამოსვლებში. ეს ორი, აშკარად დაპირისპირებული, იდეოლოგიური ხაზი. ამ ორი იდეოლოგიური ხაზის მკვეთრი დაპირისპირება საქართველოში სახეზეა და მან თავისი დრამატული შედეგებიც მოიტანა, რომელზეც ყურადღებას ქვემოთ განსაკუთრებით გავამახვილებთ.

ქართველი პარტიზანების **ყოველდღიური ცხოვრება** შეიძლება პირობითად ორ ეტაპად გავყოთ - „მშვიდობიანი" და „სამხედრო". ქართველი პარტიზანების ძირითად ნაწილს ცხოვრება ძირითადად უწევდათ ტყეში, რაც მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული. მათ გამუდმებით ეძებდა საბჭოთა ხელისუფლება და მათი ლიკვიდაციისათვის შექმნილი სპეციალური სამხედრო ქვედანაყოფები. პარტიზანებს უვრცელებდნენ ჭორებს, დევნიდნენ იმ ხალხსაც კი, ვინც მათ რაიმენაირ დახმარებას უწევდა – სურსათით ან იარაღით ამარაგებდა – საბჭოთა სპეცსამსახურების ანგარიშებში ისინი მოიხსენიებიან ტერმინით **„ბანდიტების შემნახველები".** ეს კატეგორია საკმაოდ ვრცელი სოციალური სტრუქტურით გამოირჩევა: აქ არიან თავადები, აზნაურები, სასულიერო წოდება, რიგითი გლეხები. ქართველი პარტიზანები ყოფით პრობლემებს მეტ-ნაკლებად აგვარებდნენ სოფლის მოსახლეობის პატრიოტულად განწყობილი ნაწილის სისტემატური დახმარებით. როგორც დასტურდება, პარტიზანებს მხარდამჭერები და ქომაგები მათი დისლოკაციის მიმდებარე თითქმის ყველა სოფელში ჰყავდათ. ასეთ ადამიანების შესახებ ინფორმაციას მუდამ აგროვებდა „საქჩეკას" ადგილობრივი ორგანიზაცია და სათანადო ზომებსაც იღებდა. დოკუმენტურად დასტურდება, რომ ნაღლიანთკარის მცხოვრები ნაღლიაშვილი შაქრო ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს სისტემატურად სურსათ-სანოვაგეს უზიდავდა, არის ცნობები ჭოპორტელი მასწავლებლის საშა იოსევაძეს (შესაძლოა – იოსებიძე) შესახებაც, რომელიც ასევე ეხმარებოდა პარტიზანებს.[19] ჭოპორტელი მასწავლებელი დააპატიმრეს.

რა თქმა უნდა, პარტიზანებს ჰქონდათ პრობლემებიც – ადამიანური სითბო, ქალის სიყვარული, სექსი. დოკუმენტებში არის ცნობები, რომ საგარეჯოს რაიონში დისლოცირებული პარტიზანული რაზმების წევრები ადგილობრივ მოსახლეობას სთხოვდნენ ქალებს სასიყვარულო ურთიერთობებისათვის[20], „საქჩეკამ" ასევე დააფიქსირა, რომ ერწოში, სოფ. მაგრანეთში ერთ-ერთი გლეხის ქალიშვლები პერიოდულად ხვდებოდნენ პარტიზანებს საკუთარ

[19] იქვე, საქ. 652, ფურც.140.

[20] იქვე, საქ. 652, ფურც.228.

ოჯახში, გომურში. „საქჩეკას" მებრძოლებმა სპეცოპერაცია სწორედ ამ შეხვედრას დაამთხვიეს და გომურს ცეცხლი გაუხსნეს.[21]

უაღრესად რთული და საფრთხის შემცველი იყო თვეების, წლების მანძილზე ტყეში, მთებში, ოჯახს მოწყვეტილი **ყოველდღიურობა**. არსებობს ერთ-ერთი პარტიზანის გვიან ჩაწერილი მოგონება ტყეში გატარებული თვეების შესახებ: „ჩვენს რაზმს, უმეტესად ზამთარში, ხანგრძლივად ერთ ადგილზე ყოფნა უხდებოდა... ბანაკი შედარებით კარგად იყო მოწყობილი. გვქონდა მიწაში ჩათხრილი ქოხები... ზამთარში ასეთ ბანაკებში ბევრად უფრო მომარაგებელი ვიყავით, ვიდრე ხშირად ადგილის გადანაცვლების დროს".[22]

მეორე პარტიზანი, მიხეილ ლომაშვილი, ასევე მოგვიანებით იხსენებდა, რომ: „რა თქმა უნდა, რაზმს მრავალმხრივ უჭირდა, მაგრამ არავინ არაფრად დაგიდევდა...ნაბდები გვქონდა. ეს იყო ჩვენი ლეიბიც და საბანიც. ვიცვავდით შინელებს, ჩოხა-ახალუხს. თავზე ზოგს „გალიბანდის" ქუდი გვეხურა ცხვრის ტყავის მატყლიანი ტყაპუჭურები. შეიარაღებული ვიყავით კარაბინებით, მაუზერებით, გრანატებით. ორი ტყვიამფრქვევი გვქონდა... რუსულ „მაქსიმკას" რომ ეძახიან..."

პარტიზანული რაზმების **ძირითადი ლოკაციის ადგილები** – ახლოსმდებარე უღრანი ტყე იყო. ყველაზე უფრო ლიტერატურაში ცნობილია კახეთის ტყეები, სადაც ანტისამთავრობო მოძრაობის მდიდარი ტრადიციები არსებობდა და არაერთი ასეთი რაზმი აქტიურად მოქმედებდა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლებამდეც. ერთ-ერთი პარტიზანი მიხეილ ლომიშვილი იგონებს, რომ ხშირად უწევდათ მოძრაობა, რომ თავიდან აეცილებინათ მოულოდნელი თავდასხმები: „სად აღარ მოგვიწია ყოფნამ. ხან არაგვის ხეობაში გვიწევდა მოულოდნელი გადასვლა, ხან – კახეთში, ხან ივრის ხეობაში, ხანაც ქართლში. რა ჭირსა და ვაივაგლახს აღარ გადავყრივართ"[23]

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პარტიზანული მოძრაობის ლოკაცია განისაზღვრებოდა იმ სამხედრო ამოცანებით, რომელიც პარტიზანული დაჯგუფების წინაშე იდგა, მაგრამ ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ პროფ. გ. ციციშვილის თვალსაზრისს, რომ კახეთის რეგიონი პარტიზანული მოძრაობისათვის მაინც განსაკუთრებული აღმოჩნდა და მან მნიშვნელოვანი დატვირთვაც შეიძინა. გ. ციციშვილი წერს: „რაზმის ბუდე სწორედ კახეთი უნდა ყოფილიყო. ლოგიკურ საფუძვლად იგულისხმებოდა კახეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, სიახლოვე თბილისთან, პატრიოტულად განწყობილ თუშ-ფშავ-ხევსურეთთან და ჩრდილოეთ კავკასიის დაუმორჩილებელ ხალხებთან, რომლებიც ბუნებრივ მოკავშირეებად იგულისხმებოდნენ. კახელებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მდიდარი ტრადიცია ჰქონდათ, ჰყავდათ საუკეთესო პატრიოტულტი კადრები და თვალსაჩინო მხედართუფროსები..."[24]

როდის, რატომ და ვისი ინიციატივით დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობა?

პროფ. ო. ჯანელიძე საქართველოში **პარტიზანული მოძრაობის დაწყებას** უკავშირებს სვანეთში განვითარებულ მოვლენებს. იგი წერს: „ზემო სვანეთში დაიწყო მოსახლეობის მობილიზაცია და პარტიზანუული რაზმების ფორმირება".[25] მისი ვარაუდით პარტიზანული რაზმები სვანეთში ჩამოყალიბდა უკვე 1921 წლის შუა ხანებში.

მკვლევარი თ. ენდელაძე პარტიზანული მოძრაობის აქტივიზაციას მთლიანად 1922 წლის ზაფხულს უკავშირებს და ამ მოსაზრებას საარქივო დოკუმენტების მოშველიებით ამყა-

---

21 იქვე, საქ. 652, ფურც.16ა.

22 ალ. ბადურაშვილი, *შეფიცული. ბადუhაშვიღის თავგადასავაღი* (გაზ. „მამული") ## 21-26.

23 ა. დაუშვილი, კ. წენგუაშვილი, *იქ სიკვდიღი*, 20.

24 გ. ციციშვილი, *სიმახთღე*, 133.

25 ო. ჯანელიძე, *ახაღი*, 158.

რებს.[26] ამავე პერიოდს უკავშირებს მკვლევარი ქ. ჩოლოყაშვილის მიერ თავისი პარტიზანული რაზმის ფორმირებასაც.

ჩვენი კვლევებით კი დასტურდება რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილმა საბჭოთა საქართველოს წითელ ჯარში სამსახურს თავი მიანება და პარტიზანული რაზმი ჩამოაყალიბა 1922 წლის მარტში: მისი ნათესავი ქალი ნინო ავალიშვილი იგონებდა, რომ 1922 წლის მარტში ქაქუცა ჩოლოყაშვილი მეგობრებთან (რომან ამირეჯიბი, ვალიკო და ირაკლი ერისთავები, შიო ნაკაშიძე და სხვ.) ერთად მათ ოჯახში სტუმრად იმყოფებოდა. ამ სტუმრობის ორი დღის შემდეგ ნათესაობამ შეიტყო, რომ „ქაქუცა ჯარის ნაწილში აღარ დაბრუნებულა".[27] აქ ნ. ავალიშვილს მხედველობაში აქვს ქ. ჩოლოყაშვილის „არ დაბრუნება" საქართველოს წითელი არმიის შემადგენლობაში, სადაც მომავალი ეროვნული გმირი მცირე ხნის მანძილზე მსახურობდა საბჭოთა კავალერიის შენაერთების უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.[28]

გარკვეული მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ, რაც რამდენიმე თვე გაიჭიმა, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა 1922 წლის ივლისში უკვე ჩამოაყალიბა თავისი პარტიზანული რაზმის ძირითადი ბირთვი, რომელიც შემდეგ თვეებში არა მარტო რაოდენობით გაიზარდა, არამედ სტრუქტურულადაც განმტკიცდა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით დოკუმენტური მასალა არ იძლევა საშუალებას ვამტკიცოთ, თუ ზუსტად როდის ჩამოყალიბდა სხვა პარტიზანული რაზმების (გურიაში, იმერეთში, ქართლში) კონტინგენტი, მაგრამ სრულად მისაღებია თ. ენდელაძის მოსაზრება, რომ 1922 წლის ზაფხულში საქართველოში დაიწყო ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობის ინტენსიფიკაცია.

როგორც დასტურდება, ინიციატორი და სულისჩამდგმელი საქართველოში ანტისაბჭოთა პარპტიზანული მოძრაობის ჩასახვა-განვითარებისა, რამაც შეუწყო ხელი და წაახალისა ეს პატრიოტული ინიციატივა იმისათვის, რომ ის გადაზრდილიყო ერთიან სახალხო მოძრაობად, რასაც შეეძლო საქართველო გაენთავისუფლებინა რუსეთის საბჭოთა დიქტატრისაგან, იყო ძირითადად ორი პოლიტიკური ძალა – ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ("მენშევიკები"). ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძირითადი ოპოზიციური პარტია იყო და ნ. ჟორდანიას მთავრობის მკაცრი კრიტიკით გამოირჩეოდა. პარტიის ლიდერის სპ. კედიას ინიციატივით ბათუმში შედგა თათბირი, სადაც შეიქმნა საიდუმლორ სამხედრო ცენტრი. ამ თათბირს ესწრებოდნენ ილარიონ ლორთქიფანიძე და დავით მიქელაძე. თათბირზე შეიმუშავეს სამხედრო გეგმა, რომლის ამოქმედების პირველ ეტაპზე წინააღმდეგობის მონაწილეებმა ყურადღება უკვე შეაჩერეს ქაქუცა ჩოლოყაშვილზეც. მიუთითებდნენ, რომ „ქაქუცას მოქმედებას ორმხრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ვიდრე სახალხო აჯანყების სამზადისი დამთავრდებოდა. ეს რაზმი მცირერიცხოვანი უნდა დარჩენილიყო. მის არსებობას უნდა გაემაგრებინა ხალხში იმედი და ამავე დროს მოძალადე ხელისუფლებასაც უნდა შეკვეცოდა კადნიერება, რომ თავი დაუსჯელი არ ეცნო"[29].

დოკუმენტურად დასტურდება, რომ სპონტანურად, საკუთარი ინიციატივით შექმნილი პარტიზანული რაზმი, საქართველოში ცოტა ჩანს, ასეთი უფრო ხშირად კრიმინალური შინაარსის დაჯგუფებები თუ იყვნენ, რომლებიც საკმაოდ ბევრი იყო როგორც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ისე საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებში. უფრო ხშირად ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ ანტისაბჭოთა პარტიზანულ დაჯგუფებებს საკმაოდ ავტორიტეტული ხელმძღვანელი და ორგანიზატორი ეძებნება. ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზ-

---

[26] თ. ენდელაძე, *საბჭოთა ძაღოვანი,* 138.

[27] ნ. ავალიშვილი, *მოგონებანი*. # 15.

[28] ამის შესახებ დეტალურად, ა. დაუშვილი, *საქართველოს წითელი არმიის საჯარისო ნაწილების ფორმირების ზოგიერთი უცნობი საკითხი* ("ანალები", 2009, #4), 221-232.

[29] ო. ჯანელიძე, *სპირიდონ კედია,* (თბილისი, 2002) 149,

მის გარდა, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ხელმძღვანელობდა სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში მოქმედ პარტიზანულ რაზმებს, რომლებსაც ნესტორ გარდაფხაძე და ეგნატე გაბლიანი წინამძღოლობდნენ. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ექვემდებარებოდნენ ქართლში მიხ. ლაშქარაშვილის, ორზურგეთში მათითაიშვილის, ბაღდათში – ილია დოგრაშვილისა და სხვა პარტიზანული დაჯგუფების ხელმძღვანელები.

როცა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა დაიწყეს კონსულტაციები ანტიკომუნისტური პარტიების წარმომადგენლებთან საერთო ფრონტის შესაქმნელად, აშკარად იგულისხმებოდა, რომ პარტიებთან არსებული სამხედრო სტრუქტურები (პარტიზანული რაზმები) დაექვემდებარებოდნენ ერთთიან სამხედრო ხელმძღვანელობას, რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა მათ ბრძოლისუნარიანობას. მართალია, ეს მოლაპარაკებები ძალიან გაჭიანურდა, მაგრამ 1922 წლის აგვისტოს უკვე დაარსდა „დამოუკიდებლობის კომიტეტი" პარტიტეტულ საწყისებზე, რომელსაც თავისი „სამხედრო ცენტრიც" ჰქონდა.

ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები დიდ ყურადღებას უთმობდნენ პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელების შერჩევას და მათ იდეურ და სამხედრო მომზადებას. არის ცნობა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპირიდონ კედია კახეთში, სოფელ კისისხევში დასვენების დროს რამდენჯერმე შეხვდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს. იმასაც ამბობენ, რომ სპირიდნ კედიაზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა ქაქუცას პიროვნებამ და მისმა საბრძოლო შემართებამ. ქაქუცა, უკვე ტყეში გასული, მოგვიანებით ის არა ერთხელ ხვდებოდა როგორც პარტიის ხელმძღვანელებს, ისე „დამკომის" სამხედრო წარმომადგენლებს, ათანხმებდა მათთან თავის გეგმებს, სამხედრო ამოცანებს.

ასეთივე ინტენსიური კონტაქტები ჰქონდათ პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელებთან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მესვეურებსაც – ისინი მათი დიდი ნდობით სარგებლობდნენ.

ფინანსური წყაროები. პარტიზანული ბრძოლა კვირეები და თვეები გრძელდებოდა და ის გარკვეულ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვდა – ათეულობით ადამიანის ნორმალური ცხოვრების რიტმს მოწყვეტა, ტყეში ცხოვრება, მათი მომარაგება სურსათ-სანოვაგით, ტყვია-წამალით, ფურაჟით, ნაღდი ფულით საჭიროებდა ზრუნვას. როგორც დასტურდება, პარტიზანებს მატერიალური რესურსების ორი ძირითადი წყარო ჰქონდათ- პარტიების მატერიალური დახმარებები და ექსპროპრიაცია. ამ ორივე ფინანსური ნაკადის შესახებ არსებობს წერილობითი წყაროები. მაგალიითად, ცნობილია, რომ სვანეთში პარტიზანულ რაზმებს ანტისაბჭოთა საქმიანობის გასაძლიერებლად ნესტორ გარდაფხაძეს და მოსესტრო დადეშქელიანის პარტიზანულ რაზმებს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ქართლ-კახეთის კოოპერაციული კავშირის ხელშეწყობით გაუგზავნა 10 მილიონი მანეთი.[30] არის კიდევ დამატებით სხვა ცნობაც, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილს ფინანსური რესურსების შესავსებად გადასცეს გარკვეული თანხა.

პარტიზანები მიმართავდნენ ექსპროპრიაციასაც, როცა პარტიულ ორგანიზაციების უკვე ვეღარ ახერხებდნენ მათ დროლულ დაფინანსებას. არის ცნობა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმმა ექსპროპრიაცია გაუკეთა სახელმწიფო ხაზინას და გაიტაცა 9 მილიონი მანეთი.[31]

ზოგჯერ გარემოებებისა და გამო პარტიზანები იძულებული ხდებოდნენ განეხორციელებინათ ცალკეული მოქალაქისა და შეძლებული გლეხის ექსპროპრიაციაც. არის ცნობები პარტიზანების მხრიდან სხვადასხვა რეგიონში რიგითი მოქალაქის ძროხის, შინაური ფრინველის, სურსათ-სანოვაგის და ფინანსური რესურსების ექსპროპრიაციის შესახებ. მაგალითად,

---

30 თ. ენდელაძე, *საბჭოთა ძაღოვანი,* 95.

31 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 285, საქ. 324, ფურც. 4.

არის ცნობა, რომ ქუთაისის მცხოვრებ ვინმე ელიგულაშვილს წაართვეს 2 მილიარდზე მეტი, არის ცნობა, რომ პარტიზანები თავს დაესხნენ აბაშა-სენაკის გადასასვლელზე მატარებელს, რომელშიც იმყოფებოდა საბჭოთა ფინაგენტი – მას წაართვეს 3 მილიარდი მანეთი.[32] ამავე პერიოდში, 1923 წლის 21 სექტემბრს პარტიზანებმა გაძარცვეს „საკავშირო მამასახლისის" – მიხეილ კალინინის მეუღლე, რომელიც საქართველოს სამხედრო გზაზე გადაადგილდებოდა და მას წაართვეს 1000 საბჭოთა ჩერვონეცი.[33]

პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგაც ბრძოლაში დიდი ფინანსური რესურსი ასევე სჭიდებოდა საბჭოთა ხელისუფლებასაც. შემორჩენილი დოკუმენტები მიუთითებენ, რომ პარტიზანების წინააღმდეგ მებრძოლის საბჭოთა სტრუქტურების მეთაურები სისტემატურად ითხოვდნენ საბჭოთა ხელმძღვანელებისაგან მზარდ ბიუჯეტს. „საქჩეკაში" წარდგენილი ერთ-ერთ პატაკში ხაზგასმულია, რომ მხოლოდ ერთი საბჭოთა ჯარისკაცის შენახვა უჯდებოდათ დაახლოებით 400 000 მანეთი, სულ ერთ რაზმს ჭირდებოდა 4 მილიონი მანეთი.[34] საქართველოს საბჭოთა მთავრობაც ყოველწლიურად ზრდიდა პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად ბიუჯეტს. არის ცნობა, რომ დუშეთისა და თელავის მაზრებში პარტიზანული მოძრაობის შესაჩერებლად გამოიყო 100 მილიონი მანეთი.[35]

საქართველოში ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობის წარმოშობის, განვითარების და მისი **გააქტიურების ორი მიზეზი** არის ცნობილი: სოციალური და ეროვნული. დასახელებული პირველი მიზეზი (სოციალური) უფრო იმპონირებდა საბჭოთა ისტორიოგრაფიას, რომლისთვისაც მიუღებელი იყო იდეა, რომ საქართველოს მოსახლეობას შეიძლება გასჩენოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის სურვილი. ამ შეხედულების ინიციატორი და პროპაგანდისტი იყო თვით იოსებ სტალინი, რომელიც თავის შეფასებებში, რომელიც მან გამოთქვა 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე მოსკოვში, საქართველოში 1921-1924 წლებში განვითარებულ მოვლენებში ცალსახად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკა დაინახა.[36]

იმჟამად და შემდეგ პერიოდშიც საბჭოთა პოლიტიკურ ლიდერებს არ სურდათ იმის დაშვება, რომ საქართველოს მოსახლეობას შეიძლება გასჩენოდა ძლიერი სურვილი აღედგინა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობა და ამისთვის იარაღით ხელში კიდეც ებრძოლა.

რა თქმა უნდა, სოციალური პრობლემატიკა, გარკვეული შემადგენელი ყოველთვის არის მოსახლეობის ანტისამთავრობო გამოსვლების დროს (ადმინისტრაციული ძალადობა, უხეშობა, მატერიალური გაჭირვება, კორუფცია და ა.შ.)[37], მაგრამ საქართველოს სინამდვილეში, არსებული დოკუმენტური მასალა აშკარად წარმოაჩენს პარტიზანული მოძრაობის მთავარ იდეოლოგიურ მდეგენელს – ბრძოლა დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად ანუ „საქართველო უპირველეს ყოვლისა!"

შურისძიება – თავიდანვე დამახასიათებელი გახდა საქართველოს პარტიზანებისათვის. განსაკუთრებით ოდიოზურ, საბჭოთა, ადგილობრივ პარტიულ მუშაკებს, კომუნისტ-აქტივისტებს, კომკავშირლებს ქართველი პარტიზანები ეროვნული ინტერესების გამყიდველებად თვლიდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ. მაგალითად, ცნობილია, რომ ოზურგეთის

---

32 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 285, საქ. 652, ფურც. 289ა.

33 იქვე, ფურც. 268.

34 იქვე, საქ. 237, ფურც. 87.

35 იქვე, ფურც. 130.

36 ამის შესახებ დეტალურად, მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, მ. ჯაფარიძე, კ. წენგუაშვილი, *საქართველოში ტოტალიტარული ხელისუფლების დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში* (თბილისი, 2008): 159-160.

37 ამის შესახებ დეტალურად, ა. დაუშვილი, *ანტისაბჭოთა აჯანყება სვანეთში*, „საისტორიო მოამბე," #79-80. (თბილისი. 2009-2010): 172-175.

მაზრაში სოფელ ვაკიჯვარში პოლიტიკური მოტივებით პარტიზანებმა მოკლეს სილოვან ივანეს ძე სვანიძე, 55 წლის, კომუნისტური პარტიის წევრი, ღარიბი მუშა.[38]

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, თუ როგორ გაუსწორდნენ კახელი პარტიზანები წინანდალში განსაკუთრებული სისასტიკით ცნობილ ადგილობრივი „ჩეკას" ორგანიზაციის ხელმძღვანელს ვინმე კირაკოზოვს. შეფიცული ალ. ბადურაშვილი მოგვიანებით იგონებდა: „ერთ დღეს შეგვატყობინეს, რომ ამა და ამ რიცხვში წინანდალში უნდა დაიდგას წარმოდგენა, რომელზეც მავნე კომუნისტებიც დაესწრებიანო... როგორც ჩვეულება იყო, წარმოდგენის შემდეგ, თეატრისავე დარბაზში, სუფრა უნდა გაშლილიყო. გადაწყდა ამ შემთხვევით გვესარგებლა. დანიშნულ დღისათვის ქაქუცამ გამოჰყო ათიოდე კაცი ელიზბარ ვაჩნაძის მეთაურობით. თეატრის შენობა ეკლესიის ეზოში იდგა. უკან იყო ვენახი, რომელშიც ჩვენ უნდა დაგვეცადა კაცისათვის, ვინც ამ კომუნისტების მოსვლას და იქ ყოფნას შეგვატყობინებდა. ბევრი ცდა არ დაგჭირდა. კაცი მოვიდა და გვაცნობა, ყველანი მოვიდნენო. მე და შალიკო კანდელაკს დაგვევალა დარბაზის ორი კარის შეკვრა, რომ არავინ გაქცეულიყო. ჯგუფის დანარჩენი შემადგენლობა დარბაზში შეიჭრა... შეშინებულმა კომუნისტებმა რევოლვერები მაგიდის ქვეშ შეყარეს. ხელები მაღლა ასწიეს. ლელო ჩიქოვანს წასაყვანი ხალხის სია ჰქონდა და დაიწყო; რომელია კირაკოზოვი? მე კარში მდგომმა გავიგონე პასუხი: – აქ არ არისო. შიგ შევიხედე და დავინახე, რომ მოპასუხე თვითონ კირაკოზოვი იყო და ლელოს დავუძახე; ეგ თვითონ არის კირაკოზოვი-მეთქი. ლელომ კირაკოზოვს რევოლვერის კონდახი ჩაარტყა თავში და დანარჩენებს დაუწყო გამოძახება. ყველანი თავის ნებით ავიდნენ. სცენაზევე დაუწყეს მათ ხელების შეკვრა, შემდეგ გარეთ გამოვიყვანეთ და ტყისაკენ გავწიეთ, რომ ოთხივე ქაქუცასთან მიგვეყვანა...ქაქუცამ საველე სასამართლო გამართა და დაჭერილებს ბრალდება წარუდგინა მათი ნამოქმედარი, რისთვისაც სიკვდილი მიესაჯათ. ოთხივე დაიხვრიტა".[39]

ასეთ მარცხს ქართველი კომუნისტები და მათი რუსი მფარველები არ ივიწყებდნენ და მათი მხრიდან შურისძიებაც ყოველგვარ ზნეობრივ ნორმებს სცილდებოდა. არსებობს „კომუნისტური შურისძიების" ჩინებული ანაწერი, რომელიც კარგად გამოსახავს კლასობრივი დაპირისპირებისა და კლასობრივი ომის ჭეშმარიტ სახეს: „მალე დამსჯელი რაზმი მოადგა მათ კარს – ვინმე ძულიაშვილის მეთაურობით. შეცვივდნენ სახლში, გადააბრუნეს იქაურობა. ლოგინი და მუთაქმები სულ დაჭრეს. თაროებიდან გადმოყარეს შესანიშნავი წიგნები, წაუკიდეს ცეცხლი და დაწვეს. ჩხრეკის დროს სხვენში იპოვეს პაპაჩემის დროინდელი ჟანგიანი ხმალი და გატეხილი სანადირო თოფი...ძულიაშვილმა დაიწყო ამ ხმლით მამაჩემის ცემა. დათოს წინა დღით ფუტკარმა უკბინა და გასიებული ჰქონდა ყბა. მიადგა ძულიაშვილის კაცი და თოფის კონდახს სულ ამ გასიებულ ლოყაში ურტყამდა... ძულიაშვილი განაგრძობდა მამაჩემის ცეკმას..."[40] მსგავსი მაგალითები ბევრია.

სამხედრო თანამშრომლობა პარტიზანებს შორის დოკუმენტურადაც დასტურდება. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ხანდახან, გადამწყვეტ მომენტში, ადგილი ჰქონდა პარტიულ უთანხმოებას (განსაკუთრებით კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული პარტიზანების სამხედრო ხელმძღვანელების მხრიდან), რაც მნიშვნელოვნად ასუსტებდა ერთიან ძალისხმევას საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის სამხედრო შენაერთებთან ბრძოლაში. სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ „თავი იჩინა პარტიულმა დაპირისპირებამ და უნდობლობამ აჯანყებულთა ბელადის – ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიმართ. ეს განსაკუთრებით ეხებოდა „პარიტეტული კომიტეტის" სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენლებს, რაც აშკარად გამოჩნდა ქართლის პარტიზანული დაჯგუფების მხრიდან ქაქუცას

---

[38] საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ, 285, საქ. 237, ფურც. 87.

[39] *შეფიცული ბადუხაშვილის თავგადასავალი*, ##21-26.

[40] ნ. ავალიშვილი, *მოგონებანი*, #15.

რაზმისადმი შესაძლო დახმარების გაწევის დროს. ქაქუცას გეგმით, ხევსურეთში აჯანყების დაწყების შემდეგ, ქართლის პარტიზანებს მ. ლაშქარაშვილის ხელმძღვანელობით ზურგიდან უნდა დაერტყათ ხევსურეთში მოქმედი რუსეთის სამხედრო შენაერთებისათვის – ასეთ შემთხვევაში რუსები ორ ცეცხლს შორის აღმოჩნდებოდნენ. მაგრამ როცა მ. ლაშქარაშვილმა თავისი რაზმი ხევსურეთში სალაშქროდ გაამზადა, თბილისიდან მასთან ჩასულმა ორმა მენშევიკმა პროპაგანგდისტმა, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდნენ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საწინააღმდეგო პროპაგანდა გააჩაღა. ისინი უმტკიცებდნენ მ. ლაშქარაშვილს, რომ „ქაქუცას დახმარება თქვენ არ გარგებთ, ის თავადია და თავადობის მომხრეა".[41]

ასეთი პარტიული დაპირისპირებები, განსაკუთრებით უმნიშვნელოვანესი ბრძოლების პერიოდში,, სერიოზულად ასუსტებდა პარტიზანების შესაძლებლობებს და უადვილებდა საბჭოთა ჯარებს მიეღწიათ წარმატებებისათვის.

ურთიერთობა საზღვარგარეთელ პარტიზანებთან – ეს არის ერთი ფურცელი იმ მცდელობისა, რასაც ანტისაბჭოთა პარტიების ხელმძღვანელები როგორც ემიგრაციაში, ისე საქართველოშიც, ცდილობდნენ მიეღწიათ: მათი სურვილი იყო მომხდარიყო სრულიად კავკასიის მასშტაბით ანტისაბჭოთა ძალების მობილიზება. ასეთ კავშირებს, რა თქმა უნდა, საქართველოს ყველა პარტიზანული დაჯგუფება ვერ განახორციელებდა, მაგრამ დასტურდება, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილს ჰქონდა ასეთი კონტაქტები ჩრდილო კავკასიაში მოქმედ პარტიზანულ დაჯგუფებებთან. პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში ცნობილია, რომ ხევსურეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა მოახერხა ჩეჩნეთში გადასვლა. ჩრდილო კავკასიასთან კონტაქტები ინტენსიური იყო და დიდ მოლოდინებს აღძრავდა. მაგალითად ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში სპეციალური მისიით გაიგზავნა ქ. ჩოლოყაშვილი, რომელიც იქ შეხვდა შეიხ ალ-მატაევს, რომელმაც სიტყვიერად განუცხადა თანხმობა რუსი კოლონიზატორების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში მათი მხრიდან თანადგომის შესახებ. ეს შეთანხმება გულისხმობდა 500 ოფიცერ-ინსტრუქტორის ჩეჩნეთში მივლინებას. ცოტა მოგვიანებით ჩრდილოეთ კავკასიაში ჩავიდა მ. იშხნელი, რომელიც კვლავ შეხვდა ალ-მიტიევს და მთელი რიგი პრაქტიკული საკითხი შეათანხმა. ჩეჩნეთში ყოფნისას მ. იშხნელი იმაშიც დარწმუნდა, რომ აქ ანტისაბჭოთა ორგანიზაციები ძალიან მცირერიცხოვანი იყო, რომ დაპირებული 6 000 მებრძოლისა, ჩეჩნეთს შეეძლო გამოეყვანა მხოლოდ 1500 მეომარი, ისიც მხოლოდ იმ პირობით, რომ ვაზნებს ქართული მხარე უზრუნველყოფდა და ა.შ..[42] თუმცა ეს თანამშრომლობა, როცა ამის აუცილებლობა დადგა, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, საერთოდ არ შედგა.

ამრიგად, 1921-1922 წლებში საქართველოში, მის სხვადასხვა რეგიონში არა მარტო შეიქმნა პარტიზანული დაჯგუფებების საკმაოდ განტოტვილი ქსელი, არამედ დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლაც. რა დაუპირისპირა საბჭოთა რეჟიმმა ასეთ სამხედრო გამოწვევას?

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე შეიქმნა რუსეთში უკვე კარგად აპრობირებული ორგანიზაციის ანალოგი - **„კონტრრევოლუციასა, სპეკულაციასა და საბოტაჟთან მებრძოლ საგანგებო კომისია"** (ანუ „საქჩეკა"). ამ მებრძოლი ორგანიზაციის მიზანი იყო კონტრრევოლუციური მოქმედებების – შეთქმულებების, აჯანყებების, ტერორისტული აქტების პროფილაქტიკა, სახელმწიფო ღალატის ფაქტის ფიქსაცია და ყველა ისეთი შემთხვევის ნეიტრალიზება, რაც ხელს შეუშლიდა რუსეთის სამხედრო ყოფნას საქართველოში და ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის განმტკიცებას. საქართველოს საგანგებო

---

41 ა. დაუშვილი, კ. წენგუაშვილი, *„იქ სიკვდიღი.* 23-24.

42 *კავკასიის ისტორია,* ტ. II, (თბილისი., 2023), 540.

კომისიას ჯერ რევკომის წევრი, ამხანაგი ელისაბედაშვილი ხელმძღვანელობდა. ხოლო-გარკვეულ პერიოდიდან „საქჩეკას" სათავეში ჩაუდგა ძველი კომუნისტი კ. ცინცაძე. სწორედ მის დროს შეიქმნა „საქჩეკას" კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: კ. ცინცაძე, კ. იაშვილი, პ. ნოვიცკი, ე. წივწივაძე, ა. ობოლაძე და სხვ. ძალიან სწრაფად დაიწყეს საგუბერნიო და სამაზრო კოლეგიების ფორმირება, რამაც თავისი შედეგი გამოიღო. საქართველოს საგანგებო კომიტეტში ("საქჩეკაში") 383 კაცი მსახურობდა, ამათგან 185 – კომუნისტური პარტიის წევრი იყო. ორგანიზაციაში იღებდნენ მხოლოდ განსაკუთრებით სანდო, კარგად შემოწმებულ პირებს, რომელთა შორის ბევრი გახდა თავის საქმის ჩინებული სპეციალისტი და საკავშირო კარიერაც კი გაიკეთა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოების ფორმირება სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. როგორც რევკომებში, ისე მილიციის ადგილობრივ ორგანოებში ხდებოდა შემთხვევითი პირების თავმოყრა, მათი მხრიდან ხშირად ჰქონდა ადგილი უფლებების გადამეტებას, თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, დისციპლინის უხეშ დარღვევებს, ძალადობას.[43]

„communist revenge," which vividly illustrates the true nature of class conflict and class warfare: „Soon a punitive detachment arrived at their doorstep – led by someone named Dzulashvili. They stormed into the house and turned everything upside down. The beds and mattresses were slashed to pieces. Beautiful books were thrown off the shelves, set on fire, and burned. During the search, they found an old rusty sword from my grandfather's time and a broken hunting rifle in the attic... Dzulashvili began to beat my father with that sword. The day before, a bee had stung Dato, and his cheek was swollen. One of Dzulashvili's men went for him and repeatedly struck the swollen cheek with the butt of a rifle... Dzulashvili continued 'beating' my father...".[94] There are many such examples.

Military cooperation among partisan groups is also documented. However, it is worth noting that at times, during critical moments, there were instances of party-based disagreements – particularly from the military leaders of partisan units affiliated with specific political parties – which significantly weakened the overall effort in combat against the military units of the Soviet occupation regime. Special literature records that „party discord and distrust toward the leader of the rebellion – Kakutsa Cholokashvili – emerged." This particularly applied to representatives of the Social-Democratic faction of the Parity Committee, and it became evident when the partisan group from Kartli was expected to provide potential assistance to Kakutsa's detachment. According to Kakutsa's plan, following the launch of the uprising in Khevsureti, the Kartli partisans under the leadership of M. Lashkarashvili were supposed to strike the Russian military units operating in Khevsureti from the rear – thus placing the Russians between two fires. However, when M. Lashkarashvili had prepared his detachment for a campaign into Khevsureti, two Menshevik propagandists from Tbilisi – representing the Social-Democratic Party – arrived and began spreading propaganda against Kakutsa Cholokashvili. They tried to convince M. Lashkarashvili that „helping Kakutsa is of no benefit to you; he is a nobleman and a supporter of the nobility".[95]

Such party-based rivalries, especially during critical battles, seriously weakened the capabilities of the partisans and made it easier for the Soviet army to achieve successes.

Relations with Foreign-Based Partisans – This represents one chapter in the broader effort undertaken by the leaders of anti-Soviet parties, both in emigration and within Georgia, who sought to achieve one goal: the mobilization of anti-Soviet forces on an All-Caucasian scale. Naturally, not all partisan detachments in Georgia were capable of establishing such connections, but it is documented that Kakutsa Cholokashvili had contacts with partisan groups operating in the North Caucasus. According to post-Soviet historiography, after the defeat of the Khevsureti uprising, Kakutsa Cholokashvili managed to cross into Chechnya. Contacts with the North Caucasus were intense and generated great expectations. For example, it is known that Cholokashvili was dispatched to the North Caucasus on a special mission, during which he met with Sheikh Al-Mataev, who verbally declared his support for a joint struggle against the Russian colonizers. This agreement implied the deployment of 500 officer-instructors to Chechnya. Soon afterward, M. Ishkhneli also travelled to the North Caucasus, where he met again with Al-Mataev and coordinated a number of practical matters. While in Chechnya, M. Ishkhneli also confirmed that the anti-Soviet organizations there were very limited in number, and that, out of the promised 6,000 fighters, Chechnya could mobilize only 1,500 – and that, too, only on the condition that the Georgian side would supply ammunition, and so on.[96] However, when the time came for this cooperation to materialize, it ultimately did not take place – due to various objective and subjective reasons.

---

94 N. Avalishvili, *Memoirs*, No. 15.

95 A. Daushvili, K. Tsengulashvili, *There, Death*, pp. 23-24.

96 *History of the Caucasus, Vol. II (Tbilisi, 2023), p. 540.*

Thus, in 1921–1922, not only was a rather extensive network of partisan groups established across various regions of Georgia, but an uncompromising struggle against Soviet rule also began. What did the Soviet regime deploy in response to this military challenge?

Immediately after the establishment of Soviet power in Georgia, an analogue of an organization already well-tested in Russia was created – **the Extraordinary Commission for Combating Counter-Revolution, Speculation, and Sabotage** (i.e., Sakcheka). The goal of this combat-oriented organization was to prevent counter-revolutionary actions – such as conspiracies, uprisings, and terrorist acts – to detect acts of state treason, and to neutralize any threat that could hinder Russia's military presence in Georgia or the consolidation of the communist regime in the country. The Extraordinary Commission of Georgia was initially headed by a member of the Revolutionary Committee, Comrade Elisabedashvili. After a certain period, leadership of Sakcheka was taken over by the veteran communist K. Tsintsadze. During his tenure, the Sakcheka Collegium was established, comprising K. Tsintsadze, K. Iashvili, P. Novitsky, E. Tsivtsivadze, A. Oboladze, and others. The formation of gubernatorial and district-level collegiums began rapidly, yielding concrete results. The Georgian Extraordinary Commission (Sakcheka) had 383 personnel, of whom 185 were members of the Communist Party. The organization recruited only especially trustworthy and thoroughly vetted individuals, many of whom became excellent specialists in their field and went on to pursue careers at the Union level.

The formation of local bodies of the People's Commissariat for Internal Affairs was accompanied by significant difficulties. Both in the Revolutionary Committees (*revkoms*) and in the local branches of the militia, there was an accumulation of random individuals, who frequently engaged in abuses of power, misuse of office, severe violations of discipline, and acts of violence.[97]

It is also documented that certain members of the Soviet militia did not refrain from participating in looting and robbery, secretly collaborated with real criminals and bandits, and attacked travellers. It was not only rank-and-file militia personnel, but even heads of district militia subdivisions who were implicated in unlawful activities. There is a report that the head of the Borjomi district militia was arrested after being found guilty of collaborating with bandit-criminals, embezzling large sums of state taxes paid by residents of the village of Kvemo Chala, maintaining personal connections with members of the former nobility, and other such offenses.[98]

In the Soviet reality, a term emerged – *„political banditry".* With this term, the Soviet government and its militia referred to members of the partisan movement, and their primary task was the neutralization of this *„political banditry".* To this end, as already noted, *Sakcheka* created a special unit called *ChON* (Extraordinary Special Purpose Units), whose composition was international – comprised of Georgians, Russians, Armenians, and Ossetians. From a social standpoint, this military structure was also heterogeneous – documents mention surnames such as Cholokashvili, Eristavi, and Tsereteli.

Agent Network – *Sakcheka* actively employed an agent network against the partisans, including efforts to recruit partisans and use other forms of covert operations. It is noteworthy that alongside the escalation of the fight against the partisans, the heads of the special services increasingly demanded special funding from the government for agent work. Reports sent from local militia chiefs to the central authorities emphasize: *„Let us increase the funds for agent information".*[99]

---

97 National Archives of Georgia, Central Archive of Contemporary History, Repository 285, Inventory 1, Case 8, pp. 26-27. Ibid., Repository 13, Inventory 1, Case 251, p. 24.

98 National Archives of Georgia, Central Archive of Contemporary History, Repository 13, Inventory 1, Case 551, p. 19.

99 National Archives of Georgia, Central Archive of Contemporary History, Repository 285, Case 340, p. 118.

Consequently, in order to expand the agent network and increase the effectiveness of the fight against the partisans, the Soviet government systematically increased these funds, which yielded certain results – agents were successfully infiltrated into many partisan detachments. For example, it is documented that Severian (Tara) Chkhetiani was specifically planted within a detachment and regularly supplied information to the Soviet militia about the activities of Kakutsa Cholokashvili's group.[100] Alexandre Badurashvili, in his memoirs, recalls three provocateurs – Kandelaki, Shashiashvili, and Chavchavadze – who were later revealed to have been assigned by the government to assassinate Kakutsa. The identities of other provocateurs and Cheka agents who were infiltrated into Kakutsa's circle are also known. One such figure was the tailor Chichiko Poiladze, who lived on the Vera Slope in Tbilisi and hosted Kakutsa Cholokashvili during his visits to the city. Another known individual was Roman Kanchaveli, whose agent-supplied information served as the basis for Sakcheka to carry out the liquidation of the partisan Giorgi Gvertsiteli, among others.

The militia had informants in many villages. There is information that Zakro Goidze, a resident of the village of Girevi in the Dusheti district, denounced members of Kakutsa Cholokashvili's detachment – Sasha Sulkhanishvili and Shamil Ikaidze – prompting the militia to pursue them.[101] There is also information that Mikho Begiashvili, a resident of the village of Pshavi, denounced members of Kakutsa Cholokashvili's detachment – Lincho Tsikhistavi and his four comrades – after they inquired about members and sympathizers of the Communist Party in the village.

It should be noted that Soviet organs conducted extensive propaganda efforts aimed at „reconciling" or recruiting partisans. They employed the influence of relatives and families, as well as material incentives. Evidence confirms that these efforts sometimes yielded results. The names of those partisans who could not resist such temptations and „reconciled" with the Soviet authorities are known. For example, in Telavi, Datia Mesakhlishvili,[102] a member of Kakutsa's group, appeared voluntarily and gave a confessional statement to the militia. In Dusheti, someone named Midelashvili surrendered. Many surrendered to the Soviet authorities and expressed repentance following the defeat of the 1924 uprising – actions which were encouraged and subsequently followed by an amnesty.

National ideology stood in opposition to Soviet mass propaganda and agitation. Leaders of the partisan movement aimed to explain to the population the goals and objectives of their struggle, to dispel the ideological pressure spread by the Soviet authorities about them, and to reveal the truth. For this purpose, they even distributed proclamations. One such original proclamation, issued by Kakutsa Cholokashvili in Kakheti in April 1922, has been preserved. It reads: *„Loyal sons of the homeland! The time of judgment for Georgia's enemies is near. They have turned the entire civilized world against themselves. Let us be courageous, steadfast, and brave. Greetings to you and victory to Georgia. April 1922, Kakheti. Kakutsa Cholokashvili"*.[103]

Sudden Clashes – Soviet special services systematically „hunted" partisans. Based on pre-arranged plans and relevant agent-supplied information, they carried out ambushes, raids, encirclements, and local skirmishes. While these encounters rarely resulted in major tactical outcomes, they consistently cost human lives – both among communists and Soviet soldiers. Naturally, such clashes gave the partisans, especially the younger ones, valuable combat experience; but due to the loss of comrades, they also provoked a thirst for revenge and contributed, on both sides, to the intensification of future battles. A whole cascade of such one-time encounters can be traced in the

100 Ibid., Case 652, p. 129.

101 Ibid., Case 652, p. 265.

102 Ibid., Case 652, p. 191.

103 A. Daushvili, K. Tsengulashvili, *There, Death*, p. 18.

activity of many Georgian partisans. The history of Kakutsa Cholokashvili's detachment is particularly rich in such clashes. There is also a report that the Zugdidi-based partisan Aburkania and his four fighters were in Senaki, staying at the home of someone known to harbour „bandits", when they were attacked by Chekists. A shootout ensued, and one militia officer was killed.[104]

Likewise, in Akhaltsikhe on April 4, 1922, at 2:00 PM, the apartment of citizen Nina Zedgenidze was surrounded by militia forces, as they had information that the partisan Khabelashvili was inside. During the ensuing clash, one militia officer was wounded, while the partisan managed to escape.[105] On February 27, 1923, in the Ertso region, partisans stationed there were attacked by a militia *„assault detachment",* which succeeded in capturing the partisans' commander, Tedo Kokozashvili.[106]

From one of the reports by Kvantaliani, head of the Georgian *Cheka*, it becomes clear that the campaign against Kakutsa Cholokashvili intensified particularly at the beginning of 1923, after the defeat of the Khevsureti uprising and the decision to eliminate all remaining centres of rebellion. *Sakcheka* had already long since infiltrated an agent, Chkhetiani, into Kakutsa's detachment. He provided detailed information about the detachment's location, which became the basis for a planned liquidation operation against Kakutsa's group. A clash occurred between the partisans and the militia, during which one partisan, Kakhishvili, was killed, and another, Kandelaki, was wounded. Thirty supporters – „harborers" – of Kakutsa were arrested. *Sakcheka* also succeeded in recruiting another oath-bound member, Kandelaki, who helped identify the precise location of the partisan detachment. At this stage, the overall coordination of the operation against Kakutsa was entrusted to L. Beria. On May 14, 1923, L. Beria arrived in Telavi. Soviet sources from this period referred to the campaign against Kakutsa Cholokashvili as *„Cholokashvilshchina".* The specific task of liquidating Kakutsa's group was assigned to department head Lortkipanidze, with Egiev as operations officer, and an additional staff member named Tsereteli. On May 13, a *Sakcheka* informant – a peasant – reported to the militia that while gathering mushrooms in the forest, he had come across a dugout used by „bandits" – partially excavated into the rock, partially protruding about two arshines above the surface, camouflaged with stones and dry leaves. The concealment was so effective that it remained invisible even from ten paces. During the night of May 13–14, the decision was made to eliminate the partisans. Lortkipanidze, Egiev, *ChON* commander Mamia Eristavi, and agents Tsereteli and Asatiani, accompanied by seven militiamen, departed to carry out the assignment. They arrived at the site at 5:15 a.m. The group split in two to surround the dugout. Upon arrival, they could not locate it. Apparently growing impatient, Eristavi – thinking they had been deceived by the peasant – shouted, *„There's no one here!"* and advanced five more steps toward the dugout. At that moment, gunfire erupted, and a firefight began. During the clash, Asatiani and another militia officer were killed, and Tsereteli was wounded. The partisans managed to escape.[107]

There are numerous such examples, and ultimately they evolved into full-fledged partisan wars.

Partisan Wars – In several regions of Georgia, even prior to the August 1924 uprising, there were serious military confrontations with *Sakcheka*, the *Transcaucasian Cheka*, and regular units of the Red Army. These confrontations were prompted by both objectively created circumstances (such as unexpected popular uprisings, sudden acts of partisan revenge, or pre-emptive operations planned by Soviet security structures). For instance, it is documented that partisans were actively involved in the early phase of the anti-Soviet uprising in Svaneti – on October 28, 1921, during the attack on *„Red*

104 National Archives of Georgia, Central Archive of Contemporary History, Repository 285, Case 237, p. 32.

105 Ibid., p. 134.

106 Ibid., Case 324, p. 3.

107 Repository 285, Case 652, p. 131.

Mulakhi", when simultaneous military clashes took place between partisans and regular units of the Red Army.[108]

Fierce battles took place near Ortskali during the Khevsureti uprising. Soviet units of the Russian Red Army advanced into Khevsureti against the detachment of Kakutsa Cholokashvili stationed there. The partisans took appropriate defensive measures and occupied the heights around Ortskali. The Russians' first attempt to seize this strategically important plateau by force ended in a crushing defeat. In despair, the head of the Sighnaghi Political Department reported to his superiors: *„Every operation aimed at capturing the bandits ends in failure".*[109]

Thus, from the very outset, partisan warfare in Georgia was distinguished by its organization, offensive character, and significant successes. It is known that it was precisely after the Red Army's defeat at Ortskali that Sergo Orjonikidze convened a special meeting, attended by the commander of the Caucasian Red Army, Egorov, along with other high-ranking military officials. At this meeting, a new strategic plan was outlined for operations against the rebellious partisans.

All of these partisan wars, the efforts of the partisan groups, and the vast experience they accumulated in the struggle against the Soviet regime prior to 1924 – along with both the strengths and weaknesses of that struggle – were fully revealed during the August 1924 uprising, which represents one of the most significant, though still underexplored, episodes in the Georgian people's fight for national liberation.

---

[108] A. Daushvili, *The Anti-Soviet Uprising in Svaneti*, *Historical Herald*, 2009–2010, Nos. 79–80, p. 175.

[109] T. Endeladze, *Soviet Power Structures*, p. 137.

ნიკო ჯავახიშვილი

“ქართველ შეფიცულთა რაზმის” ჩეჩნებთან და ინგუშებთან კავშირის ისტორიიდან (1922-1924 წლები)

ქართულ-ჩრდილოკავკასიურ ურთიერთობათა ისტორია სათავეს საუკუნეთა სიღრმიდან იღებს. ხანგრძლივი თანაცხოვრების განმავლობაში ჩვენს ხალხებს შორის იყო როგორც კეთილმეზობლური ურთიერთობები, კერძოდ, სამხედროპოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურულ-სამეცნიერო თანამშრომლობა, ასევე დაპირისპირებაც, ისევე როგორც ნებისმიერ მეზობელ ერთა შორის ხდებოდა.

რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ განახლდა ქართულ-ჩრდილოკავკასიური სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა, რომელიც 1917 წლის მიწურულიდან განსაკუთრებით ინტენსიური გახდა.[110]

1918 წლის 11 მაისს მთიელთა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მის მთავრობას სათავეში ჩაუდგა ჩეჩენი ნავთობმრეწველი აბდულ-მეჯიდი, იგივე თოფა ჩერმოევი (1882-1936) – რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ცხენოსანი ამალის წევრი და ე. წ. „ველური დივიზიის” ყოფილი ოფიცერი. ამ მთავრობის მინისტრებად დაინიშნენ 10 ყუმუხი/კუმიკი და თითო-თითო ინგუში, ლეზგი, ყაბარდოელი და ოსი (მუსლიმი). მიუხედავად იმისა, რომ ეს მთავრობა თავის კუთვნილ სივრცედ სრულიად ჩრდილო კავკასიის ტერიტორიას მიიჩნევდა, მთიელთა რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სტრუქტურები რეალურად მხოლოდ ჩეჩნეთსა და დაღესტანში ფუნქციონირებდნენ.

1918 წლის 26 მაისს შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რასაც ორიოდე დღეში აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების შექმნაც მოჰყვა. ასე რომ 1918 წლის გაზაფხულის მიწურულს, კავკასიის რეგიონის უდიდესი ნაწილი რუსეთისაგან ჩამოცილებული აღმოჩნდა. იმხანად რუსეთში მძვინვარებდა სამოქალაქო ომი, რომელმაც ყოფილი იმპერიის სხვა ტერიტორიებთან ერთად, ჩრდილო კავკასიის ნაწილიც მოიცვა. კავკასიის ხელში ჩაგდებას რუსი ბოლშევიკებიც და თეთრგვარდიელებიც მონდომებით ცდილობდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მთიელთა რესპუბლიკას, რომელსაც მოკავშირედ მიიჩნევდა. ამის მაჩვენებელია როგორც საარქივო დოკუმენტები,[111] ასევე, გამოკვლევები.[112]

მთიელთა რესპუბლიკა გენერალ ანტონ დენიკინის სარდლობით მოქმედი ე. წ. „მოხალისეთა არმიის” მსხვერპლი გახდა. თუმცა ეს არმიაც მალევე დაამარცხა რუსეთის რფსრ-ის წითელმა არმიამ. მხოლოდ ამის შემდეგ, 1920 წლის გაზაფხულზე დენიკინმა ჩრდილოკავკასიელებს შესთავაზა, რომ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ერთად ებრძოლათ,[113] რაც უკვე დაგვია-

110 Н. Джавахишвили, Борьба за свободу Кавказа (Из истории военно-политического сотрудничества грузин и северокавказцев в первой половине XX века) (Тбилиси, 2005), 10-15.

111 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1861, აღწერა 1, საქმე 655; ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 13; ფონდი 1969, აღწერა 2, საქმე 34; ფონდი 2037, აღწერა 1, საქმე 7.

112 კ. ცერცვაძე, მ. ბახტაძე, *საქართველო და ეთიანი კავკასია (1918-1921 წლების საარქივო დოკუმენტები)* (თბილისი, 2000); მ ა თ ი ვ ე, დოკუმენტები საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ურთიერთობების შესახებ 1918-1921 წლებში (თბილისი, 2000); მ ა თ ი ვ ე, *ჰამდენიმე დოკუმენტი საქართველო-ჩრდილო კავკასიას შორის არსებული სასაზღვრო ხეჟიმის შესახებ 1918-1921 წლებში* (თბილისი, 2000); მ ა თ ი ვ ე, *მოხსენებითი ბარათი ავარიის მხარის საქართველოსთან შეერთების შესახებ* (თბილისი, 2000); Г. Анчабадзе, *Вайнахи (чеченцы и ингуши)* (Тбилиси, 2002); Н. Джавахишвили, *Борьба за свободу Кавказа (Из истории военно-политического сотрудничества грузин и северокавказцев в первой половине XX века)* (Тбилиси, 2005).

113 В. Г. Джабаги, „Из истории провозглашения независимости Республики Северного Кавказа”, *«Свободный Кавказ»,* Орган Кавказской национально-демократической мысли, № 5 (20) (Мюнхен, 1953).

ნებული აღმოჩნდა. დენიკინელთა განდევნის შემდეგ, ჩრდილო კავკასია დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა, რის შემდეგაც, იგი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჩრდილოეთიდან მთლიან პერიმეტრზე გაუმეზობლდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გენერალი გიორგი კვინიტაძე (1874-1970) იგონებდა, რომ 1920 წლის გაზაფხულზე „ბოლშევიკებმა ჩრდილო კავკასია და დაღესტანი დაიკავეს. ამიტომ, ჩვენი სასაზღვრო ნაწილები შავი ზღვის სანაპიროსა და დარიალის ხეობაში მათ უშუალოდ ემიჯნებოდნენ."[1]

მისივე შეფასებით, განსხვავებით აზერბაიჯანისაგან, რომელიც წითელმა არმიამ ფაქტობრივად უომრად დაიკავა, ჩრდილო კავკასიის დაპყრობისას ბოლშევიკები საკმაოდ მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წააწყდნენ.[2]

ჩრდილო კავკასიის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ოკუპაციის შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალ-მარტში დაიპყრო კავკასიაში დარჩენილი უკანასკნელი დამოუკიდებელი ქვეყანა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

მიუხედავად ამისა, იარაღით თავსმოხვეულ საბჭოთა რეჟიმს ქართველი ერის ღირსეული ნაწილი არ შეგუებია. ამას მოწმობს სახალხო აჯანყებები, რომლებმაც იფეთქა ჯერ მთიან რეგიონებში – სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა (1921-1922) და ფშავ-ხევსურეთში (1922), ხოლო შემდეგ – სრულიად საქართველოში (1924).

საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლმა ქართველებმა განაახლეს თანამშრომლობა ჩრდილოკავკასიელებთან, რომლებიც მათ საიმედო მოკავშირეებად ეგულებოდნენ. ვინაიდან ქართველი ემიგრანტები კავკასიის ხალხთა ერთიანი ანტიბოლშევიკური ცენტრის შექმნას ცდილობდნენ, ამ მიმართულებით მუშაობა წარმოებდა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, სადაც ქართულ-ჩრდილოკავკასიური თანამშრომლობა აქტიურად ვითარდებოდა.[3]

* * *

1921 წლის მარტში, ბათუმში თავმოყრილმა ქართველმა მამულიშვილებმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერ სპირიდონ კედიას ხელმძღვანელობით მოლაპარაკება გამართეს. მასში სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ იასონ ლორთქიფანიძე (სახელმწიფო ბანკის ხელმძღვანელი) და დავით მიქელაძე. სხდომაზე გადაწყდა, რომ საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყება მოემზადებინათ. სახალხო აჯანყების სამხედრო ხელმძღვანელობა მათ ქაქუცა, იმავე ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს (1888-1930) შესთავაზეს. იმავე შეხვედრისას მოილაპარაკეს, რომ ქართული არმიის ყოფილი ოფიცრები დროებით უნდა შესულიყვნენ საქართველოს წითელ არმიაში, რათა მაღალი სამეთაურო პოსტები დაეკავებინათ, ხოლო საჭირო მომენტში იარაღი საძულველი საოკუპაციო რეჟიმისათვის შეებრუნებინათ.[4]

კავალერიის პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლოყაშვილი – ღირსეული მამულიშვილი და სიმამაცით განთქმული მხედარი, ქართველი თავადაზნაურობის ზედაფენას განეკუთვნებოდა. მის გვარს კახეთის სათავადო საგვარეულოთა შორის ტრადიციულად უპირველესი ადგილი

---

1 გ. კვინიტაძე, *მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921,* ტ. I (თბილისი, 1998), 192.

2 იქვე, 199.

3 N. Javakhishvili, „From the history of cooperation among the Caucasian political Emigres: 1921 – the early 1940 S.", *«The Caucasus and globalization»,* Journal of Social, Political and Economic Studies, Institute of strategic studies of the Caucasus, CA&CC Press, Sweden, volume 3, issue 4, 2009, 145-151; Н. Джавахишвили, «Из истории политического сотрудничества кавказских эмигрантов (в период с 1921-го до начала 1940-х годов)», *«Кавказ и глобализация»,* журнал социально-политических и экономических исследований, Институт стратегических исследований Кавказа, CA&CC Press, Швеция, том 3, выпуск 4, 2009, 169-176.

4 მ. ქავთარაძე, „სპირიდონ კედია", ჟურნალი *„ივერია",* № 22 (პარიზი, 1979).

ეკავა.[5] საისტორიო წყაროებში ჩოლოყაშვილები XV საუკუნიდან იხსენიებიან. მათი ასულები არაერთხელ გახდნენ დედოფლები. მათ შორის იყვნენ: კახეთის მეფე ალექსანდრე I-ის (მეფობდა 1476-1511 წლებში) მეუღლე ანა გარსევანის ასული ჩოლოყაშვილი, კახეთის მეფე გიორგი II-ის (მეფობდა 1511-1513 წლებში) მეუღლე ელენე ჩოლოყაშვილი, ნათესავი გარსევან ჩოლოყაშვილისა, ქართლისა (1688-1703 წლებში) და შემდეგ კახეთის მეფის (1703-1709 წლებში) ერეკლე I-ის მეუღლე ანა შერმაზანის ასული ჩოლოყაშვილი.[6]

ჩოლოყაშვილნი იყვნენ: სახლთუხუცესები, მდივანბეგები, ეშიკაღასბაშები, ბოქაულთუხუცესები, სუფრაჯები, ამილახვრები, ნაზირები, უზბაშები, მეითრები და სხვ. მათ მინდობილი ჰქონდათ თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოურავობა. ვინაიდან მათი საგვარეულო მამულების ნაწილი მდებარეობდა თანამედროვე ახმეტისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებში შემავალ სოფლებში: მატანში, თიანეთში, ჩაბანოში, ჩეკურში, სვიამონიანკარში, ლალისყურში, ახმეტაში, ბახტრიონში, მარილისში, და სხვ. აღნიშნული ადგილიდან კახეთის მთიანეთის გაკონტროლებას ისინი იოლად ახერხებდნენ. მათ მამულები ჰქონდათ გარეკახეთის ტერიტორიაზეც, კერძოდ, თანამედროვე საგარეჯოს და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში შემავალ სოფლებში: მარტყოფში, საცხენისში, უჯარმაში, ხაშმში, ყარაბულახში, პალდოში, სართიჭალაში, ასევე, ორხევსა და სამგორში, რომლებიც ამჟამად თბილისის შემადგენლობაშია და სხვ. ისინი იყვნენ თიანეთის, ჭიაურისა და საგარეჯოს მოურავები და სხვ.[7]

ამ გვარის გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ: გარსევან ჩოლოყაშვილი, რომელმაც გადაარჩინა და კახეთში გაამეფა „ავ-გიორგის" სახელით ცნობილი გიორგი II-ის ვაჟი ლევანი, მომავალში მეფე; ბახტრიონის აჯანყების (1660) ერთ-ერთი მეთაური ბიძინა ჩოლოყაშვილი, რომელიც მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა და წმინდანად შერაცხეს; თეიმურაზ I-ის ელჩი რომის პაპის კარზე, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღოლი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, „ნიკიფორე ირბახად" წოდებული, რომელმაც სტეფანე პაოლონისთან ერთად შეადგინა 1629 წელს რომში დასტამბული ქართულ-იტალიური ლექსიკონი და სხვ.

სპირიდონ კედიას მოგონებაზე დაყრდნობით, ემიგრანტი ეროვნულ-დემოკრატი მიხეილ ქავთარაძე (1906-2008) იხსენებდა: „არჩევანი რომ სწორედ ქაქუცაზე შეჩერდა, ამას თავისი ლოგიკური საფუძველი ჰქონდა. ასეთი რაზმის ბუდე სწორედ კახეთი უნდა ყოფილიყო. ჯერ მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. კახეთი ტფილისსაც აკრავს, საქართველოს მთიანეთს – თუშ-ფშავ-ხევსურეთსაც და დაღესტანსაც. მხოლოდ კახეთიდან შეიძლება ერთსა და იმავე დროს მოქმედება დარიალისა და დარუბანდის ჩასაკეტად. კახეთი ის პროვინციაა, რომელსაც აჯანყებათა ყველაზე დიდი ტრადიცია აქვს. ხშირი ტყეები და დოვლათიანი მხარე მეომარ-პატრიოტულად განწყობილი მოსახლეობით, აგრეთვე საუკეთესო პირობებია პარტიზანული რაზმისათვის თავის შესანახად. მაშასადამე, რაზმის უფროსიც კახელი უნდა ყოფილიყო. მარტო ეს პირობები არ კმაროდა. რაზმის უფროსი ოფიცერიც უნდა ყოფილიყო, რადგან პარტიზანულ მოქმედებათა გარდა, შემდეგში გაზრდილ რაზმს წმინდა სამხედრო-საომარი ამოცანებიც დაეკისრებოდა. ამასთანავე, ეს ოფიცერი ხალხთან დაახლოვებული კაციც უნდა ყოფილიყო და არა თავის კასტაში ჩაკეტილი, ხალხისაგან მოწყვეტილი ინტელიგენტი შტაბის ოფიცერი. ყველა ამ პირობათა დამაკმაყოფილებელი კანდიდატი ათობით

---

5 ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, წგნ.: „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი IV (თბილისი, 1973), 35; ი. ბაგრატიონი, *შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა (მასალა ისტორიისათვის)*, რედაქტორი და გამომცემელი ზ. კაცელაშვილი (თბილისი, 1997), 39.

6 დ. ჯავახიშვილი, *ბაგრატიონთა კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარება (XV-XXI საუკუნეები)* (თბილისი, 2020), 54-57.

7 რ. თოფჩიშვილი, *საქართველოს თავადაზნაურთა გვარების ისტორია*, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა (თბილისი, 2021), 421-423.

არ იქნებოდა. ს. კედიამ ჩვენს წრეში მგონი მხოლოდ ერთხელ ილაპარაკა ამ საკითხზე და ისიც ძლიერ ძუნწად – იგი საკუთარი როლის ხაზგასმას ერიდებოდა. მაშინდელი მისი სიტყვებიდან ის შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ სხვა კანდიდატიც ყოფილა, მაგრამ ზემოთ მოყვანილ პირობებს გადაუწყვეტია საკითხი". აქ მოტანილი ცნობები ს. კედიას ნაამბობის შინაარსის მეხსიერებაში შემორჩენილი გადმოცემა არის, მაგრამ აი სიტყვასიტყვით გადმოცემული მისი თქმა ქაქუცას შესახებ: როგორც ტყე წარმოშობს ხეს, მაგრამ ხეები ქმნიან ტყეს, ისე ქაქუცა წარმოშვა იმ გმირულმა ეპოქამ, რომელიც ჩვენს დამარცხებას მოჰყვა, მაგრამ ამ ეპოქის შემქმნელიც არისო. და კიდევ ერთი მაშინ ნათქვამი ფრაზა: **„ქართველი კაცის ყურისათვის ქაქუცას ჩოლოყაშვილობაც კმაროდა – ლეგენდას უკვე გვარი ჰქმნიდაო"**.[8]

სპირიდონ კედიას მეუღლე სოფიო ჩიჯავაძე-კედია ასე იგონებდა 1921 წლის შემოდგომაზე, სოფელ კონდოლში (ამჟამად – თელავის მუნიციპალიტეტი) მომხდარ ფაქტს: „ორმა ახალგაზრდამ ცხენები შემოაჭენა. ერთი მათგანი იყო ქართული გიმნაზიის ჩემი ყოფილი მოწაფე შალიკო ფალავანდიშვილი, მეორე კი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომლის სიდედრი ავალიშვილის ქალი იყო და მისი ძმა ავალო, რომელთანაც ქაქუცა მოსულიყო, ჩვენი ზვრის მახლობლად ცხოვრობდა... სპირიდონი ავალოსთან წაიყვანეს. თურმე იქ სხვებიც ყოფილან და მამას ელოდებოდნენ, როგორც მაგალითად ექიმი კოლა ჯანდიერი და სხვებიც... ჯერ კიდევ კისისხევში ვიყავით, რომ სპირიდონის სანახავად ქაქუცა მოვიდა... საშინლად გამიკვირდა ამ დარდიმანდი, მოქეიფე ყმაწვილის ასეთ მოკლე ხანში ეს მეორედ მოსვლა. ვენახში შევიდნენ ორნი. ცოტა ხანს კიდევ დარჩა და როდესაც ცხენზე ჯდებოდა, ქაქუცას ნათქვამი მომესმა: „ორ-სამ დღეში სწორედ ამ დროს გეახლებითო". გაოცებულმა ვკითხე სპირიდონს: „... სპირიდონ, რა გაქვს საერთო ამ ყმაწვილთან?" ამაზედ პასუხი იყო: „შენ არ იცნობ სონა მაგ ახალგაზრდას. ძალიან სანდო და ყოჩაღიაო". ეს კია, რომ თავისი სიტყვა ზედმიწევნით შეასრულა და ცხენი მესამე დღეს ჩვენს ეზოში შემოაქროლა... მისი ვაჟკაცობა I მსოფლიო ომში ცნობილი იყო. მკლავში მძიმედ დაჭრილი თურმე კვლავ განაგრძობდა ომს... აქებდნენ მის რაინდობას, ამავე დროს, მის გულახდილობას და თავმდაბლობას. ყველასათვის საყვარელ ადამიანად იყო მიჩნეული ეს გულმხურვალე ყმაწვილი".[9]

ზემოთქმულის შედეგად, ქაქუცას ორგანიზებით მალულად დაიწყო პარტიზანული რაზმის ჩამოყალიბება, რომელსაც შემდგომში „ქართველ შეფიცულთა რაზმი" ეწოდა.

1922 წლის 12 მარტს, პარტიზანული რაზმის ბირთვი, რომელიც 12 მებრძოლისაგან შედგებოდა, ქაქუცას მეთაურობით ტყეში გავიდა. დროთა განმავლობაში მათ ასზე მეტი ქართველი და ქისტი მებრძოლი შეუერთდა. აქვე განვმარტავთ, რომ ქართულ ენაში „ქისტებად" ტრადიციულად მოიხსენიებიან ჩეჩნები და ინგუშები, რომელთა გამაერთიანებელ სახელწოდებად ასევე იყენებენ ტერმინს „ვაინახი/ვეინახი".

წარმოვადგენთ ქაქუცას ხელმძღვანელობით მოქმედ შეფიცულთა რაზმის სიას, რომელიც სრული სახით დღემდე არავის დაუდგენია. რაზმის წევრებს ჩამოვთვლით ანბანურად, გვარ-სახელებით, სახელებით ანდა მეტსახელებით, ხოლო პანკისელ ქისტებს კურსივით გამოვყოფთ:

1) ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო/ქაქუცა – რაზმის მეთაური;
2) ალხანაშვილი ჰაასა (ქ ი ს ტ ი).
3) ანდალაშვილი არსენა (ქ ი ს ტ ი).
4) ანდალაშვილი ზაქრო, იგივე „ზაქარა" (ქ ი ს ტ ი).
5) ანდალაშვილი ექა/უქო (ქ ი ს ტ ი).
6) ანდალაშვილი მოსე (ქ ი ს ტ ი).
7) არაბული გიგია ადიას ძე.

[8] მ. ქავთარაძე, „სპირიდონ კედია", ჟურნალი *„ივერია"*, № 22 (პარიზი, 1979).

[9] ს. ჩიჯავაძე-კედია, *ნასმენ-სახუღი,* (პარიზი, 2002), 330-333.

8) არაბული გიგია ბიძურას ძე.
9) არაბული მიხა/მიხეილი.
10) არაბული ხვთისო.
11) აჭიშვილი ჰასეი (ქ ი ს ტ ი).
12) ბადურაშვილი ალექსანდრე/”ბადურა”.
13) ბადურაშვილი შაქრო.
14) ბაკურაძე (სახელი უცნობია).
15) ბალიაური თომა.
16) ბალიაშვილი მიხეილი/მიხა.
17) ბაღაკაშვილი ბეისარ (ქ ი ს ტ ი).
18) ბაღაკაშვილი ჯანო (ქ ი ს ტ ი).
19) ბექაური თომა.
20) ბორჩაშვილი იდა (ქ ი ს ტ ი).
21) ბორჩაშვილი თიჩიი (ქ ი ს ტ ი).
22) ბორჩაშვილი ლიეგეი (ქ ი ს ტ ი).
23) ბორჩაშვილი ფილიპე (ქ ი ს ტ ი).
24) ბორჩაშვილი შიო (ქ ი ს ტ ი).
25) გაურგაშვილი აბესალია (ქ ი ს ტ ი).
26) გაურგაშვილი მათე (ქ ი ს ტ ი).
27) გაურგაშვილი წოვენარგ (ქ ი ს ტ ი).
28) გვერდწითელი გიორგი.
29) გიგაური აბიკა.
30) გოგოჭური ალეკა.
31) გოგოჭური ლევანი.
32) გოგოჭური ჯოყოლა.
33) გორნაკაშვილი უსუფ (ქ ი ს ტ ი).
34) დუიშვილი აბდულა (ქ ი ს ტ ი).
35) დუიშვილი ჩონქარა (ქ ი ს ტ ი).
36) დუშელი გიორგი/”კურდღელა”.
37) ერისთავი რაფიელი (არაგვის).
38) ვაჩნაძე არჩილი.
39) ვაჩნაძე ელიზბარი.
40) ვაჩნაძე ივანე.
41) თამაზაშვილი ვასილი/ვასო.
42) თურქოშვილი მაზი (ქ ი ს ტ ი).
43) იაშვილი ილარიონი/ილიკო/”ინგილო”.
44) იმედაშვილი ქოსა (ქ ი ს ტ ი).
45) იქაიძე შამილი/”თუში”.
46) კანდელაკი შალვა.
47) კარგარეთელი ალექსანდრე.
48) კახაშვილი იოსები.
49) კახუაშვილი ბაღდუა.
50) კვალიაშვილი ლუა.
51) კოხტაშვილი (სახელი უცნობია).
52) “კუნა” (ქ ი ს ტ ი).
53) კუშტანაშვილი ნიკო (ქ ი ს ტ ი).

54) ლაშქარაშვილი მიხეილი/მიშა.
55) ლოსაბერიძე იოსები/სოსო.
56) მაისურაძე მალაქია.
57) მაისურაძე სერგო.
58) მაყაშვილი ელიზბარი.
59) მაჰმადა (ქ ი ს ტ ი).
60) მოლაშვილი (სახელი უცნობია).
61) მუთოშვილი ბათირა (ქ ი ს ტ ი).
62) მუთოშვილი მიხაკო (ქ ი ს ტ ი).
63) ნაცვლიშვილი მიხეილი.
64) ნაროზაული ბაია.
65) ნებიერიძე შალვა.
66) ოზანელი ლადო.
67) ოზიაშვილი გაბო.
68) პავლიაშვილი გოლა.
69) რაზმაძე ნიკოლოზი/კოლა.
70) სულხანიშვილი ალექსანდრე/საშა, იგივე „ყურბანა".
71) ტოხოსაშვილი ხაცე/ხაძა (ქ ი ს ტ ი).
72) ფავლენიშვილი შალვა.
73) ფარეულიძე დავით/დათიკო (ქ ი ს ტ ი).
74) ფარეულიძე ლევანი/"ლევანაა" (ქ ი ს ტ ი).
75) ფარეულიძე ღანიშა (ქ ი ს ტ ი).
76) ფეიქრიშვილი ალექსი/"ბათირა".
77) ქათარაშვილი ლაზარე (ქ ი ს ტ ი).
78) ქავთარაშვილი სიკო (ქ ი ს ტ ი).
79) ქავთარაძე როსტომი/"თუში".
80) ქარუმიძე ილია.
81) ქეთელაური მამუკა.
82) "ქერიმაა" (ქ ი ს ტ ი).
83) ქიზიყელი ქარუმა (გვარი უცნობია).
84) "ქიმბარი" (გვარი უცნობია).
85) ღანიშაშვილი ბააცეი (ქ ი ს ტ ი).
86) ყანჩაველი რომანი.
87) ყარანგოზიშვილი ივანე/"ვანიჩკა".
88) ყიფიანი სვიმონი.
89) შაშვიაშვილი (სახელი უცნობია).
90) ჩითინაშვილი სტეფანე/სტეპკო.
91) "ჩირაა" (ქ ი ს ტ ი).
92) ჩიქოვანი ლევანი/ლელო.
93) ჩოლოყაშვილი დავითი.
94) ჩოლოყაშვილი კონსტანტინე/კოტე.
95) ჩოლოყაშვილი ნიკო.
96) ჩოლოყაშვილი სვიმონი.
97) ჩოფანაშვილი აბდულა (ქ ი ს ტ ი).
98) ჩოფანაშვილი მაზი (ქ ი ს ტ ი).
99) ჩხეტიანი ტარასი.

100) ცათიაშვილი ბათაყა (ქ ი ს ტ ი).
101) ცათიაშვილი ქილაი (ქ ი ს ტ ი).
102) ცისკარაული დიმიტრი.
103) ციხისთავი ლონგინოზი/ლონგო/"ძია".
104) ცხვედაძე ალექსანდრე.
105) წიკლაური დიმიტრი/მიტო.
106) წიკლაური უშიშა.
107) წინწალაშვილი დიმიტრი/მიტო (ქ ი ს ტ ი).
108) ჭინჭარაული ბიძურა.
109) ჭინჭარაული დავითი.
110) ჭინჭარაული მიხეილი/მიხა.
111) ხელაშვილი მიხეილი/მიხა.
112) ხმალაძე დიმიტრი/მიტო.
113) ჯავახიშვილი ლევანი.
114) ჯავრიშვილი ლევანი.
115) ჯავრიშვილი შალვა.
116) ჯამასპიშვილი (სახელი უცნობია).
117) ჯორჯაძე დიმიტრი/მიტო.

აქვე დავსძენთ, რომ ინფორმაცია „ქართველ შეფიცულთა რაზმის" ზემოხსენებულ წევრთა შესახებ დაცულია როგორც არქივში, ასევე, შეფიცულთა მოგონებებსა და სამეცნიერო გამოკვლევებში.[10] მათი ერთად თავმოყრა პირველად წინამდებარე გამოკვლევაში მოხდა. ამის მიუხედავად, მათ მოძიებას მომავალშიც განვაგრძობთ.

აქვე მინდა მადლიერებით გავიხსენო პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს წევრი ხასო მახამღაზის ძე ხანგოშვილი (1943-2023), რომელიც ქისტ შეფიცულთა მეტსახელების გაშიფვრასა და მათი სიის დადგენაში დაგვეხმარა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში სახალხო გვარდიაში მსახურობდნენ პანკისელი ქისტები: აბდულა დუიშვილი, ბეისარ ბაღაკაშვილი და წოვენარგ გაურგაშვილი – დუისიდან; ჰასეი აჭიშვილი – სოფელ ჯოყოლოდან; უსუფ გორნაკაშვილი, ზაქრო ანდალაშვილი, დავით და როსტომ ფარეულიძეები – ომალოდან; ბათაყა და ქილაი ცათიაშვილები – ხალაწნიდან და სხვები. საბჭოთა რუსეთის ჯარის მიერ საქართველოს ოკუპაციის მიუხედავად, მათ იარაღი არ დაუყრიათ და აბრაგად გავიდნენ. მათი უმეტესობა კარგად იცნობდა პანკისის ხეობის მეზობლად მდებარე სოფელ მატანში დაბადებულ და აღზრდილ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს და მის მიერ შექმნილ „ქართველ შეფიცულთა რაზმს" შეუერთდა.[11]

ასე, რომ როგორც ჩვენი კვლევა-ძიებით დადგინდა, „ქართველ შეფიცულთა რაზმში" სხვადასხვა დროს შედიოდა 120-მდე მებრძოლი, რომელთა მესამედი (40 მეომარი) – პანკისელი ქისტი იყო.

---

10 ა. სულხანიშვილი, *ჩემი მოგონებები შეფიცულთა ჩაზმზე (1922-1924)* (სან-ფრანცისკო, 1981); მ. ქავთარაძე, ელიზბარ ვაჩნაძის მოგონებანი, ჟურნალი *„ივერია"*, № 20 (პარიზი, 1978); ი. ლიქოკელი, *ხევსუხები და ქაქუცა*, (თბილისი, 2006), 46; ხ. ხანგოშვილი, *ქისტები* (თბილისი, 2005), 443-444; საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 600, აღწერა 2, საქმე 21, ფურც. 29; Н. Джавахишвили, Борьба за свободу Кавказа (Из истории военно-политического сотрудничества грузин и северокавказцев *в первой половине XX века)* (Тбилиси, 2005), 46; ქისტები, 100 ამბავი, ავტორ-შემდგენელი ხასო ხანგოშვილი (თბილისი, 2020), 130; მ. ხანგოშვილი, *ქისტები, ჰომღებმაც შექმნეს პანკისის ხეობის ისტორია* (თბილისი, 2024), 59-69.

11 მ. ხანგოშვილი, *ქისტები, ჰომღებმაც შექმნეს პანკისის ხეობის ისტორია* (თბილისი, 2024), 59-69.

პანკისელ ქისტებთან ქაქუცას სიახლოვეზე მეტყველებს მისი ქისტი შეფიცულის უსუფ გორნაკაშვილის ერთი მოგონებაც, რომელიც შემოუნახავს მის ძმისწულს ვისერგი გორნაკაშვილს: „ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით ასულა ომალოში და ტყეში დაბანაკებულა. მათ კვებას და ჩაცმა-დახურვას ორგანიზებას უწევდა დათიკო ფარეულიძე, ერთ-ერთი გამორჩეული ვაჟკაცი ქისტებში... ქაქუცას აზიაცკები ეცვა და სიარული უჭირდა. მისთვის დათიკოს შეუთავაზებია: „ქალამნებს მოგიწნავო", რაზედაც ქაქუცას უპასუხია: „ერთი ბრმა ტყვია რომ მომხვდეს და გამაგორონ, ჩემს გვამს ქალამნებიანს ვერ ვათრევინებო, სახელს ვერ შევარცხვენინებოო. დათიკოს ჰყავდა ალალი დედის ძმისშვილები აბდულა და მაზი ჩოფანაშვილები, რომლებსაც საგზალი აჰქონდათ ქაქუცას რაზმისათვის ტყეში".[12]

არსებობს ცნობა, რომ პანკისის ხეობაში ერთ-ერთი სტუმრობისას, ქაქუცა ჩოლოყაშვილს თვალი მოუკრავს ერთი მშვენიერი ქისტი ქალიშვილისათვის, რომელიც იმდენად მოსწონებია, რომ მისი ცოლად მოყვანა მოუნდომებია. ქაქუცას მიმართ არც ქისტი ასული ყოფილა გულგრილი, მაგრამ მის მორწმუნე მუსლიმ მშობლებს თავიანთი ასულის ქრისტიანზე გათხოვებისაგან თავი შეუკავებიათ.

პანკისელი ნათელა ცათიაშვილი იგონებდა: „ბებიაჩემისაგან გამიგონია, რომ მათ ოჯახთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ერთ ლამაზ, ჭკვიან, მოხდენილ, კულტურულ და განათლებულ ქართველ თავადს, წარმოშობით მატნელ ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილს... ბებიას საგულდაგულოდ ჰქონდა შენახული ხის ორნამენტიანი ჭურჭელი, რომელიც მისთვის ქაქუცას ოჯახს უსახსოვრებია... ჩოლოყაშვილს ფიც-ვერცხლით და-ძმობა ჰქონია შეფიცული ხაზო ბაღაკაშვილთან. ქაქუცა და მისი და-ძმები ბეისარა და ჯანო ბაღაკაშვილების ხშირი სტუმრები ყოფილან. ქაქუცას ულამაზესი ქისტის ქალი დეში მარგოშვილი შეჰყვარებია, მაგრამ სხვადასხვა აღმსარებლობის გამო, ქალის მშობლები მათ ქორწინებას არ დასთანხმებიან. შემდეგ კი, როცა ქაქუცამ სხვა ქალთან გადაწყვიტა ოჯახის შექმნა, მომავალი მეუღლის სანახავად ფაეტონით თან წაუყვანია თავისი დადნაფიცი ხაზო და მისი ბიძაშვილი ძააძი ბაღაკაშვილი – ბებიაჩემი. სხვა ახლობელ ქისტებთან ერთად ქაქუცას ისინი ნიშნობასა და ქორწილშიც გვერდით ჰყოლია. ბებიაჩემის თქმით, ქაქუცა თავისი ცოლ-შვილით თითქმის ყოველ შაბათ-კვირას სტუმრობდა მათ ოჯახს, მოჰქონდათ საჩუქრები და ისინიც, თავის მხრივ, დიდი სიყვარულით და პატივისცემით ხვდებოდნენ, ისე, როგორც ოჯახის წევრს. კლავდნენ საკლავს, იმართებოდა ლხინი, ცეკვა-თამაში... ქაქუცას მიერ საჩუქრად მიტანილი ნივთები ბაღაკაშვილის შთამომავლებისათვის დღესაც ოჯახის ძვირფას რელიქვიად ითვლება".[13]

1923 წლის მაისის დასაწყისში, საქართველოს სსრ-ის მილიციის თელავის მაზრის განყოფილებისათვის ცნობილი გახდა, რომ „ქართველ შეფიცულთა რაზმში" შედიოდნენ შემდეგი სახელის, ანდა მეტსახელის მქონე პანკისელი ქისტები, რომელთა გვარებიც დღემდე უცნობი იყო: „ქოსა", „დათიკო", ლევანა (ფარეულიძე), „ზაქარა", „უქო", „კუნა", „ჩირა", „მაჰმადა" და სხვ.[14]

ჩვენი ვარაუდით, ზემოხსენებული ქისტი „ქოსა" უნდა ყოფილიყო ქოსა იმედაშვილი, „დათიკო" – დათიკო ფარეულიძე, „ლევანა" – ლევან ფარეულიძე, „ზაქარა" – ზაქარია ანდალაშვილი, ხოლო „უქო" – ექა ანდალაშვილი.

სამწუხაროდ, საბჭოთა რეჟიმმა მოახერხა, რომ შეფიცულთა შორის თავისი აგენტები ჩაენერგა. ასეთთა შორის იყვნენ, მაგალითად, ტარასი ჩხეტიანი[15] და შაშვიაშვილი.[16]

---

12 იქვე, 65.

13 იქვე, 66.

14 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 600, აღწერა 2, საქმე 21, ფურც. 29.

15 ა. სულხანიშვილი, *ჩემი მოგონებები შეფიცულთა ხაზმზე (1922-1924)* (სან-ფრანცისკო, 1981), 100-101.

16 იქვე, 103-105.

ზოგიერთი შეფიცული შეშინდა და ნებაყოფლობით ჩაბარდა ხელისუფლებას, როგორც ეს რომან ყანჩაველმა ჩაიდინა.[17]

შეფიცულთა ნაწილი „ჩეკა"-ში წამების შედეგად გადაიბირეს. ასე დაემართა მაგალითად ქისტ ქერიმას, რომელიც შეფიცულებმა ამხილეს და როგორც მოღალატე, სიკვდილით დასაჯეს.[18]

აქვე დავამატებთ, რომ უკვე გამომჟღავნებული აგენტი ტარასი ჩხეტიანი, რომელიც საბჭოთა მილიციის რაზმთან ერთად სდევნიდა შეფიცულებს, ამ უკანასკნელებმა ალყაში მოაქციეს და მოკლეს.[19]

შეფიცულთა თავდაპირველ ბაზად იქცა ალვანთან მდებარე ტყე და პანკისის ხეობა, რომელიც კახეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. საერთოდ კი რაზმის ძირითად ადგილსამყოფელს თელავის მაზრის ტერიტორია წარმოადგენდა.

ივანე ლიქოკელის ცნობით, „ცივ-გომბორის ზონის მთის კალთებზე გაბნეული მთიელების – თუშების, ქისტების, ფშავლების, ხევსურების სოფლების ახლომდებარე ტყეები მოსახერხებელი იყო თავდაცვის (ტყიანი მთა-გორაკები), სურსათ-სანოვაგის მომარაგების, საიმედო მოკავშირეების (მთიელების – ერთგული პატრიოტების) შემოკრებისა და დანარჩენ კახეთთან და თბილისთან (გომბორის ქედზე მოკლე გზით) მუდმივი კავშირის თვალსაზრისით. რაზმი უშიშროების მიზნით მალ-მალე იცვლიდა დაბანაკების ადგილს და მიემართებოდა გომბორის ქედის კალთების გაყოლებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ".[20]

მარშრუტი ასეთი იყო: ალვანი-პანკისის ხეობა-ახმეტა-აწყური-ბაკანა-აშროშანი-საკევრე-აყუდებული სალებე-ნადიკვარი-თეთრწყლები-კობაძე-პანტიანი-სეროდანი-გომბორი (ამ ქედის სამხრეთ კალთებზე)-შალაური-კისისხევი-წინანდალი. აქედან შეფიცულთა გეზი ქიზიყისაკენ მიემართებოდა.

როგორც ელიზბარ ვაჩნაძე იგონებდა, თბილისიდან კოლაგში ჩასულს შეუტყვია, რომ ქაქუცა თავისი რაზმით „ტყეში გასულა... პანკისის ხეობაში გადასულიყო, სოფელ დუისში (თიანეთის მაზრა)... ამ ადგილიდან ქაქუცამ მთელი რაზმი დაძრა და ქაქუცას სოფლის – მატანის მახლობლად დავბინავდით... გვაცნობეს, რომ ახმეტიდან ჩეკისტების რაზმი დაიძრაო... ქაქუცამ გადაწყვიტა მათი განადგურება. ჩეკისტებმა მართლა გამოიარეს, მაგრამ გადარჩნენ, რადგან ჯგუფად არ გამოუვლიათ და თითო-ოროლა გამვლელში მათი გამოცნობა ვერ შევძელით. ამის შემდეგ გავათავისუფლეთ ადრე დაჭერილი 15 ოსი და ვინაიდან ისინი ყველაფერს უამბობდნენ მთავრობას (და ასეც მოხდა), რაზმი იმ ადგილიდან აიყარა და სოფელ ახმეტასთან მდგარ ეკლესიაში დაბინავდა... ჩეკისტთა რაზმმა საყდრის მიდამოს ალყა შემოარტყა. დაუყოვნებლივ სროლაც დაიწყო. საბედნიეროდ, დათიკო ფარეულიძის ტყვიამ ჩეკისტთა მეთაური მოკლა, რამაც მათში არევ-დარევა შეიტანა. ჩვენ ეს მდგომარეობა გამოვიყენეთ და ალყიდან გავედით ყოველგვარ ზარალის გარეშე".[21]

ივანე ლიქოკელის ცნობით, „რაზმი მცირე ხნით დაბინავდა პანკისში, პატარა ფშაური სოფლის სიახლოვეს, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთა გულთბილი დამოკიდებულებითა და სიახლოვით სარგებლობდა. 1922 წლის აპრილის ბოლოს, აღდგომა დღეს, მათ რაზმელებს მიართვეს მოსაკითხი – სურსათ-სანოვაგე, ზედაშე და მიჰგვარეს ერთი საკლავი (ცხვარი). აი, მაშინ, აღდგომა დღეს, რაზმის წევრმა და მტკიცე მეკავშირე დიმიტრი ცისკარაულმა, რომელიც აქაურ ხევსურთა უხუცესიც იყო, ურყევი ხევსურული რელიგიური ტრადიციით, საკლავითა და

---

17 იქვე, 82-83.

18 იქვე, 33.

19 იქვე, 103.

20 ი. ლიქოკელი, *ხევსუჰები და ქაქუცა* (თბილისი, 2006), 45-46.

21 ელიზბარ ვაჩნაძის მოგონებანი, ჟურნალი *„ივეჰია"*, № 20 (პარიზი, 1978).

ფიც-ვერცხლით აკურთხა რაზმი და ქრისტეს რჯულით დაულოცა მას გამარჯვების გზა. სწორედ ამის გამო ეწოდა... „შეფიცულთა რაზმი".[22]

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართველ შეფიცულებს მალევე შეუერთდნენ ადგილობრივი ქისტები, რომელთა წინაპრებიც პანკისის ხეობაში ჩეჩნეთიდან XIX საუკუნეში ჩამოსახლდნენ. ქისტი შეფიცულები, თავიანთ ქართველ თანაშეფიცულებთან ერთად, თავდადებით იბრძოდნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ,[23] რომელიც ორივე ერისათვის საოკუპაციო რეჟიმად აღიქმებოდა.

"შეფიცულთა რაზმის" წევრი ელიზბარ გიორგის ძე მაყაშვილი (1905-1991) თავის ქისტ თანამებრძოლებს პატივისცემით იგონებდა ემიგრაციაში, საფრანგეთში ყოფნისას, 1982 წლის 14 თებერვალს შექმნილ ლექსში „შორის ქვეყნიდან პანკისის ხეობის მოსახლეობას", რომელშიც ვკითხულობთ:

"მიყვარდა კოხტა პანკისი, ლამაზ ბუნებით შემკული,
მიყვარდა მათი მცხოვრებნი: ქისტი, ფშაველი და თუში,
ქისტების ლაღი ცხოვრება და პურ-მარილი განთქმული,
მათ ვაჟკაცობა, მხნეობა, პირში თქმა, ძმებად ერთგული,
უშიშარ იყვნენ და ბევრმა სამშობლოს თავი შესწირა.
თვალწინ მიდგანან ეხლაც კი – იდა, მიხაკო, ბათირა,
ჯოყოლოს ჭალის შიშინი, ალაზნის ტკბილი დენანი,
ომალოს ვაჟი გმირები: ქოსა, ღანიში, ლევანი,
მიტო, ზაქრო და დათიკო და ბევრნი სხვანი და სხვანი.
მეც მათთან ვიყავ ძმურადა, მიყვარდნენ, როგორც ძმანია.
მიწა მიჩანდა ქალამნად, მაღლა ზეცა კი ქუდათა,
ვსუნთქავდი წმინდა ჰაერით, თავს ვგრძნობდი თავისუფლადა.
ცხოვრებამ სხვა მხრივ ინება – უცხოეთს გადმოვიხვეწე,
დავბერდი, ვერ შევითვისე, უცხო ბუნება, უცხო ზნე.
ალბათ, დღეს აღარ არიან ჩემ მეგობარნი ძველნია,
მაგრამ თქვენ დარჩით ქისტებად, ვით მამა-პაპა თქვენია.
არ დაივიწყოთ ამაგი, მხნეობა მამა-პაპური,
რადგანაც თქვენში ტრიალებს ქისტური სული და გული.
ხანდახან სიზმრად მეჩვენის კოხტა პანკისის ხეობა,
მასში მცხოვრები ქისტები, მათი შნო, მათი მხნეობა.
შორით მოგიძღვნით თქვენ სალამს, თქვენგან შეზრდილი შვილია,
ღმერთსა ვთხოვ, ბევრი გეზარდოთ კვლავ სასახელო გმირია.
მშვიდობით დუის სოფელო, ომალო, ჩემო ჯოყოლო,
და თქვენსა გამარჯვებასა ბოლო არ ჰქონდეს არასდროს!
ამას გწერთ შორის ქვეყნიდან ალაზნის ველის შვილია.
ხანდახან მოიგონიეთ ელიზბარ მაყაშვილია".[24]

"შეფიცულთა რაზმის" საბრძოლო ნათლობა მოხდა 1922 წლის ივნისში, სიღნაღთან, რითაც დაიწყო ამ რაზმის ორწლიანი ბრძოლა საქართველოში გაბატონებულ ბოლშევიკურ რეჟიმთან.

---

22 ი. ლიქოკელი, *ხევსუჩები და ქაქუცა* (თბილისი, 2006), 47.

23 ი. ლიქოკელი, ხევსურები და ქაქუცა (თბილისი, 2006), 46; ხ. ხანგოშვილი, ქისტები (თბილისი, 2005), 443-444.

24 ხ. ხანგოშვილი ხასო, *ქისტები* (თბილისი, 2005), 445-446; მ. ხანგოშვილი, *ქისტები, ჰომღებმაც შექმნეს პანკისის ხეობის ისტოჰია* (თბილისი, 2024), 67-68.

იმავე წლის ზაფხულში, ხევსურეთისაკენ მიმავალ შეფიცულთა 60-კაციან რაზმს, რომელშიც ქართველთა გარდა, პანკისელი ქისტებიც შედიოდნენ, 300-მა ჩეკისტმა ფშავის სოფელ მაღაროსკაროს სკოლასთან ჩასაფრება მოუწყო.

ელიზბარ ვაჩნაძე იგონებდა: „ბელადმა თავისი ძალები სასწრაფოდ გაანაწილა. ხუთი კაცი გალავანში გადაძვრა და მის უკან ამოფარებულ მტერს ათ ნაბიჯზე მიუახლოვდა. რაზმის უმრავლესობა კი მტრის პირისპირ განლაგდა. მე და სერგო მაისურაძე მტრის ზურგში მოსავლელად წავედით... გზაში 12 ჩეკისტს წავაწყდით. მათ ერთი სომეხი კომისარი მეთაურობდა. მას თურმე ნათქვამი ჰქონია ვიდრე თბილისიდან წამოვიდოდა: „ქაქუცას თავს ჩამოვიტანო". ქაქუცასი კი არა, თავისიც ვერ ჩაიტანა... ბრძოლა რვა საათამდე გაგრძელდა. მტერმა სასტიკი დამარცხება იგემა. დაეხოცათ ასამდე კაცი, დანარჩენებმა თავს უშველეს. ტყვედ ჩავიგდეთ 15 ჩეკისტი, რომელნიც უკლებლივ დაიხვრიტნენ... ქაქუცა ტიფით იყო დაავადებული და ორმოცი გრადუსი სიცხე ჰქონდა, მაგრამ ბრძოლას დაწყებიდან ბოლომდე თვითონ უხელმძღვანელა. ამ ბრძოლის შემდეგ ხევსურეთისაკენ დავიძარით... სადაც ქაქუცა დიდის ზეიმით მიიღეს... ავადმყოფი ქაქუცა ხევისბერის სახლში იწვა და იქიდან ხელმძღვანელობდა მომავალ ოპერაციების სამზადისს".[25]

1922 წლის 28 აგვისტოს ხევსურეთში სახალხო აჯანყებამ იფეთქა.[26] გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლები ორწყალთან და ფხიტუს მთაზე, რომელიც ფასანაურიდან ოციოდე კილომეტრში მდებარეობს. საბჭოთა რეჟიმი ცდილობდა, რომ რაც შეიძლება მალე ჩაეხშო ეს აჯანყება და ქაქუცა ჩოლოყაშვილიც მოეკლა, რათა ის ჩეჩნეთში არ გადასულიყო.

როგორც ივანე ლიქოკელი აღნიშნავს: „ბოლშევიკები შიშობდნენ, რომ ჩოლოყაშვილი... ქისტეთში არ გადასულიყო და საბჭოთა ხელისუფლებისათვის კიდევ უფრო გართულებები არ მოემზადებინა თვით ჩრდილო კავკასიაშიც. მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ საამისო ნიადაგს ქ. ჩოლოყაშვილი ამზადებდა ჯერ კიდევ კახეთში ყოფნის დროს იქაური (პანკისის ხეობაში მცხოვრები) ქისტების მეშვეობით. აკი ჰყავდა კიდევაც თავის რაზმში მათი წარმომადგენლები".[27]

იმავე წლის სექტემბრის დასაწყისში ბოლშევიკებმა დახვრიტეს მეტეხის ციხეში მჯდარი „შეფიცულთა რაზმის" მამაცი მებრძოლი, ზემოხსენებული კონსტანტინე დავითის ძე ჩოლოყაშვილი (1898-1922), რომლის ვაჟიც ეთნოლოგი კონსტანტინე/კოტე ჩოლოყაშვილი (1922-2013) გახლდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკურმა რეჟიმმა სისხლში ჩაახშო ხევსურეთის აჯანყება, ქაქუცამ და მისი ხელმძღვანელობით მოქმედმა „შეფიცულთა რაზმმა" იქიდან უვნებლად გამოაღწია.

ჩრდილოკავკასიელებთან კავშირის დამყარებისა და კოორდინირებული მოქმედების მიზნით, მათთან რამდენჯერმე ჩავიდა ქაქუცას წარმომადგენელი ალექსანდრე სულხანიშვილი (1895-1990). მას ახლდა არხოტელი აბიკა გიგაური, რომელიც ჩეჩნურად საუბრობდა. ორივე დელეგატს არაერთი ქისტი ძმადნაფიცი ჰყავდა. ჩეჩენთა რაზმს, რომელიც ხევსურთა დასახმარებლად მოდიოდა, ქაქუცამ შეუთვალა, რომ აღარ ჩამოსულიყვნენ, ვინაიდან აჯანყება უკვე ჩაახშვეს.[28]

ალექსანდრე სულხანიშვილი შეხვდა ჩეჩენ და ინგუშ გავლენიან პიროვნებებს, რომელთაგან გამოირჩეოდნენ ჩეჩენი პოლიტიკური და რელიგიური ლიდერები – ალი ბამათ-გირეის ძე მიტაევი (1881-1925) და ათაბაი უმაევი.

---

25 მ. ქავთარაძე, „ელიზბარ ვაჩნაძის მოგონებანი", ჟურნალი *„ივეჰია"*, № 20 (პარიზი, 1978).

26 ქისტები, 100 ამბავი, ავტორ-შემდგენელი ხ. ხანგოშვილი (თბილისი, 2020).

27 ი. ლიქოკელი, *ხევსუჰები და ქაქუცა* (თბილისი, 2006), 102-103.

28 ი. ლიქოკელი, *ხევსუჰები და ქაქუცა* (თბილისი, 2006), 107.

მიტაევი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საერთოდ ჩრდილოკავკასიელა შორის. მას ა. სულხანიშვილი, 1923 წლის აპრილში, ურუს-მართანში შეხვდა.

სულხანიშვილის დახასიათებით, „ალი იყო შუა ტანის, ოდნავ პირნაყვავილარი, კარგი შესახედი მამაკაცი. ის ჩინებულად ლაპარაკობდა რუსულად... ძალიან კარგად მიგვიღო".[29]

The documents list these individuals as „executed", „exiled", and other terms. The term „executed" refers to individuals who were arrested on charges of participating in the armed rebellion of August 1924 and were sentenced to death without trial. As for the term „exiled" – this process was

43 Central Archive of Contemporary History of Georgia, 284,11.42

44 Central Archive of Contemporary History of Georgia, 284,11:9

45 Central Archive of Contemporary History of Georgia, 284,11:9

46 Central Archive of Contemporary History of Georgia, 284,11:10

47 Central Archive of Contemporary History of Georgia, 284,11:10

48 Central Archive of Contemporary History of Georgia, 284,42:1,2,3

49 Central Archive of Contemporary History of Georgia, 284,42:41,45

actually one form of the „Red Terror". Specifically, it involved the most brutal repressions against completely innocent people, including killings with stones and clubs.[5025]

From these and other documents, it becomes clear that during the exile process, peasants, incited by Soviet authorities, killed dozens of innocent people.[5126]

Thus, the materials above confirm that during August-September of 1924, the Soviet government widely applied „Red Terror" in the Telavi and Sighnaghi regions, resulting in the physical elimination of some individuals and the exile of others from their homes.

50 T. Simashvili, *„Soviet Repressions in the Villages of Telavi and Signagi Districts in September 1924 (Based on Archival Materials)"*, *Proceedings of the Faculty of Humanities and the Institute of Georgian History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University*, Vol. XX, Tbilisi: TSU Press, 2024, pp. 258-292

51 Laboratory for the Study of the Soviet Past, Public Archive, Giorgi Mirianashvili, *„Collection of Selected Memoirs"*, manuscript, page 105

ოთარ ჯანელიძე

1924 წლის აგვისტოს აჯანყება უცხოენოვან ვიკიპედიებში

კაცობრიობამ წერა ხუთი ათას ხუთასი წლის წინ ისწავლა, ქაღალდის დამზადება კი მხოლოდ ოთხი ათასი წლის შემდეგ დაიწყო (ძვ. წ. 105 წ. ჩინეთი). უძველეს დროში რაიმე დასამახსოვრებელ ინფორმაციას ადამიანები ხეებზე კვეთდნენ, გამოქვაბულების კედლებზე ხატავდნენ ან თიხის ფირფიტებზე კაწრავდნენ. სარგებლობდნენ ასევე, ქვით, ძვლით, ლითონითა და სხვ. ძველ ეგვიპტეში და შემდეგ ანტიკურ სამყაროში საწერად პაპირუსს იყენებდნენ, მერე გაჩნდა პერგამენტი (ეტრატი) და ქაღალდი, ხოლო 1440-იან წლებში იოჰან გუტენბერგმა საბეჭდი დაზგაც გამოიგონა და პირველი წიგნიც გამოსცა ("გუტენბერგის ბიბლია").

რაც შეეხება ტექსტურ ფორმატში აწყობილ პირველ ელექტრონულ წიგნს, იგი 1971 წლით თარიღდება. ამ წელს ამერიკელმა მწერალმა მაიკლ სტერნ ჰარტმა კომპიუტერულად აკრიფა „ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია" და პროექტ „გუტენბერგის" შექმნით სათავე დაუდო ელექტრონული წიგნების შექმნასა და გავრცელებას.[52]

XX-ე საუკუნის ბოლომ და XXI-ე საუკუნის დასაწყისმა გაცილებით მაღალი დონის ახალი ტექნოლოგიები შემოგვთავაზა, რომელთა შორის გამორჩეულია გლობალური კომპიუტერული ქსელი ინტერნეტის სახელწოდებით. იგი დაახლოებით 5 მილიარდ ნახევრამდე ვებგვერდს აერთიანებს. ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ ცნობილი ვებგვერდის სახელწოდებაა ვიკიპედია.

ეს არის ვირტუალური (ონლაინ) ე. წ. თავისუფალი ენციკლოპედია, რომელსაც მოხალისეთა კორპუსი ქმნის და სან-ფრანცისკოში არსებული ამერიკული ფონდი „ვიკიმედია" (ჭMF) მართავს.

ვიკიპედიას, როგორც უნივერსალურ, მრავალენოვან ინტერნეტ ენციკლოპედიას, წინ უსწრებდა ასევე თავისუფალი ენციკლოპედია „ნუპედია", რომელიც 2000 წელს შეიქმნა. მისი დამაარსებელია ამერიკელი და ბრიტანელი ინტერნეტ მეწარმე ჯიმი დონალ უელსი. „ნუპედიის" ავტორები თავ-თავიანთი დარგების პროფესიონალები იყვნენ, თუმცა ნებაყოფლობით მუშაობდნენ. მთი თითოეული სტატია ექსპერტთა რეცენზირებას ექვემდებარებოდა, რის გამოც ენციკლოპედიის შინაარსი და მოცულობა სწრაფად ვერ ფართოვდებოდა. უელსმა ახალი, – ვიკი კონცეფცია შეიმუშავა და ვიკიპედია დააფუძნა.[53]

მიუხედავად იმისა, რომ ვიკიპედიას არა აქვს სამეცნიერო ხასიათი და დანიშნულება – არავინაა პასუხისმგებელი მასში გამოქვეყნებული ინფორმაციის სისრულესა თუ სიზუსტეზე, ის იმდენად ფართოდ არის გავრცელებული ინტერნეტ სამყაროში, რომ კარგა ხანია გლობალურ ფენომენად იქცა და შეიცავს ზღვა, – ამოუწურავ მასალას ნებისმიერ თემაზე. ვიკიპედია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ვებგვერდია და აქტიურად გამოიყენება, როგორც საინფორმაციო ცნობარი.

ფართო საზოგადოების თვალში ვიკიპედია ენციკლოპედიასთან არის გათანაბრებული, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ენციკლოპედია სამეცნიერო ხასიათის აკადემიური გამოცემაა, რომელიც გარკვეული სტანდარტის საფუძველზეა შედგენილი. ენციკლოპედიური სტილი დამახასიათებელია ვიკიპედიისათვისაც, – ისიც მუშაობს ნეიტრალური თვალსაზრი-

---

52 http://www.guardian.co.uk/books/2011/sep/08/michael-hart-inventor-ebook-dies

53 2013 წლის დეკემბერში უელსი, როგორც ვიკიპედიის დამფუძნებელი, იუნესკომ ნილს ბორის ოქროს მედლით დააჯილდოვა.

სის ფუნდამენტური პრინციპის შესაბამისად, ანუ ასახავს მხოლოდ ფაქტებს და განსხვავებულ შეხედულებებს ისე წარმოადგენს, რომ არ იცავს რომელიმე მათგანს,[1] მაგრამ, განსხვავებით ენციკლოპედიებისაგან, რომლებიც ძირითადად ცნობილ მეცნიერთა, სპეციალისტთა და ექსპერტთა მიერ დაწერილ სტატიებს აქვეყნებენ, ვიკიპედიის ავტორობა (სახელისა და გვარის მიუთითებლად) უაღრესად მარტივია, არ მოითხოვს ფორმალურ კრიტერიუმებს და ფაქტობრივად, შეუზღუდავია: მასში ინფორმაციის დამატება ან შესწორება სირთულეს არ წარმოადგენს და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია (გამოანგარიშებულია, რომ ყოველ წამში ვიკიპედიაში მსოფლის მასშტაბით რედაქტორებს 10 შესწორება შეაქვთ[2]).

თავდაპირველად ვიკიპედიის სტატიები მხოლოდ ინგლისურ ენაზე იქმნებოდა, მაგრამ მალევე დაიწყო ამ ინტერნეტ ქსელის ინტერნაციონალიზაცია. გაჩნდა გერმანული, ესპანური, ფრანგული, ჩინური, იტალიური, იაპონური და სხვა ენოვანი ტექსტები. 2002 წლისათვის ვიკიპედიის ყველა სტატიის 90% ინგლისურ ენაზე იყო გამოქვეყნებული. ვიკიპედიის შექმნიდან სულ რაღაც 5-7 წლის განმავლობაში სტატიების 75 % უკვე სხვა ენებზე მოდიოდა. დღეისათვის ვიკიპედია 300-ზე მეტ ენაზე არსებობს. მათ შორის ქართულადაც. ვიკიპედიის ქართულენოვანი განყოფილება შეიქმნა 2003 წლის ნოემბერში. ბოლო მონაცემებით, ქართულ ვიკიპედიაში 172 ათასამდე სტატიაა ატვირთული და ამ მაჩვენებლით იგი 58-ეა მსოფლიოში.[3] ყველაზე მასშტაბური, რა თქმა უნდა, ინგლისუროენოვანი ვიკიპედიაა, რომელიც 7 მილიონამდე სტატიას აერთიანებს.

შესაშური სისწრაფით მატულობს იმ ადამიანთა რიცხვიც, ვინც სარგებლობს ვიკიპედიით. თუ 2014 წელს ვიკიპედიას თვეში 495 მილიონი ადამიანი ეცნობოდა, ერთი წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი მარტო აშშ-ში 115 მილიონამდე გაიზარდა. დღეისათვის მსოფლიოში ვიკიპედიის მომხმარებელთა რაოდენობა თვეში უკვე 16 მილიარდს აღწევს და Alexa Internet სტატისტიკის თანახმად, იგი გუგლთან (გოოგლე.ცომ), იუთუბთან (ყოუტუბე.ცომ), ფეისბუკთან (ფაცებოოკ.ცომ) და ინსტაგრამთან (ინსტაგრამ.ცომ) ერთად, მსოფლიოს ათ ყველაზე მონახულებადი ვებგვერდის ჩამონათვალშია შესული.[4]

საინტერესოა ისიც, რომ ყოფილა შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლებას თავისი მოქალაქეებისათვის ვიკიპედიით სარგებლობა შეუზღუდავს (მაგალითად, ჩინეთში, ირანში, თურქეთში, პაკისტანში, ტუნისში, უზბეკეთსა და სირიაში ვიკიპედიის ვებგვერდი სხვადასხვა დროით დაბლოკილი იყო. 2012 წლის ივლისში რუსეთის ფედერაციაში მიიღეს კანონი „ბავშვთა ჯანმრთელობისა და განვითარების მავნე ინფორმაციისგან დაცვის შესახებ“, რასაც რუსულენოვანი ვიკიპედიის თანამშრომელთა გაფიცვა მოჰყვა. ვიკიპედიის სტატიების გარკვეული ჩამონათვალი, მათ შორის რუსეთის უკრაინაში შეჭრასთან დაკავშირებით, ცენზურას ექვემდებარება და კრემლს დღესაც დაბლოკილი აქვს).

ცნობილია რომ, ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომები ეგვიპტესა თუ ჩინეთში ჯერ კიდევ უძველეს დროში იქმნებოდა, ხოლო ფრანგ განმანათლებელთა მიერ შედგენილი კლასიკური „ენციკლოპედია ანუ მეცნიერების, ხელოვნებისა და ხელოსნობის განმარტებითი ლექსიკონი“ XVIII-ე საუკუნეს განეკუთვნება. მათთან შედარებით ვიკიპედიის ასაკი სასაცილოდ გამოიყურება. იგი სულ რაღაც მეოთხედ საუკუნეს მოითვლის (დაარსდა 2001 წლის 15 იანვარს), მაგრამ უკვე იქცა მსოფლიოში ყველაზე მასშტაბურ და კითხვად ენციკლოპედიად.

---

1 https://en.wikipedia.org/wiki/Wikipedia:Neutral_point_of_view

2 https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%92%D0%B8%D0%BA%D0%B8%D0%BF%D0%B5%D0%B4%D0%B8%D1%8F:%D0%A1%D0%BF%D0%B8%D1%81%D0%BE%D0%BA_%D0%92%D0%B8%D0%BA%D0%B8%D0%BF%D0%B5%D0%B4%D0%B8%D0%B9

3 https://en.wikipedia.org/wiki/Wikipedia:List_of_Wikipedias

4 https://www.similarweb.com/top-websites/

ვიკიპდიის დამოწმება მეცნიერებაში ცუდ ტონად ითვლება და ნებისმიერი სფეროს აკადემიურ ნაშრომში მასზე, როგოც წყაროზე, მითითებას იშვიათად ვხვდებით. მიუხედავად ამისა, ამ ვებგვერდზე სტატიის გამოქვეყნება, მით უფრო სხვადასხვა ენაზე, მნიშვნელოვნად ზრდის ფაქტისა თუ მოვლენის, მისი მონაწილეების ვინაობისა და ბოლოს იმ ქვეყნის ცნობადობას, სადაც ეს ფაქტი თუ მოვლენა მოხდა. სწორედ ამან განაპირობა ჩემი დაინტერესებაც, შემესწავლა როგორ არის ასახული უცხენოვან ვიკიპედიებში 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, რომლის ასი წლისთავი ამჟამად აღინიშნება საქართველოში.

განსახილველ საკითხის ირგვლივ ვიკიპედიაში სხვადასხვა ენაზე სამ ათეულამდე სტატია იძებნება. დავიწყოთ ინგლისურენოვანით.

ინგლისურენოვან ვიკიპედიაში ჩვენთვის საინტერესო სტატიის სათაურია „აგვისტოს აჯანყება“ (Аუგუსტ Uპრისინგ). ტექსტი 3360-ზე მეტ სიტყვას შეიცავს, დაყოფილია რუბრიკებად: ფონი (Bაცკგროუნდ), მზადება (Bაცკგროუნდ), აფეთქება და რეაქცია (Oუტბრეაკ ანდ რეაცტიონ), შედეგები (Aფტერმატჰ) და შეფასება (Aსსესსმენტ), რომელთაც ახლავს შენიშვნები (Nოტეს), მითითებები (ღეფერენცეს), წყაროები (შოურცეს), გარე ბმულები (Eხტერნალ ლინკს) და იხილეთ ასევე (შეე ალსო). საკვანძო სიტყვებად გამოტანილია: სსრ კავშირი, წითელი არმია, ჩეკა, საქართველოს სსრ, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, ქართული პარტიზანული ჯგუფები.

სტატიას ერთვის რამდენიმე ფოტო: ქართველი შეფიცულები ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით; დამკომის თავმჯდომარე თავადი კოტე ანდრონიკაშვილი; აჯანყებულთა ლიდერი პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, საბჭოთა უშიშროების ოფიცერი ლავრენტი ბერია, რომელმაც სახელი გაითქვა აჯანყების ჩახშობაში შესრულებული როლისთვის და საბჭოთა პერიოდის ძეგლი სოხუმში, – მიძღვნილი „1924 წელს საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან ბრძოლაში დაცემული კომკავშირელებისადმი“.

მებრძოლ მხარეებად მითითებულნი არიან, ერთის მხრივ, საბჭოთა ბოლშევიკი ლიდერები, სამხედრო და უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელიბი: ი. სტალინი, ს. ორჯონიკიძე, ლ. ღოღობერიძე, ლ. ბერია, ს. მოგილევსკი (ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსი), ს. პუგაჩოვი (კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდალი) და შალვა წერეთელი (საქართველოს ჩკ-ს მაღალჩინოსანი), ხოლო მეორეს მხრივ – აჯანყების პოლიტიკური და სამხედრო მეთაურები: სპირიდონ ჭავჭავაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, კოტე ანდრონიკაშვილი და სხვ. გამოყენებულია არიელ არიელ კოენის (Aრიელ ჩოჰენ), რემონ დიუგეს, სტივენ ჯონსის, დევიდ ლენგის (Dავიდ Mარსჰალლ Lანგ), ემი ნაითის (Aმყ ჭ. Kნიგჰტ), რუდოლფ რამელის (ღუდოლპჰ ჯ. ღუმმელ), ბორის სუვარინის (Bორის შოუვარინე), რონალდ სუნის (ღონალდ Gრიგორ შუნყ), მარკუს ვერნერისა (Mარკუს ჭეჰნერ) და სხვ. ნაშრომები. ქართველი ავტორებიდან მითითებას ვხვდებით ვალერი ბენიძის, აკაკი და პაატა სურგულაძეების, ლევან ურუშაძის პუბლიკაციებზე.

სტატიაში აღწერილია 1921 წლის მარტიდან საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილე, საზოგადოების სხვადასხვა ფენის, ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების, ეკლესიის მდგომარეობა, ბოლშევიკურ ხელისუფლებაში არსებული წინააღმდეგობა, მიმდინარე რეპრესიები და სხვ. ფართოდ არის მიმოხილული საქართველოში დაწყებული საპროტესტო მოძრაობა, სვანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ამბოხებები, დამკომისა და მისი სამხედრო ცენტრის შექმნა, ამ უკანასკნელის ჩავარდნა და ცენტრის მთელი შემადგენლობის დახვრეტა.

გაშუქებულია აჯანყების პერიპეტიები დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოში (გამოსვლა ჭიათურაში, ქაქუჩა ჩოლოყაშვილის რაზმის მოქმედება, დამკომის წევრთა შეპყრობა და სხვ.). აღნიშნულია, რომ აჯანყების წარმატება ხანმოკლე იყო. მიუხედავად იმისა, რომ გამოსვლა იმაზე მასშტაბური გამოდგა, ვიდრე ჩეკა მოელოდა, საბჭოთა ხელისუფლე-

ბის რეაქციამ არ დააყოვნა. აჯანყების მონაწილეების გარდა რეპრესიები მშვიდობიან მოსახლეობასაც შეეხო, გაანადგურეს მთელი ოჯახი, ქალებისა და ბავშვების ჩათვლით. უყურადღებოდ არ არის დატოვებული დაპატიმრებულთა ვაგონებში დახვრეტის ფაქტი და ა. შ. აღნიშნულია, რომ დაღუპულთა და მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობა უცნობია. დაახლოებით 3000 ადამიანი ბრძოლაში დაიღუპა. აჯანყების მსვლელობისას ან მის შემდგომ სიკვდილით დასაჯილთა რიცხვმა 7000 შეადგინა. ფაქტობრივად, განადგურდა ქართული საზოგადოების ყველაზე აქტიური, დამოუკიდებლობის მომხრე ნაწილი, თავადაზნაურობა, სამხედრო ოფიცრები და ინტელექტუალური ელიტები.

სტატიის თანახმად, მიმოფანტული პარტიზანული რაზმების დაუმორჩილებლობა რამდენიმე კვირის განმავლობაში გაგრძელდა, მაგრამ სექტემბრის შუა რიცხვებისთვის მათი წინააღმდეგობა გატეხილ იქნა.

ინგლისური ვიკიპედიის სტატია ასეა შეჯამებული: 1924 წლის აგვისტოს შეიარაღებული გამოსვლა იყო წარუმატებელი აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. იგი წარმოადგენდა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ სამწლიანი ბრძოლის კულმინაციას და იყო ერთ-ერთი უკანასკნელი დიდი შეიარაღებული გამოსვლა, რომლის დამარცხება ნიშნავდა საქართველოში საბჭოთა მმართველობის საბოლოო დამყარებას.[5]

3900-ს სიტყვას აღემატება ფრანგული ვიკიპედიის სტატია 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ, რომელიც ასევე ილუსტრირებულია „შეფიცულთა“ ჯგუფური ფოტოსურათით, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, კონსტანტინე ანდრონიკაშვილისა და ლავრენტი ბერიასა პორტრეტებით. რუბრიკების სახელწოდებებია: კონტექსტი, მზადება (Préparations), აჯანყება და საპირისპირო მოქმედება (Révolte et réaction), შედეგები (Conséquences), მემკვიდრეობა (Héritage) და ისტორიული ინტერპრეტაციები (interprétations historiques). სტატია აღჭურვილია დამოწმებებითა და სქოლიოებით, ერთვის წყაროების ჩამონათვალი და გარე ბმულები (Liens externes).

ტექსტის სათაურია „1924 წლის აგვისტოს საქართველოს აჯანყება“. შესავალში განმარტებულია, რომ ეს იყო წარუმატებელი აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, რომელიც მიმდინარეობდა 1924 წლის აგვისტოს ბოლოდან სექტემბრის დასაწყისამდე. ნათქვამია, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით დაწყებულ აჯანყებას ხელმძღვანელობდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი.

აჯანყება იყო ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ სამწლიანი ბრძოლის კულმინაცია, რომელიც ჩაახშეს ი. სტალინისა და ს. ორჯონიკიძის ბრძანებით მოქმედმა წითელი არმიისა და ჩეკას ნაწილებმა, რასაც მასობრივი რეპრესიების ტალღა და დიდძალი მსხვერპლი მოჰყვა.

სტატია მოგვითხრობს საქართველოს ძალდატანებით გასაბჭოებაზე წითელი არმიის მიერ, რომელმაც აიძულა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უცხოეთში გახიზნულიყო. ხაზგასმულია, რომ დამოუკიდებლობის სამწლიანმა პერიოდმა საქართველოს ეროვნული გამოღვიძება და მოსახლეობის მხრიდან მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხარდაჭერა გამოიწვია, მაშინ როდესაც საბჭოთა რეჟიმის ლეგიტიმურობა საეჭვო იყო.

ფრანგული ვიკიპედიის ტექსტის თანახმად, უაღრესად პოლიტიზებული საქართველოს მუშათა კლასი, ეროვნული ინტელიგენცია და თავადაზნაურობა, რომელმაც ფიცი დადო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი, მტრულად იყვნენ განწყობილი ახალი რეჟიმის მიმართ. მიწის ნაკლებობითა და ეკონომიკური ქაოსის გამო უკმაყოფილო იყო გლეხო-

[5] https://en.wikipedia.org/wiki/August_Uprising

ბაც, ყოველივე კი აძლიერებდა თავისუფლებისათვის საპროტესო მოძრაობას. პოლიტიკური პარტიები აიძულეს თვითლიკვიდაცია გამოეცხადებინათ, იდევნებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც; საქართველო იძულებით გააერთიანეს ჯერ ამიერკავკასიის სფსრ-ის, ხოლო შემდეგ სსრკ-ს შემადგენლობაში, რამაც ჩრდილი მიაყენა ქართულ ეროვნულ სიამაყეს.

შემდეგ მოკლედ არის აღწერილი სვანეთისა და ხევსურეთის აჯანყებები, პარტიზანული რაზმების მოქმედება, დამოუკიდებლობისა და მისი სამხედრო ცენტრის შექმნა, აჯანყების მხარდასაჭერად ემიგრაციიდან ნოე ხომერიკის, ვალიკო ჯუღელისა და ბენია ჩხიკვიშვილის არალეგალური ჩამოსვლა და ჩეკას მიერ მათი დაპატიმრება. უყურადღებოდ არ არის დატოვებული სამხედრო ცენტრის ჩავარდნა და მისი წევრების დახვრეტა.

მკვლევარ ემი ნაითის ნაშრომზე „ბერია – სტალინის პირველი ლეიტენანტი (Beria: Stalin's First Lieutenant, Princeton University Press, 1993) მითითებით, აღნიშნულია, რომ აჯანყების პროვოცირებაში გარკვეულწილად მონაწილეობდა საბჭოთა დაზვერვა, რომ ჩეკამ ფაქტობრივად წაახალისს აჯანყება, რათა მოეპოვებინათ საბაბი პოლიტიკურ ოპოზიციასთან ანგარიშის გასაწორებლად.

სტატიაში გაშუქებულია აჯანყების მიმდინარეობა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ნათქვამია, რომ წითელი არმიის შენაერთებმა აჯანყებულებთან საბრძოლველად გამოიყენეს არტილერია და ავიაცია. სიცოცხლეს გამოასალმეს ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე, გაანადგურეს მთელი ოჯახი, მათ შორის ქალები და ბავშვები. ადამიანებს სჯიდნენ სასამართლოს გარეშე, ჩეკას ოფიცრის ტალახაძის ინიციატივით, ასობით პატიმარი საბარგო ვაგონებში დახვრიტეს და სხვ. მსხვერპლის ზუსტი რაოდენობა უცნობია. ბოლო მონაცემებით, „კომუნიზმის შავი წიგნის" (ჰარვარდის უნივერსიტეტის გამოცემა, 1999) თანახმად, 1924 წლის 29 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე 12 578 ადამიანი დაიღუპა. დაახლოებით 20000 ადამიანი გადაასახლეს ციმბირში და შუა აზიის უდაბნოებში.

გერმანულ ვიკიპედიაში 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისადმი მიძღვნილი სტატია ვრცელი არ არის, სულ რაღაც 600-მდე სიტყვას აერთიანებს, თუმცა შეიცავს ტრადიციულ რუბრიკებს: წინაისტორია, წარუმატებლობა. რეაბილიტაცია, ლიტერატურა და გარე ბმულები.[6] ტექსტს ერთვის ორი ფოტოსურათი: 1. ქაქუცა ჩოლოყაშვილისა შეფიცულთა რაზმთან ერთად და 2. დამკომის თავმჯდომარე კონსტანტინე ანდრონიკაშვილის.

განმარტებულია, რომ 1924 წლის აგვისტოს სახალხო აჯანყება მიმართული იყო საქართველოს საბჭოთა ოკუპაციისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაარსების წინააღმდეგ. სტატიის თანახმად, ეს იყო ბოლშევიკური მმართველობის საპირისპიროდ წამოწყებული ბოლო დიდი აჯანყება სამხრეთ კავკასიაში, რომელიც ჩაახშეს სტალინის, ორჯონიკიძისა და ბერიას, როგორც ჩეკას მეთაურის, ხელმძღვანელობით.

აჯანყება თავიდან წარმატებული ჩანდა. მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. ცუდმა ორგანიზაციამ და არაეფექტურმა თანამშრომლობამ წინააღმდეგობის ჯგუფებს შორის მისი სწრაფი ჩახშობა განაპირობა. სექტემბრის შუა რიცხვებამდე წითელი არმია ყველა შეტაკებიდან გამარჯვებული გამოვიდა. მომდევნო კვირებში აჯანყების დაახლოებით 7000 მიმდევარი დახვრიტეს. ათიათასობით ადამიანი, მათ შორის მთელი ოჯახები, ციმბირში ან შუა აზიაში გადაასახლეს.

რუბრიკა „რეაბილიტაცია" ვიკიპედიის სხვაენოვანი სტატიებისაგან განსხვავდება და სწორად აღნიშნავს, რომ 1924 წლის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაცია საქართველოში დაიწყო სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 25 მაისის დადგენილებით. 2006 წლის მაისში თბილისში გაიხსნა საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია საქართველოში აგვისტოს აჯანყების დოკუმენტები.

[6] https://de.wikipedia.org/wiki/August-Aufstand_in_Georgien

ბიბლიოგრაფიაში დასახელებულია: ვალერი ბენიძის, სტივენ ჯონსის, ემი ნაითის, მარკუს ვენერის, რაფაილ აბრამოვიჩის, ვასილი სუხომლინისა და ირაკლი წერეთელის ნაშრომები.

გერმანულ ვიკიპედიაში მიხეილ ლაშქარაშვილი დასახელებულია კახეთის პარტიზანული მოძრაობის ლიდერად, რაც არასწორია. მ. ლაშქარაშვილი იყო არა კახეთის, არამედ ქართლში მოქმედი პარტიზანული რაზმის მეთაური.[7]

დაშვებულია კიდევ ერთი უზუსტობა: აღნიშნულია, რომ საქართველოში წითელი არმიის მეთაური მოკლა ადგილობრივმა თვითმკვლელმა პილოტმა ტერორისტული აქტის – თვითმფრინავის ჩამოგდების შედეგად. აქ იგულისხმება ან სოლომონ მოგილევსკის ან კიდევ ალექსანდრ მიასნიკოვის დაღუპვა. ოღონდ არც ერთი მათგანი წითელი არმიის მეთაური არ ყოფილა. მოგილევსკი ამიერკავკასიის ჩეკას უფროსი, ხოლო მიასნიკოვი – ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე და რკპ (ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო. რაც შეეხება თვითმფრინავის ჩამოვარდნას, ეს ფაქტი მომდევნო, 1925 წ. 22 მარტს მოხდა.[8]

1924 წლის აგვისტოს აჯანყების თაობაზე სტატია ესპანურ ვიკიპედიაში სულ 423 სიტყვისაგან შედგება და არ არის დაყოფილი რუბრიკებად. აქ მოკლედაა მიმოხილული საქართველოში შექმნილი ვითარება ქვეყანაში წითელი არმიის შემოჭრისა და მისი გასაბჭოების შემდეგ. ნათქვამია, რომ ახალი ხელისუფლებას მალევე შეეჯახა შეიარაღებულ წინააღმდეგობას სვანეთში, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედებდა ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მიხეილ ლაშქარაშვილის ანტისაბჭოთა პარტიზანული რაზმები, ჩამოყალიბდა დამოუკიდებლობის კომიტეტი და სხვ.

აჯანყება ჯერ დაგეგმილი იყო 1924 წლის თებერვლის, შემდეგ 17 აგვისტოსათვის, მაგრამ ორივეჯერ გადაიდო მოძრაობის ლიდერთა დაპატიმრების გამო და დაიწყო 28 აგვისტოს ჭიათურის გამოსვლით. ქაქუცა ჩოლოყაშვილის მებრძოლები კახეთის რეგიონში მოქმედებდნენ. შედარებით სიმშვიდე შენარჩუნდა აფხაზეთში, აჭარაში, ბათუმსა და თბილისში, გურიაში კი ხალხმა მასიურად აიღო იარაღი. 5 სექტემბრისთვის აჯანყება მარცხით დასრულდა, თუმცა მისი ცეცხლი აფხაზეთის ზოგიერთ კუთხეში კიდევ ერთ თვეს არ ჩამქრალა.

იაპონელი ჰიროაკი კურომიასა და ქართველი გიორგი მამულიას ერთობლივ წიგნზე „ევრაზიული სამკუთხედი: რუსეთი, კავკასია და იაპონია. 1904-1945“ მითითებით, სტატიაში აღნიშნულია, რომ აჯანყებულებს ეხმარებოდნენ საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, ოღონდ არ არის დაკონკრეტებული, რაში გამოიხატებოდა ეს დახმარება. ამასთან, საგულისხმოა, რომ ხსენებულ ავტორთა დამოწმებულ წიგნში მსგავსი არაფერი წერია.[9]

1200-ზე მეტი სიტყვისაგან შემდგარ პოლონურ ვიკიპედიაში აღნიშნულია, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, რომელიც მიმართული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღსადგენად, დათრგუნა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ. წითელი არმიისა და ჩეკას რეპრესიების შედეგად დაიღუპა 7-დან 10 ათასამდე ადამიანი, ხოლო თავისუფლებისა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოსათვის ბრძოლას 20 ათასამდე მონაწილე და მხარდამჭერი შეეწირა.

---

[7] კერესელიძე ლ., მიხეილ ლაშქარაშვილი – შეფიცულთაგან ერთ-ერთი და სამშობლოსათვის თავგადადებული, საარქივო moambe=*The archival bulletin* / საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, 4 (2009): 9

[8] Газ. „Известия“, 25 марта 1925 г.; გაზ. „კომუნისტი“, 1925 წ., 24 მარტი. თბილისიდან სოხუმის მიმართულებით გაფრენილმა სამგზავრო თვითმფრინავმა „იუნკერს-13-მა“, რომელსაც ქართველი სამხედრო პილოტი ამბაკო საღარაძე მართავდა, დიდუბეში ავიაკატასტროფა განიცადა. ა. საღარაძე გამოყვანილია გრიგოლ რობაქიძის რომანის „გრაალის მცველნის“ პერსონაჟად მფრინავ საღარას სახით.

[9] The EURASIAN TRIANGLE: RUSSIA, the CSUCASUS and JAPAN, 1904-1945 / By Hiroaki Kuromiya, Georges Mamoulia. De Gruyter, 2016.

მოვლენის წინაისტორიაში ვკითხულობთ, რომ 1921 წლის მარტში საბჭოთა არმიამ საქართველოს დაპყრობა შესძლო ქართულ ჯარებზე დიდი რიცხობრივი უპირატესობის გამო. წინააღმდეგობის მოძრაობამ მალე მთელი ქვეყანა მოიცვა, ნახსენებია 1921 და 1922 წლების ანტისაბჭოთა აჯანყებები. ნათქვამია, რომ პარიტეტული კომიტეტის გათვლებით, მას შეეძლო 2,5 ათასი მებრძოლის გამოყვანა და იმედოვნებდა ასევე, რომ წითელ არმიაში მომსახურე ქართველები არ მიიღებდნენ მონაწილეობას აჯანყების ჩახშობაში. შემდეგ ძირითად შტრიხებში მოკლედაა გაშუქებული აჯანყების პერიპეტიები და დამარცხების შედეგები.

ტექსტი ძირითადად ეყრდნობა პროფესორ ვოიცეხ მატერსკის წიგნს „საქართველო“, რომელიც 2010 წელს პოლონურ ენაზე გამოქვეყნებულია ვარშავაში სერიით „მსოფლიოს ქვეყნების ისტორია XX-XXI საუკუნეებში”.[10] გვხვდება ერთი შეცდომა, რომელიც სასურველია გასწორდეს. სამხედრო ცენტრის მეთაურად მოხსენიებული გოგიტა ფაღავა. სინამდვილეში ფაღავა იყო დამკომის პირველი თავმჯდომარე, ხოლო სამხედრო ცენტრს სათავეში გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი ედგა.

ტრადიციულ რუბრიკებადაა დაყოფილი რუსული ვიკიპედიის სტატიაც „1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყება საქართველოში (აგვისტოს აჯანყება)“. კერძოდ: წინაისტორია; მომზადება; კონფლიქტის მსვლელობა; საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიები; რეაქცია და შედეგები; წყაროები; ლიტერატურა და დამოწმებები.

ნათქვამია, რომ აჯანყებას, რომელიც მიზნად ისახავდა 1921 წელს თბილისის ოპერაციის დროს დამყარებული საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და დამოუკიდებლობის მოპოვებას, ხელმძღვანელობდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი. გამოსვლა ჩაახშეს ჩეკამ და წითელმა არმიამ არტილერიისა და ავიაციის გამოყენებით. საქართველოში დაიწყო მასობრივი რეპრესიები, რასაც საბოლოოდ ქვეყანაში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარება მოჰყვა.

განსაკუთრებით გამოყოფილია აჯანყების შემდგომი ვითარება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რასაც ვერ ვხვდებით ვიკიპედიის ვერც ერთ სხვაენოვან შესაბამის ტექსტში. სტატიის თანახმად, თბილისის უნივერსიტეტი, რომელიც ქართული ნაციონალიზმის კერად მიიჩნიეს, ბოლშევიკების სრულ კონტროლქვეშ მოექცა. იგი გაწმინდეს „მტრული ელემენტებისაგან“, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტელმა მეცნიერებმა, რომლებიც თანაუგრძნობდნენ აჯანყებას, უკვე ხელი აიღეს თავიანთ რწმენაზე. რეპრესიების მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობა უცნობია, უშუალოდ აჯანყების პროცესში კი დაიღუპა 3 ათასი ადამიანი.

ემილ ნაითისა[11] და ბორის სუვარინის[12] ნაშრომებზე დაყრდნობით, რუსული ვიკიპედია გვამცნობს, რომ ბოლშევიკებმა დიდი ხანია იცოდნენ აჯანყების მზადების შესახებ და მხარს უჭერდნენ კიდეც მას, რათა ოპოზიციის საბოლოო განადგურების საბაბი მისცემოდათ (ეს პასაჟი გამეორებულის სომხურ ვიკიპედიაში[13]).

სტატია დაფუძნებულია არიელ კოენის, ვალერი ბენიძის, ლევან ზ. ურუშაძის, ემილ ნაითის, ბორის სუვარინის, რონალდ სუნის, სტივენ ჯონსის, კარლ ე. მეიერისა და სხვ. პუბლიკაციებზე. გვერდი სულ ბოლო რედაქტირების თარიღად მითითებულია 2024 წლის 5 თებერვალი.

ერთობ შაბლონურია აზერბაიჯანული ვიკიპედიის გვერდი, რომელიც ეთმობა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას.[14] ეს უმოკლესი ტექსტი მკითხველს აცნობს, რომ აგვისტოს აჯა-

---

10 Materski W., GRUZIA. Warszawa, 2010.

11 Knight A., BERIA: STALIN'S First LIEUTENANT, Princeton University Press, 1993.

12 Souvarine B., STALIN: A CRITICAL SURVEY of BOLSHEVISM, Kessinger Publishing, 2005.

13 https://hy.wikipedia.org/wiki/%D4%B1%D5%BA%D5%BD%D5%BF%D5%A1%D5%B4%D5%A2%D5%B8%D6%82%D5%A9%D5%B5%D5%B8%D6%82%D5%B6_%D5%8E%D6%80%D5%A1%D5%BD%D5%BF%D5%A1%D5%B6%D5%B8%D6%82%D5%B4_(1924)

14 https://az.wikipedia.org/wiki/Avqust_qiyam%C4%B1_(G%C3%BCrc%C3%BCstan)

ნყება იყო შეიარაღებული გამოსვლა ქვეყანაში ანტისაბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, რასაც წინ უძღოდა წითელი არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია. აჯანყება 1924 წლის 28 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე გაგრძელდა. ბოლშევიკებთან დაპირისპირებული მებრძოლი ქართული რაზმები, რომლებსაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მიხეილ ჯავახიშვილი[15] ხელმძღვანელობდნენ, ერთ კვირაში დამარცხდნენ. ბრძოლის დროს სულ მცირე 3500 აჯანყებული დაიღუპა. საბჭოთა სპეცსამსახურებმა ჩხრეკისა და ძიების შედეგად აჯანყების ორგანიზებასა და მონაწილეობაში ბრალდებული კიდევ 10 ათასი ადამიანი გამოავლინეს და სიკვდილით დასაჯეს.

სტატია დაუმთავრებელია, რუბრიკები არ შეიცავენ შინაარსს და მითითებულია, რომ ტექსტი საჭიროებს რედაქტირებას და წყაროების დამოწმებას. ლიტერატურა იმეორებს ინგლისური ვიკიპედიის ბიბლიოგრაფიას ამავე საკითხზე.

მსგავსია სომხური ვიკიპედიის ლიტერატურის ნუსხაც 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ. სტატიაში აღწერილია სახალხო გვარდიის ყოფილი სარდლის ვალიკო ჯუღელის დაპატიმრებისა და ჩეკას საპყრობილიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტისათვის წერილის გაგზავნის ისტორია, რომ აჯანყება გაცემულია, თუმცა თანამებრძოლებმა წერილი ბოლშევიკების პროვოკაციად მიიჩნიეს.

აღნიშნულია, რომ აჯანყებამ მოიცვა დასავლეთ საქართველოს მრავალი და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონი, მაგრამ ხელისუფლებამ სამხედრო ძალების, არტილერიისა და ავიაციის გამოყენებით შეძლო მისი აღკვეთა. დაპატიმრებული დამკომის წევრებმა, ლავრენტი ბერიას ზეგავლენით, რომელიც მათ აჯანყებულთა დახვრეტის შეწყვეტას დაჰპირდა, პარტიზანულ რაზმებს იარაღის დაყრისაკენ მოუწოდეს.

სომხურ ვიკიპედიაში რამდენიმე შეცდომაა დაშვებული. იქ, სადაც საუბარია „ემიგრანტ-მენშევიკთა“ ფარულ დაბრუნებაზე საქართველოში, საზღვარგარეთიდან ჩამოსულ პიროვნებათა შორის ნოე ხომერიკთან და ვალიკო ჯუღელთან ერთად, დასახელებულია ფედორ ღარიბაშვილი და ნათქვამია, რომ მათი ჩამოსვლის მიზანი იყო დახმარებოდნენ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებაში „ბოლშევიკებისა და თურქეთისაგან“. დასკვნით ნაწილში კი წერია, რომ აჯანყების „შედეგი იყო ბოლშევიკებისა და თურქების გამარჯვება“.[16] გაურკვეველია, ვინ არის ფედორ ღარიბაშვილი და აბსურდია აგვისტოს აჯანყებასთან თურქეთის დაკავშირებაც, რაც სასურველია დროულად გასწორდეს.

საქართველოში 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ მოკლე ინფორმაციით იფარგლება თურქული ვიკიპედია, ოღონდ შესაბამისი გვერდი ილუსტრირებულია კონსტანტინე ანდრონიკაშვილის, ლავრენტი ბერიას, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, მისი შეფიცულებისა და 1924 წელს სოხუმში, საბჭოთა ხელისუფლების „მტრების“ წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული კომკავშირელებისთვის აგებული ძეგლის ფოტოსურათებით.

ტექსტი გვამცნობს: მას შემდეგ, რაც 1921 წლის 13 ოქტომბერს ხელმოწერილი ყარსის ხელშეკრულებით, საქართველო იძულებული გახდა თავისი რეგიონების გარკვეული ნაწილი თურქეთისათვის დაეთმო (საქართველოს მიწების ნაწილი გადაეცა ასევე, რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს), გასაბჭოებამ და მისმა პოლიტიკამ ახალი რეჟიმის წინააღმდეგ ოპოზიციური განწყობა და ფართო წინააღმდეგობა გამოიწვია.

---

15 შეცდომაა. მიხეილ ჯავახიშვილი მებრძოლი რაზმის ხელმძღვანელი არ ყოფილა.

16 https://hy.wikipedia.org/wiki/%D4%B1%D5%BA%D5%BD%D5%BF%D5%A1%D5%B4%D5%A2%D5%B8%D6%82%D5%A9%D5%B5%D5%B8%D6%82%D5%B6_%D5%8E%D6%80%D5%A1%D5%BD%D5%BF%D5%A1%D5%B6%D5%B8%D6%82%D5%B4_(1924)

აჯანყების ლიდერთა შორის დასახელებულნი არიან: სპირიდონ ჭავჭავაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, იასონ და მიხეილ ჯავახიშვილები, კოტე ანდრონიკაშვილი, მიხეილ ლაშქარაშვილი, სვიმონ და ეკო წერეთლები, სერგო მათითაიშვილი, ავთანდილ ურუშაძე, ნიკოლოზ კეცხოველი და ევგენი ღვალაძე.

სხვადასხვა ავტორის ნაშრომზე დაყრდნობით, აღნიშნულია, რომ ბრძოლაში ოპოზიციის მხარეზე 3500-მდე ადამიანი დაიღუპა, ხოლო დაღუპულთა საერთო რაოდენობა, სიკვდილით დასჯილთა ჩათვლით, 7000-დან 10000-მდე მერყეობს. დაახლოებით 20 ათასი ადამიანი გაგზავნეს ციმბირისა და შუა აზიის უდაბნოებში. 1999 წელს აშშ-ი გამოცემული და თურქულ ენაზე თარგმნილი კრებულის – „კომუნიზმის შავი წიგნის“[17] მონაცემების მიხედვით, 29 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე დაღუპულთა რიცხვი 12 578 ადამიანს უტოლდება.[18]

1924 წლის აგვისტოს აჯანყებისათვის დათმობილი სტატია ჩინურ ვიკიპედიაში სულ 161 სიტყვისაგან შედგება, თუმცა მოვლენის არსს მართებულად გადმოსცემს. ნათქვამია, რომ აჯანყება, რომელმაც იფეთქა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში 1924 წლის აგვისტოდან სექტემბრამდე, მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ; აჯანყებას ხელმძღვანელობდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეობით. ეს იყო ქართული კონფლიქტი და ანტიბოლშევიკური ბრძოლის ნაწილი საბჭოთა ხელისუფლებასთან, 1921 წელს საქართველოში წითელი არმიის შემოჭრის შემდეგ.

აჯანყება ჩახშობილ იქნა საბჭოთა და ჩეკას ჯარების მიერ სტალინისა და სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით. ლიტერატურაში დამოწმებულია მხოლოდ ერთი – იტალიური წარმოშობის ხორვატი პოლიტიკოსისა და მწერლის, პროფესორ ანტე ცილიგას ნაშრომი „დიდი ტყულის ქვეყანაში“.[19]

ამრიგად, უცხოენოვანი ვიკიპედიის ტექსტები 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების შესახებ მრავალრიცხოვან მკითხველს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აწვდის მეტ-ნაკლებად გამართულ ინფორმაციას თანამედროვე საქართველოს ამ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის შესახებ, რაც მოსაწონი და მისასალმებელია. რაც შეეხება დაშვებულ უზუსტობებსა თუ ხარვეზებს, ვფიქრობ, ვიკიპედიის ქართული რედაქციის მეშვეობით, მათი გასწორება შესაძლებელი იქნება.

უფრო შინაარსიანი და ვრცელი ინფორმაციის შემცველია ქართული ვიკიპედიის სტატია აგვისტოს აჯანყების შესახებ. მასში გაშუქებულია აჯანყების წინაისტორია, განხილულია აჯანყების მსვლელობა ჭიათურაში, შორაპნის, ქუთაისის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთისა და ლეჩხუმის მაზრებში; დასახელებულია აჯანყების ადგილობრივი მეთაურები: ამბერკი ადეიშვილი, გრიგოლ ხურციძე, სიმონ გოგიბერიძე, თეოფილე მუხაშავრია, პარმენ ჭანუყვაძე, ეგნატე გაბლიანი, ბიძინა პირველი და სხვ. დეტალურადაა აღწერილი, ვინ და როგორ დაცხრილა ტყვიამფრქვევებით არგვეთის რკინიგზის სადგურთან ვაგონებში მყოფი 96 დაპატიმრებული აჯანყებული, რომელთა შორის ორი ქალიც იყო. აღნიშნულია, რომ აჯანყებულების გამოძიების და სასამართლოს გარეშე ხვრეტდნენ ე.წ. სამეულები.

ქართული ვიკიპედიის თანახმად, სახალხო ხასიათის მიუხედავად, აგვისტოს აჯანყება დამარცხდა, რადგან მოკლებული იყო კოორდინაციას და სიტუაციის რეალურ შეფასებაზე

---

17 Courtois S., Werth N., Louis Panné J., Paczkowski A., Bartosek K., Margolin J., The BLACK BOOK of COMMUNISM: CRIMES, TERROR, REPRESSION HARDCOVER, Harvard University Pres, 1999.

18 https://tr.wikipedia.org/wiki/A%C4%9Fustos_Ayaklanmas%C4%B1

19 Ciliga A., AU PAYS du MENSONGE DÉCONCERTANT, Paris, 1938.

დამყარებულ გეგმას. აჯანყებულებს აკლდათ საბრძოლო იარაღი და ჰქონდათ ევროპის ქვეყნებიდან დახმარების მიღების გადაჭარბებული მოლოდინი.[20]

სტატია დაფუძნებულია ქართველ ისტორიკოსთა თანამედროვე გამოკვლევებზე,[21] ქართული ემიგრანტული პრესის მონაცემებზე, აჯანყების მონაწილეთა და თვითმხილველთა (გიორგი წერეთელი, სიმონ გოგიბერიძე, ალექსანდრე სულხანიშვილი, კალისტრატე სალია) მოგონებებზე და ა. შ. მაგრამ გამოყენებული არ არის უცხოელ ავტორთა პუბლიკაციები.

Otar Janelidze

The August 1924 Uprising in Foreign-Language Wikipedias

Humanity learned to write 5,500 years ago, but the production of paper began only 4,000 years later (in 105 BCE, in China). In ancient times, people recorded memorable information by carving into trees, painting on cave walls, or inscribing on clay tablets. They also used stone, bone, metal, and other materials. In ancient Egypt and later in the Greco-Roman world, papyrus was used for writing; afterward came parchment (vellum) and, later, paper. In the 1440s, Johannes Gutenberg invented the printing press and published the first printed book – *the Gutenberg Bible*.

As for the first electronic book compiled in text format, it dates back to 1971. In that year, American writer Michael Stern Hart typed the *Declaration of Independence of the United States* into a computer and, by launching Project Gutenberg, laid the foundation for the creation and distribution of electronic books.[22]

The end of the XX century and the beginning of the XXI introduced much more advanced technologies, among which the most prominent is the global computer network known as the Internet. It encompasses approximately 5.5 billion websites. One of the most widely known among them is Wikipedia.

This is a virtual (online) so-called free encyclopaedia created by a corps of volunteers and managed by the American non-profit organization Wikimedia Foundation, based in San Francisco.

Wikipedia, as a universal, multilingual online encyclopaedia, was preceded by another free encyclopaedia called *Nupedia*, which was established in 2000. Its founder was the American-British internet entrepreneur Jimmy Donal Wales. The authors of *Nupedia* were professionals in their respective fields, although they worked on a voluntary basis. Each of their articles was subject to expert peer review, which hindered the rapid expansion of the encyclopaedia's content and scope. Wales developed a new concept – the wiki model – and founded Wikipedia.[23]

---

20 https://ka.wikipedia.org/wiki/1924_%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90

21 ვადაჭკორია შ., შეიარაღებული აჯანყების სამხედრო გეგმის გაცემის დაზუსტებისთვის (თბილისი, 2016); ჯიქია ლ., 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში (თბილისი, 2012); წენგუაშვილი კ., 1924 წლის აგვისტოს აჯანყება და მისი შეფასება ქართულ ისტორიოგრაფიაში, კლიო – საისტორიო ალმანახი, 26 (2005); ათანელაშვილი ა., საქართველოს 1924 წლის აჯანყება უცხოელ მკვლევართა შრომებში, „საისტორიო ძიებანი", 3 (2000).

22 http://www.guardian.co.uk/books/2011/sep/08/michael-hart-inventor-ebook-dies

23 In December 2013, Wales, as the founder of Wikipedia, was awarded the Niels Bohr Gold Medal by UNESCO.

Although Wikipedia does not have a scholarly nature or purpose – no one is responsible for the completeness or accuracy of the information published there – it has become so widely distributed across the internet that it has long since become a global phenomenon, containing a vast and seemingly inexhaustible amount of material on virtually any topic. Wikipedia is one of the most popular websites in the world and is actively used as an informational reference source.

In the eyes of the general public, Wikipedia is equated with an encyclopaedia, but we must not forget that a true encyclopaedia is a scholarly, academic publication compiled according to specific standards. Wikipedia also follows an encyclopaedic style – it operates under the fundamental principle of a neutral point of view, reflecting only facts and presenting differing perspectives without endorsing any of them. However, unlike traditional encyclopaedias, which typically publish articles written by well-known scholars, specialists, and experts, authorship in Wikipedia (without attribution of name or surname) is extremely simple, does not require formal qualifications, and is essentially unrestricted. Adding or editing information is not difficult, and virtually anyone can do it (it is estimated that every second, editors worldwide make about 10 changes to Wikipedia.[24])

Initially, Wikipedia articles were created only in English, but very soon the internationalization of the network began. Texts appeared in German, Spanish, French, Chinese, Italian, Japanese, and other languages. By 2002, 90% of all Wikipedia articles were still published in English. However, within just 5 to 7 years of its creation, 75% of articles were already being written in other languages. Today, Wikipedia exists in more than 300 languages, including Georgian. The Georgian-language edition of Wikipedia was launched in November 2003. According to the latest data, the Georgian Wikipedia hosts approximately 172,000 articles, ranking it 58th globally.[25] The largest edition, of course, is the English-language Wikipedia, which contains nearly 7 million articles.

The number of people using Wikipedia is also increasing at an impressive pace. In 2014, Wikipedia had 495 million monthly users; just one year later, that number had risen to 115 million in the United States alone. Today, the global number of Wikipedia users has reached approximately 16 billion per month. According to Alexa Internet statistics, Wikipedia ranks among the world's ten most visited websites, alongside Google (google.com), YouTube (youtube.com), Facebook (facebook.com), and Instagram (instagram.com).[26]

It is also noteworthy that there have been instances in which governments of various countries have restricted their citizens' access to Wikipedia. For example, the Wikipedia website has been blocked for varying periods in China, Iran, Turkey, Pakistan, Tunisia, Uzbekistan, and Syria. In July 2012, the Russian Federation adopted a law *„On the Protection of Children from Harmful Information Affecting Their Health and Development",* which prompted a strike by contributors to the Russian-language Wikipedia. A number of Wikipedia articles – particularly those related to Russia's invasion of Ukraine – remain subject to censorship and are still blocked by the Kremlin.

It is well known that encyclopaedic works were being created in ancient times in Egypt and China, while the classical *Encyclopaedia, or a Systematic Dictionary of the Sciences, Arts, and Crafts*, compiled by the French Enlightenment thinkers, belongs to the 18th century. Compared to these, Wikipedia's age seems almost trivial. It has existed for just a quarter of a century (founded on January 15, 2001), yet it has already become the largest and most widely read encyclopaedia in the world.

---

24 https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%92%D0%B8%D0%BA%D0%B8%D0%BF%D0%B5%D0%B4%D0%B8%D1%8F:%D0%A1%D0%BF%D0%B8%D1%81%D0%BE%D0%BA_%D0%92%D0%B8%D0%BA%D0%B8%D0%BF%D0%B5%D0%B4%D0%B8%D0%B9

25 https://en.wikipedia.org/wiki/Wikipedia:List_of_Wikipedias

26 https://www.similarweb.com/top-websites/

Citing Wikipedia in academic writing is generally considered poor practice, and references to it as a source are rarely found in scholarly works across any field. Nevertheless, publishing an article on this website – especially in multiple languages – significantly increases the visibility of a fact or event, the identities of those involved, and ultimately the international awareness of the country where the event occurred. This consideration led to my interest in exploring how the August 1924 Uprising, whose centenary is currently being marked in Georgia, is represented in foreign-language editions of Wikipedia.

There are nearly thirty articles on this subject across various language editions of Wikipedia. Let us begin with the English version.

In the English-language Wikipedia, the article of interest is titled *„August Uprising"*. The text contains over 3,360 words and is divided into the following sections: **Background**, **Preparation**, **Outbreak and Reaction**, **Aftermath**, and **Assessment**, followed by **Notes**, **References**, **Sources**, **External Links**, and **See Also**. Key terms identified in the article include: USSR, Red Army, Cheka, Georgian SSR, Committee for the Independence of Georgia, and Georgian partisan groups.

The article is accompanied by several photographs: Georgian oath-bound fighters under the command of Kakutsa Cholokashvili; Prince Kote Andronikashvili, chairman of the Committee for Independence (*Damkom*); Colonel Kakutsa Cholokashvili, leader of the uprising; Soviet security officer Lavrentiy Beria, who became notorious for his role in suppressing the uprising; and a Soviet-era monument in Sukhumi dedicated *„to the Komsomol members who died fighting the enemies of Soviet power in 1924"*.

The opposing sides are identified as follows: on one side – the Soviet Bolshevik leaders, military and security officials: Joseph Stalin, Sergo Orjonikidze, Lavrenti Gogoberidze, Lavrentiy Beria, S. Mogilevsky (head of the Transcaucasian State Political Directorate), S. Pugachov (commander of the Caucasian Red Banner Army), and Shalva Tsereteli (senior official of the Georgian Cheka); and on the other side – the political and military leaders of the uprising: Spiridon Chavchavadze, Kakutsa Cholokashvili, Iason Javakhishvili, Mikheil Javakhishvili, Kote Andronikashvili, and others. Cited works include those by Ariel Cohen, Raymond Dugué, Stephen Jones, David Marshall Lang, Amy Knight, Rudolph Rummel, Boris Souvarine, Ronald Grigor Suny, Markus Wehner, and others. Among Georgian authors, publications by Valeri Benidze, Akaki and Paata Surguladze, and Levan Urushadze are referenced.

The article describes the socio-political reality that emerged in Georgia from March 1921 onward, including the condition of various social groups, anti-Soviet political parties, the Church, internal contradictions within the Bolshevik government, ongoing repressions, and more. It provides a detailed overview of the protest movement that arose in Georgia, including the uprisings in Svaneti and Pshav-Khevsureti, the formation of the Committee for Independence (*Damkom*) and its military centre, as well as the centre's eventual failure and the execution of its entire leadership.

The article covers the key episodes of the uprising both in western and eastern Georgia (such as the revolt in Chiatura, the operations of Kakutsa Cholokashvili's detachment, and the capture of *Damkom* members). It is noted that the success of the uprising was short-lived. Although the scale of the revolt exceeded the expectations of the Cheka, the Soviet authorities responded swiftly. Repressions affected not only participants in the uprising but also peaceful civilians – entire families were exterminated, including women and children. The article does not omit the executions carried out in prisoner railcars and other such events. It also notes that the exact number of those killed and victimized is unknown. Approximately 3,000 people died in combat, while the number of those executed during or after the uprising reached 7,000. In effect, the most active, independence-oriented segment of Georgian society was wiped out – nobility, military officers, and the intellectual elite.

According to the article, the resistance of scattered partisan detachments continued for several weeks, but by mid-September, their opposition had been broken.

The English-language Wikipedia article concludes with the following summary: The August 1924 armed uprising was an unsuccessful rebellion against Soviet authority in the Georgian Soviet Socialist Republic, aimed at restoring Georgia's national independence. It represented the culmination of a three-year struggle against the Bolshevik regime and was one of the last major armed uprisings, the suppression of which marked the final establishment of Soviet rule in Georgia.[27]

The French Wikipedia article on the August 1924 uprising exceeds 3,900 words and is similarly illustrated with a group photograph of the oath-bound, as well as portraits of Kakutsa Cholokashvili, Konstantine Andronikashvili, and Lavrentiy Beria. Its section headings include: Context, Preparation (Préparations), Uprising and Counteraction (Révolte et Réaction), Consequences (Conséquences), Legacy (Héritage), and Historical Interpretations (Interprétations Historiques). The article is supported by citations and footnotes, and includes a list of sources and external links (Liens externes).

The title of the article is „The August 1924 Uprising in Georgia". The introduction explains that this was an unsuccessful uprising against Soviet rule in the Georgian Soviet Socialist Republic, which took place from the end of August to early September 1924. It states that the rebellion, launched with the aim of restoring national independence, was led by the Committee for the Independence of Georgia.

The uprising is described as the culmination of a three-year struggle against the Bolshevik regime, which was suppressed by units of the Red Army and the Cheka, acting on the orders of Joseph Stalin and Sergo Orjonikidze. This was followed by a wave of mass repressions and heavy casualties.

The article recounts Georgia's forced Sovietization by the Red Army, which compelled the government of the Democratic Republic of Georgia to flee into exile. It emphasizes that the three-year period of independence sparked a national awakening and widespread public support for the ruling Social-Democratic Party, while the legitimacy of the Soviet regime remained in question.

According to the French Wikipedia article, Georgia's highly politicized working class, national intelligentsia, and nobility – who had sworn allegiance to the Democratic Republic of Georgia – were hostile toward the new regime. The peasantry, too, was dissatisfied due to land shortages and economic chaos. All of this fuelled the protest movement for freedom. Political parties were forced to announce their self-dissolution, and the Georgian Orthodox Church faced persecution. Georgia was forcibly incorporated first into the Transcaucasian SFSR and later into the USSR, which cast a shadow over Georgian national pride.

The article then briefly describes the uprisings in Svaneti and Khevsureti, the operations of partisan detachments, the formation of the Committee for Independence and its military center, as well as the covert return from emigration of Noe Khomeriki, Valiko Jugheli, and Benia Chkhikvishvili in support of the uprising – followed by their arrest by the Cheka. The failure of the military center and the execution of its members is also addressed.

Citing the work of scholar Amy Knight, „*Beria: Stalin's First Lieutenant*" (Princeton University Press, 1993), the article notes that Soviet intelligence played a certain role in provoking the uprising – that the Cheka, in effect, encouraged it in order to justify a crackdown on political opposition.

The article covers the course of the uprising in both western and eastern Georgia. It states that the Red Army units used artillery and aviation against the insurgents. Thousands of peaceful civilians were killed; entire families—including women and children—were annihilated. People were executed without trial. At the initiative of Cheka officer Talakhadze, hundreds of prisoners were shot inside

[27] https://en.wikipedia.org/wiki/August_Uprising

freight cars, among other atrocities. The exact number of victims remains unknown. According to the latest data from „*The Black Book of Communism*" (Harvard University Press, 1999), between August 29 and September 5, 1924, a total of 12,578 people were killed. Approximately 20,000 individuals were deported to Siberia and the deserts of Central Asia.

The German Wikipedia article dedicated to the August 1924 Uprising is relatively brief – just under 600 words – but it contains standard sections such as Background, Failure, Rehabilitation, Literature, and External Links.[28] The text is accompanied by two photographs: one of Kakutsa Cholokashvili with his oath-bound detachment, and another of Committee for Independence chairman Konstantine Andronikashvili.

It is explained that the August 1924 popular uprising was directed against the Soviet occupation of Georgia and the establishment of the Georgian Soviet Socialist Republic. According to the article, it was the last major uprising in the South Caucasus launched against Bolshevik rule, and it was suppressed under the leadership of Stalin, Orjonikidze, and Beria, who was then head of the Cheka.

At first, the uprising appeared to be successful. However, this did not last long. Poor organization and ineffective cooperation among resistance groups led to its rapid suppression. By mid-September, the Red Army had emerged victorious from all clashes. In the following weeks, approximately 7,000 participants in the uprising were executed. Tens of thousands of people – including entire families – were deported to Siberia or Central Asia.

The **Rehabilitation** section distinguishes itself from other language editions of Wikipedia and correctly states that the rehabilitation of victims of the 1924 political repressions in Georgia began with a resolution of the State Council on May 25, 1992. In May 2006, the Museum of Soviet Occupation was opened in Tbilisi, where documents related to the August Uprising in Georgia are displayed.

The bibliography lists works by Valeri Benidze, Stephen Jones, Amy Knight, Markus Wehner, Raphael Abramovitch, Vasily Sukhomlin, and Irakli Tsereteli.

The German Wikipedia article mistakenly identifies Mikheil Lashkarashvili as the leader of the partisan movement in Kakheti, which is incorrect. M. Lashkarashvili was, in fact, the commander of a partisan detachment operating in Kartli, not Kakheti.[29]

II მსოფლიო ომის და შემდეგ პერიოდში ეროვნული მოძრაობა განსა-კუთრებით გააქტიურდა და ეროვნულ ძალებს საქართველოს განთავისუფლების იმედი გაუჩნდათ. ამ პერიოდს უკავშირდება დისიდენტური მოძრაობის განვითარება. აღნიშნულის გამოვლინებას წარმოადგენდა 1956 წლის მოვლენების ფონზე ახალ¬გაზრდათა ჯგუფის გააქტიურება. როგორც ზვიად გამსახურდიას ჩვენებიდან ირკვევა: „... მე შევადგინე და დავბეჭდე საბეჭდ მანქანაზე, ქართულ ენაზე ფურცლები 7 ცალი ერთიდაიგივე შინაარსის, რომლებიც იწყებოდა მოწოდებით „ქართველებო“ ხომ არ დაგავიწყდათ 9 მარტის „სისხლიანი ღამე“ და მთავრდებოდა სიტყვებით „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“ და გავავრცელეთ ისინი ქ. თბილისში სხვადასხვა ადგილას. კითხვაზე თუ რა მიზეზით დაიწყო ანტისაბჭოთა ფურცლების დაბეჭდვა და გავრცელება, ზვიად გამსახურდია პასუხობს: „ჩემს მიერ ანტისაბჭოთა ფურცლების შედგენის და გავრცელების მიზეზი შემდეგია: 1. ჩემი აზრით, არ სრულდებოდა და არ სრულდება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით გათვალისწინებული ლენინური პრინციპი მოკავშირე რესპუბლიკების უფლების შესახებ კავშირიდან თავისუფალი გასვლის. 2. 1956 წლის 9 მარტს მომხდარი ამბები ქალაქ თბილისში. 3. ვინაიდან მე მიმაჩნდა, რომ პოლონეთში და უნგრეთში დაღვრილ იქნა უდანაშაულო ხალხის სისხლი და აგრეთვე, უნგრელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ჩვენს პრესაში გამოცხადებული იქნა, როგორც ფაშისტური ბუნტი, და სხვა მიზეზები, რომელთა გახსენება ამჟამად არ შემიძლია.“[69]

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ახალგაზრდათა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი ანატოლ მიქაძე დაკითხვისას შემდეგნაირ ჩვენებას იძლევა: „ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბერია დააპატიმრეს როგორც ხალხის მტერი, მე და ზოგიერთ ჩემს სკოლის ამხანაგებს, როგორებიც არიან: გამსახურდია ზვიადი კონსტანტინეს ძე, გუნჯუა თამაზი ტარასის ძე, სიხარულიძე ვლადიმერ (ვოვა) ვასილის ძე, ცერცვაძე თემური და კიდევ სხვები, რომლებიც ამჟამად არ მაგონდება, არ გვჯეროდა მისი დანაშაული და ერთმანეთში გამოვთქვავდით უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, მაგრამ თანდათან დავრწმუნდით ბერიას მავნებლურ მოქმედებაში და უკმაყოფილების გამოთქმაც შევწყვიტეთ. მაგრამ ჩემი ინიციატივით და წინადადებით ჩამოყალიბდა არალეგალური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს არალეგალურ მუშაობას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ...მე ასე მქონდა გაგებული, რომ ქართველები დაჩაგრულია რუსებისაგან და ჩემი მიზანი იყო ქართველი ერის განთავისუფლება ამ ჩაგვრისაგან, რაც შესაძლებლად მიმაჩნდა საქართველოს რუსეთთან გამოყოფის საშუალებით. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ჩვენს სკოლაში დავაარსეთ არალეგალური ორგანიზაცია. პირველად მისი წევრები ვიყავით: მე _ მიქაძე ანატოლი აბესალომის ძე, გამსახურდია ზვიადი კონსტანტინეს ძე, გუნჯუა თამაზი ტარასის ძე, სიხარულიძე ვალოდია ვასილის ძე. ...ჩვენი მიზნის სისრულეში მოყვანისათვის ჩვენ გეგმად ვისახავდით პირველ რიგში გაგვეფართოებინა ჩვენი ორგანიზაცია მასში ახალი წევრების მიღების გზით.

[69] შინაგან საქმეთა სამინისტრო, (შემდეგში შსს), ფ. 6, საქ. #1322-56, ტ. 1, ფურც. 39

ამისთვის ჩვენ უნდა გაგვეწია აგიტაცია ჩვენი სკოლის იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც ჩვენ ჩავთვლიდით სანდოთ. პრაქტიკულ ღონისძიებად გვქონდა აგრეთვე დასახული შეგვედგინა ანტისაბჭოთა პროკლამაციები და გაგვევრცელებინა თბილისში. პროკლამაციის შინაარსი უნდა ყოფილიყო მიმართული საქართველოს დამოუკიდებლად არსებობისათვის... გარკვეული პერიოდის შემდეგ ორგანიზაციაში წევრებად მიიღეს: კოსტავა მერაბი მუ¬სიკალური სკოლის მოსწავლე, დოჩანაშვილი გურამი 47-ე სკოლის IX კლასის მოსწავლე, ცერცვაძე თემური პირველი საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე და მეტრეველი ჯონდო, იგივე ცქმუნა, 47-ე სკოლის IX კლასის მოსწავლე.“[1] თეიმურაზ ცერცვაძე დაკითხვისას აღნიშნავდა: „ერთ-ერთი გზა ჩვენი არალეგალური ჯგუფის მუშაობისა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში იყო ანტისაბჭოთა ხასიათის ფურცლების შედგენა და გავრცელება, რათა გაგვეწია ხალხში აგიტაცია არსებული მიზნების მისაღწევად“.[2]

XX საუკუნის 70-იან წლებში ეროვნული მოძრაობის ახალი აღმავლობა უკავშირდება ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას სახელებს. მათ, თავისი მოღვაწეობით ახალი ერა დაიწყეს საქართველოს ისტორიაში. ბუნებრივია, რთული იყო საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლა, თუმცა ეროვნული ძალები მაქსი¬მალურად ცდილობდნენ დასახული მიზნის მიღწევას. ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი ნაბიჯი იყო 70-იან წლებში ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ და „ოქროს საწმისის“ გამოშვება, რომელიც არალეგალურად ვრცელდებოდა. საბჭოთა რეჟიმის წარმომადგენლები მუდმივად ცდილობდნენ არ დაეშვათ ეროვნული ძალების საქმიანობის განვითარება-აღმავლობა, მიუხედავად იმისა, რომ 70-იანი წლებიდან მოყოლებული სულ უფრო იკვეთებოდა საბჭოთა რეჟიმის სისუსტე. თავის მხრივ, აღნიშნული ვითარების გამოყენებას ცდილობდა ეროვნულად მოაზროვნე ნაწილი. რა ფაქტორებმა განაპირობა ქართული დისიდენტური მოძრაობის ჩამოყალიბება? როგორც უკვე აღვნიშნე, დისიდენტურ მოძრაობას საფუძველი ეყრება როგორც საბჭოთა სისტემაში მთლიანად, ისე კერძოდ, საქართველოში. XX საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბებული დისიდენტური მოძრაობის მთავარი წარმომად¬გენლები იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, რომლებიც ბრძოლის სხვადასხვა მეთოდებს შორის მიმართავდნენ ანტისაბჭოთა ლიტერატურის გავრცელებას, სწორედ ამ მოტივით იყვნენ ისინი დაპატიმრებული 1977 წელს. 1. საწყის ეტაპზე დისიდენტური მოძრაობა ისეთი სიმძლავრით არ გამოირჩეოდა, რომ გავლენა მოეხდინა საზოგადოებაზე. 2. ამას ხელს უშლიდა საბჭოთა სისტემის არსებობა, რომლის პირობებში აქტიური ნაბიჯების გადადგმა სირთულეს წარმოადგენდა. 3. დისიდენტური მოძრაობა დიდი მრავალრიცხოვნობით არ გამოირჩეოდა. შაბჭოთა კავშირში არსებული დისიდენტური მოძრაობისგან განსხვავებით საქართველოში დისიდენტები ადამიანის უფლებების დაცვასთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს საბჭოთა სისტემისაგან გამოყოფას. Dასახული მიზანი კი მარტივად მისაღწევი ნამდვილად არ იყო. მართალია XX საუკუნის 70-იან წლებში უკვე ნათლად იყო გამოკვეთილი საბჭოთა რეჟიმის კრიზისი, თუმცა მისი მძლავრი პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური რესურსი ჯერ კიდევ არ იძლეოდა მასში შემავალი სახელმწიფოების განთავისუფლების საშუალებას. მარ¬თალია, ქართველი დისიდენტები თავისი მოღვაწეობის ფარგლებში ცდილობდნენ შეხებოდნენ ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც საქართველოს განვითა¬რებისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა, თუმცა მათი ეს მცდელობა ხშირად უშედეგოდ სრულდებოდა. რა განაპირობებდა ამ ფაქტს? 1. მართალია, დისი¬დენტური მოძრაობა ჩამოყალიბებას იწყებს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რუსეთშიც და წესით ამ გარემოებას გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა საქართველოს მდგომარეობაზე, მითუმეტეს, რომ კავშირი ქართველ და რუს დისი¬დენტებს შორის

[1] შსს, ფ. 6. შაქ. #1322-56, ტ. 1, ფურც. 261, 267

[2] შსს, ფ. 6, საქ. #1322-56, ტ. 1, ფურც, 270

არსებობდა და საქართველოში არალეგა¬ლურად ვრცელდებოდა რუსი დისიდენტების ლიტერა¬ტურა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული განსხვავებული ვითარე¬ბიდან გამომდინარე საქართველოს გზა არსებითად რადიკალური იყო, რაც პირველ რიგში გამომდინარეობდა იქიდან, რომ ქართველი დისიდენტების მთავარ მიზანს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა. რუსი დისიდენტების ძირითადი ამოსავალი პრინციპი ადამიანის უფლებების დაცვა იყო. ბუნებრივია, ეს მოთხოვნა მნიშვნელობას მოკლებული არ იყო, რაც საბჭოთა რეჟიმის პირობებში წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, რადგან თავისი არსებობის მანძილზე საბჭოთა კავშირი არ უშვებდა აზრის თავისუფლად გამოვლენის საშუალებას და აღნიშნული მიმართულებით გააქტიურება ხელს შეუწყობდა საზოგადოების ფართო ფენების უფლებების დაცვას, თუმცა ეს რუსეთში და საქართველო მთელი თავისი არსე¬ბობით განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, აქ არა მხოლოდ ადამიანის უფლებები იყო დასაცავი, არამედ ეროვნულიც. ეს ფაქტი, კი ბუნებრივია ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის განსხვავებული გზით განვითარების საშუალებას იძლეო¬და. 2. იმისთვის, რომ გარკვეული იდეა გავრცელდეს საზოგადოებაში პირობების შექმნა და ცნობიერების მომზადებაა საჭირო. მართალია, ქართული საზოგადოება აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ სამშობლო სხვა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, მაგრამ ბრძოლის დაწყება და გააქტიურება არც ისე მარტივი იყო. საზოგადოების დიდი ნაწილი მიჩვეული იყო საბჭოთა რეჟიმს და გადატანილი რეპრესიების მასშტაბებიდან გამომდინარე გარკვეული შიშის გრძნობაც არსე¬ბობდა. მას სჭირდებოდა მომზადება იმისთვის, რომ ბრძოლა დაეწყო. ისე როგორც XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში, როდესაც თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით იწყებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს ეროვნული ცნობიერების ამაღლებისათვის და განმტკიცებისთვის, დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა XX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოში. ადრე ბრძოლა მიმართული იყო მეფის რუსეთის, ახლა კი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ის ფაქტი, რომ 117 წელი საქართველო ჯერ რუსეთის იმპერიის და შემდეგ 1921 წლიდან საბჭოთა რეჟიმის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა შეიძლება ითქვას მოდუნებული ჰქონდა ბრძოლის უნარიც და ეროვნული აზროვნებაც. ამიტომ ქართველ დისიდენტებს დიდი ძალისხმევა სჭირდებოდათ საზოგადოების ფართო ფენების ცნობიერების ამაღლებისთვის, მოსახლეობის დიდი ნაწილი პირდაპირი მნიშვნელობით და აზროვნებითაც საბჭოთა რუსეთის ტყვეობაში იმყოფებოდა. 1921 წლიდან ჩამოყალიბებული მძლავრი მექანიზმის საშუალებით საბჭო¬თა ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა ძალადობრივი თუ იდეოლოგიური საშუალებით მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების დასუს¬ტებას და საკუთარი, მისთვის მისაღები იდეის დამკვიდრებას. განსხვავება XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის 70-იანი წლების ქართველ მოღვაწეებს შორის ის იყო, რომ ამ უკანასკნელთ უფრო ნაკლები საშუალება ჰქონდათ პრესის თუ სხვა მეთოდებით ეროვნული აზრის გავრცე¬ლებაში. 3. ისევე, როგორც XIX საუკუნის II ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში ქართველი ეროვნული მოღვაწეების მიზანს წარმოად-გენდა დასავლეთის ყურადღების მიპყრობა და იქ არსებული სისტემის გად-მოღება საქართველოში, XX საუკუნის 70-იან წლებში ქართველი დისიდენტები მაქსიმალურად ცდილობდნენ დასავლეთის სახელმწიფოთა დახმარების მოპოვებას და მათი მეშვეობით მსოფლიოს ინფორმირებას საბჭოთა რეჟიმის მეთოდების სისასტიკეში. დისიდენტ ავთანდილ იმნაძის საქმეში ვკითხულობთ: „1978 წლის იანვარში იმნაძემ ვიქტორ გიორგის ძე რცხილაძის წინადადებით (გასამართლებულია ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის) შემდგომში საზღვარგარეთ გადასაცემად გავრცელების მიზნით, ფოტოწესით გადაიღო რცხი¬ლაძის მიერ ანტისაბჭოთა შინაარსის პასკვილი „ინფორმაცია“ და „კრიტიკა“, რომელშიც გარდა ცილისწამებისა, საბჭოთა სინამდვილეზე არის მოწოდება საბჭოთა წყობის წინააღმდეგ ბრძოლისა. ფოტო¬ფირი, რომელზეც გადაიღო „ინფორმაციისა“ და „კრიტიკის“ სრული ტექსტი

იმნაძემ თავისი ინიციატივით, ასევე უცხოეთში გავრცელების მიზნით დაურთო მის მიერ 7 ნოემბერს გავრცელებულ ანტისაბჭოთა ხასიათის ფურცლების ასლი და გადასცა რცხილაძეს. უნდა აღინიშნოს, რომ „ინფორმაცია“ და „კრიტიკა“ შედგე¬ბოდა ანტისაბჭოთა ცილისმწამებლური მონაჭორებისაგან, გამოთქმული იყო მუქარა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურთა მიმართ, ქება-დიდებით იყვნენ მოხსენებული საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები, რომლებიც 1922-1924 წლებში იარაღით ხელში ებრძოდნენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. 1978 წლის თებერვალში იმნაძემ შეადგინა და გაამრავლა 700-800 ეგზემპლარის საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების სახელის გამტეხი ცილისმწამებ¬ლური მონაჭორების შემცველი ფურცლები, რომლებიც 1978 წლის 17 თებერვალს გაავრცელა, თბილისის უნივერსიტეტის ახალ და ძველ შენობაში, პოლიტექნიკური ინსტიტუტის VI კორპუსში, რუსთაველის გამზირზე მდებარე #52 სახლისა და თბილისის მეტროპოლიტენის სადგურ „ლენინის მოედანთან.“[3]

აქვე საინტერესოა შევაფასოთ 1. რა როლი ეკავა ქართველი დისიდენტების მოღვაწეობაში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და ზოგადად ქრისტიანობას? და 2. რა მეთოდებს მიმართავდა საბჭოთა ხელისუფლება ქრისტიანობის წინააღმდეგ? 1. ქართველი დისიდენტების მთავარი მიზანი ადამიანის უფლებების დაცვასთან ერთად საქართველოს სრული თავისუფლებისათვის ბრძოლა იყო. მათ სამოქმედო პროგრამაში შეიძლება ითქვას დიდი ადგილი ეკავა ყველა იმ საკითხს, რომელსაც საბოლოო ჯამში საქართველო დამოუკიდებლობისაკენ მიყავდა. მათ შორის ერთ-ერთი იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. ისინი ხშირად აკრიტიკებდნენ სამღვდელოებას ეკლესიის სრულყოფის მიზნით. ამასთან ცდილობდნენ არ დაეშვათ საბჭოთა რეჟიმის მომხრე პირების გაძლიერება და დამკვიდრება ეკლესიაში. 1975 წელს ჟურნალ „ოქროს საწმის“-ში ელისაბედ ქავთარაძე სტატიაში „ქვეყანა დაკარგული საფლავებისა“ აღნიშნავდა: „რელიგია ხომ უფრო თავდაცვის დროშა იყო, ვიდრე ცეცხლით და მახვილით ღმერთ¬მსახურობა, აზრის მეტაფიზიკური მწვალებლობა, მისტიურ ჭვრეტის ბინდბუნდები და ასე შემდეგ. თვით ჩვენი ეკლესიაც თავიდანვე ცეცხლის ხაზზე იყო გამოსული. უმაგალითო მსხვერპლის გაღებით იგი გვერდში ედგა არაქათგამოცლილ ხალხს ბრძოლა-გადარჩენის მძიმე საქმეში, უდიდესი წვლილი შექონდა ეროვნული კულტურის საგანძურებში და უფრო მეტიც: ცნობიერად თუ შეუცნობლად, ეროვნული გამძლეობის ერთ-ერთი კატალიზატორის როლი მან შეასრულა.“ სწორედ ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლებამ მთავარი დარტყმა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მიაყენა. 1976 წლისთვის საქართველოში ასეთი მდგომარეობა იყო. „...ეკლესიას თანდათან შეუმცირდა მრევლი, ეკლესიები იკეტებოდა ზედიზედ, 35 მოქმედი ეპარქიიდან 100-მდე საეკლესიო პირია /ყველა თანამდებობის/, კურსებში სწავლობს ყოველწლიურად 13 კაცი. საქართველოს ეკლესიის უკიდურეს ჩაგვრაზე და დისკრიმინაციაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ დღემდე საქართველოში არ არსებობს საეკლსიო ჟურნალი, მაშინ როდესაც ასეთი ჟურნალები არსებობს რუსეთში, სომხეთში, ბალტიისპირეთში და უკრაინაში. საქართველოს ეკლესიას არ აქვს არავითარი პუბლიკაციების უფლება /გარდა კალენდრისა/, არ არსებობს სასულიერო სემინარია, ხოლო ის კურსები, რომელნიც მის მაგივრობას სწევენ, ახალგაზრდებს არაფერს ასწავლიან გარდა საეკლესიო რიტუალისა და ხუცური ანბანისა /ფიქტიურად არსებობს დანარჩენი საგნები: ეკლესიის ისტორიის, საღვთო წერილი და სხვა, თუმც ლექციები ამ საგნებში არ იკითხება/. კურსებზე სწავლობს ყოველწლიურად 13-მდე კაცი, ხოლო თვითეული გამოშვება უდრის სამ სამღვდელო პირს.“[4] 2. საბჭოთა კავშირი მთლიანად კრძალავდა რელიგიას და რელიგიურ დაწესებულებებს. ამას განაპირობებდა ის ფაქტი, რომ საბ-

[3] შსს, ფ. 6, საქ. #29246, ტ. 6, ფურც. 74-75

[4] შსს, ფ. 6, საქ. # 29218-79, ტ. 8. ფურც. 23-24

ჭოთა ხელისუფლება მთავარ რელიგიად კომუნიზმს აღიარებდა. „იმის შესახებ, თუ როგორ გაანადგურეს საქართველოში კომუნისტებმა რჩეული სამღვ¬დელოება, ან როგორ მოახდინეს მათი დემორალიზება, როგორ ჩააცვეს ანაფორა ჩეკისტებს, როგორ აქციეს ეკლესია სამასკარადო ადგილად, რომელიც მხოლოდ უცხოთა თვალის ასახვევადაა დატოვებული, ამის შესახებ მთელი ეპოპეა შეიძლება დაიწეროს. 1921 წლიდან ათეიზმი ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოებრივ რელიგიად იქცა. დაიწყო ტოტალური ომი ქრისტიანობის წინააღმდეგ, ეკლესიების ნგრევა, საყოველთაო აგიტაცია. ფარულად კი _ ეკლესიის დემორალიზაცია, ჭეშმარიტ ქრისტიანთა განადგურება... ...ყველაზე საზარელი საქმე უშიშროების კომიტეტისა არის მისი ფარული ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ. საეკლესიო თანამდებობები¬სათვის არჩევენ არა მხოლოდ ათეისტებს, არამედ კრიმინალურ და პათოლოგიურ ათეისტებს. ეს საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ ხალხს ეკლესია შეაძულონ. ასეთი სასულიერო პირები ამოკლებენ და ამახინჯებენ საეკლესიო რიტუალებს, ეწევიან ფულის გამოძალვას, ათასგვარ უხამსობასა და გარყვნილებას.“[5] ქართველი დისიდენტების მცდელობას დაეცვათ ეროვნული იდეალები და განემტკიცებინათ ქართველთა ეროვნული თვითშეგნება უშედეგო აღმოჩნდა და 1977 წელს დააპატიმრეს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. „საქართველოში პატრიოტთა წინააღმდეგ ჩატარებული რეპრესიები შეიძლება განხილულ იყოს, როგორც იმ საერთო რეპრესიული ტალღის ნაწილად, რომელიც გავრცელდა სსრკ-ში, როდესაც 1977 წელს თებერვლიდან მოსკოვში დააპატიმრეს „ჰელსინკის“ ჯგუფის ხელმძღვა¬ნელი დოქტორი იური ორლოვი და შემდეგ ამ ჯგუფის რამდენიმე წევრი. მალე უკრაინაშიც დაპატიმრებულ იქნა ამ ჯგუფის ორი უკრაინელი წევრი /ერთ-ერთი მათგანია უკრაინელი მწერალი ნიკოლა რუდენკო/, ასევე ლიტვაშიც.

1977 წელს ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას დაპატიმრებასთან და¬კავშირებით მორწმუნეთა უფლებების დაცვის ქრისტიანული კომიტეტის წევრები სსრკ-ში: მღვდელი გლებ იაკუნინი, მთავარდიაკონი ვარსონოფიი ხაიბულინი, ვიქტორ კაპიტანჩუკი მიმართავენ მსოფლიო საზოგადოებას: „კიევში რუდენკოსა და ტიხის, მოსკოვში ორლოვისა და გინზბერგის დაპატიმრების შემდეგ თბილისში სუკ-ის ორგანოებმა დააპატიმრეს ჰელსინკის შეთანხმებათა შეს¬რულების მეთვალ¬ყურე ქართული ჯგუფის ხელმძღვანელი ზვიად გამსახურდია და ადამიანის უფლებათა დაცვის ქართული კომიტეტის წევრი მერაბ კოსტავა, ორივე ქრის¬ტიანები, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმდევრები არიან. გამსახურ¬დიას და კოსტავას მოღვაწეობა მიმართული იყო ადამიანის უფლებათა დაცვისათ¬ვის, რელიგიის დაცვისათვის, ქართული ეკლესიის თავისუფლების ფერხთქვეშ გათელვის წინააღმდეგ. კერძოდ, ისინი გამოდიოდნენ ქართული რელიგიური და ნაციონალური წმიდათაწმიდა ადგილის დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დასაცავად, რომელიც ამჟამად ინგრევა იმის გამო, რომ სადაც ეს კომპლექსი მდებარეობს, საარტილერიო პოლიგონად აქციეს.“[6]

როგორც ვხედავთ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 70-იანი წლების ბოლოს კიდევ უფრო ძლიერდება და აქტიური ნაბიჯების გადადგმისაკენ ემზადება ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1978 წლის 14 აპრილის დემონსტრაცია, რამაც ქართველი ერის ერთობას შეუწყო ხელი და საზოგადოებას მისცა სტიმული უფრო მეტად დაეცვა სა- კუთარი სამშობლო. „ქართველი ახალგაზრდობა თავისუფალია იმ ცრუ-რწმენისაგან, რომელსაც საბჭოური კომუნიზმი ეწოდება. მას არ გაუვლია არც 30- იანი წლების ტერორი და არც 1956 წლის სისხლიანი მარტი; და თუ ვინმეს კვლავ შემორჩა „დიდი ბელადისადმი“ სიმპატიები, ეს უფრო გაუნათლებლობის ბრალია ან მემკვიდრეობით მიღებული სენი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში თავი-სუფლად ჩამო-

[5] შსს, ტ. 6. შაქ. #29237-79, ტ. 7, ფურც. 156-157

[6] შსს, ტ. 6, საქ. #29237, ტ. 9, ფურც. 30

იშორებს. სწორედ ახალგაზრდობის გააქტიურებისაკენ უნდა წარმიმართოს მუშაობა. ჩვენ უნდა შევძლოთ ბრძოლის ხაზი გადავიტანოთ ინს- ტიტუტებში, ტექნიკუმებსა და პროფ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საწარმოო დაწესე¬ბულებებში, ხოლოშემდეგ კი სკოლებში. როდესაც მზადების წინა ხაზი სკო¬ლებში გადაინაცვლებს, გვექნება საუცხოო ბაზა ახალი კადრების წარმოჩენისა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერებისა და რაც მთავარია, იქნება მტკიცე საფუძველი, რომელზედაც დაშენდება დამოუკიდებელი სა-ქა¬რთველო.“ შაქართველოს ახალი სისხლი და ახალი ძალა ნამდვილად სჭირდებოდა. 1921 წლიდან მოყოლებული ქართველმა ინტელიგენციამ დიდი დარტყმა განიცადა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან. ქართველ ეროვნულ ძალებს შეზღუ¬დული და შეიძლება ითქვას ჩამორთმეული ჰქონდა უფლება გარკვეული წვლილი შეეტანა საზოგადოების ეროვნული ცნობიერების განვითარებაში. საბჭოთა რეჟიმის დამყარებიდან მოყოლებული საქართვე-ლოში ყოველგვარი ეროვნული იდევნებოდა და ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა საკუთარი გავლენის დამყარებას, რის მისაღწევადაც ყოველგვარ მეთოდს მიმართავდა. ის არ ერიდებოდა ძალადობრივი საშუალების გამოყენებასაც. ქართველი ინტელიგენცია, რო-მელმაც მეფის რუსეთის დროს უფრო დიდი როლი ითამაშა ქართველი ერის ერთიანობის ჩამოყალიბებაში, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა, რაც განსაკუთრებული გამომხატველობით გამოჩნდა 30-იან წლებში. მართალია, ეროვნული იდეა მეფის რუსეთის დროსაც იდევნებოდა, თუმცა XIX საუკუნის 60-იანი წლე-ბიდან მოყოლებული 1921 წლამდე (1918-1921_საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა) ქართველმა ინტელიგენციამ, რომელიც იდეოლოგიას ქმნიდა საქართველოში, გარკვეული წვილილი შეიტანა ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში და ეროვნული ძალების მობი-ლი-ზებაში. XX საუკუნის 30-იანი წლების მასობრივმა რეპრესიებმა მრავალი ქართველი ინტელი-გენტის სიცოცხლე შეიწირა. ეს ფაქტი შემთხვევითი არ ყოფილა. საბჭოთა ხელი¬სუფლებამ მთავარი დარტყმა იმ ადამიანების წინააღმდეგ მიმართა, რომელთაც შესწევდათ იმის ძალა და გააჩნდა ის აზროვნება, საკუთარი რესურსი ქართველი ერის ერთიანობის გაძლიერებაში დაეხარჯა. საბჭოთა იმპერიამ, ფაქტობრივად საქართველოს საღად მოაზროვნე ნაწილი წა-ართვა, რათა დამონება უფრო ადვილი გამხდარიყო. როგორც უკვე აღვნიშნე, XX საუკუნის 40-50-იანი წლებში გარკვეული გამოცოცხლება შეინიშნება ეროვნულ მოძრაობაში. ამის შე-სახებ უკვე ვისაუბრე და აქ ვრცლად აღარ შევეხები, თუმცა აღვნიშნავ, რომ ამ პერიოდიდან მოყოლებული და განსაკუთრებით, სტალინის სიკვდილის შემდეგ საფრთხე შეექმნა, რაც გამოი¬ხატებოდა როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვითარებიდან. მართალია, 1956 წლის 9 მარტს „სტალინის კულტის“ კრიტიკით ხრუშჩოვი და მაშინდელი ხელისუფლების წარმო-მადგენლები შეეცადნენ ყველაფერი მხოლოდ სტალინისთვის დაებრალებინათ, თუმცა სა-ზოგადოება და განსაკუთრებით, მისი მოაზროვნე ნაწილი ასე ადვილად უკვე აღარ ტყუვდე-ბოდა. მათთვის ნათელი იყო, რომ ახალი ხელისუფლებაც წინამორბედის გამგრძელებელი იყო და ისევ ძველი წესებით აპირებდა ცხოვრებას. მაგრამ იმასაც ნათლად აცნობიერებდა, რომ მასობრივი ერთიანობა იყო საჭირო. სწორედ აღნიშნულის ქადაგებას ისახავდა მიზ-ნად XX საუკუნის 50-იან წლებში ახალგაზრდა ქართველი დისიდენტები მერაბ კოსტავას და ზვიად გამსა¬ხურდიას ხელმძღვანელობით. ისინი მოუწოდებდნენ ქართველ საზოგადოებას საბჭოთა რეჟიმისაგან თავის დაღწევის აუცილებლობაზე. ღესპუბლიკური პარტია ჟურნალ „სარკმელის“ პირველ ნომერში მიმართავდა ქართველ ხალხს: „მხოლოდ და მხოლოდ სუვე-რენულ სახელმწიფოს შეუძლია გადაწყვიტოს თავისი სასიცო¬ცხლო პრობლემები; მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალ საქართველოს ხელეწიფება დაიცვას ქართული ენა; მხოლოდ და მხოლოდ დაუმონებელ სახელმწიფოს ძალუძს თავისი ხალხის უფლებათა და თავისუფლე-ბათა განხორციელება; მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელ ქვეყანას აქვს სრული ეკონო-

მიკური და კულტურული განვითარების საშუალება.“[7]

XX საუკუნის 80-იან წლების საქართველოში დისიდენტური მოძრაობის მიმართულებით ახალი ეტაპი იწყება. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ახალი ჯგუფი, რომელსაც ბრძოლის თავისებური მეთოდები და სტილი გააჩნდა, თუმცა მიზანი ერთი იყო: დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო. ქართული დისი¬დენტური მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ჯონი ლაშქარაშვილი აღნიშ¬ნავდა: „... როგორც ჩემი ერის ინტერესების გულშემატკივარმა, ერთ-ერთმა წარ¬მომადგენელმა მქონდა სურვილი რომ საქართველო გამოსულიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, გამხდარიყო დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყანა... ამისთვის, მე რომ გამიჩნდა ასეთი სურვილი მხოლოდ ამით არ ვკმაყო¬ფილდებოდი და მაინტერესებდა ქართველი საზოგადოების აზრი და ამისთვის თუ იყო შესაძლებლობა, მე ვიგებდი ხალხის აზრს. ბოლო ოთხი წლის მანძილზე ვმუშაობდი ტაქსზე, სადაც ურთიერთობაში ვიყავი ხალხთან და თუ სიტუაცია იყო იმისა რომ შევკითხოდი რა აზრისა იყვნენ საქართველოს საბჭოთა კავშირის გამოყოფისა, უმეტეს შემთხვევისა პასუხობდნენ, რომ მათ ჰქონდათ სურვილი რომ საქართველო გამხდარიყო დამოუკიდებელი ქვეყანა, ზოგჯერ ყოფილა ბევრი შემთხვევა, რომ დავლაპარაკებივარ მგზავრებს, მომისმენია ლაპარაკი ამ თემაზე, რომ საქართველოს აქვს უფლება გახდეს დამოუკიდებელი და ურთიერთ საუბარში გამოუთქვამთ აზრი, რომ ვინ არის ისეთი რომ არ სურდეს საქართველოს თავისუფლება, დამოუკიდებლობა, მარა რა გინდა ვინ გაგიშვებს ნებითო, ხოლო ძალით ამის გაკეთება არ მოხერხდებაო. ადამიანები რომლებიც გამოხატავდნენ ასეთ სურვილს იყვნენ ქალებიც და კაცებიც, ახალგაზრდები და მოხუცები, თითქმის ყველა კატეგორიის, წლოვანების ხალხი... მე შემექმნა ისეთი შეხე¬დულება, რომ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეს ხალხი იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენლები და არა მარტო თბილისის მკვიდრნი, ქართველი ერის უმრავლეს ნაწილს სურდა საქართველოს დამოუკიდებლობა, საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა“.[8] ზაქარია (ჯონი) ლაშქარაშვილის ჩვენება მეტად მნიშვნელოვანია. ჯერ ერთი ეს კარგად გამოხატავს მის დამოკიდებულებას საქართველოს და ზოგადად ეროვნული საკითხისადმი. მეორეც, აქ ნათლად ჩანს საზოგადოების აზრის გამოვლინება ქვეყნის თავი-სუფლებასთან დაკავშირებით. მართალია, ეს არის პერიოდი (1983- ნ.ს.), როდესაც საბჭოთა იმპერიის რღვევის ნიშნები იკვეთება, თუმცა რადიკალური ნაბიჯის გადადგმა მაინც შეუძლებლად ესახება მოსახლეობას. მაგრამ მთავარი ის არის, რომ საზოგადოების ფართო ფე¬ნებში მომწიფებულია აზრი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თაო¬ბაზე. ქართველი ეროვნული მოღვაწეების ბრძოლას გარკვეული შედეგი უკვე გააჩნია. ზაქარია ლაშქარაშვილის განცხადებიდან შესაძლებელი ხდება ქართული საზოგადოების დამოკიდებულების გარკვევა საქართველოს თავისუფლებასთან მიმართებაში. აქ საინტერესო ისაა, რომ ლაშქარაშვილი არ კმაყოფილდება მხოლოდ საკუთარი შეხედულებით და ბრძოლით დამოუკიდებლობის აღდგენისადმი და ცდილობს მოსახლეობის თვალსაზრისის გარკვევას, რათა ბრძოლა შედეგიანი ყოფილიყო. ლაშქარაშვილი აღნიშნავს: „...საუბრის დროს მე ხანდახან გადავუკ¬რავდი ხოლმე სიტყვას საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შესაძლებ¬ლობაზე, რომ საქართველო ყოფილიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამით მინდოდა გამეგო, თუ ვინ რა შეხედულებისა იყო ამ საკითხზე. ბევრი ამას გულგრილად უყურებდა, ხოლო ვისაც მოსწონდა ეს აზრი მე მათ უფრო ვუახლოვ¬დებოდი. ამგვარად მე ავირჩიე პირთა გარკვეული წრე. ესენი იყვნენ: შიო გელენიძე, ამირან მდინარაძე, გივი ახლოური, მიშა ბეჟიტაშვილი, დათო ფირანიშვილი, არჩილ ხახვიაშვილი და მალხაზ მაისურაძე, აგრეთვე ნოდარ მეგველია. დაახლოებით 1981 წლის აპრილში თუ მაისში მე მათ გავუზიარე აზრი შე-

[7] შსს, ფ. 6, საქ. #29297-84, ტ. 2, ფურც. 285

[8] შსს, ფ. 6, საქ. #29301, ტ. 1, ფურც. 81-83

გვექმნა ორგანიზაცია, რომელიც იბრძოლებდა საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფი¬სათვის და ამით ჩვენი წვლილი შეგვეტანა საქართველოს განთავისუფლების საქმეში, რაზედაც ისინი დამთანხმდნენ. ჩვენ გადავწყვიტეთ შევკრებილიყავით და გვემსჯელა თუ როგორ გვემუშავა და რა გზით განგვეხორციელებინა დასახული მიზანი. როგორც მოვილაპარაკეთ, ყოველთვის 15 რიცხვში უნდა შევკრებილიყავით „მუშტაიდის ბაღში“, სადაც განვიხილავდით აღნიშნულ საკითხებს. ჩემი წინადადებით ჩვენს ორგანიზაციას ვუწოდეთ „სეგო“ _ „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია“. მოლაპარაკებისამებრ ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს და ვმსჯელობდით თუროგორ გვემოქმედა. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გაგვეზარდა ჩვენი ორგანიზაციის წევრთა რიცხვი და მოგვეზიდა ხალხი ნაცნობ-ამხანაგების წრიდან. ვინც ჩვენს აზრს იზიარებდა. ამ გზით ჩვენი ორგა¬ნიზაციის წევრები გახდნენ: ტარიელ ღვინიაშვილი, გურამ გოგბაიძე, მალხაზ კვინიკაძე და სულიკო ჭულაყიძე თუ ჯულახიძე...“.[9] როგორც მისი ჩვენებიდან ირკვევა: „ჯერ კიდევ საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის დროს გამიჩნდა აზრი შემექმნა ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომელიც იბრძოლებდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ე. ი. საბჭოთა კავშირიდან მისი გამოყოფისათვის. მაშინ ეს აზრი გავუზიარე ჩემს ჯარის ამხანაგებს: თამაზ ბიბიაშვილს და სოსო ჩიხლაძეს. ეს იყო 1974-1975 წლებში. ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვექმნა ორგანიზაცია, რომლისთვისაც გვეწოდებინა „საქართველოს ეროვნული პარტია“. მე გადმოვაქართულე საბჭოთა არმიის მეომრის ფიცი. შევცვალე რა მასში ზოგიერთი სიტყვები. ფიცი იყო დაახლოებით შემდეგი შინაარსის: „მე ესა და ეს, ნებაყოფლობით შევდივარ რა საქართველოს პარტიაში ვფიცავ ერთგულად ვემსახურო ჩემ სამშობლოს _ საქართველოს ინტერესებს და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლო მისი განთავისუფლებისათვის. თუ ამ ფიცს არ შევასრულებ დავიმსახურო ხალხის სიძულვილი და სასჯელის უმაღლესი ზომა“. თამაზმა და სოსომ დაწერეს ეს ფიცი ფურცლებზე, მოაწერეს ხელი, ხოლო შემდეგ ქიმიური ფანქრის საშუალებით დაუსვეს თითების ანაბეჭდები. პრაქ¬ტიკულად ჩვენ არ გვიმოქმედია, რადგანაც არ ვიცოდით თუ რა და როგორ გაგვეკეთებინა. საბჭოთა არმიის რიგებიდან მე და თამაზი დავბრუნდით ერთად, ხოლო სოსოს კიდევ უნდა ემსახურა 1 წელი. ეს იყო 1975 წლის შემოდგომაზე. ამის შემდეგ თამაზ ბიბიაშვილს შევხვდი რამდენჯერმე, ხოლო სოსო ჩიხლაძე აღარ მინახავს“. „სეგო“-ს, ესე იგი „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია არის არალეგალური, მისი მიზანია ეროვნული თავისუფლებისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, ხოლო ამოცანაა საქართველოს განთავისუფლება კოლონიური მდგომარეობიდან და სრულუფლებიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. მასში აგრეთვე ჩაწერილი იყო, რომ ორგანიზაციის წევრების ვალია არალეგალურად განუმარტონ ხალხის მასებს ორგანიზაციის საქმიანობა, მისი პოლიტიკა და მიეზიდათ ისინი თავის რიგებში, აგრეთვე ებრძოლათ რუსული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ, დაეცვათ ორგანიზაციის საიდუმლოება. წესდება ითვალისწინებდა აგრეთვე ახალი წევრის მიღების პირობებსაც. წევრად შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ქართველი, ვინც მხარს უჭერდა ჩვენს საქმიანობას და მიიღებოდა ორგანიზაციის რომელიმე წევრის რეკომენდაციით გაცნობისა და შესწავლის შემდეგ“.[10]

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისის დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ტარიელ ღვინიაშვილი თავის ჩვენებაში აღნიშნავს; „კრებებზე ვმსჯელობდით სხვადასხვა საკითხებზე, რომელიც ეხებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას მისი საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოყოფის გზით, ვმსჯელობდით დისციპლინაზე, კონსპირაციაზე, რათა ჩვენი ორგანიზაციის არსებობა ცნობილი არ გამხდარიყო

[9] შსს, ფ. 6, საქ. #29301, ტ. 1, ფურც. 104

[10] შსს, ფ. 6, საქ. #29301, ტ. 1, ფურც. 102-103

სათანადო ორგანოებისათვის. თუ როგორ უნდა განგვეხორციელებინა ჩვენი მიზანი. ამაზე ბევრს ვთათბირობდით, მაგრამ კონკრეტულ გზებს ვერ ვხედავდით. ერთადერთი რის გაკეთებაც შეგვეძლო ეს იყო ფურცლების დაბეჭდვა და მათი გავრცელებით ხალხში აგიტაციის ჩატარება, რადგანაც ვფიქრობდით, რომ ჩვენს გარდა კიდევ არსებობდნენ არალეგალური ორგანიზაციები არამარტო საქართველოში, არამედ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც, რომ ყველგან მოხდებოდა მთავრობის საწინააღმდეგო ორგანი¬ზებული გამოსვლები, რასაც მოჰყვებოდა საბჭოთა კავშირის დაშლა და როგორც ეს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოხდა საქართველო მოიპოვებდა და მოუკიდებ¬ლობას. ამ მომენტისთვის ჩვენ მზად უნდა ვყოფილიყავით, რათა უფრო ორგა¬ნიზებული მოქმედებით მონაწილეობა მიგვეღო გამოსვლებში და ამ საქმეში ჩვენი წვლილიც შეგვეტანა.

XX საუკუნის 70-იანი წლების დისიდენტური მოძრაობისგან განსხვავებით, 80-იანი წლების დისიდენტებს ნაკლები გამოცდილება, პოლიტიკური ალღო და კავშირები გააჩნდა. როგორც არსებული საარქივო დუკემენტებიდან ირკვევა, ორგანიზაცია „სეგო“-ს წევრები, მართალია ეროვნული ცნობიერების მაღალი დონით, საქართველოს საბჭოთა კავშირისგან განთავისუფლების და სახელმწიფო¬ებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილით გამოირჩეოდნენ, თუმცა მოქმედების არეალისა და იდეების საზოგადოების ფართო ფენებში გავრცელების შეზღუდული შესაძლებლობებით ხასიათდებოდნენ. 1. შავარაუდოა, რომ ეს ყოველივე განპირობებული ყოფილიყო იმ პერიოდის ქართულ პოლიტიკურ ელიტასა და საზღვარგარეთთან ნაკლები კონტაქტით. და 2. საბჭოთა ხელისუფ¬ლების მკაცრი ზეწოლისა და მეთვალყურეობის პირობებიდან გამომდინარე, აღნიშნული ორგანიზაციის არსებობა დიდხანს არ გაგრძელებულა და შესაბამისად, მათი ჩანაფიქრი სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი და საბოლოო მიზანი _ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ განხორციელდა იმ კონკრეტულ ეტაპზე. როგორც ერთ-ერთი ჩვენებიდან ირკვევა, ჯგუფის წევრები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მიმართვის გაგზავნას გეგმავდნენ. ჯონი ლაშქარაშვილი აღნიშნავდა: „თუ რა მიზნით ჩამოვაყალიბე ე.წ. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია“ ამაზე თვით სახელწოდება მიუთითებს. მე ვთვლიდი და ვთვლი კიდევაც, რომ საქართველო იმყოფება კოლონიურ მდგომარეობაში, არ გვაქვს ეროვნული თვითგამორკვევის უფლება, უფრო სწორად ჩამორთმეული გვაქვს იგი და განვიცდით ეროვნულ ჩაგვრას რუსეთის მხრიდან, რადგანაც ჩვენში ტარდება რუსიფიკატორული პოლიტიკა. ტაქსზე მუშაობის პერიოდში ვხვდებოდი მრავალადამიანს, ეროვნებით ქართველს, რომელთაც ასევე მიაჩნდათ და სურდათ საქართველოს გამოყოფა საბჭოთა კავშირიდან. სწორედ ამ მიზნით ჩამოვაყალიბე „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია“. მე განზრახული მქონდა და ვაპირებდი ოფიციალური წერილით მიგვემართა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მთავრობებისათვის და მოგვეთხოვა, რომ საქართველო ყოფილიყო დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, სუვერენული სახელმწიფო, რომლის მთავრობაც გარდა საკუთარი ხალხის ნება-სურვილისა არავის დაემორჩილებოდა, ხოლო ყოველივე ეს მომხდარიყო ერის პოლიტიკური თვითგამორკვევის გზით. თუ ეს თხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნებოდა, მაშინ მივმართავდით გაერთიანებული ერების ორგანიზაციას“. აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა 1981 წელს დაამზადეს შემდეგი შინაარსის შემცველი პროკლამაცია: „ქართველებო, თუ კიდევ შეგრჩათ სინდისი, თუ კიდევ გიჩქეფთ ძარღვებში ქართული სისხლი, თუ კიდევ გიცემთ გული, როგორც ქართველს შეშვენის, თუ კიდევ გინდათ თავი დაიხსნათ რუსეთის მონობისაგან, თუ კიდევ გსურთ ნახოთ საქართველო თავისუფალი და ძლიერი, იბრძოლეთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. არაფრის გული-სათ¬ვის ნუ დავიღუ¬პებით, თუ დაღუპვა გვიწერია საქართველოსთვის დავიღუპოთ, ჩვენი მომავლისათვის და ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის. ვისაც ეს არსურს, ის ქართველი არ არის და არც აქვს უფლება იცხოვროს საქართველოში“.

XX საუკუნის 80-იანი წლები აქტიურობით გამოირჩევა. ეს აღარ არის პერიოდი, როცა ვერავინ ვერ ბედავდა ეროვნული საკითხის წინა პლანზე წამოწევას და იატაკქვეშა მოქმედებაც მეტად მცირე იყო. ამ პერიოდში ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტა და არა მხოლოდ, შესამჩნევად აქტიურდება, ეს მოწოდებაც ამის დასტურია. მართალია, „სეგო“-ს წევრები ფართო კავშირებით არ გამოირჩეოდნენ, თუმცა მათ ერთი, საერთო მიზანი ჰქონდათ _ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამო- უკიდებლობის აღდგენა. რაც მთავარია, მიმართვა გამოირჩევა იმითაც, რომ კავკასიის ერთიანობაზეა საუბარი. საერთო მტრის _ რუსეთის იმპერიის წინააღ¬მდეგ ბრძოლა მათი აზრით, უფრო შედეგიანი იქნებოდა. მით უფრო, რომ საბჭოთა რეჟიმის გავლენა ეხებოდა ყველას, განურჩევლად ეროვნებისა.

როგორც განხილული მასალა მოწმობს, ქართველი დისიდენტების მთავარი იდეა ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა იყო, თუმცა დასახულ მიზნამდე მისვლა არც თუ ისე მარტივ საკითხს წარმოადგენდა. ამიტომ ქართველი ეროვნული მოღვაწეების თითოეული ნაბიჯი, ქმედება მნიშვნელოვანი და აქტუა¬ლურია და მათ შორის აღნიშნული პერიოდის დისიდენტების. მით უმეტეს, რომ საქართველოს ნამდვილად სჭირდებოდა ახალი სისხლი და ახალი ძალა. 1921 წლიდან მოყოლებული ქართველმა ინტელიგენციამ დიდი დარტყმა განიცადა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან. ქართველ ეროვნულ ძალებს შეზღუდული და შეიძლება ითქვას, ჩამორთმეული ჰქონდა უფლება გარკვეული წვლილი შეეტანა საზოგადოების ეროვნული ცნობიერების განვითარებაში. საბჭოთა რეჟიმის დამყარებიდან მოყოლებული საქართველოში ყოველგვარი ეროვნული იდევნე¬ბოდა და ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა საკუთარი გავლენის დამყარებას, რის მისაღწევადაც ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა. არ ერიდებოდა ძალადობრივი მეთოდების გამოყენებასაც.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართული საზოგადოება და მთლიანად საქართველო ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა, რომელსაც განსხვავებული გზით მიყავდა ჩვენი ქვეყანა. მართალია, საქართველოსთვის უცხო არასდროს ყოფილა სხვის მორჩილებაში და დაქვემ- დებარებაში ყოფნა, როდესაც ხშირად დგებოდა სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, თუმცა დროის აღნიშნულ მონაკვეთში მტერი განსხვავებული ფორმით და მოტივით მოდიოდა, რომელიც არა მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლით, არამედ იდეოლოგიური გზითაც იპყრობდა საქართველოს. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერსაქართველოს დაპყრობას შეიარაღებული გზით შედეგად მოჰყვა დაპყრობა ყველა მიმართულებით. საბჭოთა რუსეთი არ ერიდებოდა არანაირი მეთოდის გამოყენებას საქართველოს სრულად დამორჩილებისათვის. გარდა იმისა, რომ ტერიტორია უკვე მის დაქვემდებარებაში იყო საბჭოთა ხელისუფლება მიმართავდა ათასგვარ ძალადობრივ საშუალებას საქართველოს მოსახლეობის იდეოლოგიური დამორჩილების.

Nato Songhulashvili

Soviet Regime and the Dissident Movement (Second Half of the 20th Century)

In the period following World War II, the national movement became particularly active, and the national forces of Georgia began to harbour hopes for the country's liberation. This period is also associated with the development of the dissident movement. A manifestation of this was the increased activity of a group of young people against the backdrop of the events of 1956. According to the testimony of Zviad Gamsakhurdia: „... I composed and printed 7 identical sheets on a typewriter, in the Georgian language, which began with the call „Georgians", have you forgotten the „bloody night" of March 9th?' and ended with the words „Long live a free Georgia", and we distributed them in various places around the city of Tbilisi. When asked why he started printing and distributing anti-Soviet leaflets, Zviad Gamsakhurdia responded: „The reasons for composing and distributing the anti-Soviet leaflets were as follows: 1. In my opinion, the Leninist principle regarding the right of the union republics to freely exit the union, as outlined in the Constitution of the Soviet Union, was not being fulfilled and has not been fulfilled. 2. The events that took place in Tbilisi on March 9, 1956. 3. Since I believed that innocent blood had been shed in Poland and Hungary, and that the Hungarian people's struggle for freedom and independence had been declared a fascist uprising in our press, and other reasons, which I am currently unable to recall".[11]

Regarding this matter, one of the representatives of the youth group, Anatoli Mikadze, gave the following testimony during interrogation: „Even at the time when Beria was arrested as an enemy of the people, some of my schoolmates and I – namely Zviad Gamsakhurdia, son of Konstantine; Tamazi Gunjua, son of Taras; Vladimir (Vova) Sikharulidze, son of Vasil; Temuri Tsertsvadze; and others whose names I do not recall at present – did not believe in his guilt and expressed dissatisfaction with the Soviet authorities among ourselves. However, gradually we became convinced of Beria's harmful actions and ceased voicing our dissatisfaction. Nonetheless, on my initiative and proposal, an illegal organization was formed with the goal of working clandestinely for the independence of Georgia. ...I understood that Georgians were oppressed by the Russians, and my goal was the liberation of the Georgian nation from this oppression, which I believed could be achieved by separating Georgia from Russia. This was the reason we established the illegal organization at our school. The first members were: me, Anatoli Mikadze son of Abesalom; Zviad Gamsakhurdia son of Konstantine; Tamazi Gunjua son of Taras; and Valodia Sikharulidze son of Vasil. ...To achieve our goal, we planned primarily to expand our organization by recruiting new members. To that end, we intended to carry out agitation among the students at our school whom we deemed trustworthy. A practical measure we also planned was to compose and distribute anti-Soviet proclamations throughout Tbilisi. The content of these proclamations was to be directed toward the independent existence of Georgia... After some time, the organization admitted new members: Merab Kostava, a student of the music school; Guram Dochanashvili, a ninth-grade student at School No.47; Temuri Tsertsvadze, a ninth-grade student at First Secondary School; and Jondo Metreveli, also known as Tskmuna, a ninth-grade student at School No.47".[12] During interrogation, Teimuraz Tsertsvadze stated: „One of the methods of operation of our

[11] Ministry of Internal Affairs (MIA), fond 6, file #1322-56, volume 1, page 39.

[12] Ministry of Internal Affairs (MIA), fond 6, file #1322-56, volume 1, pages 261, 267.

illegal group in the struggle for Georgia's independence was the composition and dissemination of anti-Soviet leaflets to promote agitation among the people in order to achieve our goals."[13]

The renewed rise of the national movement in Georgia during the 70s of the XX century is closely associated with the names of Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava, whose activities marked the beginning of a new era in the country's history. Opposing the Soviet regime was inherently difficult, yet national forces made every effort to achieve their goals. One of Gamsakhurdia's notable actions was the publication of the journals *Sakartvelos Moambe* (Georgian Herald) and *Okros Satsmisi* (The Golden Fleece), which were distributed illegally. Despite the increasing signs of weakness within the Soviet regime from the 1970s onward, its representatives persistently sought to suppress the growth and development of national activity. The national-minded segment of society, in turn, attempted to take advantage of the changing circumstances. What factors contributed to the emergence of the Georgian dissident movement? As previously noted, the dissident movement had its roots both within the broader Soviet system and specifically in Georgia. The principal figures of the dissident movement that emerged in the 70s of the XX century were Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava, who employed various methods in their struggle, including the dissemination of anti-Soviet literature – an activity that led to their arrest in 1977. 1. At its inception, the dissident movement did not possess sufficient influence to significantly impact the public. 2. A limitation further compounded by the existence of the Soviet system, within which it was exceedingly difficult to take bold, active steps. 3. The dissident movement was not large in number. Unlike the dissident movement in the Soviet Union at large, Georgian dissidents placed great emphasis not only on human rights but also on the separation of Georgia from the Soviet system – an objective that was far from easily attainable. Although by the 70s of the XX century the crisis of the Soviet regime was becoming increasingly evident, its substantial political and socio-economic resources still prevented the liberation of its constituent republics. While Georgian dissidents sought to address all issues essential for the country's development, their efforts frequently ended in failure. What accounted for this? 1. Although the dissident movement was emerging in both Georgia and Russia – and there was indeed contact between Georgian and Russian dissidents, as well as illegal dissemination of Russian dissident literature in Georgia – the context and objectives of the Georgian movement were fundamentally different. Georgian dissidents primarily sought the restoration of Georgia's independence, whereas Russian dissidents mainly focused on the protection of human rights. Naturally, this demand was not without significance and should be seen as a step forward under the Soviet regime, which, throughout its existence, did not allow for the free expression of thought. Increased activity in this direction could have contributed to the protection of the rights of broader segments of society. However, while this may have applied to Russia, Georgia found itself in a fundamentally different situation. Here, it was not only human rights that required protection, but also national rights. This distinction, naturally, offered our country the potential for a different path of development. 2. For an idea to be disseminated within society, appropriate conditions and a prepared public consciousness are necessary. Although Georgian society understood that the homeland was under foreign domination, launching and sustaining a struggle was far from simple. A large segment of society had become accustomed to the Soviet regime, and, due to the scale of past repressions, there was also a palpable sense of fear. Society required preparation before it could actively engage in resistance. Much like in the second half of the XIX century, when the *Tergdaleulebi* under the leadership of Ilia Chavchavadze launched a new phase of the national liberation movement aimed at strengthening national consciousness, a similar situation prevailed in Georgia in the 70s of the XX century. Previously, the struggle had been directed against Tsarist Russia; now, it was aimed at

[13] Ministry of Internal Affairs (MIA), fond 6, file #1322-56, volume 1, page 270.

Soviet Russia. The fact that Georgia had been under Russian imperial rule for 117 years – first under the Russian Empire and, from 1921, under the Soviet regime – had arguably weakened both the will to fight and the capacity for national thought. Therefore, Georgian dissidents had to exert considerable effort to raise public consciousness, as much of the population remained – both in practical terms and in mindset – captive to Soviet Russia. From 1921 onward, through a powerful ideological and coercive apparatus, the Soviet authorities systematically sought to suppress national consciousness and impose their own acceptable ideas. Unlike Georgian intellectuals of the second half of the XIX century, those in the 70s of the XX century had far fewer means to disseminate national thought through press or other forms of communication. 3. Just as late XIX- and early XX-century Georgian national activists aimed to attract Western attention and import elements of the Western system into Georgia, so too did the dissidents of the 70s of the XX century strive to gain the support of Western states and to inform the world of the Soviet regime's brutality. In the case of dissident Avtandil Imnadze, it is reported that, in January 1978, at the suggestion of Viktor Rtskhiladze son of Giorgi (who had been convicted of anti-Soviet activities), he photographed the anti-Soviet pamphlets titled *Information* and *Criticism*, with the intention of distributing them abroad. These texts, aside from containing defamatory content about Soviet reality, included open calls for struggle against the Soviet order. On his own initiative, Imnadze added a copy of previously distributed anti-Soviet leaflets to the microfilm and handed it to Rtskhiladze for dissemination abroad. It is noted that *Information* and *Criticism* consisted of slanderous anti-Soviet content, threats directed at Soviet leaders, and praise for enemies of the Soviet government – those who had taken up arms against the young Soviet republic between 1922 and 1924. In February 1978, Imnadze produced and reproduced 700–800 copies of slanderous leaflets critical of the Soviet political and social order. On February 17, 1978, these leaflets were distributed at Tbilisi State University (in both old and new buildings), in the 6th building of the Polytechnic Institute, near Building No. 52 on Rustaveli Avenue, and at the Lenin Square metro station in Tbilisi.[14]

It is also worthwhile to assess the following two questions: 1. What role did the Georgian Orthodox Church and Christianity in general play in the activities of Georgian dissidents? and 2. What methods did the Soviet authorities employ in their campaign against Christianity? 1. Alongside their commitment to the protection of human rights, Georgian dissidents were primarily engaged in the struggle for Georgia's complete independence. Their political agenda encompassed a broad spectrum of issues, all ultimately directed toward the goal of national sovereignty. One of these issues was the Georgian Orthodox Church. The dissidents frequently criticized the clergy in an effort to reform and strengthen the Church, while simultaneously striving to prevent pro-Soviet individuals from gaining power or consolidating influence within its ranks. In a 1975 article titled *„The Country of Lost Graves"*, published in the journal *Okros Satsmisi*, Elisabed Kavtaradze wrote: „Religion served more as a banner of self-defence than a form of worship through fire and sword, or a metaphysical heresy of thought, or a fog of mystical contemplation, and so on. Our own Church was, from the very beginning, on the front lines of fire. Through unparalleled sacrifices, it stood by an exhausted people in their struggle for survival, made an enormous contribution to the treasures of national culture, and, even more – whether consciously or unconsciously – played the role of a catalyst of national endurance." This explains why the Soviet regime delivered its harshest blows to the Georgian Orthodox Church. By 1976, the situation in Georgia had deteriorated significantly: „The Church's congregation had steadily diminished, churches were closing one after another, and out of 35 active dioceses, only about 100 clergy of all ranks remained. Annually, only 13 people were enrolled in theological courses. A stark

[14] Ministry of Internal Affairs (MIA), fond 6, file #29246, volume 6, pages 74-75.

indicator of the Church's extreme repression and discrimination is the fact that, to this day, there is no ecclesiastical journal published in Georgia, while such publications exist in Russia, Armenia, the Baltic states, and Ukraine. The Georgian Church has no right to publish anything other than a calendar; there is no theological seminary, and the courses that serve as a substitute offer nothing beyond instruction in church rituals and the Khutsuri script. Other subjects, such as Church history and Holy Scripture, are only nominally present in the curriculum – no lectures are delivered in these areas. Each year, around 13 people attend these courses, and each cohort yields merely three ordained priests".[15] 2. The Soviet Union systematically prohibited religion and religious institutions, considering communism itself the de facto state religion. „An entire epic could be written about how the communists destroyed the finest members of the clergy in Georgia, or how they demoralized them, dressed KGB agents in cassocks, and turned churches into theatrical facades, maintained solely to deceive foreign visitors. Since 1921, atheism has been the official state religion of our country. A total war against Christianity began – churches were demolished, propaganda was omnipresent, and in secret, the Church was being demoralized, and genuine Christians were annihilated... ...The most horrific operation undertaken by the security services was their covert campaign against religion. Clerical positions were filled not only with atheists but with criminal and pathologically anti-religious individuals. This was the most effective way to incite public hatred toward the Church. Such clergy would truncate and distort church rituals, engage in extortion, and perpetrate all manner of obscenity and depravity".[16] The efforts of Georgian dissidents to safeguard national ideals and reinforce the national consciousness of the Georgian people ultimately proved unsuccessful: in 1977, Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava were arrested. „The repression of patriots in Georgia can be viewed as part of a broader wave of repressions that swept across the USSR when, beginning in February 1977, the head of the „Helsinki" Group, Dr. Yuri Orlov, was arrested in Moscow along with several other members of the group. Soon afterward, two Ukrainian members of the group, including the Ukrainian writer Mykola Rudenko, were arrested, followed by similar arrests in Lithuania".

In connection with the 1977 arrest of Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava, members of the Christian Committee for the Defence of Believers' Rights in the USSR – Fr. Gleb Yakunin, Archdeacon Varsonofy Khaibulin, and Viktor Kapitanchuk – addressed the international community with the following appeal: „Following the arrests of Rudenko and Tykhy in Kyiv, and of Orlov and Ginzburg in Moscow, the KGB organs in Tbilisi detained Zviad Gamsakhurdia, head of the Georgian group monitoring the implementation of the Helsinki Accords, and Merab Kostava, a member of the Georgian Committee for the Protection of Human Rights – both Christians and adherents of the Georgian Orthodox Church. The work of Gamsakhurdia and Kostava was directed toward the defence of human rights, the protection of religion, and resistance against the trampling of the freedom of the Georgian Church. Specifically, they advocated for the preservation of David Gareja, a sacred Georgian religious and national site, which is currently being destroyed due to the transformation of its territory into an artillery range".[17]

As can be seen, by the late 1970s, the national liberation movement in Georgia was gaining increasing momentum, and the country's cultural and political elite was preparing to take more active steps. A particularly significant moment was the demonstration of April 14, 1978, which contributed to the unity of the Georgian nation and provided society with a stimulus to defend its homeland more resolutely. „Georgian youth is free from the false belief known as Soviet communism. It has not lived

15 Ministry of Internal Affairs (MIA), fond 6, file #29218-79, volume 8, pages 23-24.

16 Ministry of Internal Affairs (MIA), fond 6, file #29237-79, volume 7, pages 156-157.

17 Ministry of Internal Affairs (MIA), fond 6, file #29237, volume 9, page 30.

through the terror of the 1930s or the bloody March of 1956; and if anyone still harbours sympathies for the „Great Leader", this is more likely due to ignorance or inherited affliction – something that can be easily discarded when necessary. Our efforts must be directed toward engaging youth. We must shift the front line of the struggle to universities, technical colleges, vocational schools, and industrial enterprises, and later to secondary schools. When the preparatory stage reaches the schools, we will have an excellent foundation for identifying new cadres, strengthening the national liberation struggle, and, most importantly, laying the firm groundwork upon which an independent Georgia can be built". Indeed, Georgia was in dire need of new blood and new energy. Since 1921, the Georgian intelligentsia had suffered major blows from the Soviet authorities. National forces in Georgia had been severely limited – one could say stripped – of their right to participate in shaping national consciousness. From the beginning of Soviet rule, all expressions of national identity were suppressed, and the authorities employed every means to consolidate their control, including violence. The Georgian intelligentsia, which had played a major role in the unification of the Georgian nation under the Russian Empire, became victims of repression starting in the 1920s, with the peak of this violence occurring in the 1930s. While it is true that national ideas were persecuted even under the Russian Empire, from the 60s of the XIX century until 1921 (notably during the Democratic Republic of Georgia, 1918–1921), the Georgian intelligentsia, which helped form the ideological core of the nation, contributed meaningfully to the strengthening of national consciousness and the mobilization of national forces. The mass repressions of the 30s of the XX century took the lives of many Georgian intellectuals – an outcome that was far from accidental. The Soviet regime targeted precisely those individuals who had the intellectual capacity and moral strength to dedicate their resources to reinforcing national unity. The Soviet empire effectively deprived Georgia of its most rational, forward-thinking individuals in order to make subjugation easier. As previously mentioned, the 1940s and 1950s saw a certain revival of the national movement. Although this has already been discussed, it should still be emphasized that from this period onward – especially following Stalin's death – the Soviet regime began to face increasing threats, both domestically and internationally. Although Khrushchev and the Soviet leadership attempted to distance themselves from Stalin through their 1956 denunciation of the „cult of personality", the public – particularly its thinking segment – was no longer so easily deceived. It had become evident that the new leadership was a continuation of the old and intended to govern by the same principles. At the same time, people recognized that mass unity was essential. This became the guiding principle of the young Georgian dissidents of the 50s of the XX century, led by Merab Kostava and Zviad Gamsakhurdia. They called upon the Georgian people to understand the necessity of freeing themselves from Soviet rule. The Republican Party, in the first issue of the journal *Sarkmeli*, addressed the Georgian nation with these words: „Only a sovereign state can resolve its own vital problems; only a free Georgia can protect the Georgian language; only an unshackled state can ensure the rights and freedoms of its people; only an independent country can achieve full economic and cultural development".[18]

In the 80s of the XX century, a new stage began in the dissident movement in Georgia. A new group emerged on the political scene, distinguished by its unique methods and style of struggle, though its aim remained the same: an independent, free Georgia. One of the representatives of the Georgian dissident movement, Johnny Lashkarashvili, stated: „...As someone concerned with the interests of my nation, as one of its representatives, I wished for Georgia to leave the Soviet Union and become an independent, sovereign country... But simply having this desire was not enough – I was interested in the opinion of Georgian society. Whenever possible, I sought to learn what people

[18] Ministry of Internal Affairs (MIA), fond 6, file #29297-84, volume 2, page 285.

thought. For four years, I worked as a taxi driver, which brought me into contact with many people. When appropriate, I would ask them what they thought about Georgia's potential secession from the Soviet Union. In most cases, they responded that they did indeed wish for Georgia to become an independent country. There were also many occasions when I engaged passengers in conversation or overheard them discussing this topic, expressing the opinion that Georgia had the right to become independent. In these interactions, people would say, „Who wouldn't want Georgia's freedom and independence? But who would let us go willingly? And it's not possible to achieve this by force". The individuals expressing such views were men and women, young and old – virtually people from all categories and age groups... I came to the conclusion that, considering these people came not only from Tbilisi but from various regions of Georgia, the majority of the Georgian nation desired independence and secession from the Soviet Union".[19] Zakaria (Johnny) Lashkarashvili's testimony is significant for several reasons: it clearly reflects his personal stance on Georgia and national issues more broadly, and it also reveals public sentiment concerning national freedom. Although this was a period (circa 1983) when signs of the Soviet Empire's decline were becoming apparent, the idea of taking radical action still seemed impossible for most of the population. Nevertheless, the crucial point is that the idea of restoring Georgia's independence had matured within broad layers of society, and the struggle of Georgian national activists had already produced some tangible results. Lashkarashvili's account offers valuable insight into how Georgian society viewed the question of national freedom. What is particularly interesting is that Lashkarashvili was not content merely to hold his own opinions and to act in isolation; he actively sought to understand public sentiment to make the struggle more effective. He stated: „...In conversations, I would occasionally raise the idea of Georgia's potential secession from the Soviet Union and its emergence as an independent state. I wanted to understand people's views on the matter. Many were indifferent, but when I encountered someone who supported the idea, I would engage with them more closely. In this way, I selected a certain group of individuals: Shio Gelenidze, Amiran Mdinaradze, Givi Akhlouri, Misha Bezhitashvili, Dato Piranishvili, Archil Khakhviashvili, and Malkhaz Maisuradze, as well as Nodar Megvelia. Around April or May of 1981, I shared with them the idea of forming an organization that would fight for Georgia's secession from the Soviet Union and thereby contribute to its liberation. They agreed. We decided to meet and deliberate on how to operate and which path to take to achieve our goals. As agreed, we would meet every 15th of the month in Mushthaid Garden, where we would discuss these matters. At my suggestion, our organization was named „*Sakartvelos Erovnuli-Ganmatavisuplebeli Organizacia*" (SEGO) – the „Georgian National Liberation Organization". In accordance with our plan, we held meetings and deliberated on our course of action. We decided to expand the organization's membership by recruiting like-minded acquaintances and friends. Through this process, our new members became Tariel Ghviniashvili, Guram Gogbaidze, Malkhaz Kvinikadze, and Suliko Tsulakhidze (or Julakhidze)...".[20] From his testimony, it also becomes clear that: „While serving in the Soviet Army, the idea first occurred to me to form a group or organization that would fight for Georgia's independence – that is, its separation from the Soviet Union. At the time, I shared this idea with two fellow soldiers, Tamaz Bibiashvili and Soso Chikhladze. This was in 1974–1975. We decided to form an organization to be called the „National Party of Georgia". I translated the Soviet soldier's oath into Georgian, altering some of the wording. The oath was roughly as follows: „I, so-and-so, voluntarily join the Party of Georgia. I swear to faithfully serve the interests of my homeland, Georgia, and to fight for its liberation until the last drop of my blood. If I break this oath, may I earn the hatred of the people

19 Ministry of Internal Affairs (MIA), fond 6, file #29301, volume 1, pages 81-83.

20 Ministry of Internal Affairs (MIA), fond 6, file #29301, volume 1, page 104.

and the highest form of punishment". Tamaz and Soso wrote the oath on paper, signed it, and placed their fingerprints on it using a chemical pencil. In practice, we did not take action because we did not know what or how to proceed. Tamaz and I returned from military service together, while Soso had another year to serve. This was in the autumn of 1975. Afterward, I met with Tamaz several times, but I never saw Soso Chikhladze again." SEGO – the 'Georgian National Liberation Organization' – was an illegal entity whose aim was to fight for national freedom and Georgia's independence. Its mission was to liberate Georgia from colonial status and establish a fully sovereign and independent state. The organization's charter also stipulated that its members were obliged to explain its mission and politics to the public clandestinely, recruit supporters, oppose Russian nationalism and chauvinism, and preserve the organization's secrecy. It also outlined the criteria for admitting new members: only ethnic Georgians who supported the organization's goals and were recommended, known, and vetted by an existing member could be accepted.[21]

One of the representatives of the dissident movement in the 80s of the XX century, Tariel Ghviniashvili, stated in his testimony: „At our meetings, we discussed various issues related to achieving Georgia's independence through secession from the Soviet Union. We deliberated on discipline and secrecy to ensure that the existence of our organization would not be revealed to the relevant authorities. We also debated how to accomplish our goals. Although we held many consultations, we could not identify concrete methods. The only thing we could do was to print and distribute leaflets to agitate among the people, as we believed that, besides us, there were other illegal organizations not only in Georgia but also in other Soviet republics, and that organized protests against the government would take place everywhere, eventually leading to the dissolution of the Soviet Union. Just as Georgia gained independence after the October Revolution, we expected history to repeat itself. When that moment came, we knew we had to be prepared – to participate in a more organized way and to meaningfully contribute to the cause."

Unlike the dissident movement of the 70s of the XX century, the dissidents of the 1980s possessed less experience, political acumen, and fewer connections. As archival documents reveal, members of the organization „SEGO", while distinguished by a high level of national consciousness and a desire for Georgia's liberation from the Soviet Union and restoration of state independence, were characterized by limited capacity to operate widely and to disseminate their ideas among broad layers of society. This was likely due, first, to the limited contacts between the Georgian political elite and the diaspora at that time, and second to the severe pressure and surveillance exerted by the Soviet authorities, which prevented the organization's prolonged existence and, consequently, the realization of their plans and ultimate goal – the restoration of Georgia's state independence – at that particular stage. One testimony indicates that the group members planned to send an appeal to the United Nations. Johnny Lashkarashvili noted: „The purpose of establishing the so-called Georgian National Liberation Organization is evident from its name. I believed, and still believe, that Georgia is in a colonial condition, deprived of the right to national self-determination, or more precisely, this right has been taken from us, and we suffer national oppression from Russia, as Russification policies are being implemented here. During my time working as a taxi driver, I met many ethnic Georgians who shared the view and desire for Georgia's secession from the Soviet Union. It was with this purpose that I established the Georgian National Liberation Organization. I intended to formally address the governments of Georgia and the Soviet Union, demanding that Georgia be recognized as an independent political entity, a sovereign state whose government would obey no one but its own people's will, and that all this occur through the political self-determination of the nation. Should

[21] Ministry of Internal Affairs (MIA), fond 6, file #29301, volume 1, pages 102-103.

this request be denied, we would then appeal to the United Nations". In 1981, representatives of this organization produced a proclamation stating: „Georgians, if you still have a conscience, if Georgian blood still flows in your veins, if your heart still beats as befits a Georgian, if you still desire to free yourselves from Russian servitude, if you still wish to see Georgia free and strong, fight for Georgia's independence. Let us not perish for nothing; if destruction is fated, let us perish for Georgia, for our future, and for the happiness of our country. Whoever is indifferent to this is not a Georgian and has no right to live in Georgia".

The 80s of the XX century stand out for their heightened activity, marking a departure from the earlier period when no one dared to openly raise national issues and underground activities were minimal. During this time, the Georgian political and cultural elite, and beyond, became noticeably more active, as evidenced by such calls to action. Although members of „SEGO" lacked extensive networks, they shared a common goal: the restoration of Georgia's state independence. Notably, their appeal emphasized the unity of the Caucasus, arguing that the struggle against their common enemy – the Russian Empire – would be more effective collectively, especially since the Soviet regime's influence affected all peoples regardless of ethnicity.

As the reviewed material shows, the central idea of Georgian dissidents was national freedom and independence; however, achieving this goal was far from simple. Therefore, every step and action taken by Georgian national activists, including those dissidents of this period, was significant and timely, particularly as Georgia desperately needed new blood and renewed strength. Since 1921, the Georgian intelligentsia had suffered severe blows from the Soviet authorities. National forces were restricted and effectively deprived of the opportunity to contribute meaningfully to the development of the nation's collective consciousness. From the establishment of Soviet rule, all expressions of national identity in Georgia were suppressed, with the regime exerting maximum effort – and employing all means, including violent methods – to consolidate its influence.

Following the Soviet Russian conquest of Georgia, Georgian society and the country as a whole faced a new reality that led the nation down a fundamentally different path. Although subjugation and dependence were not entirely unfamiliar to Georgia – especially during times when the very existence of the state was at stake – this particular period was marked by an enemy employing new forms and motives for domination, not only through armed conflict but also via ideological conquest. The armed invasion by Soviet Russia in February 1921 resulted in the occupation of Georgia on all fronts. Soviet Russia spared no means in its efforts to fully subjugate Georgia; beyond territorial control, the Soviet authorities implemented a wide range of violent measures aimed at the ideological subjugation of the Georgian population.

ავთანდილ სონღულაშვილი

ქართული ენის სტატუსი და ეროვნული მოძრაობა XX საუკუნის 70-იან წლებში

მსოფლიოში 5 500-მდე ენაა. ჭირს ზუსტი რაოდენობის დასახელება, რადგან ბევრი ენა არაა სათანადოდ შესწავლილი და ძნელი სათქმელია, დამოუკიდებელი ენაა ის თუ დიალექტი. ზოგჯერ ენათა დაყოფას პოლიტიკური ან რელიგიური საფუძველი აქვს და არა ლინგვისტური. მაგალითად, ძალიან ჰგავს ერთმანეთს ჩეხური და სლოვაკური, რუსული და ბელორუსული, სერბიული და ხორვატული, მაგრამ მათ მიიჩნევენ არა დიალექტებად, არამედ ენებად.[22] ე რ ნ ს ტ გ ე ლ ნ ე რ ი შენიშნავს, რომ დედამიწაზე არსებობს 8000-ზე მეტი „ბუნებრივი“ ენა, მათ შოროს 700 მთავარი, ერი კი 200-ზე ნაკლები. ზოგიერთი შედარებით ძველი ეროვნული სახელმწიფო, რომელშიც ორი ან მეტი ენობრივი ჯგუფი ერთიანდება, ვთქვათ, ესპანეთი თავისი ბასკური უმცირესობით, დღეს ზეწოლას განიცდის, რათა ყოველი ცალკეული ჯგუფის მეობა აღიაროს.[23]

საერთოდ, ხალხი მშობლიურ ენას რომ ჰკარგავს, ამით ის ჰკარგავს სი-ცოცხლეს, თავის ადგილს ისტორიაში. მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე, ქართველი ერი იცავდა დედა ენას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. რამდენი მაგალითი ახსოვს გაყვითლებულ ფოლიანტებს, როცა კაცი საფრთხეში აგდებდა თავის სიცოცხლეს, ოღონდ გადაერჩინა წიგნები და ხელნაწერები, ქართული კულტურის უძვირფასესი ძეგლები.

ჯერ კიდევ გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავდა, რომ ეროვნული ფენომენის სრულყოფა ენაში ხდება. ეროვნება, როგორც კერძო, ინდივიდუალური სახე სწორედ ენაში პოულობს თავისთვის საჭირო სულიერ ენერგიას. მისი თქმით, ერთი მხრივ, ერის თითოეული წევრი ჰქმნის ენას, ხოლო მეორე მხრივ, ენაში ცხადდება ერის არსი.[24]

პირველი რესპუბლიკის პერიოდში, კერძოდ, 1918 წლის 1 ოქტომბერს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი დედაენის შესახებ, რის საფუძველზეც ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა. თანამდებობაზე მყოფ ყველა პირს ექვსი თვის ვადა მიეცა ქართული ენის შესასწავლად. ვინც არ ისწავლიდა, სამსახურიდან განთავისუფლდებოდა.[25] მაგრამ, სამწუხაროდ ამ კანონს აღნიშნულ ეტაპზე სრული განხორციელება არ ეღირსა, რადგან სულ მალე პარლამენტმა გამოსცა „წესი ენის ხმარებისა“, რომლის მიხედვით დეპუტატებს, ვინც ქართული ენა არ იცოდა, შეეძლოთ გამოეყენებინათ რუსული ენაც. რუსული ეროვნული უმცირესობის ენად იქცა და სომეხი დეპუტატები ქართულად არც არასოდეს გამოდიოდნენ. ეს შეცდომა კონსტიტუციამ გაასწორა, როდესაც ერთმნიშვნელოვნად დაკანონდა სახელმწიფო ორგანოებში ქართული ენის გამოყენების აუცილებლობა.[26]

---

22 რ. ზექალაშვილი, ქართული მეტყველების კულტურის საკითხები, (თბილისი, 2003), გვ. 13

23 ფრენსის ფუკუიამა, ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, (თბილისი, 1999), გვ. 278

24 ი. რობაქიძე, ქართველთა „მსოფლსახე“ Gგრ. რობაქიძის შემოქმედების მიხედვით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“, ენის, ლიტერატურის და ხელოვნების სერია, (თბილისი, 2023), გვ. 133

25 დ. ჭუმბურიძე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისში 1918-1921 წლები, (თბილისი, 2003), გვ. 222

26 ჭუმბურიძე, ქართველი ხალხის, გვ. 245

საბჭოთა რეჟმის პერიოდში საქართველოზე ზეწოლა ქართული ენით დაიწყო. განსაკუთღებით 50-იანი წლების მეორე ნახევარში აშკარად იგრძნობოდა ქართული ენის შევიწროების ფაქტები. ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ქარ-თული ენის იგნორირებას, სხვადასხვა ორგანიზაციებში ამახინჯებდნენ ქართულ ენას. დედაქალაქის ქუჩებში კინოთეატრების როგორც რეკლამები, ისე წარწერები, მხოლოდ რუსულ ენაზე სრულდებოდა.[27]

კომპოზიტორთა ყრილობაზე, მხატვართა შეკრებაზე ქართულად ხმას არავინ იღებდა და იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ქართული ენა გადაიქცა ოჯახური ურთიერთობის გამომხატველ ენად.[28]

60-იან წლებში საკავშირო მთავრობამ მოითხოვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობას წიგნები დაებეჭდა ქართულის ნაცვლად რუსულ ენაზე. ასევე შეუმცირა დაფინანსება ისტორიის, ლიტერატურის, ენათმეცნიერების და ხელოვნების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ეროვნული განსხვავებულობის წასაშლელად შემოიტანეს ახალი ცნება - „საბჭოთა ხალხი“.[29]

ქართველი ერი არ შერიგებია იმპერიულ პოლიტიკას და მის წინააღმდეგ სხვადასხვა ფორუმებზე, ყრილობებზე გამოდიოდნენ. ამ მხრივ გამოირჩეოდა ქართული სამეცნიერო ინტელიგენცია. აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა მტკიცე პროტესტი გამოხატა და თავის გამოსვლებსა და წერილებში ამხილა ანტიეროვ-ნული პოლიტიკა. ამისათვის ნიკო კეცხოველს აკადემიის პრეზიდიუმი დაატოვე-ბინეს. ცნობილმა ქართველმა მათემატიკოსმა ვიქტორ კუპრაძემ, როცა გაიგო, რომ აკადემიის ქართველოლოგიურ დარგებს მკვეთრად შეუმცირდა დაფინანსება, მოითხოვა მათემატიკოსებს, საერთოდ საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა კვლევით ინსტიტუტებს, მათზე გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცათ ქართველოლოგიის კვლევითი ინსტიტუტებისათვის. ვინაიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კვლევა-ძიებითი მუშაობა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში წარმოებდა, ხოლო ქართველოლოგიურ დარგებში ძირითადად მხოლოდ საქართველოში.

მწერალთა საკავშირო ყრილობაზე, რომელიც 60-იან წლებში გაიმართა კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა გაილაშქრა ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის წაინააღმდეგ და საჯაროდ დაგმო მცდელობა, ეროვნული მწერლები გადასულიყვნენ რუსულ ენაზე. მან მოითხოვა რუს გამოჩენილ მწერლებს ეჩვენებინათ მაგალითი ფრანგულ და ინგლისურ ენებზე თავიანთი ლექსებისა და მხატვრული ნაწარმოებების წერისა.

პუბლიცისტი და მეცნიერი ოთარ ეგაძე გამოვიდა რუსული შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამის გამო იგი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორო-ბიდან გაათავისუფლეს.[30]

საკავშირო მასშტაბით გამოიკვეთა ის რეალობა, რომ 70-იან წლებში ეროვნულ ენაზე უმაღლესი განათლების მიღება საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მხოლოდ თბილისსა და ერევნის უნივერსიტეტებში იყო შესაძლებელი. სხვა რესპუბლიკებში ეროვნული ისტორიის კათედრებიც კი იშვიათობას წარმოადგენდა. სხვადასხვა შეკრების დროს კიევის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები არც იჯერებდნენ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციები ქართულად იკითხებოდა.[31] საქმე იმაში იყო, რომ სახელმწიფო ენის სტატუსი საბჭოთა რესპუბლიკებიდან გააჩნდა მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ენას. მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, იმისთვის, რომ საქართველო არ ყოფილიყო ერთადერთი გამონაკლისი, ასეთივე სტატუსი მიენიჭათ სამხრეთ

---

27 შ. ნოზაძე, 1956 წ. ტრაგედია 9 მარტი, (თბილისი, 1992), გვ. 163

28 ნოზაძე, 1956 წ. ტრაგედია, გვ. 178

29 ე. ქვათაძე, ეროვნული მოძრაობის თავისებურებანი XX საუკუნის 50-იანი წლების საქართველოში, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები”, (2003), გვ. 43

30 ქვათაძე, ეროვნული მოძრაობის, გვ. 43-44

31 ო. ჯაფარიძე, ნამდვილი ამბები მარიკა ლორთქიფანიძისგან, ჟურნ. „ისტორიანი”, (2011), #5, გვ. 58

კავკასიის რესპუბლიკების ეროვნულ ენებსაც. ყველა დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებში, მათ შორის – რუსეთის ფედერაციაშიც, სახელმწიფო ენის სტატუსი არ არსებობდა. ქართული ენის განსხვავებული სტატუსი, ხელს არ უშლიდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას, ისევე მოპყრობოდა მას, როგორც ლიეტუვურ, ესტონურ და ა. შ. ენებს. ეს სტატუსი არანაირ პრივილეგიას არ ანიჭებდა ქართულ ენას სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნულ ენებთან შედარებით. თუმცა კანონით მინიჭებულ უფლებას ჩვენი მოსახლეობა განსხვავებული რაკურსით ხედავდა.

რაც შეხება ამა თუ იმ ენის სახელმწიფო სტატუსის საკითხისადმი კომუნისტების დამოკიდებულებას, შემდეგში მდგომარეობდა: ჯერ კიდევ 1903 წელს, ლენინის მიერ დაწრილ და რსდმპ II ყრილობაზე მიღებულ პარტიის პირველ პროგრამაში ეროვნულ საკითხზე ორი განმსაზღვრელი პუნქტი იყო დაფიქსირე-ბული: 1. ყველა ენის თანასწორუფლებიანობა და 2. ერთა თვითგამორკვევის უფლება. 1918 წელს მიღებულ „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციაში“, შემდეგ კი რსფსრ კონსტიტუციაშიც ეს მუხლები უცვლელი სახით შევიდა. ლენინი თვლიდა, რომ რომელიმე ერის ენისათვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭების მოთხოვნა არის „ბურჟუაზიული“ მოთხოვნა და იგი ლახავს სხვა ერებისა და ენების უფლებებს. მისი აზრით, რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ ხალხებს შორის რუსული ენის საურთიერთო ენად აღიარება მოხდებოდა ბუნებრივად, ნებაყოფლობით და ამისთვის საჭირო არ იყო მისი განსაკუთრებული სტატუსი.

რსფსრ-ს შემდეგ წარმოქმნილი ყველა საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციას საფუძვლად ლენინური რუსული კონსტიტუცია დაედო. „საბჭოთა საქართველოს“ კონსტიტუციაზე მუშაობა 1922 წლის დასაწყისიდან მიმდინარეობდა. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში კომუნისტებთან ერთად მონაწილეობას მემარცხენე ფედერალისტებიც ღებულობდნენ. სწორედ მათი წარმომადგენელი - ს ი მ ო ნ ხ უ ნ დ ა ძ ე გამოვიდა წინადადებით - კონსტიტუციაში შეეტანათ მუხლი ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის შესახებ. ეს სტატუსი ქართულ ენას გააჩნდა დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით. თუ ჩვენ უარს ვიტყვით ამ სტატუსზე, ამით სერიოზულ არგუმენტს მივცემთ ემიგრაციაში მყოფ მენშევიკურ ოპოზიციას ამტკიცოს საბჭოთა ხელისუფლების არაეროვნულობა, - განაცხადა მან კომისიის სხდომაზე. ხუნდაძის ეს არგუმენტი ქართველ ბოლშევიკებსაც ჭკუაში დაუჯდათ. ბუნებრივია, მათ ამ საკითხის გადასაწყვეტად კრემლს, ლენინს და სტალინს მიმართეს. ლენინის აზრით, კონიუნქტურის გათვალისწინებით, საბჭოთა ხელისუფლება უნდა წასულიყო ისეთ კომპრომისებზე, რომლებიც მოცემულ მომენტში ხელს შეუწყობდნენ საბჭოთა წყობილების განმტკიცებას. კონსტიტუციიდან მცდარი მუხლების ამოღება კი მერეც შეიძლებოდა, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ფეხზე მყარად დადგებოდა. ანალოგიური მიზეზებით დარჩა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი 1927 წლის კონსტიტუციაშიც.

1937 წელს ეგრეთ წოდებული გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას, იურისტებმა ქართული კონსტიტუციიდან სახელმწიფო ენის ამოღება მოითხოვეს, თუმცა სტალინმა ეს ნაბიჯი მაშინ ნაჩქარევად მიიჩნია.[32]

დავუბრუნდეთ კვლავ 70-იანი წლების დასაწყისს, როდესაც მსოფლიოში განხორციელდა კარდინალური ძვრები, რომლებმაც მოითხოვეს რადიკალურად შეცვლილიყო საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა სოციალისტურ ქვეყნებშიც. გარდატეხა მოხდა ევროპის მრავალ სოციალისტურ თუ მუშათა პარტიის ცხოვრებაშიც - წარმოიშვა „ევროკუმუნიზმი“, რომელიც სოციალიზმის ახალ პრინციპებს და ბრძოლის ახალ ფორმებს სთავაზობდა საზოგადოებას. საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის გავლენიანი კომუნისტური პარტიების ლიდერები უკვე აშკარად აკრიტიკებდნენ საბჭოთა პარტიული ხელმძღვანელების ზოგიერთ გადაწყვეტილე-

[32] უ. ბლუაშვილი, საქართველო გამოწვევების წინაშე, (თბილისი, 2010), გვ. 36-37

ბას. კვლავ გრძელდებოდა დაძაბულობა ჩინეთისა და ალბანეთის კომუნისტურ პარტიებთან, რომლებიც კრემლის ლიდერებს „რევიზიონიზმში“ ადანაშაულებდნენ.[33]

1973 წელს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ დაიწყეს არალეგალური ჟურნალის „ოქროს საწმისის“ გამოცემა: მასში გამოქვეყნებული სტატიები სუკ-ის დანაშაულებს ამხელდა და მკითხველს 1920-იანი წლების ინტელიგენციის მწარე ხვედრის შესახებ მოუთხრობდა. ჟურნალის ფურცლებზე ზვიადი და მერაბი, მხოლოდ საკუთარ მასალებს კი არ ბეჭდავდნენ, სოლჟენიცინის არქიპელაგ გულაგს აქვეყნებდნენ. ეკოლოგიის სავალალო მდგომარეობასა და ქართული კულტურის ძეგლების ხელყოფას ამხელდნენ (მაგალითად, აღწერდნენ, წითელი არმია საარტილერიო სწავლებებით დავითგარეჯისა და გელათის მონასტრებს როგორ ანადგურებდა). დისიდენტებმა შეძლეს შავი ზღვის სანაპიროზე ატომური ელექტრო¬სადგურისა და ჯვრის უღელტეხილის ქვეშ რკინიგზის მშენებლობის შეჩერება, თუმცა ე წ. „სამხრეთ-ოსეთის“ „ჩრდილოეთ ოსეთთან“ დამაკავშირებელი როკის გვირაბის გაყვანა ვერ აღკვეთეს.[34]

ახლა ნამდვილად ვიცით, რომ პატრიოტი თავისი ერის მოყვარული ადამიანია. XX საუკუნის 70-იან წლებში კი „გახურებული“ კომუნისტური იდეოლოგიის პირობებში, ნაციონალიზმი ერის სიძულვილს ნიშნავდა და კანონითაც ისჯებოდა. სიკვდილმისჯილისათვისაც ცდილობდნენ, ნაციონალიზმი აეკიდებინათ და სათნადო მუხლიც მზად ჰქონდათ. ასეთი ვითარება იმითაც იყო განპირობებული, რომ იმ დროში ხმამაღლა განცხადება აზრისა - საქართველო რუსეთის მიერ არის დაპყრობილი - ანტისაბჭოთა გახლდათ და ჩვეულებისამებრ ცხადდებოდა, როგორც რუსი ერისადმი სიძულვილის გამომჟღავნება. ბოლშვიკები ხომ ტრადიციულად ასე მსჯელობდნენ - 1921 წელს წითელმა არმიამ მენშვიკთა დიქტატურისაგან გაანთავისუფლა საქართველოო. ამიტომ საქართველოს განთავისუფლების იდეით გატაცებულ ადამიანს, უბრალოდ, ხალხის სიძულვილი ამოძრავებდა, თორემ განმათავისუფლებელთა განდევნაზე რატომ უნდა ეფიქრა. ასეთი იყო იმ დროისათვის შეუვალი „რკინისებური კომუნისტური თეორია“ საქართველოს მდგომარეობის შესახებ და მას, ვისი აზრიც ამ თეორიაში ვერ თავსდებოდა, ნაციონალისტი, ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტი, მტერი ან ყველაფერი ერქვა.[35]

ერთის მხრივ, დემოკრატიის სუსტი ნიავის, მეორეს მხრივ კი ცენტრის მიერ იმპერიაში წაქეზებული აშკარა ანტიქართული, შოვინისტური განწყობილების ფონზე, ქართული ეროვნული სულისკვეთება კიდევ უფრო მძაფრდებოდა. ეროვნულ თავისუფლებაზე ფიქრმა, მისი მიღწევის გზების ძიებამ ერის უკეთესი ნაწილის გონება მოიცვა. მოაზროვნე ქართველთა ცნობიერებაში ეროვნულმა პრობლემამ ყველა სხვა გადაფარა. ამიტომ ქართველ შემოქმედთა მოღვაწეობაში სოციალური, პიროვნული თუ სხვა სახის ღირებულებები დაიჩრდილა და ეროვნული მოტივი გაბატონდა. საქართველოში ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი იწყებოდა.[36]

პარალელურად, როგორც წინა ათწლეულებში, თეორიულად დეკლარირებული იყო, რომ „განვითარებული სოციალიზმისათვის“ დამახასიათებელია ერების დიალექტიკური აყვავება და დაახლოება. რეალურად კი პოლიტიკურ პრაქტიკაში ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნა დაახლოების ტენდენციაზე ან უბრალოდ ასიმილაციაზე.[37]

მრავალი ხელმძღვანელი მუშაკი ადგილებზე შიშის გამო მშობლიურ ენაზე სიტყვით ვერ გამოდიოდა მოხსენებით, რათა ნაციონალიზმში არ დაედანაშაულებინათ. მრავალ მათგანს

---

33 ა. დაუშვილი, საქართველოს II რესპუბლიკა, (თბილისი, 2021), გვ. 242-243

34 დონალდ რეიფილდი, საქართველოს იმპერიათა გზაჯვარედინზე, (თბილისი, 2019), გვ. 553-554

35 ე. თავბერიძე, რატომ დახვრიტეს ვლადიმერ ჟვანია? (თბილისი, 1991), გვ. 18-19

36 მ. სამსონაძე, საქართველო 1921-1991 წლებში, (თბილისი, 2001), გვ. 17

37 Ю. И. Римаренко, По следам „Снежного человека“, (м., 1989), ст. 15

სწორედ ასეთი ბრალდებით აშინებდნენ, უთვალთვალებდნენ...[38] 1974 წელს, თბილისში შეიქმნა „ადამიანის უფლებათა დაცვის“ საინიცია-ტივო ჯგუფი (ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, ვ. რცხილაძე და სხვ.). მაგრამ მთავარი მოვლენა, რამაც იმპულსი მისცა ანტისაბჭოთა დაჯგუფებების ორგანიზებას, შემდეგში მდგომარეობდა: აღნიშნულ პერიოდში დასავლეთის დიპლომატიურ წარმატებად ითვლება ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის მოწვევა 1975 წელს ფინეთის დედაქალაქში - ჰელსინკში. თათბირში მონაწილეობა მიიღო ოცდათხუთმეტმა სახელმწიფომ. თათბირის შედეგს წარმოადგენდა ჰელსინკის დასკვნითი აქტი. ამ აქტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ე. წ. „სამი კალათი“. პირველი და მეორე „კალათები“ ეხებოდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს, მესამე „კალათი“ ავალდებულებდა ყველა მასზე ხელისმომწერ ქვეყანას განეხორციელებინა ცხოვრებაში და უზრუნველეყო განსაზღვრული, კონკრეტულად ჩამოთვლილი ადამიანის ძირითადი უფლებები, რომელიც შეაკავებდა საბჭოთა რეპრესიებს დისიდენტებისა და გარდაქმნების მომხრეების მიმართ. როგორც აღმოჩნდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა აღმოსავლეთ ევროპაში მართლაც გამოიყენეს „მესამე კალათი“, როგორც შემაკავშირებელი საძირკველი თავისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში საბჭოთა უღლისაგან. ვაცლავ ჰაველმა ჩეხოსლოვაკიაში, ლეჰ ვალენსამ პოლონეთში, ზვიად გამსახურდიამ საქართველოში უზრუნველყვეს თავისი ადგილი თავისუფლების მებრძოლთა პანთეონში. მათ „მესამე კალათის“ დებულებები გამოიყენეს არა მრტო საბჭოთა წყობილების, არამედ საერთოდ კომუნისტური რეჟიმებისათვის ძირის გამოთხრის საქმეში.[39]

ჯერ კიდევ 1972 წელს აშშ პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა საბჭოთა კავ-შირში ყოფნის შემდეგ განაცხადა: „მე ვნახე ქვეყანა, რომელსაც ადამიანები მართავენ და არა კანონები. ასეთ ქვეყანას დიდი ხნის არსებობა არ უწერია“. ძალიან მალე ახდა წინასწარმეტყველება.[40]

რადგან საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ ჰელსინკის დასკვნით აქტს, „მეორე მსოფლიო ომის პოლიტიკური და ტერიტორიული შედეგების განმტკიცების“ სანაცვლოდ იძუ-ლებული გახდა, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ვალდებულებები აეღო. კონკრეტულად, ჰელსინკის აქტის მეშვიდე თავი ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს, მათ შორის აზრის, სინდისისა და სხვა თავისუფლებების აღიარებას და პატივისცემას ეძღვნებოდა. მიუხედავად ამისა, ზოგ ქვეყანაში, უპირველეს ყოვლისა კი საბჭოთა კავშირში, ადამიანის უფლებები აქტის ხელმოწერის შემდეგაც ირღვეოდა. თუმცა, ამიერიდან მთელ სოციალისტურ სამყაროში დისიდენტებს კომუნისტური პარტიის სადამსჯელო ზომებისაგან სამართლებრივად დაცვა უკეთესად შეძლოთ.

აღნიშნულმა მოვლენებმა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თავისი წვლილი შეიტანა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დისიდენტური მოძრაობის ახალი ეტაპი დაიწყო. 1975 წლისთვის ზვიად გამსახურდიამ გარკვეული პოლიტიკური წონა შეიძინა. მან „საკუთარი“ „ჰელსინკის ჯგუფი“ ჩამოაყალიბა და საერთაშორისო ამნისტიის მოსკოვის ოფისს დაუკავშირდა. ზვიადმა დაითანხმა ამერიკელი კონგრესმენი ვ ა გ ო ნ ე რ ი (ლუიზიანას შტატიდან), კონგრესისთვის წაეკითხა საქართველოს პატრიარქის - ამბროსის მიმართვა გენუის კონფერენციისადმი და შემდეგ კონგრესმენები დაერწმუნებინა, რომ აშშ ვალდბული იყო, დამოუკიდებელი საქართველო დე იურე ისევე ეღიარებინა, როგორც ბალტიისპირეთის რესპუბლიკები აღიარა.[41]

---

38 Ч. Айтматов, Цена прозрения, сб. „Говория откровенно“, (М., 1989), ст. 16

39 ნ. ნანიტაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლის ისტორია XX საუკუნე, (თბილისი, 2004), გვ. 416

40 ა. სონღულაშვილი, საქართველოს პოლიტიკური პორტრეტი, (თბილისი, 2004), გვ. 47

41 რეიფილდი, საქართველო იმპერიათა, გვ. 553

“ჰელსინკის ჯგუფმა“ გამოსცა ახალი, არალეგალური პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. მართალია ეს გამოცემები ვრცელდებოდა ერთგული ადამიანების ძალიან ვიწრო წრეში, მაგრამ დიდ გამოძახილს პოულობდა სტუდენტ-ახალგაზრდებში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართული დისიდენტური მოძრაობა აშკარად განსხვავდებოდა საბჭოთა დისიდენტური მოძრაობისაგან. ქართველი დისიდენტები აქცენტს არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვაზე, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პოპულარიზაციაზეც აკეთებდნენ. მთელ საბჭოთა კავშირში დისიდენტები ამაყობდნენ იმით, რომ ისინი კანონის დამცველები იყვნენ, კანონისა, რომელსაც სახელმწიფო არღვევდა. ქართველი დისიდენტები კი ქართველი პატრიოტები იყვნენ, რომელთაც დამოუკიდებლობის იდეა უტრიალებდათ თავში, რაც, კაცმა რომ თქვას, გამორიცხავდა „სუფთა“ კლასიკურ დისიდენტობას.[42]

ასე, რომ ქართველი დისიდენტები უფრო მეტად ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე აკეთებდნენ სწორებას, ვიდრე ეს დამახასიათებელი იყო „სხვაგვარად მოაზროვნეთათვის“.

აღნიშნულ პერიოდში დისიდენტებს შეძლებისდაგვარად ტოლს არ უდებ-დნენ ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც თავის შემოქმედებაში მკვეთრად ილაშქრებდნენ პიროვნების უფლებების შელახვის რუსიფიკაციის პოლიტიკის გაძლიერების წინააღმდეგ, აქტიურად იღვწოდნენ ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებისათვის. რამდენადაც მათი საქმიანობა ძირითადად ლეგალური იყო - ისინი იბეჭდებოდნენ, დგამდნენ სპექტაკლებს, იღბდნენ მხატვრულ თუ დოკუმენტურ ფილმებს, მათი მოღვაწეობის მასშტაბები და შედეგებიც უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.[43]

ყოველივე ზემოაღნიშნულმა შეამზადა მსოფლმხედველობითი საფუძვლები საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის. ამ პერიოდში მისი რეალური ჰეგემონი და საჭეთმპყრობელი, აშკარად, საქართველოს ინტელიგენცია ჩანს, რომელიც საბჭოთა რეჟიმთან ბრძოლის რადიკალური ფორმების გამორიცხვით, ცდილობდა საზოგადოების ევოლუცია მოეხდინა სულიერი განწმენდის გზით. ამ საქმეში ისინი სრულ თანხვედრაში იყვნენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის საგანმანათლებლო სულიერ მოღვაწეობასთან - ორივე ეს ძალა ერთი მიზნისკენ ამზადებდა ქართულ საზოგადოებას.[44]

კრემლი კვლავ ვერ ეგუებოდა ქართული ენის სტატუსს. მორიგმა შეტევამ ქართულ ენაზე, 70-იანი წლების მეორე ნახევარში ახალი ძალით იფეთქა, რასაც პირველ რიგში ქართველი ინტელიგენცია გამოეხმაურა. კერძოდ, 1976 წლის აპრილში ქართველ მწერალთა VIII ყრილობაზე, რევაზ ჯაფარიძე გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა საქართველოს განათლების მინისტრის წინადადებას, რომ ისტორია, გეოგრაფია და სხვა საგნები რუსულად ესწავლებინათ. ის აღშფოთებული იყო მოსკოვის ბრძანებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა სახელმძღვანელო რუსულ ენაზე გამოქვეყნებულიყო; დისერტაციებიც რუსულად უნდა დაწერილიყო და დაბეჭდილიყო. ჯაფარიძის გამოსვლას ლამის თხუთმეტ¬წუთიანი აპლოდისმენტები მოჰყვა და დამსწრეები უმაღლესი განათლების მინისტრს, აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძეს მისთვის პასუხის გაცემის საშუალებას არ აძლევდნენ. როდესაც შვარდნაძე რუსიფიკაციის შიშის გაქარწყლებას შეეცადა, გამოსვლა შეძახილებით შეაწყვეტინეს.[45]

---

42 ლ. ბერძენიშვილი, 1921-1990 ერთი კაცის და ქვეყნის ამბავი, (თბილისი, 2022), გვ. 227-228

43 დაუშვილი, საქართველოს, გვ. 245

44 დაუშვილი, საქართველოს, გვ. 246-247

45 რონალდ გრიგორ სუნი, ქართველი ერის ჩამოყალიბება, (თბილისი, 2022), გვ. 481

ბუნებრივია ქართველი ინტელექტუალები უკმაყოფილო იყვნენ 1975 წელს სსრკ განათლების სამინისტროს მიერ საკანდიდატო და სადოქტორო დისერ-ტაციების რუსულ ენაზე წარდგენის მოთხოვნით. შევარდნაძეს და ბრეჟნევს 365 გამოჩენილი ინტელექტუალისა და მწერლის შუამდგომლობა გაეგზავნა. ქართველობა ორენოვნების იძულებით შემოღებას ეწინააღმდეგებოდა, რაც საბოლოოდ ქართული ენის როლისა და მნიშვნელობის თანდათანობით შემცირებას გამოიწვევდა. ასეთი მოთხოვნა მათი აზრით, ქართული სამეცნიერო აზროვნებისა და ქართული ენის განვითარებას შეაფერხებდა და არღვევდა სსრკ-ს ყველა ხალხის თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს. შევარდნაძე მაინც არაერთხელ და ხაზგასმით აღნიშნავდა რუსული ენის სწავლისა და საქართველოში მისი სწავლების დახვეწის მნიშვნელობას და აცხადებდა, რომ ამას ქართველი ხალხის თვალსაწიერის გაფართოება ჰქონდა მიზნად. „საქართველოსთვის მზე ამოდის არა აღმოსავლეთში, არამედ ჩრდილოეთში, რუსეთში... ლენინური იდეების მზე“ - ასე განუცხადა მან მოსკოვში XXVI ყრილობის დელეგატებს.[46]

1977 წლის გაზაფხულზე ხელისუფლებამ საქართველოს მწერალთა კავშირს ზვიადის გარიცხვა უბრძანა ... უნივერსიტეტიდან გააგდეს და დააპატიმრეს. სუკ-მა 56 ტომიანი დოსიე შეადგინა და ზვიადსა და მერაბს ბრალად სამშობლოს ღალატი წაუყენა. აგვისტოში ზვიადი სერბსკის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში დააწვინეს, საიდანაც ჰონოლულუს მსოფლიოს ფსიქიატრთა ყრილობამ და ფრანგ ფსიქიატრთა კავშირმა დაიხსნეს.[47]

მოსკოვი მაინც არ ისვენებდა! 1977 წელს მიღებული იქნა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია. 1978 წელს დღის წესრიგში დადგა „მოკავშირე“ რესპუბლიკების ძირითადი კანონის მიღება. იურისტებმა კვლავ დააყენეს საქართველოს კონსტიტუციიდან სახელმწიფო ენის მუხლის ამოღების საკითხი. ისინი აპელირებდნენ იმ გარემოებაზე, რომ საკავშირი კონსტიტუციები უცვლელად იმეორებდნენ ყველა ენის თანასწორობის ლენინურ დებულებას, რომელ დებულებასთანაც წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტუცია.

საბჭოთა ხელმძღვანელობას ესმოდა, რომ კონსტიტუციიდან ქართული ენის სტატუსის ამოღებას საქართველოში ვითარების დაძაბვა მოჰყვებოდა. ამის მიუხედავად მისი გაუქმება მაინც გადაწყვიტა. ქართველი ხალხის მოსალოდნელი აღშფოთების გასანეიტრალებლად კი სახელმწიფო ენის ნაცვლად კონსტიტუციის პროექტში ჩაიწერა, რომ სახელმწიფო ყველანაირად შეუწყობდა ხელს ქართული ენის განვითარებასა და აყვავებას.

ამან საქმეს ვერ უშველა. როდესაც საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ეს ღონისძიება მომწიფებულად და კანონზომიერ მოვლენად მიიჩნია და რესპუბლიკის მთავრობაც ამას დათანხმდა, საქართველოს ინტელიგენციამ, სახელდობრ თბილისის მეცნიერებმა და სტუდენტობამ გაანალიზა, თუ რას ნიშნავდა უწინდელი კრნსტიტუციიდან ქართული ენის სტატუსის ამოღება და შენიღბულად „მისი ხმარების უფლების დატოვება“ - ყველაფერი გასაგები გახდა. ამიტომ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საერთო კრებამ შესაბამისი ხმაური ატეხა. კრებაზე გამომსვლელებმა დაასაბუთეს, რომ კონსტიტუციიდან ქართული სახელმწიფო ენის სტატუსის ამოღება ნიშნავდა ქართველი ხალხისთვის მეტყველების წართმევას: ე. ი. თავისი განათლების, საქმის წარმოების, საკუთარი სწავლების ქსელის, მეცნიერული კვლავწარმოების ფსიქიკურ-ფსიქოლოგიური თვითშგნების, წარსულისადმი პატივისცემის საუკუნოებრივი ლიტერატურის და ა. შ. აკრძალვას. კრებაზე რვა მეცნიერის ხელმოწერილი 35 გვერდიანი ოქმი შედგა, რომელიც უმალ ცეკამ მოითხოვა მისი მდივნის ვიქტორია სირაძის მეშვეობით. ამის შემდეგ ცეკამ მწერალთა კავშირს საქმის განხილვის ოქმის შედგენა აუკრძალა. საქმის განხილვამ მწვავე

[46] სუნი, ქართველი ერის, გვ. 482-483

[47] რეიფილდი, საქართველო იმპერიათა, გვ. 554

დებატები გამოიწვია აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში და თბილისის მრავალ სახელმწიფო დაწესებულებაში, საერთოდ მთელ ინტელიგენციაში. ამას მოჰყვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების და პროფრსორ-მასწავლებელთა ქუჩაში გამოსვლა.[48]

1978 წლის 12 აპრილს სტუდენტთა ინიციატივით, დედაქალაქში დემონსტ-რაცია მოეწყო. ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა მთავრობის სასახლესთან მჯდომარე გაფიცვა გამოაცხადა. 14 აპრილს მუშაობა დაიწყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიამ, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია (რომლის პროექტიდან ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის მუხლი ამოღებული იყო).

საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის მიერ შემზადებული თბილისის ახალგაზრდობა რუსთაველის გამზირზე გამოიშალა და მთავრობის სასახლის წინ გაიმართა გრანდიოზული მიტინგი. აქ შეკრებილი საზოგადოება პოლიტიკურ პროცესებში საკმაოდ გარკვეული და შეგნებული აღმოჩნდა. ისინი ერთმანეთს აფრთხილებდნენ, რომ კონცენტრირებული ყოფილიყვნენ მხოლოდ ენის სტატუს-ზე [20, 49]. აქციაზე გოგონებს სახელდახელოდ შექმნილი პლაკატები ეჭირათ, რომელზეც პომადით იყო გაკეთებული პატრიოტული ხასიათის წარწერები, „ჩვენი დედა ენა“, „ჩვენი სამშობლო“ და ა. შ.[49]

ქართული ენის დასაცავად გამოსულ სტუდენტებს, ძველი თაობის წარმომადგენლები ახსენებდნენ 1956 წლის მოვლენებს, და აფრთხილებდნენ მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შესახებ. აქციის მონაწილეებს, რომ დარბევის საფრთხე ემუქრებოდათ, მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. კერძოდ, „აქციის დროს რუსთაველის გამზირის პერპენდიკულარულ ვიწრო ქუჩებში, იდგა მ ე - 8 პ ო ლ კ ი ს ტ ა ნ კ ე ბ ი დ ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ს ე ლ ო დ ა (ხაზგასამა ჩემია ა. ს.).“[50]

მომიტინგეები აცხადებდნენ, რომ სისხლით დაიცავდნენ ქართული ენის სახელმწიფო უფლებებს. მღელვარების ექომ კრემლამდე მიაღწია. როცა მომხსენებლი ე. შევარდნაძე დარწმუნდა, რომ ქუჩაში გამოსული ხალხი არ ხუმრობდა და პროტესტმა საშიში ხასიათი მიიღო - იკადრა და სუსლოვს დაუკავშირდა. როდესაც მისგან სანუგეშო ვერაფერი მიიღო, იძულებული გახდა ბრეჟნევისათვის მიემართა (ამ დროს მშფოთვარე ინტელიგენციამ ალყაში მოაქცია მთავრობის სასახლე და მის პირველ სართულზე კიდევაც შეიჭრა, სადაც სესია მიმდინარეობდა). საკავშირო მთავრობა შედრკა, რადგან განვითარებულმა მოვლენებმა საშიში ხასიათი მიიღო, ბრეჟნევმა ნება დართო საქართველოს ხელისუფლებას ძალაში დაეტოვებინათ უწინდელი კონსტიტუციის ფორმულირება ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის თაობაზე.

დაახლოებით 2 საათი იქნებოდა, როდესაც შევარდნაძემ მოხსენების კითხვისას გამოაცხადა, რომ საკონსტიტუციო მუხლის შინაარსი არ იცვლებოდა და სახელმწიფო ენად რჩებოდა ქართული ენა. ის ვინც ტელეეკრანზე ადევნებდა თვალს მიმდინარე პროცესს, დაინახა ამ სიტყვების შემდეგ, როგორ წამოიჭრა ფეხზე დარბაზი. ტაში არ ცხრებოდა. ბედნიერი სახეები აპლოდისმენტებს არ იშურებდნენ ...[51]

მტკნარი სიცრუეა თითქოს შევარდნაძემ რაიმე მოინდომა და გადაწყვიტა. მაშინ არც მე-8 პოლკი იქნებოდა გამზადებული. მას, როგორც კრემლის მარიონეტს, თანამდებობისათვის და კარიერისათვის თავდადებულ პირს, თუნდაც ამ შემთხვევაში არაფერი მოუსურვებია და გადაუწყვეტია. ინტელიგენციის (რა თქმა უნდა სტუდენტობასთან ერთად) მრისხანე პრო-

---

48 გ. გასვიანი, თ. გასვიანი, აფხაზეთის ომი, (თბილისი, 2005), გვ. 36

49 უნივერსიტეტში დაქყებული პროტესტების ზეპირი ისტორიები (1978 და 1989 წლები), მ. მაცაბერიძის რედაქტორობით, (თბილისი, 2018), გვ. 58

50 უნივერსიტეტში დაწყებული, გვ. 59

51 უნივერსიტეტში დაწყებული, გვ. 90

ტესტმა აიძულა ის და მისი მოსკოველი ფავორიტები კონსტიტუციაში ძველი მუხლი აღედგინათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის წინააღმდეგ კრემლის შეტევა იქამდე იყო მისული, რომ საქართველოს განათლების სამინისტროში უკვე მიღებული იყო დირექტივა - რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ქართულის ადგილზე რუსულად წარმართულიყო ლექციები ყველა ძირითად საგანში.[52]

1978 წლის 14 აპრილს ქართველმა ახალგაზრდებმა დაამტკიცეს ეროვნული იდეალებისადმი თავიანთი ერთგულება. ანბანური ჭეშმარიტებაა, საბჭოთა რეჟიმს „არაფერი არ აჩერებდა არც მანამდე და არც ამის შემდეგ...“ „ქართულ საზოგა¬დოებას ახსოვდა მუდმივი მარცხი საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მდგომს - მუდმივი დათრგუნვა, მუდმივი ტერორი, შიშზე დაფუძნებული ურთიერთობა და სისტემა ... და მოულოდნელად... სახელმწიფო ენის სტატუსის შენარჩუნება“ [20, 30). ეს იყო პირველი პრეცენდენტი, როდესაც ხელისუფლებამ ვერ გაბედა იარაღით დაპირისპირებოდა დემონსტრანტებს. ამ თვალსაზრისით, ქართველი სტუდენტების გამარჯვება იყო საბჭოთა ხელისუფლების კუბოში ჩაჭედებული პირველი ლურსმანი. 14 აპრილმა გამარჯვების რწმენა ჩაუნერგა არა მხოლოდ ქართველ ხალხს, არამედ საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა ხალხებსაც. მან ცხადყო, რომ ახლოვდებოდა საბჭოთა იმპერიის აღსასრული.[53]

საყურადღებოა, რომ ქართული ენის ოფიციალურ სახელმწიფო ენად გამოცხადების შემდეგ, რუსულენოვანი ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა (მათ შორის სექტანტი მოლოკნების მოზრდილმა წევრებმა), რუსეთის ქალაქებს მიაშურა სწავლის გასაგრძელებლად და სამუშაოდ.[54]

საქართველოს მიბაძვით 14 აპრილს იგივე პუნქტი ამოქმედდა სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში. იგივე განმეორდა აზერბაიჯანშიც.[55]

ამდენად, 1978 წლის 14 აპრილს საქართველოს რჩეულმა საზოგადოებამ დაიცვა სახელმწიფო ენის სტატუსი. მალევე, ხელისუფლებამ ეს თარიღი გამოაცხადა „დედაენის დღედ“. ამასთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატუ-რაში გამოითქვა მოსაზრება, რომ, რადგან საქართველოში სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი ცხოვრობს, რომელთაც სხვა დედა ენა გააჩნია, სასურველი იქნებოდა 14 აპრილი თავიდანვე სახელმწიფო ენის დაცვის დღედ გამოცხადებულიყო.

სამართლიანად აღნიშნავდა პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, რომ „14 აპრილი საქართველოს ყველა მოქალაქემ (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედა-ვად) ერთნაირად უნდა იზეიმოს, როგორც თავისი სახელმწიფო ენის დღე“.[56]

მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ფერეიდნელმა ახალგაზრდებმა 2003 წლის 14 აპრილს (დიახ, 14 აპრილს ქართული ენის დღეს) ქალაქ ფერეიდუნშაჰრში (მარტყოფი) ქართული ენის დაცვისადმი მიძღვნილი პირველი კონგრესი ჩაატარეს. კონგრესის მიზანი იყო ფერეიდნელ ქართველთა მიერ მარტყოფის ენად ქართული ენის შენარჩუნების პრობლემაზე მსჯელობა. ფერეიდნელ ქართველთა ეროვნულ თვითშგნებაზე უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის წერილის ფრაგმენტი, რომელიც ფერეიდნელ ქართველს გაუგზავნია თურქეთში მცხოვრები მისი თანამემამულისათვის 2004 წელს. მოზღვავებულ ნოსტალგიურ გრძნობათა ემოციური სიმძაფრით წარმომსახველი ეს წერილი მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტს იმ თვალსაზრისითაც წარმოადგენს, რომ მისი ავტორი ისტორიული ავბედობის გამო მშობლიურ

---

52 გასვიანი, აფხაზეთის ომი, გვ. 37

53 ბლუაშვილი, საქართველო გამოწვევების, გვ. 38

54 ლ. ხუციშვილი, მოლოკნები (სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), „კლიო”, 2000, #7, გვ. 146-147

55 სუნი, ქართველი ერის, გვ. 594

56 ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები, (თბილისი, 2019), გვ. 152

ფესვებს მოწყვეტილი და უცხო გარემოში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნულად შემკავშირებლის როლშიც გამოდის. ამ ადამიანების ზოგადად აღმნიშვნელ ტერმინად მან ერთი გასაოცარი სიტყვაც იხმარა პირველად - თ ა ნ ა ფ ე ს ვ ი, რითაც ზუსტი ადეკვატურობით გამოხატა უმთავრესი არსი მათი ერთობისა და განუყოფლობისა.

“ფერეიდუნ შაჰრი. 2004 წელი (სტილი დაცულია). ძვირფასო ძმაო რეჯებ, სალამ ალეიქუმ ვა რაჰმალაჰ! გაუმარჯოს თურქეთის ყველა ქართველს!

არ ვიცი, როგორ გითხრა, რასა ვგრძნობდი და როგორ ვიყავი, როდესაც ვკითხულობდი შენს წერილსა. როგორც ფრინველი ზეცაში ფრინავდეს, ისე ვიყავ, ტყავში და ქერქში ვდგებოდი სიხარულით. თვალზე ცრემლი და გულში დარდი მქონდა. ნეტავ რატომ ძმები ასე შორს იყვნენ...“

ირანში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნული ცნობიერების განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს იქ დაფუძნებული საზოგადოება - „ირანელი ქართველები“. მათ მიერ გამოქვეყნებელ ნაბეჭდ პროდუქციას აწერია: „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა!!!“ გვხვდება ასეთი პრეამბულაც: „ქართულ ენის დამკარგავსა დამმარხველი არა ჰყავდეს.[57]

ტერმინი - ერის განმარტების მრავალი ვერსია არსებობს. უმრავლესობა წინა პლანზე ენის ერთობას მიიჩნევს. არიან ერები, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. ასევე, სხვადასხვა ერი ერთ ენაზე ლაპარაკობს. ქართველის იდენტიფიკაცია, ერის კოდი სწორედ ენის მეშვეობით განისაზღვრება. ამიტომ ჩვენს მთავარ საუნჯეს დიდი გაფრთხილება სჭირდება.

Avtandil Songhulashvili

The Status of Georgian Language and the National Movement in the 1970s

There are up to 5,500 languages in the world. It is difficult to indicate the exact number, since many languages have not been adequately studied and it is hard to say whether something is an independent language or a dialect. Sometimes the classification of languages is based on political or religious grounds rather than linguistic ones. For example, Czech and Slovak, Russian and Belarusian, Serbian and Croatian are very similar to each other, but they are considered not as dialects, but as languages.[58] Ernest Gellner notes that there are more than 8,000 „natural” languages on Earth, among them 700 major ones, while the number of nations is fewer than 200. Some relatively old nation-states, in which two or more linguistic groups are united – for example, Spain with its Basque minority – today experience pressure to recognize the identity of each separate group.[59]

In general, when a people lose their native language, they lose their life, their place in history. Over the course of its centuries-long existence, the Georgian nation defended its mother tongue to the last drop of blood, to its final breath. Timeworn folios remember many examples of individuals

[57] ა. ნიკოლეიშვილი, ფერეიდნელ ქართველთა ეროვნული ცნობიერების ზოგიერთი საკითხი, სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი „პარალელი“, (თბილისი, 2011), #1, გვ. 87-88

[58] R. Zekalashvili, *Issues of Georgian Speech Culture*, (Tbilisi, 2003), p. 13

[59] Francis Fukuyama, *The End of History and the Last Man*, (Tbilisi, 1999), p. 278

who risked their lives just to save books and manuscripts – the most precious monuments of Georgian culture.

Even Grigol Robakidze once noted that the essence of the national phenomenon is perfected in language. National identity, as a distinct, individual expression, finds the spiritual energy it needs in language. According to him, on the one hand, each member of the nation shapes the language, while on the other hand, the essence of the nation is revealed through language.[60]

During the period of the First Republic, specifically on October 1, 1918, the National Council adopted the Law on the Mother Tongue, based on which the Georgian language was declared the state language. Every official in office was given a six-month period to learn Georgian; those who failed to do so would be dismissed from their posts.[61] However, unfortunately, this law was not fully implemented at that stage, because soon afterward the Parliament issued the „Regulation on Language Use", which allowed deputies who did not know Georgian to use the Russian language instead. Russian became the language of the national minority, and Armenian deputies never delivered speeches in Georgian. This mistake was corrected by the Constitution, which unambiguously established the mandatory use of the Georgian language in state institutions.[62]

During the Soviet regime, pressure on Georgia began with an assault on the Georgian language. Particularly in the second half of the 1950s, signs of suppression of the Georgian language became evident. In many cases, the Georgian language was ignored, and in various institutions it was distorted. In the streets of the capital, advertisements and signage for movie theatres were displayed only in Russian.[63]

At gatherings of composers or artists, no one would speak in Georgian, creating the impression that the Georgian language had been reduced to a language used only in private family interactions.[64]

In the 1960s, the central Soviet government demanded that the publishing house of the Georgian Academy of Sciences print books in Russian instead of Georgian. It also reduced funding for research institutes of history, literature, linguistics, and the arts. The situation escalated to the point where, in an effort to erase national distinctions, a new concept was introduced: the „Soviet people".[65]

The Georgian nation never reconciled with imperial policy and spoke out against it at various forums and congresses. In this regard, the Georgian scientific intelligentsia stood out. Academician Niko Ketskhoveli expressed strong protest and, in his speeches and writings, exposed the anti-national policy. As a result, he was removed from the presidium of the Academy. The renowned Georgian mathematician Viktor Kupradze, upon learning that funding had been drastically reduced for the Academy's fields related to Kartvelology, demanded that mathematicians – and, more broadly, institutes of natural and technical sciences – allocate a significant portion of their budget to research institutions focused on Kartvelology. He argued that while natural sciences were being researched in nearly every country in the world, Kartvelological fields were studied almost exclusively in Georgia.

At the All-Union Writers' Congress held in the 1960s, critic Besarion Zhghenti took a stand against the government's anti-national policy and publicly condemned the attempt to force national writers to switch to writing in Russian. He challenged prominent Russian writers to set an example by

60 I. Robakidze, *The Worldview of Georgians* based on Gr. Robakidze's Works, National Academy of Sciences of Georgia, *Matsne*, Series on Language, Literature, and Arts, (Tbilisi, 2023), p. 133

61 D. Chumburidze, *The National-Liberation Struggle of the Georgian People in the Early 20th Century, 1918-1921*, (Tbilisi, 2003), p. 222

62 Chumburidze, T*he Georgian People*, p. 245

63 Sh. Nozadze, *The Tragedy of 1956, March 9*, (Tbilisi, 1992), p. 163

64 Nozadze, *The Tragedy of 1956*, p. 178

65 E. Kvatadze, *Peculiarities of the National Movement in Georgia in the 1950s*, Journal *Historical Verticals*, (2003), p. 43

composing their poetry and literary works in French or English. Publicist and scholar Otar Egadze also spoke out against Russian chauvinist policy. As a result, he was dismissed from his position as editor of the newspaper *Zarya Vostoka*.[66]

On a union-wide scale, it became evident that in the 1970s, obtaining higher education in the national language was only possible in Tbilisi and Yerevan universities within the Soviet Union. In other republics, even departments of national history were rare. During various gatherings, professors from Kyiv University could not believe that lectures were being held in Georgian at Tbilisi State University.[67] The issue was that only Georgia's national language had the status of a state language among the Soviet republics. Later, by the decision of the Soviet Union's leadership, in order to avoid Georgia being the only exception, the same status was granted to the national languages of the South Caucasus republics. In all other Soviet republics, including the Russian Federation, the state language status did not exist. The different status of the Georgian language did not prevent the Soviet Union leadership from treating it the same as Lithuanian, Estonian, and other languages. This status did not grant any privileges to the Georgian language compared to the national languages of other allied republics. However, the right granted by law was viewed differently by our population.

Regarding the communists' attitude toward the issue of the state status of a language, it was as follows: still in 1903, in the first program of the party adopted at the II Congress of the RSDLP, Lenin included two decisive points on the national question: 1. The equality of all languages, and 2. The right of nations to self-determination. These articles were included unchanged in the „Declaration of the Rights of the Peoples of Russia" adopted in 1918 and later in the RSFSR Constitution. Lenin believed that the demand for granting state status to any nation's language was a „bourgeois" demand and violated the rights of other peoples and languages. In his view, the recognition of the Russian language as a common language among the peoples living in the Russian Federation would happen naturally, voluntarily, and did not require any special status for it.

The constitution of all the Soviet republics that emerged after the RSFSR was based on Lenin's Russian constitution. Work on the „Constitution of Soviet Georgia" began in early 1922. In the work of the constitutional commission, left-wing federalists also participated alongside the communists. It was one of their representatives, Simon Khundadze, who proposed that an article be added to the constitution recognizing the Georgian language as the state language. This status had been granted to the Georgian language according to the constitution of democratic Georgia. „If we refuse this status, we will give serious arguments to the Menshevik opposition in emigration to claim the un-nationality of the Soviet government", he stated at the commission's session. This argument by Khundadze also convinced the Georgian Bolsheviks. Naturally, they turned to the Kremlin, Lenin, and Stalin to resolve the matter. In Lenin's view, considering the political situation, the Soviet government should make compromises that would strengthen the Soviet system at that time. The removal of erroneous articles from the constitution could be done later, once the Soviet government was firmly established. For similar reasons, the state status of the Georgian language remained in the 1927 constitution.

In 1937, during the work on the so-called „victorious socialism" constitution, jurists demanded the removal of the official language from the Georgian constitution, but Stalin considered this step premature at the time.[68]

Let's return again to the early 1970s, when there were cardinal changes in the world that demanded a radical shift in both domestic and foreign policies, even in socialist countries. A significant change

---

66 E. Kvatadze, *National Movement*, pp. 43-44

67 O. Japaridze, *Real Stories from Marika Lortkipanidze*, Journal *Istoriani*, (2011), #5, p. 58

68 U. Bluashvili, *Georgia in the Face of Challenges*, (Tbilisi, 2010), pp. 36-37

occurred in the lives of many socialist and workers' parties in Europe – „Eurocommunism" emerged, which offered new principles of socialism and new forms of struggle to society. Leaders of influential communist parties in France, Italy, and Spain were already openly criticizing certain decisions of the Soviet party leadership. Tensions continued with the Communist Parties of China and Albania, who accused the Kremlin leaders of „revisionism".[69]

In 1973, Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava began publishing the illegal journal *Golden Fleece*. The articles published in it exposed the crimes of the KGB and told readers about the bitter fate of the intelligentsia of the 1920s. In the pages of the journal, Zviad and Merab not only published their own materials, but also published Solzhenitsyn's *The Gulag Archipelago*. They exposed the disastrous ecological situation and the destruction of Georgian cultural monuments (for example, they described how the Red Army, through artillery exercises, was destroying the monasteries of David Gareja and Gelati). The dissidents managed to stop the construction of an atomic power plant on the Black Sea coast and the construction of a railway under the Cross Pass, but they were unable to prevent the construction of the Roki Tunnel, which would connect „South Ossetia" with „North Ossetia".[70]

Now, we truly know that a patriot is a person who loves their nation. In the 1970s, under the „heated" communist ideology, nationalism meant hatred of the nation and was punishable by law. They even tried to accuse the condemned of nationalism, and a corresponding article was ready. This situation was also determined by the fact that, at that time, a loud statement of the idea – „Georgia is occupied by Russia" – was considered anti-Soviet and, as usual, was seen as an expression of hatred towards the Russian nation. The Bolsheviks traditionally argued like this: „In 1921, the Red Army liberated Georgia from Menshevik dictatorship". Therefore, a person passionate about the idea of Georgia's liberation was simply driven by hatred for the people, as they would never think about driving out the liberators. This was the inflexible „iron-like" communist theory of Georgia's situation at the time, and anyone whose opinion didn't fit into this theory was labelled a nationalist, anti-Soviet, anti-communist, enemy, or anything else.[71]

On the one hand, amidst the weak breeze of democracy and, on the other hand, the clear anti-Georgian, chauvinistic sentiments instigated by the centre in the empire, the Georgian national spirit grew even stronger. Thoughts about national freedom and the search for ways to achieve it occupied the minds of the better part of the nation. The national issue overshadowed all other concerns in the consciousness of intellectual Georgians. Therefore, in the works of Georgian creators, social, personal, or other types of values were overshadowed, and the national motive became dominant. A new stage of the national movement was beginning in Georgia.[72]

At the same time, as in previous decades, it was theoretically declared that the „developed socialism" would be characterized by the dialectical flourishing and rapprochement of peoples. In practice, however, the political focus was shifted to trends of rapprochement or simply assimilation.[73]

Many leading officials, out of fear, were unable to deliver speeches in their native language, so as not to be accused of nationalism. Many of them were threatened and monitored precisely because of such accusations...[74]

---

69 A. Daushvili, *The Second Republic of Georgia*, (Tbilisi, 2021), pp. 242-243

70 Donald Raefield, *Georgia at the Crossroads of Empires*, (Tbilisi, 2019), pp. 553-554

71 E. Tavberidze, *Why Was Vladimir Zhvania Shot?* (Tbilisi, 1991), pp. 18-19

72 M. Samsonadze, *Georgia in 1921-1991* (Tbilisi, 2001), p. 17

73 Ю. И. Римаренко, По следам „Снежного человека", (м., 1989), ст. 15

74 Ч. Айтматов, Цена прозрения, сб. „Говория откровенно", (М., 1989), ст. 16

In 1974, a „Human Rights Defence" initiative group was established in Tbilisi (Z. Gamkrelidze, M. Kostava, V. Rtskhiladze, and others). However, the main event that gave impulse to the organization of anti-Soviet groups was as follows: During this period, the diplomatic success of the West was considered the invitation to the Conference on Security and Cooperation in Europe in 1975 in the capital of Finland, Helsinki. The conference was attended by fifteen states. The outcome of the conference was represented by the Helsinki Final Act. The most important part of this act was the so-called „three baskets". The first and second „baskets" dealt with political and economic issues, while the third „basket" obliged all signatory countries to implement and ensure specific, enumerated human rights that would curb Soviet repressions against dissidents and supporters of reforms. As it turned out, the leaders of the national liberation movement in Eastern Europe indeed used the „third basket" as a connecting foundation in their fight for their country's liberation from Soviet rule. Václav Havel in Czechoslovakia, Lech Wałęsa in Poland, and Zviad Gamsakhurdia in Georgia secured their place in the pantheon of freedom fighters. They used the provisions of the „third basket" not only for the dismantling of the Soviet system but also for the overall dismantling of communist regimes.[75]

As early as 1972, after his visit to the Soviet Union, U.S. President Richard Nixon stated: „I have seen a country where people rule, not laws. A country like this doesn't have a long future ahead of it". His prophecy soon came true.[76]

Since the Soviet Union signed the Helsinki Final Act on Security and Cooperation in Europe, it became obliged to assume commitments in the field of human rights in exchange for „strengthening the political and territorial outcomes of World War II". Specifically, the seventh chapter of the Helsinki Act was dedicated to the recognition and respect for human rights and fundamental freedoms, including freedom of thought, conscience, and other freedoms. However, even after the signing of the Act, human rights continued to be violated in certain countries, primarily in the Soviet Union. Nonetheless, from that point on, dissidents across the socialist world were better able to legally defend themselves against the repressive measures of the Communist Party.

These events contributed to Georgia's national-liberation movement. It can be said that a new phase of the dissident movement began in Georgia. By 1975, Zviad Gamsakhurdia had gained some political weight. He formed his own „Helsinki Group" and contacted the Moscow office of Amnesty International. Zviad managed to convince U.S. Congressman Wagner (from Louisiana) to read out the message from the Patriarch of Georgia, Ambrosi, to the Genoa Conference in Congress, and later to persuade the congressmen that the U.S. should recognize independent Georgia de jure, just as it had recognized the Baltic republics.[77]

The „Helsinki Group" published a new, illegal political journal called „Georgia's Echo". Although these publications were distributed within a very narrow circle of loyal individuals, they resonated strongly among students and the youth.

It should also be noted that the Georgian dissident movement clearly differed from the Soviet dissident movement. Georgian dissidents focused not only on the protection of human rights but also on the promotion of the idea of Georgia's independence. Across the entire Soviet Union, dissidents took pride in being defenders of the law, a law that the state itself was violating. However, Georgian dissidents were patriots who had the idea of independence at the forefront of their minds, which, in fact, excluded 'pure' classical dissidence.[78]

---

75 N. Nanitashvili, *The 100-Year History of the United States in the 20th Century*, (Tbilisi, 2004), p. 416

76 A. Songhulashvili, *Political Portrait of Georgia* (Tbilisi, 2004), p. 47

77 Raefield, *Georgia at the Crossroads of Empires*, p. 553

78 L. Berdzenishvili, *1921-1990: The Story of One Man and One Country* (Tbilisi, 2022), pp. 227-228

Thus, Georgian dissidents were more focused on the national-liberation movement than their „differently-minded" counterparts.

During this period, dissidents were joined by young writers, who, to the best of their ability, expressed strong opposition to the violation of personal rights caused by the intensification of the policy of Russification. They actively worked towards raising national consciousness, as well as fighting for personal rights and freedom. Since their activities were mostly legal – they were published, staged plays, and made artistic or documentary films – their scope and impact appeared even more impressive.[79]

All of the above laid the ideological groundwork for the rise of the national-liberation movement in Georgia. During this period, its real hegemon and leader was clearly the Georgian intelligentsia, which, by excluding radical forms of struggle against the Soviet regime, aimed to bring about the evolution of society through spiritual purification. In this endeavour, they were in full harmony with the educational and spiritual activities of the Catholicos-Patriarch of Georgia, Ilia II – both of these forces were preparing Georgian society for a common goal.[80]

The Kremlin still could not come to terms with the status of the Georgian language. In the second half of the 1970s, another fierce attack on the Georgian language erupted, to which the Georgian intelligentsia responded first and foremost. Specifically, in April 1976, at the VIII Congress of Georgian Writers, Revaz Japaridze vehemently opposed the proposal of the Minister of Education of Georgia that subjects such as history, geography, and others should be taught in Russian. He was outraged by the Moscow directive that all university textbooks should be published in Russian; dissertations also had to be written and published in Russian. Japaridze's speech was met with nearly fifteen minutes of applause, and the audience did not allow the Minister of Higher Education, Academician Giorgi Jibladze, to respond. When Shevardnadze tried to allay fears of Russification, the speech was interrupted by shouts from the audience.[81]

Naturally, the Georgian intellectuals were dissatisfied with the demand by the Soviet Ministry of Education in 1975 to present candidate and doctoral dissertations in Russian. A petition was sent to Shevardnadze and Brezhnev, signed by 365 prominent intellectuals and writers. They opposed the imposition of bilingualism, which would ultimately lead to the gradual diminishing of the Georgian language's role and significance. According to them, such a requirement would hinder the development of Georgian scientific thought and language and violate the constitutional principle of equality for all peoples of the USSR. Nevertheless, Shevardnadze repeatedly and emphatically emphasized the importance of teaching the Russian language and its refinement in Georgia, stating that this aimed to expand the worldview of the Georgian people. „The sun for Georgia rises not in the East, but in the North, in Russia... the sun of Leninist ideas", he told the delegates of the XXVI Congress in Moscow.[82]

In the spring of 1977, the government ordered the expulsion of Zviad from the Writers' Union... He was expelled from the university and later arrested. The KGB created a 56-volume dossier and accused Zviad and Merab of treason. In August, Zviad was placed in the Serbski Psychiatric Institute, from where he was rescued by the World Psychiatry Congress in Honolulu and the French Psychiatric Association.[83]

Moscow, however, did not rest! In 1977, a new constitution for Soviet Georgia was adopted. In 1978, the issue of adopting the „union" republics' basic laws was raised. Lawyers once again raised

79 Daushvili, *Georgia*, p. 245

80 Daushvili, *Georgia*, pp. 246-247

81 Ronald Grigor Suny, *The Formation of the Georgian Nation* (Tbilisi, 2022), p. 481

82 Suny, *The Formation of the Georgian Nation*, pp. 482-483

83 Raefield, *Georgia at the Crossroads of Empires*, p. 554

the issue of removing the article on the state language from Georgia's constitution. They argued that the Soviet constitutions uniformly echoed Lenin's principle of linguistic equality, which contradicted the Georgian constitution.

The Soviet leadership understood that removing the status of the Georgian language from the constitution would lead to heightened tensions in Georgia. Despite this, they still decided to proceed with its removal. To neutralize the anticipated outrage of the Georgian people, the draft constitution instead stated that the state would fully support the development and flourishing of the Georgian language.

This did not solve the issue. When the Soviet Union's authorities considered this measure a mature and lawful event, and the republic's government agreed to it, Georgia's intellectuals, alongside the scholars and students of Tbilisi, analysed what the removal of the status of the Georgian language from the former constitution and the disguised „right to use it" really meant – everything became clear. As a result, the general assembly of the Institute of History, Archaeology, and Ethnography of the Academy of Sciences raised a significant protest. The speakers at the assembly argued that removing the status of Georgian as a state language from the constitution meant taking away the ability of the Georgian people to speak: that is, banning their education, business practices, their own educational network, scientific self-reproduction, their psychological self-awareness, respect for the past, eternal literature, and more. A 35-page memorandum, signed by eight scholars, was produced at the meeting, which was immediately demanded by the Central Committee (CC) through its secretary, Viktoria Siradze. Following this, the CC prohibited the Writers' Union from drafting a memorandum on the matter. The discussion of the issue sparked heated debates at the Georgian Academy of Sciences' Janashia Museum and in many state institutions in Tbilisi, as well as throughout the entire intellectual community. This was followed by a student and professor-teacher demonstration in the streets of Tbilisi State University.[84]

On April 12, 1978, a demonstration was organized in the capital at the initiative of students. A group of young people declared a sit-in strike near the government palace. On April 14, the session of the Supreme Council of the Georgian SSR began, which was supposed to approve the new constitution of the Georgian SSR (from which the article on the status of the Georgian language as the state language had been removed).

The youth of Tbilisi, prepared by the advanced intellectuals of Georgia, poured onto Rustaveli Avenue and held a grand rally in front of the government palace. The assembled public was politically aware and conscious. They warned each other to focus solely on the issue of language status. During the rally, the girls were holding makeshift placards with patriotic inscriptions, written with lipstick, such as „Our Mother Tongue", „Our Homeland", and so on.[85]

The students who came out to defend the Georgian language were reminded by older generations of the events of 1956, and were warned about the possible negative consequences. The participants of the rally were well aware of the threats of repression. Namely, „during the rally, tanks of the 8th Regiment were stationed in the narrow streets perpendicular to Rustaveli Avenue, awaiting orders".[86]

The protesters declared that they would defend the state rights of the Georgian language with their blood. The unrest echoed all the way to the Kremlin. When speaker E. Shevardnadze realized that the people in the streets were serious and that the protest had taken on a dangerous character, he dared to contact Suslov. When he received no comforting response, he was forced to turn to

---

84 G. Gasviani, T. Gasviani, *The War in Abkhazia* (Tbilisi, 2005), p. 36

85 Oral Histories of Protests Held at the University (1978 and 1989), edited by M. Matsaberidze, (Tbilisi, 2018), p. 58

86 Started at University, p. 59

Brezhnev. At this point, the anxious intelligentsia had surrounded the government palace and even breached the first floor, where the session was taking place. The Soviet government was shaken, as the unfolding events took on a dangerous character. Brezhnev gave permission for the Georgian authorities to keep the formulation on the state language status from the previous constitution in force.

About two hours later, while Shevardnadze was reading a report, he announced that the content of the constitutional article would remain unchanged and that Georgian would remain the state language. Those watching the ongoing process on television saw how the entire room stood up after these words. The applause was relentless, and happy faces showered the room with cheers.[87]

It is pure nonsense to suggest that Shevardnadze wanted or decided anything. Otherwise, the 8th regiment would not have been prepared. He, as a Kremlin puppet, a person devoted to his position and career, would not have desired anything in this case and made any decisions. It was the fierce protest of the intelligentsia (naturally, together with the students) that forced him and his Moscow favourites to restore the old article in the constitution. It should also be noted that the Kremlin's attack on the Georgian language had reached such a point that the Ministry of Education of Georgia had already adopted a directive – all lectures in higher education institutions across the republic were to be delivered in Russian for all core subjects.[88]

On April 14, 1978, Georgian youth proved their loyalty to national ideals. It is an undeniable truth that the Soviet regime „was not stopped before, and it would not be stopped after...". „The Georgian society had only known continuous defeat against the Soviet state – constant oppression, constant terror, a system based on fear... and suddenly... the preservation of the state language status". [20, 30]. This was the first precedent where the government did not dare to confront demonstrators with weapons. In this sense, the victory of Georgian students was the first nail in the coffin of the Soviet government. April 14 instilled the belief in victory not only in the Georgian people but also in other nations of the Soviet Union. It clearly showed that the end of the Soviet empire was approaching.[89]

It is noteworthy that after the declaration of Georgian as the official state language, a significant number of Russian-speaking youth (including prominent members of the Molokan sect) headed to Russian cities to continue their studies and seek employment.[90]

Following Georgia's example, on April 14, the same provision was enacted in the Constitution of the Armenian Soviet Socialist Republic. The same happened in Azerbaijan.[91]

Thus, on April 14, 1978, the selected society of Georgia defended the status of the state language. Soon after, the government declared this date as „Mother Language Day". In this regard, scientific literature expressed the opinion that, since various ethnic groups live in Georgia, each with its own mother tongue, it would have been preferable for April 14 to have been declared a day to protect the state language from the outset.

Professor Tariel Putkaradze rightly pointed out that „April 14 should be celebrated by all citizens of Georgia (regardless of ethnic origin) as their state language day".[92]

A particularly significant fact is that, on April 14, 2003 (indeed, on Georgian Language Day), young people from Fereydan held the first congress dedicated to the protection of the Georgian language in the city of Fereydunshahr (Martkopi). The goal of the congress was to discuss the issue

87 Started at University, p. 90

88 G. Gasviani, *The War in Abkhazia*, p. 37

89 Bluashvili, *Georgia Facing Challenges*, p. 38

90 Suni, *The Georgian Nation*, p. 594

91 Suni, *The Georgian Nation*, p. 594

92 T. Putkaradze, *Contemporary Challenges in Georgian Studies*, (Tbilisi, 2019), p. 152

of preserving the Georgian language as the language of Martkopi among the Fereydan Georgians. A clearer understanding of the national self-awareness of the Fereydan Georgians is offered by a fragment of a letter sent in 2004 by a Fereydan Georgian to his compatriot living in Turkey. Rich with emotional intensity and filled with nostalgia, this letter is also an important document in that its author – torn from his native roots and living in a foreign environment due to historical misfortune – assumes the role of a national unifier for his compatriots. In describing such people, the author uses a remarkable and previously unused term: „თანაფესვი" (common root), by which he expresses with precise adequacy the essence of their unity and inseparability.

"Fereydun Shahri, 2004 (original style preserved):

Dear brother Rejeb, Salam Alaikum va Rahmalah!

Greetings to all Georgians in Turkey!

I don't know how to tell you what I felt and how I was when I read your letter. I felt like a bird flying in the sky, I was trembling with joy in my skin and flesh. I had tears in my eyes and pain in my heart. Why must brothers be so far apart...".

In strengthening the national consciousness of our compatriots living in Iran, a significant role is played by the organization „Iranian Georgians", based there. The publications they produce carry the inscription: „The essential mark of nationality, its heart and soul, is its language!!!". One of the preambles reads: „He who loses the Georgian language shall find no one to bury him". [93]

There are many definitions of the term „nation". Most emphasize linguistic unity as primary. There are nations that speak various languages, and likewise, different nations that speak the same language. But for a Georgian, identification – what constitutes the nation's code – is determined through language. Therefore, our greatest treasure requires utmost care.

[93] A. Nikoleishvili, „Some Issues of National Consciousness among the Georgians of Fereydan," Literary and Scientific Journal *Parallel*, (Tbilisi, 2011), #1, pp. 87-88

ირინა არაბიძე

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ამოცანები XX ს. 80-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში

XX ს. 80-იანი წლებში საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გააძლიერა ეკლესიის ცხოვრების გამოცოცხლებამ, რაც თავის მხრივ, ეკლესიის საჭეთმპყრობლად ილია II-ის (შიოლაშვილი) აღსაყდრებით (1977 წ.) დაიწყო.

ეს ის პერიოდია, როცა საქართველოს ეკლესიის პოზიციის გამოხატვა მთლიანად ერთ ადამიანზე იყო მინდობილი.

ახლად ნაკურთხი პატრიარქის წარსული მოღვაწეობა მიუთითებდა მის პატრიოტულ გრძნობასა და უნარზე ებრძოლა სამართლიანობის პრინციპთა დაცვისათვის. საზოგადოების ნაწილისთვის მისი ეს თვისებები მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო და მომავლის იმედს უძლიერებდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვაწეობის მასშტაბები შეზღუდული იყო თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ჯერ რუსეთის თვითმპყრობელობის, შემდეგ საბჭოთა რეპრესიებისა და წნეხის, ეკლესიისა და რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის გავლენით.

1980-იანი წლებისთვის ეკლესიამ დაიწყო ზრუნვა სამწყსოს არა მხოლოდ სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, არამედ მასში ეროვნული მისწრაფებების გაღვივებაზე, განათლების, კულტურის, ადამიანთა შორის ურთიერთობების საკითხებზე ქადაგება.

საინტერესოა კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მოსაზრება დიპლომატისათვის დამახასიათებელი თვისებების შესახებ. საკითხზე ყურადღებას ვამახვილებ, რადგან დიპლომატია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა წევრისა და პოლიტიკოსების მოქმედების საფუძველი უნდა ყოფილიყო.

პატრიარქის აზრით, დიპლომატისთვის, პირველყოვლისა, საჭიროა თანდაყოლილი ნიჭი, სოლიდური მრავალმხრივი განათლება, თავისი სახელმწიფოსა და საერთაშორისო სამართლის, მსოფლიო ისტორიის, პოლიტეკონომიის ცოდნა. დიპლომატი უნდა ყოფილიყო მოქნილი, ფრთხილი, შორსმჭვრეტელი, საჭიროების შემთხვევაში უნდა შეძლებოდა კომპრომისზე წასვლა. ეს იქნებოდა საწინდარი, რომ მომავალში მეტს მიიღებდა.

გონიერ და ბრძენ პოლიტიკოსებს რეალური ინტერესების პოლიტიკა უნდა ეწარმოებინათ, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა სახელმწიფოს ისტორიასა და სამართალზე. ასეთი პოლიტიკა შეიძლებოდა პრინციპულიც ყოფილიყო, მაგრამ ეს პრინციპულობა რეალურობას არ უნდა ყოფილიყო მოწყვეტილი.[94]

აღნიშნული თვისებები დამახასიათებელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში საქართველოს ეკლესიის მოქმედებებისათვის.

აღსაყდრების დროს, 1977 წლის 25 დეკემბერს წარმოთქმულ სიტყვაში კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ თავისი საჭეთმპყრობლობით ეკლესიას შემდეგი ამოცანები დაუსახა: ქრისტიანული სარწმუნოების გაძლიერება, ქართველ ხალხში სასოებისა და უტეხი ნების განმტკიცება, სიყვარულის, სიკეთის, სულიერი სისპეტაკისა და შრომის სიყვარულის განვრცობა, მშვიდობაზე ზრუნვა. ერთ-ერთ მთავარ მიზნად ეკლესიის სიწმინდის ამაღლება უნდა ქცეულიყო. მომავალი კეთილდღეობის საწინდრად კი მან ქრისტიანთა ერთიანობა და სიმტკიცე დაასახელა, რაც ეკლესიის წიაღში ყოფილ ურწმუნოთა შემოკრებასაც უნდა მომსა-

[94] საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე 7064, 1-3.

ხურებოდა.[1] საქართველოს ეკლესიის თანადროული მისიის წარმოსაჩენად საჭირო იყო საზოგადოებას სცოდნოდა ეკლესიის წარსული. პატრიარქი ქადაგებებსა და სიტყვებში ხშირად ამახვილებდა ყურადღებას ერის წინაშე ქრისტიანული სარწმუნოების დამსახურებაზე: „ბევრი რამ, რითაც ამაყობს ჩვენი ერი ხელოვნების, ლიტერატურის, არქიტექტურისა და სხვა სფეროში, ქრისტიანული სულიერებისა და ცივილიზაციის საფუძველზე შეიქმნა“. ქართველმა ერმა ქრისტიანობას შეჰმატა მრავალი ათასი მოწამე და თავდადებული მორწმუნე, წვლილი შეიტანა ქრისტიანული ლიტერატურის, არქიტექტურისა და ხელოვნების განვითარებაში.[2]

პატრიარქი ეკლესიის დანიშნულებად ხალხისა და ქვეყნისათვის თავდადებულ, მსხვერპლად შეწირულ სამსახურს განიხილავდა. როგორც სულიერ ფასეულობათა მცველი, ეკლესია უნდა ცდილიყო ღმერთთან დარღვეული კავშირის აღდგენას. აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო ერის ცხოვრებაში, ებრძოლა მშვიდობის, ურთიერთგაგებისა და სამართლიანობისათვის, ერის გაერთიანებისა და მისი სულიერი კეთილდღეობისათვის. მატერიალურ ღირებულებათა სამყაროში ჩაკეტილ ადამიანს იგი იმედად უნდა მოვლინებოდა.[3]

ერის მთლიანობა ქრისტიანისა და მუსლიმის, საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ მხცოვრებ თანამემამულეთა ერთიანობაში უნდა გამოვლენილიყო, კათოლიკოს-პატრიარქი თავის ქადაგებებში ერს წინაპართა ხსოვნის, ქართული ენისა და ტრადიციების დაფასებისაკენ მოუწოდებდა.[4]

საქართველოს არაქართველ მოსახლეობას კი შეახსენებდა, რომ ქართველებთან მათი ერთობა ვერავითარ ძალას ვერ უნდა დაერღვია. ვინც მათსა და ქართველებს შორის შუღლს აღვივებდა, ის საერთო მტერი იყო.[5]

მართლაც, საქართველოს ეკლესიამ შეძლო, თავის გარშემო სულიერებას მოწყურებული ახალგაზრდების შეკრება. 1978 წელს პატრიარქისთვის გადაცემულ წერილში ქართველი ახალგაზრდების სახელით გამოთქმული იყო იმედი, რომ პატრიარქი ერის მოლოდინს გაამართლებდა:

“თქვენი ყოველი წირვა, ყოველი ქადაგება ჩვენს გულს მალამოდ ეცხება. სიონი არის ჩვენი სულისა და გონების წმინდა ტაძარი, აკადემია, სადაც ადამიანი არა მარტო გონების საზრდოს იღებს, არამედ სულიერ საზრდოსაც... თქვენა ხართ ის სულიერი მოძღვარი, რომელმაც ბევრი გზას აცდენილი ადამიანი მოაქცია...

იმედი იქონიეთ, რომ ჩვენ, ქართველი ახალგაზრდები, მუდამ მხარში ამოგიდგებით, დახმარების ხელს გამოგიწვდით“. მოგმართავთ თხოვნით: „გაგვიძეღ, ბერო მინდიავ“.[6]

ეკლესია ამ პერიოდში განსაკუთრებით ინტენსიურად ურთიერთობდა ახალგაზრდებთან და ინტელიგენციასთან. ისინი საზოგადოებაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების ყველაზე მეტად მიმღებ და გამავრცელებელ ნაწილს წარმოადგენდნენ.

ძეგვის წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტრის იღუმენია მარიამი (ჯაფარიძე) აღნიშნავს, რომ XX ს. 80-იან წლებში პატრიარქთან ახლოს ყოფნა შეეძლო ყველას, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა. იგი არ ერიდებოდა არც უკიდურეს დისიდენტთან და არც სახელმწიფო უშიშროების წარმომადგენლებთან ურთიერთობას. პატრიარქი ღიად თავის პოლიტიკურ პოზიციას არ გამოხატავდა, ყოველგვარ პოზიციაზე მაღლა იდგა. ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ პოლიტიკური პოზიციის გამო ადამიანებს მასთან ურთიერთობა არ შეზღუდვოდათ. თვითონ

---

1 *იღია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*, რედ. პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე (თბილისი, 2016), 123-124, 129-130.

2 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, *ეპისტოლენი*, 92.

3 იქვე, 92-93, 163, 189, 280.

4 იქვე, 93.

5 იქვე, 314, 330.

6 საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე 8898.

იღუმენიამ კი სტუდენტობის დროს: „პატრიარქისგან ისწავლა მოვლენებიდან იმ სიშორეზე დგომა, რომელიც მოვლენების შუაგულში გამყოფებს“.[7]

ეკლესიის ზრუნვა ერის მომავალსა და მის გამთლიანებაზე გამოვლინდა 1981 წლის 6 მარტის განჩინებაში წყევლის მოხსნის შესახებ. ამ დღეს საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდმა განაჩინა: „უკეთუ უცხო ტომს ან პიროვნებას შეუჩვენებია და დაუწყევლია ჩვენი ერი, მოეხსნას ჩვენს ეკლესიას და ჩვენს ერს ეს წყევლა. მიეტევოს ჩვენს ერს ურთიერთწყევლა. აეხსნას ჩვენს წინაპრებსა და თანამედროვეთ მაწყევართაცა და დაწყევლილთაც წყევლა-კრულვა და ამით შემოსილი ცოდვა“.[8]

სასულიერო პირთა ზნეობრივი მდგომარეობისა და მათ შორის ურთიერთობის საკითხების განხილვას XX საუკუნის 80-იან წლებში სინოდი არაერთხელ მიუბრუნდა.[9] ამ მხრივ მდგომარეობის გაჯანსაღების საჭიროებაზე ეკლესიის ახალმა საჭეთმპყრობელმა აღსაყდრების დროს წარმოთქმულ სიტყვაშიც მიუთითა და საზოგადოების ნაწილიც აღნიშნავდა.

კათოლიკოს-პატრიარქი სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადებებულთა ღვაწლის ხსოვნითა და მათთვის პატივის მიგებით ეროვნული გრძნობის გაძლიერებას, სამშობლოს სიყვარულის განმტკიცებას ცდილობდა. ამის მაგალითია ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვა 1987 წ. ახლად შერაცხულ წმინდანთა რიგები XX ს. 90-იანი წლებიდან გაიზარდა.

ეკლესიის მნიშვნელოვან საზრუნავს ქართული ენისა და მისი უფლებების დაცვა წარმოადგენდა. საქართველოს ეკლესიამ მხარი დაუჭირა 1978 წელს ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის სტატუსის დაცვას. მანამდე საბჭოთა საქართველოს 1922, 1927, 1937 წლების კონსტიტუციები ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს აღიარებდა.

პატრიარქი ეთანხმებოდა საერთო აზრს, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტის მიღება არსებული სახით _ ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის გარეშე _ შეუძლებელი იყო. იგი ზღუდავდა საქართველოს ინტერესებს. მეორე მხრივ, პატრიარქს აფიქრებდა აღნიშნული ვითარების გამო პროტესტის ნიშნად მოშიმშილეების, განსაკუთრებით, ახალგაზრდების ბედი. იგი სამწყსოსადმი მიმართვაში მათ მოუწოდებდა: თქვენს ღვაწლს ხედავს და აფასებს მთელი ერი, მაგრამ, რადგან თქვენი სიცოცხლე საფრთხეშია, მამაშვილურად გთხოვთ, შეწყვიტეთ შიმშილობა. თქვენ სამშობლოს სჭირდებით.

ეკლესია იმ დღეებში განსაკუთრებულად ლოცულობდა მოშიმშილეთა ჯანმრთელობისა და ერის მშვიდობისათვის.[10]

ეკლესიის მხარდაჭერამ მორალურად გააძლიერა ენის სტატუსთან დაკავშირებით მიმდინარე საპროტესტო აქციები. 1978 წლის კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შესახებ მუხლი უცვლელი დაჩა.

საარქივო დოკუმენტები მოწმობენ საქართველოს ეკლესიის ზრუნვას ნუსხა-ხუცური დამწერლობის შესწავლის პოპულარიზაციასა და სასულიერო წოდების როლზე მისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში.[11]

განათლების არსებული სისტემა დიდი ხნის მოძველებული იყო. იგი მასწავლებელს აღსაზრდელისთვის მორალური, ზნეობრივი და სულიერი საზრდოს მიწოდების საშუალებას არ აძლევდა. არც სკოლის სახელმძღვანელოები იყო დამაკმაყოფილებელი.[12]

---

7 პირადი ინტერვიუ იღუმენია მარიმთან, 2025 წლის 3 თებერვალი.

8 საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის 1977-2020 წლის სინოდის განჩინებები (თბილისი, 2021), 22.

9 იქვე, 20-21, 29-30, 31.

10 საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე 5100, 1.

11 ილია II, *ეპისტოლენი*, 29, 35-36.

12 იქვე, 325.

პატრიარქი XX საუკუნის 80-იან წლებში საკითხს ხშირად ეხებოდა. უმცროს და უფროსკლასელების გაკვეთილების განსხვავებული ხანგრძლივობის საჭიროებიდან გამომდინარე, იგი სკოლის 3 ასაკობრივ ჯგუფად დაყოფას გვთავაზობდა. მისი აზრით, უმცროსკლასელთა დატვირთვა თანდათან უნდა გაიზარდოს და ამასთანავე დაწყებული საქმის დამთავრების ჩვევის გამოსამუშავებლად გაკვეთილზე უნდა მოესწროს საქმის ან მისი ნაწილის მაინც, დამთავრება. ეკლესიის საჭეთმპყრობელი სკოლაში ტექნიკური და ჰუმანიტარული განყოფილებების ცალ-ცალკე ჩამოყალიბების საჭიროებას ხედავდა; თვლიდა, რომ ბავშვები თავიდანვე უნდა შეეჩვიონ ფიქრს, შრომას. მათთან უნდა ისაუბრონ რწმენის, სიყვარულის, სიძულვილის, სიმართლის, სიცრუის, შრომისა და ა. შ. მნიშვნელობის შესახებ, სკოლაშივე უნდა აითვისონ რაიმე ხელობა.[13]

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა სწავლების პროგრამასა და სახელმძღვანელოებს. მათ შესაქმნელად მეცნიერთა სპეციალური კომისიები უნდა ჩამოყალიბებულიყო.[14] თუ ღვთისმეტყველების სწავლება ჯერჯერობით მიუღებელი აღმოჩნდებოდა, კათოლიკის-პატრიარქის აზრით, საგანს „ზნეობრივი კულტურა“ შეიძლებოდა დარქმეოდა. ღრმა ანალიზის უნარის გამოსამუშავებლად სკოლაში პირველიდან ბოლო კლასამდე ფილოსოფიური აზროვნების კურსი უნდა შემოეღოთ. სწავლება ერის სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენებით უნდა წარმართულიყო.[15]

საზოგადოებაშიც ბევრი თანაუგრძნობდა ქრისტიანული აღზრდის მეთოდების სკოლაში დანერგვას. ამაში პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა სასულიერო წოდებასა და სასულიერო განათლების მქონე მორწმუნეებს. მასწავლებლები უნდა ცდილიყვნენ თითოეული მოსწავლის დაფარული ნიჭის გამოვლინებას, ხელი შეეწყოთ მათი სულიერი ამაღლებისა და კულტურული განვითარებისათვის.[16] რაც უთუოდ იქნებოდა ეკლესიისა და ქვეყნის კეთილდღეობის განმაპირობებელი.

თავისუფალი, ბედნიერი მომავლის შენებაში საქართველოს ეკლესია ქართველ დედასაც უსახავდა ამოცანას _ ღვთისა და მოყვასის სიყვარულით აღეზარდა შვილი, რომელსაც შეეძლებოდა მოთმინება, შენდობა, გატანა, საკუთარი ღირსების დაცვა სამართლიანად, მშვიდობიანად, ურთიერთპატივისცემით.[17]

პატრიარქის აზრით, დაყოფის ცოდვა ქართველ ერს ისევ არ ჰქონდა დაძლეული. დაქსაქსულობა, სისასტიკის მატება, უმეცრება, უფროსი თაობისადმი უპატივცემულობა _ ღმერთისაგან დაშორების უარყოფითი შედეგები იყო.

ქართველი ხალხის სურვილს, აღდგინათ ქვეყნის დამოუკიდებლობა, მოჰყვა სეპარატისტთა მოქმედებები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საქართველოსაგან გამოყოფის მიზნით. საქართველოს ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი გახლეჩილი საზოგადოების მშვიდობიანი გზით გამთლიანებასაც შეეცადა. იგი ლიხნის დეკლარაციით (1989 წლის მარტი) გამწვავებული ვითარების ფონზე აფხაზეთში ჩავიდა.[18]

ოს სეპარატისტთა მოქმედებისა და მათ მიმართ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ გორბაჩოვის მხარდაჭერის გამო კათოლიკოს-პატრიარქმა ამ უკანასკნელისათვის გაგზავნილ წერილში საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის უკანონობაც აღნიშნა. პატრიარქის ხელით ნაწერი წერილის შავი პირი საქართვე-

---

13 ილია II, *ეპისტოლენი*, 267, 301-302, 326, 328.

14 იქვე, 326.

15 იქვე 301-302, 327.

16 იქვე, 329.

17 იქვე, 300.

18 საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე 420, 1.

ლოს საპატრიარქოს არქივშია დაცული.[19] კათოლოკოს-პატრიარქმა 1989 წლის 9 აპრილს მთავრობის სახლის წინ შეკრებილ მოქალაქეებს მიტინგის დარბევის მოახლოებული საფრთხის გამო ქაშუეთის ეკლესიასთან გადანაცვლებისა და ერთად ლოცვისაკენ მოუწოდა. ეს ფაქტიც ერზე ზრუნვისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში საქართველოს ეკლესიის ზომიერი პოზიციის გაგრძელებას წარმოადგენდა. მომხდარი ტრაგედიის შემდეგ ამ (1989) წელს პატრიარქმა მძიმე გამოცდისა და სულიერი ამაღლების წელი უწოდა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვანახა, „ვინ ვართ, რისთვის მოვედით ამქვეყნად და საით მივდივართ...“ 9 აპრილის დიდმა ტკივილმა ჩვენში ეროვნული სულისა და ერთიანობის შეგრძნება გააძლიერა. ტრაგედიამ „დაგვანახა, რომ არ არსებობს სიკეთის მომრევი ძალა; ... თუ ჩვენ რწმენით, სიყვარულით და სიმართლით ვივლით, გამოვიჩენთ წინდახედულებას, გავიმარჯვებთ.[20]

ეკლესიისათვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ეკლესია-მონასტრების დაცვა-ამოქმედება.

ძეგლების საქართველოს ეკლესიისთვის დაბრუნებისა თუ აღდგენის საჭიროებას პატრიარქი ზოგჯერ სხვა, საბჭოთა ხელისუფალთათვის უფრო მისაღები საბაბით ფუთავდა. მაგ. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის შენობის გადაცემას სამკურნალო მცენარეულობის შესაგროვებლად მოითხოვდა; შიომღვიმის მონასტრის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებს და სემინარიის იქ გადატანის საჭიროებას მისი მიდამოების ტურისტებისათვის პოპულარულ ადგილად გადაქცევის მიზანს უკავშირებდა:

“ვითხოვთ თანხმობას, სასულიერო სემინარიის შიომღვიმის არქიტექტურულ ანსამბლში გადასატანად, რაც მოგვცემს საშუალებას, საბჭოთა და უცხოელ ტურისტებს ვუჩვენოთ ის ყურადღება და ზრუნვა, რასაც პარტია და მთავრობა, ახალი კონსტიტუციის საფუძველზე, იჩენს როგორც კულტურის ძეგლების, ისე რელიგიური საზოგადოების მიმართ“.[21]

“პატრონს უხმობენ ჩვენი ძეგლები _ საქმიან, ნამდვილ გულშემატკივარ, ჭკვიან პატრონს, არა ისეთს, ვინც არ იცის მათი მნიშვნელობა და ღირსება... ვის აქვს ნება დაამახინჯოს, ისედაც ფრაგმენტულად მოღწეული, ჩვენი დიდი წინაპრების ხელით ნაგები წარსულის ძეგლები? „.[22]

კათოლიკოს-პატრიარქი მიესალმებოდა შიომღვიმეში დაწყებულ სარესტავრაციო სამუშაოებს, მაგრამ მიუთითებდა, რომ ამისთვის პროექტი კარგად უნდა დამუშავებულიყო, განხორციელებისთვის კი საუკეთესო სპეციალისტს უნდა ეხელმძღვანელა. გამოყენებული შეიძლებოდა ყოფილიყო პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეების შრომა. საქმის მთლიანად მათთვის მინდობას პატრიარქი არ ემხრობოდა.

“ტაძრები, ერთ დროს ღვთის სადიდებლად და სარწმუნოებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აშენებული, დღეს ჩვენი ისტორიული ძეგლებია, რომლებიც ბევრს გვიყვებიან ჩვენი წარსულის შესახებ და მათი სხვა დანიშნულებით გამოყენება არ შეიძლება. იქნებ ვინმეს ეს რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი გამოხატულება ჰგონია? კულტურის ძეგლები ხომ ჩვენს წინაპრებთან გვაახლოებენ, ძალასა და რწმენას გვმატებენ! და რაკი ასეა, ეკლესიაში თეატრების, აბანოების, საწყობებისა და სხვა სათავსოების მოწყობა ამ იდეის განმახორციელებელთა დაბალ ეროვნულ შეგნებაზე უნდა მეტყველებდეს“.[23] მსგავსი შინაარსის წერილები არქივებში მრავლად მოიპოვება.

მოხმობილი მაგალითები ადასტურებს ეკლესიის ინტერესების დაცვისათვის გადადგმულ დიპლომატიურ ნაბიჯებს, რათა საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში იმის დაცვა მაინც მოხერხებულიყო, რამაც დროთა ვითარებას გაუძლო.

---

19 საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე 7065, 1-3, 5.

20 ილია II, *ეპისტოლენი*, 274, 278.

21 ილია II, *საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, 1, 192-193.*

22 იქვე, 236.

23 იქვე.

ეკლესიის ძალისხმევა კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში არა მხოლოდ რელიგიური, არამედ პოლიტიკური აქტიც იყო, რადგან ეს ნაბიჯები ხელს უწყობდა ქართული კულტურისა და ისტორიის შენარჩუნებას, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ინტერესებშიც შედიოდა.

ეკლესია-მონასტრების დაცვის, მათი ეკლესიის ორგანიზაციისათვის დაბრუნებისა თუ ამოქმედების თხოვნაში ეკლესიას დისიდენტები და სტუდენტებიც ეხმარებოდნენ. არაფორმალური გაერთიანება ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და სტუდენტთა მოთხოვნებში ამ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.[24]

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექისის დაცვა მის სიახლოვეს არსებული საწვრთნელი ბაზის გამანადგურებელი ზემოქმედებისაგან, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენდა. ასევე მეტეხის ეკლესიის თეატრად გადაკეთებას ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, თუმცა 1995 წლამდე იქ თეატრი მაინც იყო გახსნილი.

კითხვაზე ეკლესია-მონასტრების მდგომარეობის შესახებ ახალგაზრდობის მხრიდან საბჭოთა ხელისუფლებისა თუ სხვადასხვა ინსტანციის მიმართ გამოთქმული პროტესტი წინასწარ იყო თუ არა პატრიარქთან შეთანხმებული, იღუმენია მარიამმა (ჯაფარიძე) მიპასუხა, რომ სტუდენტები მსგავს საკითხებს პატრიარქს არიდებდნენ.

ახალგაზრდები, რომლებიც პატრიარქთან და საპატრიარქოსთან ურთიერთობდნენ, ტრანსკავკასიური მაგისტრალის მშენებლობის წინააღმდეგ პროტესტის ხმამაღლა გამოცხადებამდე საპატრიარქოში მისულან და უთქვამთ, რომ წყვეტდნენ მათთან ურთიერთობას, რათა ახალგაზრდების მიერ გამოხატული პოზიციის გამო საბჭოთა ხელისუფლებას ეკლესია არ დაედანაშაულებინა.

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისის ახალგაზრდობას კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ახასიათებდა როგორც ძლიერი და დიადი სულის მქონეს, მოაზროვნეს, მაძიებელს, ნიჭიერს, მეცნიერული ცოდნის მიღებისა და ცვლილებებისაკენ მსწრაფველს. სურდა, ის სწორედ სარწმუნოებაზე დაფუძნებული ცოდნით ამაღლებულიყო, უწონებდა მსხვერპლის გაღების, თავგანწირვის უნარს.

თაობათა შორის ურთიერთობის საკითხის განხილვისას პატრიარქი აღნიშნავდა: „ყოველ ახალ თაობას აქვს თავისი აზრები, ინტერესები, რომელთაც ხშირად ვერ იაზრებენ უფროსები, მაგრამ თუ მამებსა და შვილებს აკავშირებთ ერთი სარწმუნოება, ერთი მსოფლმხედველობითი პოზიციები, იდეალი და მიზანი, თუ უფროსები სამაგალითონი არიან, ცალკეულ შეხედულებათა სხვაობის მიუხედავად, შვილები მამათა საქმის ერთგული გამგრძელებელნი ხდებიან...“[25]

ქვეყნის შიგნით ურთიერთობების ქრისტიანულ პრინციპებზე დამყარებასთან ერთად კათოლიკოს-პატრიარქი საერთაშორისო დონეზეც ამავე პრინციპების განხორციელებას ისახავდა მიზნად. საქართველოს ეკლესია საერთაშორისო დონეზე ქადაგებდა ხალხთა შორის ურთიერთგაგებასა და თანხმობას, რასაც დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნებისათვის უნდა შეეწყო ხელი. მშვიდობა კი ღვთისაგან ადამიანისთვის ბოძებული შემოქმედებითი ენერგიის გამოვლინებას განაპირობებდა.[26]

პატრიარქი, შესაძლებლობის ფარგლებში, ცდილობდა საქართველოსა და მისი ეკლესიის შესახებ ინფორმაციის საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს გარეთ გავრცელებას. ის ჯერ კიდევ 1960-იანი წლებიდან ზრუნავდა ივერიის უძველესი ეკლესიის ავტოკეფალიის მსოფლიო საპა-

---

[24] ჟურნალი *მოამბე*, 1988, 26.

[25] ილია II, *ეპისტოლენი*, 41, 146-147.

[26] იქვე, 106, 122.

ტრიარქოს მხრიდან აღიარებაზე. ამ საქმის წარმატებისათვის იყენებდა მშვიდობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში მოღვაწეობას. ეს ქმედებები წარმოაჩენდა საქართველოს, როგორც საერთაშორისო კულტურული საზოგადოების ნაწილს და ამ საზოგადოების მხრიდან საქართველოსთვის მხარდჭერას განაპირობებდა.

საეკლესიო ცხოვრების აღმავლობა დაედო საფუძვლად ქართული სახელმწიფოს გაძლიერებას VI და X საუკუნეებში. ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა უძღვოდა წინ ქვეყნის დამოუკიდებლობას XX ს. დასაწყისშიც. ამავე საუკუნის ბოლოს, 1990 წ. 23 იანვარს მსოფლიო საპატრიარქოს მხრიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებამ დაასწრო 1991 წელს ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას.

1990 წელს წარმატებით დასრულებული ბრძოლა, რასაც საქართველოს ეკლესიის საქეთმპყრობლისაგან დიდი ძალისხმევა დასჭირდა, არის იმ ბრძოლის გაგრძელება, რომელიც დაიწყო 1917 წელს აღდგენილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო დონეზე აღიარებისთვის. ამავე დროს იგი არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ერის სუვერენიტეტის შემადგენელი ნაწილი.

XX საუკუნის II ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის დამახასიათებელ უარყოფით თვისებათა შორის პატრიარქი ასახელებს კამათის კულტურის დაბალ დონეს, რაც მრავალპარტიულობის ფონზე ძალიან მკვეთრად ჩანდა; მოძმის მხილების გადაქცევა მისადმი სიძულვილის გამოხატულებად; ულმობლობა; განსხვავებული აზრის მიუღებლობა, სიჩქარე, სულსწრაფობა, ემოციური მოქმედება გონებრივი განსჯის გარეშე.[27] პოლიტიკურ პარტიათა ერთმანეთთან დაპირისპირებით შინაური და გარე მტრები სარგებლობდნენ. პატრიარქი მოუწოდებდა, განსხვავებული აზრი პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ საკითხებზე ერთმანეთისადმი მტრობაში არ გადაზრდილიყო.[28] იგი თვლიდა, რომ „90-იანი წწ. დასაწყისში ჩვენ თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მზად არ ვიყავით, ... ჩვენი შეგნება იმ დონეზე იყო, რომ ჩვენთვის მონობა უფრო ახლო იყო, ვიდრე თავისუფლება. საზოგადოების გადაჭარბებული პოლიტიზაციის საფარქვეშ იმალებოდა ზნეობრივი დეგრადაცია, ურწმუნოება, სისასტიკე, დაბალი ინტელექი, შრომის უუნარობა და სიზარმაცე“ (ილია II, ეპისტოლენი, 2009, წ. I: 298).[29] ნაკლოვანებათა დასაძლევად საჭიროდ მიაჩნდა დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთპატივისცემა, ერთმანეთის მოსმენის უნარი, დიალოგის აუცილებლობა.

მდგომარეობიდან გამოსავლის მაძიებლებს ეკლესია სთავაზობდა, პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით შემუშავებულიყო კამათის ეთიკის კანონები, რომლის დაცვაც ყველასთვის სავალდებულო იქნებოდა; ყველა პარტიის მონაწილეობით კომპეტენტურ ორგანოსთან შექმნილიყო „იდეათა ბანკი“, სადაც განხილული იქნებოდა ყველა საჭირბოროტო საკითხი. გამოტანილი დასაბუთებული გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შესრულებულიყო; ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს ერთმანეთისთვის უნდა მოესმინათ და აზრები შეეჯერებინათ. „იმისთვის კი, რომ გავეცნოთ სხვათა შეხედულებებს, დრო გვჭირდება; მიუხედავად იმისა, რომ სულსა და ხასიათში გვიზის სიჩქარე, სულსწრაფობა უნდა დავიოკოთ, ხომ ფაქტია, როცა ვჩქარობთ, ბევრ შეცდომას ვუშვებთ“.[30]

პოლიტიკურ პარტიათა სიმრავლე, მათი ურთიერთდაპირისპირების პირობებში პატრიარქს ერის ერთობისათვის საზიანოდ მიაჩნდა. იგი აღნიშნავდა, რომ მათი მრავალრიცხო-

---

27 ილია II, *ეპისტოლენი*, 296-298, 302.

28 საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე 7064, 4-5.

29 ილია II, *ეპისტოლენი*, 298.

30 ილია II, *ეპისტოლენი*, 2009, 298-299.

ვნება სასურველი იქნებოდა დამოუკიდებლობის დროს, მანამდე კი საჭირო იყო ერის ერთიანობა, ქრისტიანული სიყვარულითა და ურთიერთგაგებით მისვლა საერთო მიზნამდე.[31]

პატრიარქი აპოლოგეტისა და მეცნიერის ტერტულიანეს (III ს.) ნააზრევზე დაყრდნობით ერთიანობის მიღწევაში სარწმუნოების როლს ასე ახასიათებს: სული, რაც უფრო ახლოა ბუნებასთან, მით უფრო განწყობილია ქრისტიანული სარწმუნოების მისაღებად, რამეთუ ბუნება არის მასწავლებელი, ადამიანი _ მოსწავლე, ღმერთი _ მასწავლებლის მასწავლებელი. აქედან დასკვნა: რაც უფრო დავუახლოვდებით ღმერთს, მით უფრო დავუახლოვდებით ერთმანეთს".[32]

ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში ეკლესიამ მიზნად დაისახა ერის სულიერად ამაღლების, მასში ქრისტიანობისა და სამშობლოს სიყვარულის განმტკიცების, ერის გაერთიანების ამოცანები. მან მართლაც შეძლო ახალგაზრდების თავის გაერშემო შემოკრება. ამას ხელი შეუწყო საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ეკლესიის გამაერთიანებელმა ფუნქციამ, საზოგადოების ნაწილის მიერ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ეკლესიის თავდადებული მონაწილეობის ისტორიის გააზრებამ და ახალი საჭეთმპყრობლის ეროვნულმა განწყობამ.

პოლიტიკური მოძრაობებისაგან განსხვავებით ეკლესიამ თავისი მიზანდასახულობის განხორციელებისათვის, რაც ეროვნული თავისუფლების მოპოვებით უნდა დასრულებულიყო, ზომიერი, საზოგადოების განვითარებაზე დამყარებული გზა აირჩია.

Irina Arabidze

The Tasks of the Georgian Orthodox Church in the National Liberation Movement of the 1980s

In the 1980s of the XX century, the revitalization of church life in Georgia contributed to the strengthening of the national-liberation movement. This revival was initiated by the enthronement of Ilia II (Shiolashvili) as the Catholicos-Patriarch in 1977.

This was a period when the expression of the position of the Georgian Church was entirely entrusted to a single individual.

The newly consecrated Patriarch's past activities reflected his patriotic sentiment and his ability to fight for the principles of justice. For a portion of society, these qualities were more or less known, which in turn strengthened their hope for the future.

For nearly two centuries, the scope of the Georgian Orthodox Church's activities had been restricted – first under Russian autocracy, and later due to Soviet repression and pressure, as well as the campaign against the Church and religion.

By the 1980s, the Church had begun to care not only for the spiritual needs of its flock but also to foster national aspirations within them, preaching on matters of education, culture, and human relationships.

---

31 ილია II, *ეპისტოლენი*, 313.

32 ილია II, *ეპისტოლენი*, 50.

The opinion of Catholicos-Patriarch Ilia II regarding the qualities characteristic of a diplomat is of particular interest. Attention is drawn to this issue because diplomacy should have served as the foundation for the actions of all members of the national-liberation movement and political figures.

According to the Patriarch, a diplomat, above all, must possess innate talent, a solid and comprehensive education, and knowledge of their own state and international law, world history, and political economy. A diplomat should be flexible, cautious, and far-sighted, and should be able to make compromises when necessary. This, in his view, would serve as a guarantee for achieving greater results in the future.

Wise and prudent politicians should pursue a policy based on real interests, grounded in the history and law of the state. Such a policy could be principled, but this principled stance should not be detached from reality.[33]

These qualities were characteristic of the actions of the Georgian Church in the national-liberation movement.

In his speech delivered on December 25, 1977, during his enthronement, Catholicos-Patriarch Ilia II outlined the following objectives for the Church under his leadership: strengthening the Christian faith, fostering hope and unwavering will among the Georgian people, promoting love, kindness, spiritual purity, and a love for labour, as well as working for peace. One of the main goals was to elevate the sanctity of the Church. As a foundation for future prosperity, he identified the unity and steadfastness of Christians, which would also serve to bring together unbelievers within the fold of the Church.[34]

In order to present the contemporaneous mission of the Georgian Church, it was necessary for society to be aware of the Church's past. The Patriarch often emphasized in his sermons and speeches the significance of the Christian faith before the nation: „Many of the things that our nation takes pride in, such as in the fields of art, literature, architecture, and others, were created on the foundation of Christian spirituality and civilization". The Georgian people have added countless martyrs and devoted believers to Christianity and have contributed to the development of Christian literature, architecture, and art.[35]

The Patriarch viewed the purpose of the Church as devoted, self-sacrificial service to the people and the nation. As a guardian of spiritual values, the Church was to strive to restore the broken connection with God. It should actively participate in the life of the nation, fighting for peace, mutual understanding, and justice, as well as for the unity and spiritual well-being of the people. In a world trapped by material values, the Church was to be a source of hope for the individual.[36]

The unity of the nation, comprising both Christians and Muslims, within Georgia and beyond its borders, should be manifested. In his sermons, the Catholicos-Patriarch urged the people to honour the memory of their ancestors, appreciate the Georgian language, and preserve traditions.[37]

To the non-Georgian population of Georgia, he reminded them that their unity with the Georgians should not be undermined by any force. Those who sowed discord between them and the Georgians were considered enemies of the common cause.[38]

---

33 The Archive of the Patriarchate of Georgia, New Description, Case 7064, 1-3.

34 *იღია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*, რედ. პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე (თბილისი, 2016), 123-124, 129-130.

35 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, *ეპისტოლენი*, 92.

36 იქვე, 92-93, 163, 189, 280.

37 იქვე, 93.

38 იქვე, 314, 330.

Indeed, the Georgian Church managed to gather around it young people who were yearning for spirituality. In a letter delivered to the Patriarch in 1978, expressed on behalf of Georgian youth, there was hope that the Patriarch would fulfil the expectations of the nation:

"Every liturgy, every sermon of yours is a balm to our hearts. Sioni is the sacred temple of our soul and mind, the academy where a person receives not only nourishment for the mind but also spiritual sustenance... You are the spiritual leader who has turned many a lost soul onto the right path...

We hope that we, the Georgian youth, will always stand by you and extend a helping hand". We ask you: „Lead us, monk, we are in need".[39]

During this period, the Church engaged particularly intensively with the youth and intellectuals. They represented the most receptive and widespread part of society when it came to national-liberation ideas.

The Abbess of the St. George Monastery of Mtatsminda at Dzegvi, Mariam (Japaridze), notes that in the 1980s, anyone who desired it could be close to the Patriarch. He did not shy away from engaging with both extreme dissidents and representatives of the state security. The Patriarch did not openly express his political stance; he remained above any position. This was necessary to ensure that people would not be limited in their ability to interact with him because of political views. The Abbess herself, during her student years, stated: „From the Patriarch, I learned to stand at a distance from events, a distance that separates those at the center of events".[40]

The Church's care for the future of the nation and its unity was reflected in the decree issued on March 6, 1981, regarding the removal of curses. On this day, the Holy Synod of the Georgian Church decided: „If a foreign nation or individual has cast a curse on our people, let this curse be lifted from our Church and our nation. Let the mutual curse upon our people be forgiven. Let the curse and condemnation cast upon our ancestors and contemporaries be lifted, along with the sin they carry".[41]

During the 1980s, the Holy Synod repeatedly addressed the moral condition of the clergy and the nature of their relationships with one another.[42] The need to improve this situation was emphasized by the newly appointed head of the Church in his enthronement speech and was also noted by segments of society.

The Catholicos-Patriarch sought to strengthen national sentiment and reinforce love for the homeland by commemorating and honouring those who had sacrificed themselves for the faith and the country. A clear example of this was the canonization of Ilia Chavchavadze in 1987 for his merits before the nation and the Church. The number of newly canonized saints increased from the 1990s of the XX century onward.

A major concern of the Church was the protection of the Georgian language and its rights. In 1978, the Georgian Church supported the defence of the Georgian language's status in the new constitution. Previously, the constitutions of Soviet Georgia from 1922, 1927, and 1937 had recognized the Georgian language's status as a state language.

The Patriarch shared the prevailing view that the adoption of the new draft constitution in its existing form – without the recognition of the Georgian language's status as the state language – was unacceptable, as it undermined the interests of Georgia. At the same time, he was deeply concerned about the fate of the hunger strikers, particularly the youth, who were protesting this issue. In an

---

39 საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე 8898.

40 Personal interview with Abbess Mariam, February 3, 2025.

41 Decisions of the Holy Synod of the Georgian Orthodox Autocephalous Church, 1977–2020 (Tbilisi, 2021), p. 22.

42 Ibid., pp. 20–21, 29–30, 31.

address to his flock, he appealed to them: „The entire nation sees and appreciates your sacrifice, but since your lives are in danger, I fatherly urge you to end the hunger strike. Your homeland needs you".

During those days, the Church offered special prayers for the health of the hunger strikers and for the peace of the nation.[43]

The Church's support provided moral strength to the protests concerning the status of the language. As a result, the article recognizing the Georgian language as the state language remained unchanged in the 1978 constitution.

Archival documents testify to the Church of Georgia's efforts to promote the study of the Nuskhuri-Khutsuri script and the vital role of the clergy in preserving its vitality.[44]

The existing education system had long been outdated. It did not provide teachers with the means to offer moral, ethical, and spiritual nourishment to their students. Nor were the school textbooks satisfactory.[45]

In the 1980s, the Patriarch frequently addressed the issue of education. In response to the need for differing lesson durations for younger and older students, he proposed dividing the school into three age-based groups. In his view, the workload of younger pupils should gradually increase, and in order to cultivate a habit of completing tasks, each lesson should allow for the full or partial completion of the assigned work. The head of the Church also emphasized the need to establish separate technical and humanities tracks within schools. He believed that children should be accustomed from an early age to thinking and working. They should be engaged in conversations about the importance of faith, love, hatred, truth, falsehood, labour, and other such values. Furthermore, students should begin learning a craft already within the school setting.[46]

Particular attention, according to the Patriarch, had to be given to the curriculum and textbooks. In order to develop them, special scholarly commissions were to be established.[47] If, at the time, the teaching of theology proved to be unacceptable, the Patriarch proposed that the subject could instead be titled „Moral Culture". To cultivate the ability for deep analytical thinking, he advocated for the introduction of a course in philosophical reasoning to be taught from the first to the final grade. Education, he emphasized, should be conducted by drawing upon the nation's spiritual and intellectual potential.[48]

There was widespread public support for the introduction of Christian methods of upbringing in schools. Responsibility for this, it was believed, should rest with the clergy and with believers who had received theological education. Teachers were to make every effort to uncover each student's hidden talents, to encourage their spiritual elevation and cultural development[49] - factors that would undoubtedly contribute to the well-being of both the Church and the nation.

In building a free and prosperous future, the Georgian Church also assigned a role to the Georgian mother: to raise her child in the love of God and of neighbour, instilling in them the capacity for patience, forgiveness, endurance, and the dignified, peaceful, and respectful defence of their own worth.[50]

---

43 Patriarchate Archive, New Inventory, Case 5100, p. 1.

44 Ilia II, *Epistles*, pp. 29, 35-36.

45 Ibid., p. 325.

46 Ilia II, *Epistles*, 267, 301-302, 326, 328.

47 Ibid, 326.

48 Ibid, 301-302, 327.

49 Ibid, 329.

50 Ibid, 300.

According to the Patriarch, the Georgian nation had yet to overcome the sin of division. Fragmentation, increasing cruelty, ignorance, and the lack of respect for elders were seen as negative consequences of estrangement from God.

The Georgian people's aspiration to restore national independence was followed by separatist actions aimed at seceding the Abkhazian Autonomous Republic and the South Ossetian Autonomous District from Georgia. The Georgian Church and its spiritual leader sought the peaceful reunification of a divided society. In the context of escalating tensions following the Likhni Declaration (March 1989), the Patriarch travelled to Abkhazia.[51]

Due to the actions of Ossetian separatists and the support they received from Mikhail Gorbachev, President of the Soviet Union, the Catholicos-Patriarch, in a letter addressed to Gorbachev, pointed out the illegitimacy of the establishment of the South Ossetian Autonomous District by Soviet authorities in 1922. A handwritten copy of the Patriarch's letter is preserved in the archive of the Patriarchate of Georgia.[52]

On April 9, 1989, the Catholicos-Patriarch urged the citizens gathered in front of the government house to move to the Kashveti Church and pray together, due to the approaching threat of the rally being dispersed. This event reflected the Church's continued moderate position in the national-liberation movement and care for the people. After the tragic events of that day, the Patriarch called the year (1989) a year of severe trials and spiritual elevation, which once again showed us „who we are, why we came into this world, and where we are going...". The great pain of April 9 strengthened our sense of national spirit and unity. The tragedy „showed us that there is no force that promotes goodness; ... if we walk with faith, love, and truth, if we show foresight, we will prevail".[53]

An important task for the Church was the protection and activation of churches and monasteries.

The Patriarch sometimes wrapped the necessity of returning or restoring churches in a form that would be more acceptable to the Soviet authorities. For example, he requested the transfer of the building of St. Nicholas Church for the collection of medicinal herbs. The need for the improvement of the Shio Mghvime Monastery's territory and the relocation of the seminary there was linked to the goal of transforming the surrounding area into a popular tourist spot: „We request permission to move the seminary to the architectural ensemble of Shio Mghvime, which will allow us to show Soviet and foreign tourists the attention and care that the Party and the government, based on the new Constitution, show towards cultural monuments and religious communities".[54]

„Our monuments call for a patron – a proactive, true admirer, and an intelligent patron, not someone who does not understand their significance and worth... Who has the right to distort the monuments of our great ancestors, which have been reached only fragmentarily by their hands?"[55]

The Catholicos-Patriarch welcomed the restoration works started at Shio Mghvime but pointed out that a well-developed project was necessary, and the best specialist should be in charge of its implementation. The labour of vocational school students could be used, but the Patriarch did not support entrusting the entire work to them.

"Temples, once built to praise God and satisfy religious needs, are now our historical monuments, which tell us much about our past, and they cannot be used for other purposes. Perhaps some see this as one of the manifestations of the fight against religion? Cultural monuments bring

---

51 Patriarchate Archive, New Description, Case 420, 1.

52 Georgian Patriarchate Archive, new description, case 7065, pages 1-3, 5.

53 Ilia II, *Epistles*, 274, 278.

54 Ilia II, *Catholicos-Patriarch of Georgia, 1, 192-193.*

55 Ibid, 236.

us closer to our ancestors; they strengthen us with power and faith! And since this is the case, the arrangement of theatres, baths, warehouses, and other rooms in churches should speak of the low national consciousness of those implementing such ideas".[56] Letters of similar content are widely found in the archives.

The examples cited confirm the diplomatic steps taken to defend the interests of the Church, in order to preserve what could withstand the conditions of Soviet ideology.

The Church's efforts to protect cultural heritage were not only a religious act but also a political one, as these steps contributed to the preservation of Georgian culture and history, which was also in line with the interests of the national-liberation movement.

The request for the protection of churches and monasteries, their return or activation for the purpose of the Church's organization, was supported by dissidents and students. The informal association of Ilia Chavchavadze's Society and the demands of students placed significant importance on this issue.[57]

The protection of the David Gareja Monastery complex from the destructive effects of a nearby military training base was one of the key issues of the national movement. Similarly, the transformation of the Metekhi Church into a theatre was strongly opposed by representatives of the national movement, although the theatre was still opened there until 1995.

In response to the question about whether the protest expressed by the youth regarding the condition of churches and monasteries was coordinated with the Patriarch in advance, Abbess Mariam (Japaridze) answered that the students kept such issues away from the Patriarch.

The young people who had contact with the Patriarch and the Patriarchate came to the Patriarchate before loudly expressing their protest against the construction of the Transcaucasian Railway and told him that they were severing ties with him so that the Soviet government would not accuse the Church because of the position expressed by the youth.

In the 1980s of the XX century, the youth were characterized by Catholicos-Patriarch Ilia II as being strong and great in spirit, thinkers, seekers, talented, and eager to acquire scientific knowledge and bring about change. He wished that they would be elevated with faith-based knowledge and valued the ability to sacrifice and selflessness.

When discussing intergenerational relations, the Patriarch noted: „Each new generation has its own ideas and interests, which are often not understood by the older generation, but if fathers and children are united by one faith, one worldview, one ideal and goal, and if the older generation is exemplary, despite differences in individual views, the children become loyal continuers of the work of their fathers...".[58]

Alongside the goal of establishing relationships within the country based on Christian principles, the Catholicos-Patriarch also aimed to implement these same principles on the international level. The Church of Georgia preached mutual understanding and harmony among nations on the global stage, which was meant to contribute to the preservation of peace on Earth. Peace, in turn, enabled the expression of the creative energy bestowed upon humanity by God.[59]

To the extent possible, the Patriarch sought to disseminate information about Georgia and its Church beyond the borders of the Soviet Union. As early as the 1960s, he had been working toward the recognition of the ancient Church of Iveria's autocephaly by the Ecumenical Patriarchate. For the

[56] Ibid.

[57] Journal *Moambe*, 1988, 26.

[58] Ilia II, *Epistles*, 41, 146-147.

[59] Ibid, 106, 122.

success of this mission, he utilized international peacekeeping organizations and his involvement in the World Council of Churches. These efforts presented Georgia as a part of the international cultural community and helped secure that community's support for the country.

The revival of ecclesiastical life served as a foundation for the strengthening of the Georgian state during the VI and X centuries. Similarly, at the beginning of the XX century, the restoration of the Church's independence preceded the country's own move toward independence. At the end of the same century, on January 23, 1990, the Ecumenical Patriarchate officially recognized the autocephaly of the Georgian Orthodox Church – an act that came before the country's declaration of independence in 1991.

The victory achieved in 1990, which required great effort from the leader of the Georgian Church, was a continuation of the struggle that had begun in 1917, aimed at the international recognition of the autocephaly restored to the Georgian Church. At the same time, this was an integral part of the national liberation movement and the assertion of the nation's sovereignty.

Among the negative traits characteristic of the national liberation movement of the second half of the XX century, the Patriarch noted the underdeveloped culture of debate, which became especially evident in a multiparty context; the tendency to turn the exposure of a fellow citizen's faults into an expression of hatred; ruthlessness; intolerance of differing opinions; impulsiveness and rash action without thoughtful reasoning.[60] The internal strife among political parties was something both domestic and foreign enemies took advantage of. The Patriarch urged that differing views on political, economic, and social issues must not evolve into enmity.[61] He believed that „at the beginning of the 1990s, we were not ready for freedom and democracy... our mindset was such that servitude was more familiar to us than freedom. Beneath the excessive politicization of society lay moral degradation, lack of faith, cruelty, low intellect, an inability to work, and laziness" (Ilia II, *Epistles*, 2009, Vol. I: 298).[62] To overcome these shortcomings, he considered mutual respect among opposing sides essential, as well as the ability to listen to one another and the necessity of dialogue.

To those seeking a way out of the crisis, the Church proposed that codes of debate ethics be developed with the participation of political parties and representatives of society – codes that would be mandatory for everyone to follow. In addition, it suggested the creation of an „ideas bank" in cooperation with a competent body, involving all political parties, where all pressing issues would be discussed. Decisions made through reasoned deliberation would be binding and had to be implemented. Opposing sides were encouraged to listen to one another and find common ground. „To truly understand others' viewpoints, we need time; although we are inherently prone to haste and impulsiveness, we must restrain ourselves. It is clear that when we rush, we make many mistakes".[63]

The Patriarch viewed the abundance of political parties, especially under conditions of mutual confrontation, as harmful to national unity. He stated that while such diversity might be desirable in times of established independence, at that moment, national unity was necessary – a unity built through Christian love and mutual understanding in pursuit of a shared goal.[64]

The Patriarch, drawing on the thoughts of the apologist and scholar Tertullian (3rd century), characterized the role of faith in achieving unity as follows: „The soul, the closer it is to nature, the more receptive it is to the Christian faith, for nature is the teacher, man the student, and God the

[60] Ilia II, *Epistles,* 296-298, 302.

[61] საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე 7064, 4-5.

[62] Ilia II, *Epistles*, 298.

[63] Ilia II, *Epistles*, 2009, 298-299.

[64] Ilia II, *Epistles*, 313.

teacher of the teacher. Therefore, the closer we draw to God, the closer we draw to one another".[65]

During the national liberation struggle, the Church set the goals of spiritually uplifting the nation, strengthening Christian and patriotic values, and fostering national unity. Indeed, the Church succeeded in rallying young people around it. This was facilitated by the centuries-old unifying role of the Georgian Church, the public's recognition of the Church's devoted participation in past national-liberation movements, and the new Patriarch's strong national orientation.

Unlike political movements, the church chose a moderate path based on the development of society to realize its purpose, which was to end with the achievement of national freedom.

65 Ilia II, *Epistles*, 50.

გოჩა ფერაძე

სამშობლოსადმი თავდადებისა და გენში გამჯდარი ერთგულების ისტორია ვარლამ ჩერგქეზიშვილისგან

(ეძღვნება 1924 წლის შეთქმულებისას დაღუპულ მამულიშვილებს)

მოხსენებაში, რომელიც 1924 წლის შეთქმულების მონაწილეთა ხსოვნას ეძღვნება, თავად შეთქმულება გვინდოდა წარმოჩენილი ყოფილიყო, როგორც ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის კიდევ ერთი, საამაყო ფურცელი. იმ გმირული ეპოპეის ღირსეული გაგრძლება, რომელიც 1801-1802 წლებში რუსეთის იმპერატორების მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ჯერ გაუქმებას, შემდეგ კი მისი რუსეთის გუბერნიად გამოცხადებას მოჰყვა შედეგად. გადაწყვეტილების სისწორეში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როდესაც მოხსენების მომზადებისას დიდ მამულიშვილთან ვარლამ ჩერქეზიშვილთან დაკავშირებით ჩვენს მიერ, 1989 წლიდან მოყოლებული, საქართველოსა თუ, უცხოეთის (რუსეთის ფედერაციის, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატების), წიგნთსაცავებსა და არქივებში მოძიებულ საარქივო თუ, სამეცნიერო წყაროებს გადავავლეთ თვალი. დიდძალ მასალას, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევდა რუსეთის იმპერიულ ძალებთან ქართველი ხალხის უთანასწორო, მაგრამ სამართლიან ბრძოლას ჩერქეზიშვილების დიდი ოჯახის რამდენიმე თაობის მაგალითზე გავცნობოდით.

ცხადია, სამართლებრივი თვასაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს ქართველ ანარქისტთა წინამძღოლისა და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერის ვარლამ ჩერქეზიშვილის (1846-1925) პიროვნება იწვევდა. დიდი მამულიშვილის, რომელმაც XIX-საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, იმპერიის მხრიდან უმკაცრესი დევნის მიუხედავად (პეტრე-პავლეს ჯურღმულებში გამოკეტვა, ციმბირში გადასახლება, სპეცსამსახურების მხრიდან მუდმივი თვალთვალი), შეძლო მოეპოვებინა საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი აღიარებული თეორეტიკოსისა და ამ იდეების ცხოვრებაში გატარებისათვის შეუპოვარი მებრძოლის სახელი.[66] თუმცა, იმავდროულად გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ის დარჩა ქართული სახელწიფოებრიობის აღდგენისათვის წარმოებული ბრძოლის მებაირაღედ, მისივე მეგობრისა და თანამოაზრის ილია ჭავჭავაძის ერთგულ თანამებრძოლად. არაერთხელ განგვიცხადებია და ერთხელ კიდევ გავიმეორებთ, ამ ორმა ბრძენმა მამულიშვილმა სამოღვაწეო ასპარეზი სწორედაც რომ გაიყვეს. რასაც ილია საქართველოში, ასე ვთქვათ იმპერიის შიგნით აკეთებდა, იგივე მიზნებისთვის ბრძოლას – საზღვარგარეთ – სამშობლოდან დევნილი, პოლიტიკური ემიგრანტი ვარლამ ჩერქეზიშვილი უძღვებოდა.

სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში ამ მართლაც უნიკალური მოვლენის კერძოდ, ერთ პიროვნებაში ანარქისტული და პატრიოტული მრწამსის თავსებადობასთან დაკავშირებით გაჩენილ კითხვებზე პასუხის გაცემას მოგვიანებით, ვ. ჩერქეზიშვილის ბიოგრა-

---

[66] საერთაშორისო აღიარება ვ. ჩერქეზიშვილს როგორც სოციალიზმის თეორეტიკოსს მოუტანა 1896 წელს პარიზში გამოცემულმა წიგნმა „ფურცლები სოციალიზმის ისტორიიდან". თანამედროვეთა შეფასებით პირველი ნაშრომია, რომელშიც ციფრებით მტკიცდება, რომ „მარქსის კანონი კაპიტალის კონცენტრაციის შესახებ არ არსებობს". ნაშრომმა გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება და მსოფლიოს მრავალი ერის (მათ შორის ჩინურ და იაპონურ) ენებზეა თარგმნილი (W. Tcherkesoff, „Pages d'histoire socialiste", Paris, 1896).

ფიის უკეთ გაცნობის შემდეგ შევეცდებით. მანამდე კი კვლავ, ქართველი ხალხის და მასთან ერთად ჩერქეზიშვილების დიდი ოჯახის მიერ ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ კი ბოლშევიკების წინააღმდეგ წარმოებულ განმათავისუფლებელ მოძრაობას დაუბრუნდებით.

მსჯელობა ამ საკითხზე, ჩვენს მიერ საქართველოს ეროვნულ არქივში ვარლამის ოჯახთან დაკავშირებით მოძიებული უძველესი დოკუმენტით – წყალობის სიგელით გვინდა დავიწყოთ. ის 1703 წლით არის დათარიღებული და კახეთის მეფეს ერეკლე I (1703-1709) ეკუთვნის, რომელმაც ვარლამის უშუალო წინაპრებს (ჯან ასლანს, მის ძმებს ქაიხსროსა და მამუკას) ქარალისა და შახვერდის მოურავობა უბოძა.[1] ჩერქეზიშვილების ოჯახის მიმართ მოწყალე აღმოჩნდა კახეთის მეფე კონსტანტინე II (1722-1732). თავისი 1722 წელს 11 მაისის სიგელით მან ჩერქეზიშვილებს სამოურავოდ მანავი დაუბრუნა.[2] კეთილგანწყობით სარგებლობდნენ ჩერქეზიშვილები საქართველოს უკანასკნელი დიდი მონარქის ერეკლე II სამეფო კარზეც. ცხადია, ეს უპირველეს ყოვლისა სამშობლოსა და მეფისადმი მათი ერთგული სამსახურით იყო განპირობებული. „ყოჩაღ და ათასგზის ყოჩაღ" წერდა ერეკლე II ლეკების თარეშის აღსაკვეთად კახეთის საზღვარზე გაგზავნილ ხელქვეითს, თავად ქაიხოსრო ჩერქეზიშვილს (ეს უკვე ჯან ასლანის შვილიშვილია), რომელიც ლეკებთან ბრძოლაში გამოჩენილი გამჭრიახობისა და მამაცობისთვის, მეფეს თანამებრძოლებთან ერთად უხვად დაუსაჩუქრებია.[3]

დარწმუნებით შეიძლება ითქვას როგორც უწინ,[4] კვლავაც ერთგულებით გააგრძელებდნენ ჩერქეზიშვილები სამშობლოსა და მეფის სამსახურს, რომ არა ქართლ-კახეთის სამეფოს ცხოვრებაში მომხდარი ავბედითი ცვლილებები. ისინი პირდაპირ კავშირში უნდა იქნას განხილული მე-XVIII საუკუნეში უკვე მეორედ,[5] კავკასიის მიმართულებით რუსეთის გააქტიურებასთან. სამწუხაროდ, ამჯერადაც სიცრუესა და ღალატზე, მოკავშირის დაუძლურებაზე გათვლილი სამოქმედო გეგმით.[6] თანაც, იმდენად ვერაგული საშუალებებით, რომ 1783 წელს გეორგიევსკის ციხესიმაგრეში რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის სამოკავშირეო ტრაქტატის ხელმოწერიდან 20 წლისთავზე, ევროპაში ერთ-ერთმა უძველესმა და მრავაჭირგამოვლილმა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიამ არსებობა შეწყვიტა.[7] ჯერ სამეფო ოჯახის წევრები დაუპირისპირეს ერთმანეთს. შემდეგ კი, ისარგებლეს რა მათი დაუძლურებით იმპერატორმა პავლე I-მა უხეშად დაარღვია ტრაქტატის პირობები და ქართლ-კა-

---

1 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 213, აღწერა 1, საქმის ერთეული 809, ფ.109.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 213, აღწერა 1, საქმის ერთეული 114, ფ.2.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 213, აღწერა 1, საქმის ერთეული 114, ფ.4.

4 ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვთ ჩერქეზიშვილები საქართველოში ჯერ კიდევ XII საუკუნეში მოსულან „ჩერქეზ-ქიმონიდან და ადგილის გამო მიუღიათ გვარად ჩერქეზას შვილობა და თავადობა თამარ მეფისავე დროსა" (სრულად იხ. ჟურნ. „ივერია", 1884წ., N4, გვ.113).

5 პირველად ეს მოხდა იმპერატორ პეტრე I-ის ეპოქაში, როდესაც რუსეთის იმპერატორმა მოკავშირესთან შეუთანხმებლად თავდაპირველი გადაწყვეტილება შეცვალა და მის მიერვე სპარსეთის შაჰის წინააღმდეგ სალაშქროდ მიწვეული ქართლის მეფე ვახტანგ VI გამძვინვარებული მუსულმანი მმართველების წინაშე ბედის ანაბარა, მარტო დატოვა. როგორც მოსალოდნელი იყო, ქრისტიანულ სახელმწიფოსთან კავშირის დაჭერა ქართლის მეფეს არ აპატიეს და მისი სამეფო ჯერ სპარსეთის შაჰის, შემდეგ ოსმალების მიერ უმოწყალოდ იქნა აოხრებული. თავად მეფე კი, 1724 წელს ერთგულ ქვეშევრდომთა 1200 კაციან ამალასთან ერთად იძულებული გახდა უცხოეთში გადახვეწილიყო.

6 "სიმართლე იმაში მდგომარეობს – წერდა 1895 წელს ლონდონში გამომავალ ჟურნალ „თჰე Nინეტეენტჰ ჩენტურყ"-ში ვარლამ ჩერქეზიშვილი – რომ რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ მთელი XVIII საუკუნის მანძილზე ამ ქვეყნის დასუსტების სისტემატიურ მცდელობას წარმოადგენდა, რათა ეს უკანასკნელი უპირობოდ, ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე ჩაეგდო ხელში" (V. ჩჰერკეზოვ, „Gეორგიან თრეატიეს წიტჰ ღუსსია", ტექსტის სრული ქართულ-ინგლისურენოვანი ვერსია იხ. გ. ფერაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი დიდი ბრიტანეთის წიგნსაცავებსა და არქივებში, (ნაკვეთი პირველი), თბილისი, 2001 წ., გამომც. პოლიგრაფ-სერვისი, გვ.90).

7 როგორც ცნობილია, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის დამფუძნებელი აშოტ I დიდი ბაგრატიონი ქართლში ჯერ კიდევ IX საუკუნის დასაწყისში, 809 წელს გამეფდა.

ხეთის სამეფო საერთოდ გააუქმა (18.12.1801). მისმა ვაჟმა იმპერატორმა ალექსანდრე I კი, 1802 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ეს უძველესი ქართული მიწა, ერის უმთავრესი საუნჯე, რომელსაც: „სპარსეთის მეფის კიროსის დროიდან – როგორც ვ. ჩერქეზიშვილი აღნიშნავდა – 25 საუკუნის განმავლობაში ქართველი ხალხი თავისი მკერდითა და სისხლით იცავდა", რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა.[8]

ქვეყანაში მიმდინარე ამ უმძიმესმა პროცესებმა მალევე ჰპოვეს ასახვა ჩერქეზიშვილების ოჯახზე. როგორც მოსალოდნელი იყო, მათ ამიერიდან სამეფო ტახტის დამცველებიდან, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლთა რიგებში გადაინაცვლეს. აღნიშნულის დასტურად შეგვიძლია მოვიშველიოთ ვარლამ ჩერქეზიშვილის მოგონება მისივე ფრანგულენოვანი ნაშრომიდან „La Georgie", რომელსაც გასული საუკუნის მიწურულს ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მივაკვლიეთ. მასში ავტორი ჩვეული თავმდაბლობით, მაგრამ იმავდროულად სიამაყით შენიშნავს, რომ 1801-დან 1812 წლამდე მეფის რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილ შეიარაღებულ გამოსვლებში მონაწილეობისთვის, სხვა ქართველ პატრიოტებთან ერთად მისი „ორი დიდი ბიძა", ციმბირში გადაუსახლებიათ.[9] XIX საუკუნის მიწურულს ლონდონში გამომავალ ინგლისურენოვან ჟურნალში „The Nineteenth Century", გამოქვეყნებული წერილიდან: „საქართველოს ხელშეკრულებები რუსეთთან", ჩვენთვის ცნობილი ხდება, ანტისახელისუფლებო გამოსვლებში მონაწილეობისთვის ვარლამის კიდევ ერთი უშუალო წინაპრის „დიდი პაპის" (იგულისხმება მამის პაპა), დაპატიმრებისა და ციმბირში გადასახლების შესახებ.[10] საქართველოს ეროვნულ არქივში მოძიებულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით კი, წერილობით დასტურდება 1812 წლის კახეთის აჯანყებაში დიდი ჯან ასლან ჩერქეზიშვილის შვიდი პირდაპირი შთამომავლის, მათ შორის ვარლამის პაპის – კონსტანტინე ჯან ასლანის ძე ჩერქეზიშვილისა და მისი ბიძაშვილის – ედიშერ პაპუნას ძე ჩერქეზიშვილის მონაწილეობა.[11]

იმის თაობაზე თუ, რას ნიშნავდა რუსეთის იმპერიაში ანტისახელისუფლებო გამოსვლებში მონაწილეობა, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული კიდევ ერთი საინტერესო დოკუმენტი. ეს არის გენერალ ფ. სიმონოვიჩის ბრძანების საფუძველზე, თავად კონსტანტინე ჩერქეზიშვილის, როგორც „იზმენნიკის" (მოღალატის) ოჯახში 1813 წლის 29 დეკემბერს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგების ამსახველი აღწერა-კონფისკაციის ოქმი. ცხადია, მასში წინასაახალწლოდ, ცივ ზამთარში დაწიოკებული: ქალების, მოხუცების, წვრილშვილის ცრემლსა და გოდებაზე არაფერია ნათქვამი. თუმცა, ამის წარმოდგენა არ გაგვიჭირდება თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინ მარჩენალის გარეშე დარჩენილ კონსტანტინე ჩერქეზშვილის ოჯახს ხერსონის პოლკის გრენადერებმა (აღწერა-კონფისკაცია მათ დაევალათ), **წლის მოსავლიდან მხოლოდ მესამედი დაუტოვეს,** ორი-მეამედი კი სახელმწიფომ წაიღო. ისევე, როგორც ოჯახიდან გადენილ დიდძალ პირუტყვთან ერთად, **სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა კონსტანტინე ჩერქეზიშვილისთვის ჩამორთმეული, მამა-პაპისგან მემკვიდრეობით მიღებული მიწებიც.**[12]

სამწუხაროდ, ეს ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი, რადგან ამბოხებულებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის ეკონომიურზე არანაკლებ მძიმე იყო რეპრესიების სოციალური, პო-

---

8 გაზ. „დროება", 1909 წელი, 208.

9 W. Therkesoff, „La Georgie", 1919. ტექსტის სრული ქართულ-ფრანგულენოვანი ვერსია იხ. გოჩა ფერაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი დიდი ბრიტანეთის წიგნსაცავებსა და არქივებში, (ნაკვეთი პირველი), თბილისი, 2001წ., გამომც. „პოლიგრაფ-სერვისი", გვ.118).

10 V.Cherkezov, Georgian Treaties with Russia, ტექსტის სრული ქართულ-ინგლისურენოვანი ვერსია იხ. გ. ფერაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი დიდი ბრიტანეთის წიგნსაცავებსა და არქივებში, (ნაკვეთი პირველი), თბილისი, 2001წ., გამომც. „პოლიგრაფ-სერვისი", გვ.96.

11 სრულად იხ. გ. ფერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.15-16, გვ.18;

12 გ. ფერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.19.

ლიტიკური შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ 1818-1820 წლებში, იმპერატორის მიერ გამოცხადებული ამინისტიის საფუძველზე ამბოხებულთა ერთი ნაწილი, მათ შორის კონსტანტინე ჩერქეზიშვილიც გადასახლებიდან დაბრუნდა, მის ვაჟს ჯან-ასლან ჩექრეზიშვილს (ვარლამის მამას)[13] ათწლეულები დასჭირდა იმ პრივილეგიების დასაბრუნებლად, რომლითაც თავად-აზნაურობა მეფის რუსეთში სარგებლობდა. კერძოდ, ჩვენს ხელთ არსებული საარქივი მასალების მიხედვით, ის ოჯახთან ერთად მხოლოდ 1850 წლის 6 დეკემბერს იქნა თავადის უფლებებში სრულად აღდგენილი[14] და ოფიციალურად ქართველ თავად-აზნაურთა სიებში შეყვანილი.[15]

მიგვაჩნია, კოლონიალურ ჩაგვრასთან და იმპერიის მასშტაბით გაბატონებულ ეკონომიურ-სოციალურ უსამართლობასთან ერთად, სწორედ რეპრესირებულთა ოჯახში, ციმბირის გადასახლებაგამოვლილ უახლოეს ნათესავთა გარემოცვაში გატარებული ბავშვობა უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რამაც მოსკოვში სამხედრო განათლების[16] მისაღებად ჩასული ქართველი თავადიშვილი ანტისახელისუფლებო სტუდენტურ მოძრაობაში მიიყვანა. პირველი ასეთი ორგანიზაცია, რომლის წევრობისთვის ვ. ჩერქეზიშვილი განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა ქ. მოსკოვში მოქმედი ე.წ. „იშუტინელთა" რევოლუციურ-ხალხოსნური წრე იყო. საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაცია, რომლის წევრების (მიგვაჩნია ახალგაზრდა ვარლამისაც), განწყობა და ზოგადად, დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი ყველაზე უკეთ ამავე ორგანიზაციის წევრმა დიმიტრი კარაკოზოვმა (1840-1866) გამოხატა. მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტმა, 1866 წლის 4 აპრილს რუსეთის ისტორიაში პირველი რევოლუციურ-ტერორისტული აქტი განახორციელა, როდესაც იმპერიის დედაქალაქის ცენტრში რევოლვერიდან გასროლით იმპერატორ ალექსანდრე II-ის მოკვლა სცადა.

მაშინ გამოძიებამ ვარლამი განსასჯელთა მეორე კატეგორიას მიაკუთვნა და ასაკის გამო (დაპატიმრებისას, 27.04.1866 ის მხოლოდ 19 წლის იყო), სასამართლომ 8 თვით პატიმრობა მიუსაჯა. სასჯელი ახალგაზრდა რევოლუციონერმა ჯერ მოსკოვის შემდეგ კი, პეტერბურგის პეტრე-პავლეს ციხეში მოიხადა (გაანთავისუფლეს 07.01.1867). თუმცა, პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრის ნესტიან საკანთან (ე.წ. «Каземат»-ებთან) მისი განშორება არ ყოფილა ხანგრძლივი.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ის ჯერ ქ. პეტერბურგში „სმორგონის აკადემიის" სახელით მოქმედი საკმაოდ ცნობილი რევოლუციური ცენტრის შექმნასა და საქმიანობაში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას. ხოლო მას შემდეგ, რაც ჟანდარმერიის გააქტიურების გამო მისი პე-

---

13 უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ მოძიებულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით XVII საუკუნიდან მოყოლებული, შვიდი თაობის მანძილზე ვარლამის უშუალო წინაპრები (მისი პაპის ჩათვლით) საკუთარი შვილებიდან ერთ-ერთს მაინც ჯან-ასლანს არქმევდნენ, ისევე როგორც თავად კონსტანტინე უნდა რქმეოდათ (სრულად იხ. გ. ფერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.16).

14 ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანებში, რუსეთის ფედერაციაში სამეცნიერო მივლინებით ყოფნისას ქ. მოსკოვის ცენტრალურ საისტორიო არქივში შესაძლებლობა მოგვეცა გავცნობოდით, ყოფილი მოსკოვის გუბერნიის სათავადაზნაურო საკრებულოში ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებით ჩატარებული სხდომის ოქმებს. სწორედ აქ წყდებოდა ახალი წევრების სათავადაზნაურო წიგნში შეყვანის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებლებს შორის საკმარისად იყვნენ არარუსი ეროვნების წარმოადგენლები, მათ შორის ქართველებიც და ისეთებიც ვისაც სათავადაზნაურო წიგნში შეყვანაზე უარი ეთქვათ. ჩერქეზიშვილებთან მიმართებაში, ეს საკითხი არც დასმულა, ისინი მე-4 ფონდის მე-12 აღწერაში თავადებად არიან მოხსენიებული (იხ. Центральный Государственный Исторический Архив г. Москви, ф.4, оп.6, ст.27.

15 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 213, აღწერა 1, საქმის ერთეული 809, ფ. 21.

16 თავდაპირველად ვარლამი ქ. მოსკოვში, კადეტთა მეორე კორპუსში სწავლობდა. აქვე დაუახლოვდა რევოლუციურად განწყობილ სტუდენტებს, პედაგოგებს და 1864 წლის ბოლოსთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მომიზეზებით საერთოდ მიატივა სამხედრო სასწავლებელი. მოგვიანებით კი, სწავლა იქვე ქ. მოსკოვში პეტროვსკის ცნობილ სამიწათმოქმედო და სატყეო აკადემიაში გააგრძელა თავისუფალ მსმენელად.

ტერბურგში დარჩენა შეუძლებელი გახდა ის მოსკოვში დაბრუნდა. აქ უკვე, 1869 წლის შემოდგომიდან ცნობილ რევოლუციონერთან სერგეი ნეჩაევთან (1847-1882) და მის მიერვე შექმნილ საიდუმლო ორგანიზაცია: «Народная расправа»-ში, გააგრძელა ანტისახელისუფლებო საქმიანობა. რევოლუციური აქტიურობისთვის, იმავე წლის 29 დეკემბერს ის კიდევ ერთხელ დააპატიმრეს და კვლავ, პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრეში გამოკეტეს. ორი წლის შემდეგ 1871 წლის აგვისტოში კი, სანკტ-პეტერბურგის სასამართლო პალატამ განაჩენი გამოაცხადა, რომლის თანახმად ვ. ჩერქეზიშვილს ყოველგვარი პირადი თუ, წოდებრივი უფლებების ჩამორთმევა და 7 წლით ციმბირში გადასახლება მიესაჯა. ამდენად, შეიძლება ითქვას რომ ვარლამმა ათწლეულების შემდეგ, იგივე მიზეზით (ანტისახელისუფლებო საქმიანობა) – **სახელოვანი წინაპრების ბედი** (პატიმრობა, უფლებების ჩამორთმევა, ციმბირში გადასახლება) **სრულად გაიზიარა.**[17]

სასჯელს ქართველი რევოლუციონერი ქ. ტომსკში იხდიდა, რა დროსაც შესაშური მოხერხებულობა გამოიჩინა და 1876 წლის იანვრის ბოლოს ორ თანამემამულესთან ერთად გადასახლებიდან გაიქცა. ყალბი საბუთების გამოყენებით ის მალევე ჩადის ინგლისში და 1876 წლის მაისიდან ქ. ლონდონში, ცნობილი რევოლუციონერის პეტრე ლავროვის (1823-1900) რედაქტორობით გამომავალ ჟურნალ «Вперед»-ში იწყებს მუშაობას.[18]

ცხადია, წლების მანძილზე ვარლამის ცხოვრების, შემოქმედებითი მემკვიდრეობის კვლევისას არაერთხელ გაგვჩენია კითხვა, რევოლუციურ სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობისას ინარჩუნებდა თუ არა ის კავშირს საქართველოსთან, მის სამშობლოში მიმდინარე განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. არ გვიკვირს, რომ გასული დროის, ასევე ანტისახელისუფლებო საქმიანობისას ვარლამის ძირითადად კონსპირაციული ცხოვრების წესის გათვალისწინებით, ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლებელია. თუმცა, რაც დანამდვილებით, წერილობით წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ არის ის, რომ როგორც მოსკოვში, ისე პეტერბურგში ყოფნისას ის არ წყვეტდა კავშირს თანამემამულეებთან. მათი რაოდენობა კი, იმპერიის საუნივერსიტეტო ქალაქებში სწრაფად იზრდებოდა. ასე მაგალითად, პროფ. კონსტანტინე მეძველიას მონაცემებით 1857-1861 წლებში მარტო პეტერბურგში უკვე 55 ჩვენი თანამემამულე სწავლობდა. აქ იყვნენ XIX საუკუნის II ნახევარში ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელები: ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ასევე: დ. ბაქრაძე, ი. მესხი, ა. ჩოლოყაშვილი, მ. ანდრონიკაშვილი, პ. ნაკაშიძე და სხვები.[19]

---

17 უნდა აღინიშნოს, რომ პროცესს „ნეჩეველებზე", რომელიც ხელისუფების მიერ მორიგი ანტირევოლუციური კამპანიის ჩასატარებლად იქნა გამოყენებული, დიდი გამოხმაურება მოჰყვა არამარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიც. „ყველა ვინც განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა – წერდა იმ დღეებში საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის ლიდერი კარლ მარქსი – 80-ზე მეტი ქალი და კაცი, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა მოსწავლე-ახალგაზრდობას შეადგენდა, რომელთაც 1869 წლის ნოემბრიდან 1871 წლის ივლისამდე, თითქმის ორი წელიწადი პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრის ნესტიან ჯურღმულებში გაატარეს. რის შედეგადაც ორი მათგანი გარდაიცვალა, ხოლო რამდენიმე ჭკუაზე შეიშალა" (სრ.იხ. К.Маркс, Ф.Енгельс – «Сочинения», издан. второе, т.18, М., 1961г., издат. «Полит. литература», ст.388).

18 მიგვაჩნია, სწორედ ამ ქარტეხილებმა ვარლამ ჩერქეზიშვილის ბიოგრაფიიდან მიიყვანა დიდი ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ რობაქიძე ვარლამისეული ანარქიზმის ქვეშეცნეული ხაზის გენიალურ განმარტებამდე: „თუ მოიშლებოდა სახელმწიფო წყობილება საერთოდ და ანარქიზმის მიზანიც ხომ ესაა, მაშინ რუსეთიც, რომელიც პრეისტორიული მამუნტივით თავს აწვა საქართველოს, დაიმხობოდა სახელმწიფოებრივი მხრით და როგორც შედეგი ამისა, საქართველოც თავისუფლად ამოისუნთქავდა". ეს გხლავთ სწორედ ვარლამთან მიმართებაში, ერთ პიროვნებაში ანარქისტული და პატრიოტული მრწამსის თავსებადობასთან დაკავშირებით ჩვენთვის დღემდე ცნობილი საუკეთესო განმარტება, რომლის გაზიარებასაც მოხსენების დასაწყისში დაგპირდით (სრ. იხ. მ. წერეთელი, „ერი და კაცობრიობა", თსუ გამ-ბა, 1990, გვ.326).

19 ჟურნალი «Вперед» გამოდიოდა 1873-1877 წლებში ჯერ ციურიხში, შემდეგ ლონდონში.

რუსეთის იმპერიაში განათლებამიღებული და ამავე მიზეზით **„თერგდალეულებად"** წოდებული,[20] ქართველი ახალგაზრდების „მემატიანის", პროფ. პროკოფი რატიანის მიერ მოძიებულ სარქივო მასალებზე დაყრდნობით დადასტურებულია, რომ მათი დიდი ნაწილი სისტემატიურად მონაწილეობდა ანტისახელისუფლებო გამოსვლებში. ასე მაგალითად, 1861 წელს სწორედ ასეთი ბრალდებით დააკავეს: ნ. ნიკოლაძე, ვ. სავანელი, დავით და ბესარიონ ღოღობერიძეები, გ. წერეთელი და სხვა, სულ 11 ქართველი ახალგაზრდა.[21] წერილობითვე დასტურდება ის ფაქტიც, რომ: ბიძაშვილი ღოღობერიძეები, გრიგოლ ჯავახოვი და ვასილ თუმანოვი აქტიურად თანამშრომლობდნენ ნ. ოგარიოვისა (1813-1877) და ნ. ჩერნიშევსკის (1828-1889) არლეგალურ ორგანიზაციასთან «Земля и Воля», რომლის უმთავრეს მიზანსაც რევოლუციის მომზადება და მეფის ხელისუფლების დამხობა წარმოადგენდა.[22]

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ვარლამი ქართველი სტუდენტებიდან არ იყო ერთადერთი, ვინც 60-იანი წლების ანტისხელისუფლებო გამოსვლებში ღებულობდა მონაწილეობას. მეტიც, იყო შემთხვევები, როდესაც ქართველი ახალგაზრდები ამ მოძრაობის ავანგარდშიც კი იდგნენ. ზემოთქმულის დასტურად XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართველ სტუდენტებთან დაკავშირებული ერთი ისტორია გვახსენდება. ე.წ. „თეთრი ტერორის" ეპოქაში, როდესაც იმპერატორ ალექსანდრე II-ზე კარაკოზოვის თავდასხმის გამო, რეაქცია მთელი იმპერიის მასშტაბით არნახული ძალით მძვინვარებდა, როდესაც არამცთუ პოლიტიკური, „სტუდენტური ცხოვრების მომასწავებელი ნიშანიც კი არსად ჩანდა",[23] სწორედ ქართველ სტუდენტებს დაუარსებიათ პეტერბურგში პირველი ურთიერთდახმარების სალარო. ეს კი, ცნობილი რუსი ისტორიკოსისა და ხელოვნებათმცოდნის, პროფ. ბორის კოზმინის შეფასებით, იმ დროისათვის ძალზედ გაბედული ნაბიჯი ყოფილა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ აშკარად რეპრესიებამდე არსებული „სტუდენტთა კორპორაციული ორგანიზაციების აღდგენის სურვილს შეიცავდა" და მეორეც, უხეშად არღვევდა მთავრობის მიერ, ჯერ კიდევ 1861 წელს გამოცემულ კანონს: „სტუდენტური შეკრებების, სასამართლოების, სამკითხველოებისა და ურთიერთდახმარების სალაროების აკრძალვის შესახებ".[24]

ასეთ ვითარებაში, კიდევ უფრო დასაფასებელია საპყრობილედან ახალგამოსული ვ. ჩერქეზიშვილის გადაწყვეტილება. ის თანამემამულეებს მხარში დაუდგა და არალეგალური გაერთიანების წევრი გახდა. თავად სალარო კი დაარსებისთანავე, მოსალოდნელი რეპრესიების მიუხედავად, რევოლუციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდების ორივე, „ძველი და ახალი თაობისთვის" შეკრებების, ხელმოკლე სტუდენტების დასახმარებლად მატერიალური სახსრების მობილიზების, აზრთა გაცვლა-გამოცვლის (სოციალური თანასწორობისა და ეროვნული დმოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეები აქ ორგანულად ერწყმოდა ერთმანეთს), საყვარელ ადგილად იქცა. ე.წ. **„ძველ თაობაში"** პროფ. პ. რატიანი გულისხმობდა, ჯერ კიდევ 1861 წლის სტუდენტური გამოსვლების მონაწილეებს: დ. აბდუშელიშვილს, კ. ლორთქიფანიძეს, ჩვენთვის უკვე ნაცნობ ა. ჩოლოკაევს (ჩოლოყაშვილი) და სხვებს. **„ახალ თაობაში"**

---

20 კ. მეძველია, თერგდალეულები და რუსეთის 60-იანი წლების რევოლუციური მოღვაწეები, თბ., 1959წ., გამომც. „ცოდნა", გვ.157-158.

21 "თერგდალეულები" – საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ლიტერატურული მიმდინარეობა XIX საუკუნის 60-70-იან წლების საქართველოში, რომლის წარმომადგენლებსაც ეს ზედმეტსახელი რუსეთში განათლების მისაღებად წასვლის გამო დაერქვათ (ვინაიდან რუსეთში წასვლისას მათ მდ. თერგი გადალახეს). მოძრაობის დასაწყისად მიჩნეულია 1861 წელი. პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული ახალგაზრდების მიზანს თანამემამულეების როგორც ეროვნული ისე სოციალური განთავისუფლება წარმოადგენდა.

22 პ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, თბ., 1962წ., გამ. „საბჭოთა საქართელო", გვ. 159.

23 იქვე, პ. რატიანი დასახ. ნაშრომი.

24 М. Сажин (Артман – Росс), Воспоминания 1860-1880гг., М., 1925г., всесоюзное общество политкаторжан, ст.19.

კი, მოიაზრებოდნენ: თ. ბებურიშვილი, ს. მესხი, ა. ცაგარელი, გ. მაღალაშვილი, ვ. მაჩაბელი, გ. ნაცვლიშვილი, სულ 20-დე ქართველი ახალგაზრდა.[25]

რამდენად თავდაჯერებული, ენერგიული და მიზანსწრაფულები იყვნენ 60-იანი წლების ქართველი ახალგაზრდები იგივე ვარლამის მაგალითზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ. 22 წლის ჭაბუკმა, რომელიც 1868 წელს საქართველოში მცირე ხნით მშობლების, დედმამიშვილების მოსანახულებლად ჩამოვიდა, თავად ბაგრატ ზედგინიძის მეუღლის ბინაზე „პირველი კონსპირაციული კრება გამართა სოციალისტური ტენდენციებით". ამ ისტორიული ფაქტის შესახებ კი, საზოგადოებისთვის მხოლოდ წლების შემდეგ, ისიც კრების უშუალო მონაწილის სევერიან სალარიძის მოგონებებიდან გახდა ცნობილი. „მისი ქადაგება – იხსენებდა ს. სალარიძე – ჩვენთვის იყო გაუგონარი და მოულოდნელი. ჩვენ პოლიტიკურ ბავშვებს, პირველად გვესმა მარქსის, ენგელსის, ბაკუნინისა და პრუდონის, ლუი ბლანისა და კროპოტკინის სახელები, რომლებიც ოქროს საუკუნის კარებს გვიღებდნენ".[26]

სამწუხაროდ, სამშობლოში დარჩენისა და „თერგდალეულებთან", იგივე: ილიასთან, აკაკისთან, ნიკოსთან ერთად მოღვაწეობის შესაძლებლობა ვარლამს არ მიეცა. თუმცა, იმის გამო რომ „სამშობლოს უღელი" ოთხივემ ყმაწვილკაცობიდან დაიდგა და „სხვა საქართველოც" ვერცერთმა ვერ ჰპოვა, მათი გზები მამულის სამსახურში მრავალგზის გადაიკვეთა. ამჯერად თანამშრომლობის მხოლოდ ორ ეპიზოდზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. ა. წერეთელთან და ნ. ნიკოლაძესთან მიმართებაში ის აჯანყებული სვანების სასამართლო პროცესთანაა დაკავშირებული (1876). ხოლო ილიასთან მიმართებაში, მისი და ვარლამის, როგორც რედაქტორისა და ჟურნალისტის თანამშრომლობის, დღემდე ნაკლებადცნობილ ფაქტს გავიხსენებთ (1881).

სვანი გლეხების აჯანყებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ის XIX საუკუნის II ნახევარში ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის უდავოდ ერთ-ერთი გმირული ფურცელია. დაპირისპირება რუს დამპყრობლებსა და სვანეთის მშვიდობიან მოსახლეობას შორის 1875-1876 წლებში მთავრობის მიერ სააქციზო გამოსაღებისა და ახალი გადასახადების დაწესებას მოჰყვა შედეგად. მიუხედავად სვანი მოსახლეობის, მათი უხუცესების მხრიდან საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარების არაერთი მცდელობისა, ხელისუფლებამ ხისტი პოზიცია დაიკავა, უკან არ დაიხია. უკიდურესი მატერიალური გაჭირვების გამო უკანდასახევი გზა არც სვანებს ჰქონდათ და მაღალმთიანი, პატარა სოფლის ხალდეს მოსახლეობამ (სულ 19 ოჯახისგან შედგებოდა) დაუმორჩილებლობა გაბედა. ხელისუფლებამ როგორც ეს არაერთგზის მომხდარა, გლეხებისთვის „ჭკუის სასწავლებლად" მათი საჩვენებლად დასჯა გადაწყვიტა. შედეგად 1876 წლის აგვისტოში, ზარბაზნების ქუხილისა და „საბრძოლო განწყობის ასამაღლებლად" წამოყვანილი სასულე ორკესტრის მუსიკის თანხლებით ეს „უსამართლობის მარშიც" შედგა.

მეფის რუსეთის კარგად შეიარაღებულმა სამხედრო და საპოლიციო ქვედანაყოფებმა მრავალდღიანი დაპირისპირების შემდეგ, საბრძოლო მასალის გამოლევის წყალობით გატეხეს სოფლის მკვიდრთა წინააღმდეგობა (არადა, სოფლის მაცხოვრებლებიდან სულ 32 მამაკაცი იყო ისეთი, ვისაც იარაღით სარგებლობა შეეძლო), სოფელი მთლიანად გადაწვეს, შენობა-ნაგებობები (მათ შორის მრავალსაუკუნოვანი სვანური კოშკები), საფუძვლამდე დაანგრიეს და მეზობელ სოფლებში გახიზნულ (ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს), ნასოფლარის ტერიტორიაზე დაბრუნება კატეგორიულად აუკრძალეს. დატყვევებული „მეამბოხეების" საქმე

---

[25] Б. Козмин, Революционное подполье в эпоху белого террора, М., 1929 г., изд. «политкаторжан», ст.23.

[26] სალაროს წევრების მიზნების, მათი ყოველდღიურობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის სალაროს ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, დიდი ქართველი მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანის უფროსი ვაჟი ნიკოლოზ ყიფიანი (1846-1905), მამისა და ვარლამ ჩერქეზიშვილისათვის მიწერილ წერილებში (სრ. იხ. Б.Козмин, Революционное подполье в эпоху белого террора, М., 1929г., изд. «политкаторжан», ст.167-174.

კი, ქ. ქუთაისში კავკასიის სამხედრო-საველე სასამართლოს გადაეგზავნა განსახილველად.

პროცესზე აჯანყებული გლეხების ინტერესებს პროფესიონალ იურისტებთან ერთად, როგორც საზოგადოების წარმომადგენელი, ყველასთვის საყვარელი მგოსანი – აკაკი წერეთელი იცავდა. მან 1876 წლის 27 ნოემბერს საჯარო სხდომაზე, თავის დაცვით სიტყვაში სასამართლოს განსასჯელებისთვის სასჯელის შემსუბუქების თხოვნითაც მიმართა, თუმცა უშედეგოდ.[27] საგულისხმოა, რომ ორატორული ხელოვნების ეს შესანიშნავი ნიმუში 1943 წელს ნიკო ნიკოლაძის პირად არქივში, საბუთების ჯგუფში „სვანეთის პროცესი" იქნა ნაპოვნი. სიტყვა მომზადებული იყო რუსულ ენაზე და მოძიებული ეგზემპლარი სარედაქციო ხასიათის შესწორებებსა და დამატებებს შეიცავდა.[28] მიგვაჩნია, მსგავსი ხასიათის რამდენიმე გარემოების თანხვედრამ (იმან რომ ნიკო სისტემატურად ესწრებოდა სვანების პროცესს, სხდომის მსვლელობისას აკეთებდა ჩანაწერებს, ჩანახატებსაც კი (ოთხი ბრალდებულის გრაფიკული ჩანახატია შემორჩენილი), აკაკის დაცვითი სიტყვის ერთი პირი შესწორებებით, დამატებებით სწორედ მის საქაღალდეში იქნა ნაპოვნი), მისცა საფუძველი პროფ. ვალერიან მეტრეველს გამოეთქვა მოსაზრება, რომ აკაკი წერეთელი პროცესის მსვლელობისას განსასჯელთა ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო რჩევებს სწორედ ნ. ნიკოლაძისგან იღებდა.[29]

გავეცანით, რა ბატონი ვალერიანის ამ მოსაზრებას მიგვაჩნია, რომ ის საფუძვლიანია თუმცა, ერთადერთი რაზეც გული დაგვწყდა იყო ის, რომ არც ამ მონოგრაფიაში და ზოგადად, საბჭოთა კავშირში სვანეთის აჯანყებასთან დაკავშირებით გამოცემულ სამეცნიერო, თუ მხატვრულ ლიტერატურაში ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის ხსენებაც კი არ არის. ეს იმიტომ რომ ანტიმარქსისტული შეხედულებების გამო, მეფის რუსეთის მსგავსად მისი სახელის ხსენება საბჭოთა კავშირშიც აკრძალული იყო. მაშინ როდესაც უსამართლოდ აწიოკებულ, დახოცილ სვან აჯანყებულებზე ზრუნვის თვალსაზრისით, ამ სამი დიდი მამულიშვილის: აკაკის, ნიკოს და ვარლამის ღვაწლის ერთმანეთისგან გამიჯვნა მართებულად არ მიგვაჩნია. მეტიც, ვარლამისა და ნიკოს ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან, მოგვიანებით „სმორგონის აკადემიიდან", მომდინარე რევოლუციური კავშირებისა თუ, გამოცდილების გათვალისწინებით ვთვლით, რომ სწორედ ნიკო უნდა ყოფილიყო დამაკავშირებელი რგოლი აკაკისა და მეფის ხელისუფლების მიერ ძებნილ ვარლამს შორის. დიდი ალბათობით სწორედ ის აწვდიდა (პირადად, ან შუამავლის მეშვეობით), ვ. ჩერქეზიშვილს ლონდონში სიახლეებს იმ პროცესიდან, რომელიც აკაკის უშუალო მონაწილეობით ქუთაისში მიმდინარეობდა. ვარლამი კი, მათ ჟურნალ „ვპერიოდში" დაუყოვნებლივ აქვეყნებდა. შედეგად, ამ სამი დიდი მამულიშვილის საერთო ძალისხმევისა და შეთანხმებული მოქმედების წყალობით, უზარმაზარი „იმპერიული მანქანის" ნების საწინააღმდეგოდ, ევროპის მოწინავე საზოგადოება უმოკლეს დროში ღებულობდა მამხილებელ ცნობებს, რუსი ჯალათების მიერ კავკასიის მაღალმთიან სოფელში ჩადენილი უმძიმესი დანაშაულების შესახებ.

რაც შეეხება ვარლამ ჩერქეზიშვილისა და ილია ჭავჭავაძის თანამშრომლობას, აქ ერთ საინტერესო საკითხზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. დიდი ხნის მანძილზე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული იყო მოსაზრება და მას ჩვენც ვიზიარებდით, რომ ვარლამმა თანამშრომლობა ილია ჭავჭავაძის „ივერიასთან" XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. თუმცა, მოგვიანებით ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" 1918 წლის 27-ე ნომერში მივაკვლიეთ ძალზედ სიანტერესო წერილს, რომლის თანახმად გაცილებით ადრე, ჯერ

---

[27] ს. სალარიძე, მოგონებანი, ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, თსუ გამომცემლობა, 1935წ, გვ.102.

[28] აჯანყებულთა დიდ უმრვლესობას მკაცრი სასჯელები – ციმბირის მიწისქვეშა მაღაროებში ხანგრძლივი ან, სამუდამო სამუშაოები მიესაჯა. ეს კი ფაქტიურად, სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო.

[29] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სრულად იხ. აკაკი წერეთლის სიტყვა სვანეთის გლეხობის შეიარაღებული აჯანყების მონაწილე სვანების დასაცავად, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი", 1960, 6, გვ.42-49.

კიდევ 1882 წლის ჟურნალ „ივერიის"[30] ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული უნდა ყოფილიყო ვარლამ ჩერქეზიშვილის წერილი სლავთა აღორძინების შესახებ. მეტიც, იქვე მითითებული იყო, რომ წერილი თავის დროზე გამოსაქვეყნებლად მოუმზადებია (უთარგმნია) და წინასიტყვაობა დაურთავს ცხონებულ ა. ბაქრაძეს. მაშინვე გადავამოწმეთ ეს ცნობა თუმცა, უშედეგოდ. იმ წლის ვერცერთ ნომერში წერილს ვერ მივაკვლიეთ. დავიწყეთ წინა და მომდევნო წლის ნომრების გაცნობა და ამჯერად გაგვიმართლა. 1881 წლის ჟურნალ „ივერიის" მეხუთე ნომერში მივაკვლიეთ ვ. ჩერქეზიშვილის ვრცელ წერილს საძიებელი სახელწოდებით: „მოკლე განხილვა სლავიანების ეროვნებათა აღორძინებისა".[31]

"აღმოჩენამ" შეიძლება ითქვას, ჩვენი მოლოდინი სრულად გაამართლა. ავტორი საინტერესოდ, საკითხის საფუძვლიან ცოდნაზე დაყრდნობით აღწერს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე XIX საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში არსებულ ვითარებას. ეს ის წლებია, როდესაც საუკუნეების მანძილზე ოსმალთა იმპერიის მიერ განაწამებმა სლავური წარმოშობის ხალხებმა, საქართველოს მსგავსად იმედის თვალი ერთმორწმუნე რუსეთს მიაპყრეს. თუმცა, არც მათ იმედებს ეწერათ ასრულება. სულ ცოტა ხანში ისინიც დარწმუნდნენ, რომ რუსეთის იმპერატორს და მის მიერ „თითქოსდა მოძმე ერების დასახმარებლად" გაგზავნილ გენერლებსა თუ, სამოალაქო მაღალჩინოსნებს მხოლოდ საკუთარი, იმპერიული ზრახვები ამოძრავებდათ. მართალია, ისინი აქტიურად შეუდგნენ სლავების გამუსულმანებული ნაწილის კვლავ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევას, მაგრამ არა მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად. პირიქით, როგორც ვ. ჩერქეზიშვილი მართებულად შენიშნავდა, მათ მიზანს ბალკანელი სლავების ამჯერად უკვე, რუსეთის იმპერიის უღელქვეშ მოქცევა, რუსულ ენზე „აჭიკჭიკება" და ევროპული ცივილიზაციისგან დაშორება წარმოადგენდა.[32]

ცხადია, მოწინავე ქართულმა საზოგადოებამ ეს ყველაფერი ისედაც კარგად იცოდა, რადგან საკუთარ თავზე ქონდა გამოცდილი. მაშინ რა რჯიდა ან „ივერიის" ანონიმ კორესპონდენტს,[33] ან თავად, ჟურნალის რედაქტორს.[34] მიგვაჩნია მათი მიზანი სიმართლის თქმა (რომელსაც მეფის ხელისუფლება დაპყრობილ ერებს ასე გულმოდგინედ უმალავდა), თანამემამულეებისთვის რუსიფიკაციის უმძიმესი შედეგების კიდევ ერთხელ შეხსენება და იმ შეცდომებზე ყურადღების გამახვილება იყო, რომელიც ბალკანელმა სლავებმა მათ მიერ სახელმწიფოებრიობის აღსადგენად წარმოებულ ბრძოლაში დაუშვეს. რაც მთავარია ორივეს, ილიასაც და ვარლამსაც სურდათ კოლონიალიზმის ბორკილების მსხვრევის დადებითი მუხტი საქართველოშიც შემოეტანათ, ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის მძლავრ ტალღას, რომელმაც იმ დროს მთელი ცივილიზებული სამყარო მოიცვა ქართველებიც შეერთებოდნენ. „ჩვენც შევიმეცნათ, გამოვიყენოთ სხვისი შეცდომა ან გამარჯვება – მიმართავდა თანამემამულეებს ვ. ჩერქეზიშვილი – აღმოვფხვრათ ჩვენში რაც კი ამის საწინააღმდეგო და ამასთან შეუთავსებელია. სხვისი კარგი მაგალითი ჭკუასაც გვასწავლის და იქნება იმედიც გაგვიცოცხლოსო".[35]

---

30 როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძის „ივერია" 1879-1885 წლებში სწორედ ჟურნალის სახით გამოდიოდა და მხოლოდ 1886 წლიდან გადაკეთდა ყოველდღიურ გაზეთად.

31 ჟურნალი „ივერია", 1881წ., #5, გვ.63-93.

32 იხ. ჟურნ. „ივერია", 1881, #5, გვ.72.

33 მართალია, ძებნაში ყოფნის გამო ავტორის ვინაობა გაზეთში მითითებული არ არის, მაგრამ თავად წერილის სახელწოდება, მისი შინაარსი, ფორმა და ბოლოს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში" მასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ინფორმაცია, არ ტოვებენ ეჭვის საფუძველს, რომ ჩვენს წინაშე სწორედ ვ. ჩერქეზიშვილის კიდევ ერთი, მანამდე უცნობი პუბლიკაციაა.

34 ილიას „ივერია" – საუკუნეზე მეტია, რაც სიყვარულით ასე მოიხსენიებენ საქართველოში ქვეყნის წინაშე მართლაც განსაკუთრებული დამსახურების მქონე პერიოდულ გამოცემას, რომლის დამაარსებელი და რედაქტორი წლების მანძილზე ილია ჭავჭავაძე იყო.

35 ჟურნ. „ივერია", 1881, #5, გვ.64.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ამჯერად გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. ეს წერილის გამოქვეყნების თარიღია. როგორც აღვნიშნეთ, ილიამაც და ვარლამმაც მისი დაბეჭდვა ჟურნალ „ივერიის" მეხუთე ნომერში გადაწყვიტეს. მაშინ როდესაც, ჟურნალის წინა ნომერი შავ არშია შემოვლებული სახით მიიღო საზოგადოებამ, რადგან ის 1881 წლის 1 მარტს რევოლუციონერ-ტერორისტ ე. გრინევიცკის (1856-1881) მიერ იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობის შესახებ ატყობინებდა მკითხველს. ცხადია, ეს არ იყო უბრალო დამთხვევა და დღემდე გაოცებას იწვევს, როგორც რედაქტორის ისე გამომცემლობის თანამშრომელთა გამბედაობა (აღარაფერს ვამბობთ თავად წერილის ავტორზე). ისინი ხომ, იმპერატორის მკვლელობის შემდეგ დაწყებული, რუსეთის იმპერიისთვისაც კი, მანამდე არნახული რეპრესიების პირველივე დღეებში, ფაქტიურად დამპყრობლის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ თანამემამულეებს.

საკმარისი იყო მცირედი მინიშნებაც კი, მათი ყოფილ „კრაკოზოველთან", ციმბირიდან გაქცეულ და ძებნაში მყოფ ჩერქეზიშვილთან თანამშრომლობაზე, რომ გაზეთს დახურვა, რედაქტორს, თანამშრომლებს კი, მკაცრი სასჯელები არ აცდებოდათ. და მაინც, მიუხედავად ყველა სირთულისა მათ ეს შეძლეს და კიდევ ერთხელ, საქმით დაამტკიცეს ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის უწყვეტი ხასიათი. იმავდროულად, ხაზს უსვამდნენ რა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და პირადი მაგალითის მნიშვნელობას, როგორც იმპერიულ ძალებთან დაპირისპირების, ისე პატრიოტულად განწყობილ მომავალ თაობებთან მიმართებაში.

უნდა ითქვას, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობაში მოსულ ახალგაზრდა, ნიჭიერ თაობაზე ზრუნვა, თანდათან სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს თმაშევერცხლილი, აწ უკვე „თერგდალეული მამების": ილიას, აკაკის, ნიკოს და ზოგადად უფროსი თაობის წარმომადგენელთა ცხოვრებაში. გამონაკლისი ამ თვალსაზრისით არც ვარლამი ყოფილა. მართალია, XIX საუკუნის 80-90-იან წლებში როგორც ქართულ (იგივე გაზ. „ივერია"), ისე უცხოენოვან ჟურნალ-გაზეთებში ("The Times", „The Nineteenth Century", „Freedom", „La Revolte" და სხვა), ის კვლავაც აქტიურად აგრძელებდა პატრიოტული შინაარსის წერილების გამოქვეყნებას. თუმცა, როგორც ბრძენი, გამოცდილი მებრძოლი ის სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, სულ უფრო ხშირად ვხედავთ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მოსული ახალგაზრდა თანამემამულეების გვერდით.

ასე იყო მაგალითად XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ახალი თაობის ერთ-ერთმა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა არჩილ ჯორჯაძემ (1872-1913), პარიზში გაზეთ „საქართველოს" გამოცემა გადაწყვიტა. მას სწორედ ვ. ჩერქეზიშვილმა და მისმა მეგობრებმა, საგამომცემლო საქმის ფრანგმა სპეციალისტებმა გაუწიეს დახმარება.[36] ასეთივე დამოკიდებულებას იჩენს ვარლამი ახალგაზრდა ქართველ პატრიოტთა კიდევ ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის, სამშობლოსთვის თავდადებული კაცის გიორგი დეკანოზიშვილის (1868-1910) მიმართ,[37] როდესაც ის 1905 წელს განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის საზღვარგარეთ იარაღის შეძენისა და საქართველში შემოტანის საქმეს ჩაუდგა სათავეში. ამ შემთხვევაშიც მას ვარლამი დაუდგა გვერდში და თავისი მეგობრების, ჰოლანდიელი ანარქისტების მეშვეობით არალეგალურად ჯერ დიდძალი იარაღი და საბრძოლო მასალა შეაძენინა. შემდეგ კი, მის საქართველოში შემოსატანად გემის „სირიუსის" დაქირავებასა და „ძვირფსი ტვირთის" ფოთში

---

[36] ვრცლად იხ. გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი III, გამომც. „მერანი", თბ., 1993წ., გვ. 110-118.

[37] უნდა აღინიშნოს, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის იარაღის შესაძენად უზარმაზარი თანხის – ათეულ ათასობით ფრანკის მშოვნელმა გიორგი დეკანოზიშვილმა, საკუთარი თავისთვის უმნიშვნელო თანხაც კი ვერ გაიმეტა. გადმოცემის თანახმად ზამთრის ცივ დღეებშიც კი, ის პარიზის თოვლიან ქუჩებში ძველი, გაცრეცილი პალტოთი დადიოდა. საბოლოოდ, ეს გულანთებული მამულიშვილი სწორედ დამოუკიდებლობისთვის თავდაუზოგავ ბრძოლას შეეწირა, მძიმედ დაავადდა და 42 წლის ასაკში საფრანგეთშივე გარდაიცვალა.

ჩამოტანაში დაეხმარა.[38] მართლაც რომ ბრძენ, გამოცდილ დამრიგებლად მოევლინა ვარლამი ახალგაზრდა თანამემამულეებს 1904 წელს ჟენევაში შეკრებილ ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციაზე.[39] ძნელია სხვადასხვა თაობის ქართველ (და არამარტო), პოლიტიკოსებს შორის ისეთი მზრუნველი, დამრიგებლური დამოკიდებულების გახსენება, როგორიც იმ დღეებში ვარლამმა ახალგაზრდა თანამემამულეების მიმართ გამოიჩინა. იქნებოდა ეს ყურადღების გამახვილება ილიასეულ „საერთო ნიადაგზე" დგომის აუცილებლობაზე თუ, კონკრეტულ პრაქტიკულ ღონისძიებათა დაგეგმვა-განხორციელებზე. უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი ამ შეგონებებიდან მოგვიანებით, უცვლელად იქნა შეტანილი განმათავისუფლებელი მოძრაობის სამოქმედო დღის წესრიგში.

თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია გავიხსენოთ მისი გამოსვლა ჟენევის კონფერენციის 4 აპრილის სხდომაზე: „ბატონებო – მიმართა ვარლამმა ახალგაზრდა თანამემამულეებს – ნუ გავიწყდებათ, ჩვენ რუსეთმა კი არ დაგვიპყრო, არამედ ჩვენ მას გარიგებით შეუერთდით და შეგვიძლია ველაპარაკოთ ისე, როგორც თავისუფალი სახელმწიფოები ელაპარაკებიან ერთმანეთს. ჩვენ შეგვიძლია საერთაშორისო უფლების ძალით ომი გამოუცხადოთ რუსეთს... აი ახლავე, აქვე შევადგინოთ კომიტეტი ქართველთ დამოუკიდებელი მმართველობისა... და ბრძოლით ამ უფლების დაცვისათვის ევროპელები თავის დღეში არ გაგვამტყუნებენ. იტყვიან რომ ჩვენ ვეომებით მას ვინც ძალით შემოიჭრა ჩვენს ქვეყანაში. ადამიანები თვის უფლებებზე ხელს არ უნდა იღებდნენ. უნდა ახალი უფებები შევიძინოთ და არათუ ძველიც დავთმოთ, დავანებოთ ვისმეს".[40]

მართლაც, გავიდა სულ რამდენიმე წელი და მიუხედავად 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ცარიზმის მიერ ქვეყანაში გატარებული უმკაცრესი სადამსჯელო ღონისძიებებისა,[41] 1910 წელს ქართველმა პატრიოტებმა ქ. ჟენევაში შექმნეს „საქართველოს განთავისუფლების ჯგუფი". საწყისი საფეხური, რომელმაც შესანიშნავი საფუძველი მოამზადა 1914 წელს, მსოფლიო ომის დაწყებისთანავე „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის" შესაქმნელად.[42] გაცილებით მრავალრიცხოვანი, მყარი ორგანიზაციული კავშირისა, რომლის საბოლოო მიზანსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა.

---

38 ვრცლად იხ. დიმიტრი შველიძე, გიორგი გაფრინდაშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი – მამულიშვილის დაბრუნება, თბ., გამომც. „უნივერსალი", 2010 წელი.

39 ვრცლად იხ. გულიკო ფერაძე, ჟენევის 1904 წლის კონფერენცია სამართლებრივ ჭრილში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი", 2018, N2, გვ. 256-274.

40 ოქმები ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენციისა, პარიზი, 1905წ., გვ. 178-179.

41 საგულისხმოა, რომ მეფის რუსეთის სადამსჯელო რაზმების მიერ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულების შესახებ ევროპის მოწინავე საზოგადოების ინფორმირებისთვის ვ. ჩერქეზიშვილის ინიციატივით 1906 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩამოვიდნენ იმ დროს ინგლისში მოქმედი „რუსეთის დესპოტიზმის მსხვერპლთა დაცვის კომიტეტის" წევრი ქ-ნი დრაიჰორსტი და ვარლამის დიდი ხნის მეგობარი, ინგლისსა და ამერიკაში ცნობილი ჟურნალისტი ბ-ნი ნევინსონი. ქვეყანაში გამოცხადებული საალყო პირობების მიუხედავად, ქართული საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლების ხელშეწყობით (მ.შ. კახეთში მოგზაურობისას ძალიან წაადგათ ილია ჭავჭავაძის სარეკომენდაციო წერილი თავად ჯანდიერთან), ვარლამმა შეძლო სტუმრებისთვის 15-20 კაციანი შეხვედრების ორგანიზება თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ახალსენაკში, სიღნაღსა და თელავში. სწორედ ამ ვიზიტისა და შეხვედრების წყალობით, ისევე როგორც 1876 წელს სვანეთის აჯანყების დროს, ევროპისა და ამჯერად უკვე ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებამ (წერილობით, ასევე ფოტო მასალას აღნიშნულთან დაკავშირებით გავეცანით აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკაში), შეიტყო იმ საზარელი დანაშაულების შესახებ (გადამწვარი სოფლები, ქალაქები, დახოცილი ქალები, ბავშვები, მოხუცები, გაუპატიურებები, ძარცვა და ა.შ.), რასაც მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის ხელდასმით გენერალ ალიხანოვის, პოლკოვნიკების ტოლმაჩოვისა და კრილოვის ხელქვეითები ჩადიოდნენ არამარტო ამბოხებულების, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ (ვრცლად იხ. ჟურნალი „პრომეთე", 1919წ., N3).

42 ოთარ ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბილისი, 2002, გამომც. „მეცნიერება", გვ.96, 221.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ჟენევის კონფერენციის სხვა მონაწილეებთან ერთად, ამ ჯგუფის სულისჩამდგმელი, ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო ვ. ჩერქეზიშვილის საუკეთესო მოსწავლე და ეროვნული საქმის ღირსეული გამგრძელებელი მიხაკო წერეთელი (1878-1965). პიროვნება, რომელშიც თამამად შეიძლება ითქვას, ქართული გენის ყველა საუკეთესო თვისება იყო თავმოყრილი. განსაკუთრებით თვალშისაცემი კი, საკუთარი მოძღვრის მსგავსად სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და მისთვის თავდადება გახლდათ. აღნიშნულზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ პირველი მსოფლიო ომის დღეებში, გააფთრებული საბრძოლო მოქმედებების მსვლელობისას, მან წყალქვეშა ნავით არაერთგზის გადმოკვეთა ფრონტის ხაზი, რათა საქართველოში მოქმედი პატრიოტული ძალებისთვის საჭირო იარაღი, საბრძოლო მასალა და თანხები მიეწოდებინა. ეს მაშინ, როდესაც ხელისუფლებას 1910 წლიდან როგორც მიხაკოს, ისე ვარლამის მიმართ, რომელიც ასაკის მიუხედავად, კვლავაც აქტიურად მონაწილეობდა კომიტეტის საქმიანობაში, სისხლის სამართლებრივი დევნა ჰქონდა დაწყებული.[43]

კიდევ ერთი საკითხი რაზეც შეუძლებელია ყურადღება არ გავამახვილოთ. მიგვაჩნია „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი" უიშვიათესი, ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და წარმატებული ისტორიის მქონე ორგანიზაციაა მათ შორის ვისაც კი, ოდესმე ქართული საქმე უკეთებია. როგორც უკვე ითქვა, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მიზნით ის 1914 წელს შეიქმნა, უზარმაზარი შრომა გასწია ქვეყნის შიგნით და განსაკუთრებით საზღვარგარეთ ამ სანუკვარი მიზნის მისაღწევად. ასე განსაჯეთ, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე საქართველოს სახელით არაერთი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების სამართალსუბიექტი გახლდათ (გერმანისათან, თურქეთთან, ავსტრია-უნგრეთთან) და 1918 წლის ივნისში, ეროვნული საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ჩათვალა რა საკუთარი ამოცანა შესრულებულად კომიტეტმა თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. მართლაც, რა შეიძლება ყოფილიყო ამაზე უკეთესი ბოლო, ამაზე დიდი წარმატება როგორც ორგანიზაციის დამაარსებლების, ისე მისი წევრებისა და მთლიანად ქვეყნისთვის. ეს იყო მართლაც, უბედნიერესი დღეები XX საუკუნის საქართველოს ისტორიაში. ხარობდა ყველა და რასაკვირველია, ბედნიერი იყო ნახევარსაუკუნოვანი პოლიტიკური ემიგრაციიდან საქართველოში მეუღლესთან, თავის ძვირფას მეგობართან და თანამოაზრესთან ფრიდა რუპერტუსთან ერად დაბრუნებული ვარლამიც.[44]

დიდი მამულიშვილი, როგორც მას სჩვეოდა ჩამოსვლისთანავე აქტიურად ერთვება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა, მრავალჭირგამოვლილ ჯარისკაცს ერთი წუთითაც არ დაუკარგავს სიფხიზლე. სულ ეშინოდა, განსაკუთრებულად უფრთხილდებოდა მისთვის უძვირფასესს – საქართველოს დამოუკიდებლობას. ამიტომ იყო, რომ მასთან ბინაში სტუმრობისას იქნებოდა ეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი თუ, ვარლამის ძველი მეგობარი გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოლივერ უორდროპი ყველას აფრთხილებდა, შეიძლება ითქვას ემუდარებოდა – მხედველობიდან არ გამორჩენოდათ, სათანადოთ შეეფასებინათ საბჭოთა რუსეთიდან მომდინარე საფრთხე.

---

[43] ოთარ ჯანელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.221.

[44] ვ.ჩერქეზიშვილიამ თვალსაზრისითაცუნიკლურიმოვლენააქართულიპოლიტიკური დასამართლებრივი აზროვნების ისტორიაში. ეჭვი გვეპარება XIX-XX საუკუნეების სამანზე, თანამემამულეებს შორის პოლიტიკური ემიგრაციის ხანგრძლივობის თვლსაზრისით მას კონკურენტი გამოუჩნდეს. ცნობილია, რომ ის არალეგალურად არაერთგზის, 1905-1907 წლების რევოლუციის დღეებში ლეგალურადაც (ამინისტიის წყალობით), მცირე დროით იმყოფებოდა საქართველოში. მაგრამ რამდენიმე წლით და ისიც ლეგალურად, 1876 წელს გადასახლებიდან ევროპაში გაქცევის შემდეგ მას საქართველოში არ უცხოვრია. 1917 წლის დაბრუნება კი, იმითაც იყო განსაკუთრებული, რომ ასაკის გათვალისწინებით, არ გამოვრიცხავთ ვარლამს სამშობლოში სამუდამო დაბრუნება ერწმუნა.

ეს იმ პირობებში, როდესაც ხანგრძლივი ემიგრაციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულს თავადაც უამრავი ყოფითი საზრუნავი აწუხებდა. თანამედროვეთა გადმოცემით მას ბინაც კი არ ჰქონდა თბილისში[45] და ფრიდასთან ერთად საკუთარი, ყოველდღიური შრომით გაჰქონდა თავი. „აი ასე გაუმასპინძლდა ვარლამს თავისუფალი საქართველო! – იგონებდა ა. ჩხენკელი – ცხოვრობდა გაცილებით უარესად ვინემ ლონდონში, მიუხედავად ამისა ვერ გაიგონებდით მისი პირიდან საყვედურს ვინმესი, ან რისმეს მიმართ. მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება მმართველებზე მასზე არ მოქმედებდა. არაფერია, მითხრა ერთხელ, ახალი სხელმწიფოა, ჯერ გამოუცდელი არიან, უნდა მოვითმინოთ; თავი და თავი გარეშე მტერმა არ გაგვსრისოს, თუ ამას გადაურჩით, თან და თან გამოსწორდებაო ყველაფერი".[46]

სამწუხაროდ ვერ გადაურჩით „გასრესვას" და ვერც მათ ვისაც ეს ევალებოდათ ვერ გამოიჩინეს საჭირო წინდახედულობა, გამბედაობა. ვინ იცის ვარლამისა და მისი პატრიოტი თანამებრძოლებისთვის უკეთ რომ მოესმინათ, დაეჯერებინათ (განსაკუთრებით ქართველ მარქსისტებს), იმ მსხვერპლსაც ავიცილებდით რომელსაც ჩვენი მოხსენება ეძღვნება და შესაძლოა კიდევ ერთი, ამჯერად უკვე „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" შექმნაც აღარ დაგვჭირვებოდა. სამწუხაროდ, წინამორბედისგან „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტისგან" განსხვავებით ე.წ. „დამკომმა" ვერ შეძლო მიზნის მიღწევა. ვერ აარიდა საქართველოს ვერც სისხლის კალო და ვერც ძმათამკვლელი დაპირისპირების ამსახველი, შემზარავი „ფოტოგამოფენა".

რაც შეეხება ვარლამ ჩერქეზიშვილის ცხოვრების დაისს. სამწუხაროდ, ბევრი ქართველი პატრიოტის მსგავსად ისიც სევდიანი გამოდგა. საქართველოსთვის უმძიმეს, 1921 წლის თებერვლის დღეებში დაინახა რა, კარს მომდგარი მტერი ვიშვიშს არც ამჯერად მოჰყოლია. 75 წლის ასაკში ის მოხალისედ ჩაეწერა ქართულ ჯარში და ახალგაზრდა თანამემამულეებთან, იუნკერებთან ერთად ტაბახმელა-კოჯრის მისადგომებთან თოფით ხელში იცავდა სამშობლოს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი, იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა და კვლავ ემიგრაციაში წასულიყო. ამჯერად უკვე სამუდამოდ. ის გარდაიცვალა 1925 წლის 18 აგვისტოს ქ. ლონდონში. იმის გამო რომ საბჭოთა კავშირში ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის ხსენებაც კი აკრძალული იყო, დიდ მამულიშვილს მაშინ ქართველმა ხალხმა სათანადო პატივი ვერ მიაგო. მეტიც, დროთა განმავლობაში მისი საფლავიც კი დავკარგეთ. შემოგვრჩა მხოლოდ ბოლშევიკების მიერ დატოვებული „ცინიკური ლეგენდა", ქართული ემიგრაციის მიერ მისი თითქოსდა, ლონდონში მარქსის გვერდით დაკრძალვის თაობაზე. რაც იმავე ბოლშევიკების მიერ ხალხისთვის აღთქმული „კომუნისტური სამოთხის" მსგავსად, მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა.

მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენი, სამართლის ისტორიკოსთა დიდი მოძღვრის პროფ. გიორგი ნადარეიშვილის რჩევით, ვარლამ ჩერქეზიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის ხანგრძლივი კვლევის შემდეგ, ქ. ლონდონში ~olders Green"-ის კრემატორიუმში მივაკვლიეთ მის ფერფლს, რომლის ჟანგისგან დაცრეცილ ლითონის ურნასაც მართალია დამტვერილი, გახუნებული მაგრამ საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროშა ამშვენებდა.[47]

---

45 როგორც აკაკი ჩხენკელი იხსენებს ვარალმს თბილისში ბინა არ ჰქონდა და ცხოვრობდა მამა დავითის აღმართზე, ერთ „სოფლური ქვიტკირის ოდის" მეორე სართულზე, ორ ოთახში რომელიც მისთვის „ნათესავს ეთხოვებია" (ვრცლად იხ. ელდარ ბუბულაშვილი, ვარლამ ჩერქეზიშვილი და ქართული სინამდვილე, ვარლამ ჩერქეზიშვილისადმი მიძღვნილი I დარგთაშორისი კონფერენცია, პროგრამა და მოხსენებები, 2021წ., თსუ-ის გამომცემლობა, გვ.15-32.

46 ელდარ ბუბულაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

47 ამჟამად ლითონის ურნაც და დროშაც რესტავრირებული სახით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმშია გამოფენილი, რომელსაც ის ვ. ჩერქეზიშვილის დაბადებიდან 175-ე წლისთავზე ვაჩუქეთ. ვარლამის ფერფლი კი, 2013 წელს საქართველოდან ჩატანილ, ქართული მარმარილოსგან დამზადებულ ახალ სარკოფაგში გადავასვენეთ და დღემდე, იქვე ~Golders Green"-ის კრემატორიუმშია დაცული.

Gocha Peradze

A History of Devotion to the Homeland and Ingrained Loyalty: The Legacy of Warlam Tcherkezishvili

(Dedicated to the Patriots Who Fell in the 1924 Uprising)

In the presentation dedicated to the memory of the participants of the 1924 conspiracy, our intention was to portray the uprising as yet another proud chapter in the Georgian people's struggle for liberation. A worthy continuation of that heroic epic which followed the abolition of the Kingdom of Kartli-Kakheti by the Russian emperors in 1801–1802 and its subsequent transformation into a Russian province. We were once again convinced of the soundness of this approach while preparing the presentation and revisiting the archival and scholarly sources related to the great patriot Varlam Cherkezishvili, which we have been collecting since 1989 from libraries and archives in Georgia and abroad (including the Russian Federation, the United Kingdom, and the United States of America). The extensive body of material we consulted provided a compelling opportunity to explore the Georgian people's unequal, yet just, struggle against the imperial forces of Russia through the example of several generations of the distinguished Cherkezishvili family.

Naturally, from a legal-historical perspective, particular interest is drawn to the figure of Varlam Cherkezishvili (1846–1925), the leader of the Georgian anarchists and one of the recognized figures of the international socialist movement. This great patriot, who – beginning in the 1860s – persisted in his struggle despite the Empire's harshest persecutions (imprisonment in the dungeons of the Peter and Paul Fortress, exile to Siberia, and constant surveillance by imperial secret services), managed to earn a reputation as one of the foremost theoreticians of the international anarchist movement and a tireless advocate of these ideals in practice.[48] At the same time, it would not be an overstatement to assert that he remained a standard-bearer in the struggle for the restoration of Georgian statehood, and a loyal comrade-in-arms of his friend and ideological companion, Ilia Chavchavadze. We have stated this before and will repeat it once again: these two wise patriots effectively divided the field of their national service. What Ilia pursued within Georgia, within the confines of the empire, Varlam Cherkezishvili continued abroad – as a political émigré, exiled from his homeland, yet unwavering in his commitment to the same cause.

We will return at a later stage – after a more in-depth exploration of V. Cherkezishvili's biography – to address the questions that arise within the history of legal thought concerning this truly unique phenomenon: the apparent compatibility of anarchist and patriotic convictions within a single individual. For now, however, we will once again turn our attention to the Georgian people's national liberation struggle – first against Tsarist Russia and later against the Bolsheviks – a struggle in which the distinguished Cherkezishvili family played a prominent role across generations.

We would like to begin our discussion of this matter with one of the oldest documents we discovered in the National Archives of Georgia concerning Varlam's family – a royal deed of grant dated 1703. It was issued by King Erekle I of Kakheti (1703–1709), who granted Varlam's direct ancestors

[48] International recognition as a theorist of socialism came to Varlam Cherkezishvili through his 1896 book *Pages from the History of Socialism*, published in Paris. According to contemporaries, it was the first work in which it was argued, with statistical evidence, that „Marx's law on the concentration of capital does not exist". The book, upon publication, immediately attracted wide attention and has been translated into many languages, including Chinese and Japanese (W. Tcherkesoff, „Pages d'histoire socialiste", Paris, 1896).

– Jan Aslan and his brothers, Kaikhosro and Mamuka – the stewardship of Karali and Shahverdi.[49] King Constantine II of Kakheti (1722–1732) was also benevolent toward the Cherkezishvili family. In a deed dated May 11, 1722, he restored the stewardship of Manavi to the Cherkezishvilis.[50] The Cherkezishvilis enjoyed royal favour at the court of Georgia's last great monarch, King Erekle II, as well. Naturally, this was primarily due to their loyal service to both the homeland and the king. „Well done, and a thousand times well done," wrote Erekle II to his subordinate, Prince Kaikhosro Cherkezishvili – grandson of Jan Aslan – who had been sent to the Kakhetian frontier to suppress Lezghin raids. For his exceptional courage and resourcefulness in battle, Kaikhosro was richly rewarded by the king, along with his fellow warriors.[51]

It can be stated with certainty that, as before,[52] the Cherkezishvili family would have continued their loyal service to the homeland and the king, were it not for the fateful changes that occurred in the life of the Kingdom of Kartli-Kakheti. These changes must be considered in direct relation to Russia's renewed activity in the Caucasus during the 18th century – its second such push[53] - unfortunately, once again guided by a strategy based on falsehood, betrayal, and the weakening of its ally.[54] This time, the means employed were so treacherous that, just twenty years after the signing of the Treaty of Georgievsk in 1783 between the Russian Empire and the Kingdom of Kartli-Kakheti at the fortress of Georgievsk, the ancient and time-tested Bagrationi royal dynasty – one of the oldest in Europe – ceased to exist.[55] First, members of the royal family were turned against each other. Then, taking advantage of their weakened state, Emperor Paul I of Russia crudely violated the terms of the treaty and abolished the Kingdom of Kartli-Kakheti altogether (December 18, 1801). His son, Emperor Alexander I, by a manifesto issued on September 12, 1802, declared this ancient Georgian land – the foremost treasure of the nation, which, as Varlam Cherkezishvili wrote, „since the time of Cyrus, King of Persia, the Georgian people had defended with their own breasts and blood for twenty-five centuries" – a province of the Russian Empire.[56]

These severe developments unfolding in the country soon found their reflection in the fate of the Cherkezishvili family. As might have been expected, from that point on they transitioned from defenders of the royal throne to the ranks of those fighting for the restoration of Georgian statehood. As confirmation of this, we may refer to a recollection by Varlam Cherkezishvili from his French-language work *La Géorgie*, which we discovered in the British Library at the end of the last century.

---

49 National Archives of Georgia, Fund 213, Description 1, Case Unit 809, p. 109.

50 National Archives of Georgia, Fund 213, Description 1, Case Unit 114, p. 2.

51 National Archives of Georgia, Fund 213, Description 1, Case Unit 114, p. 4.

52 According to the available data, the Cherkezishvili family arrived in Georgia as early as the 12th century, originating from „Circassion-Khimon," and due to their location, they adopted the surname „Cherkezi" and were granted nobility during the reign of Queen Tamar (see full text in the journal *Iveria*, 1884, N4, p. 113).

53 This first occurred during the era of Emperor Peter I, when the Russian Emperor, without consulting his ally, changed his original decision and left King Vakhtang VI of Kartli, who had been invited by the Shah of Persia to wage war, at the mercy of enraged Muslim rulers. As was expected, the Christian kingdom's alliance was not forgiven, and King Vakhtang's kingdom was relentlessly devastated first by the Shah of Persia and then by the Ottomans. In 1724, the king, together with his loyal 1,200 followers, was forced to flee into exile.

54 "The truth is", wrote Varlam Cherkezishvili in 1895 in the journal *The Nineteenth Century*, which was published in London, „that Russia's policy towards Georgia throughout the 18th century was a systematic attempt to weaken the country, so that it would fall into its hands unconditionally and without any treaty" (V. Cherkezov, „Georgian Treaties with Russia", the full Georgian-English text can be found in G. Peradze, *Varlam Cherkezishvili in British Libraries and Archives* [Part One], Tbilisi, 2001, Polygraph-Service, p. 90).

55 As is known, the founder of the Bagrationi royal dynasty, Ashot I the Great Bagrationi, ascended the throne of Kartli in the early IX century, specifically in 809.

56 Newspaper *Droeba*, 1909, 208.

In it, the author, with characteristic modesty yet clear pride, notes that between 1801 and 1812, for their participation in armed uprisings against Tsarist Russia, his „two great uncles" were exiled to Siberia along with other Georgian patriots.[57] From an article published in the English-language journal *The Nineteenth Century*, titled „Georgia's Treaties with Russia," we learn of the arrest and exile to Siberia of yet another of Varlam's close ancestors – his „great-grandfather" (referring to his paternal grandfather) – for participation in anti-government uprisings.[58] According to archival materials found in the National Archives of Georgia, there is written confirmation of the involvement of seven direct descendants of the elder Jan Aslan Cherkezishvili in the 1812 Kakheti uprising. Among them were Varlam's grandfather, Konstantine Cherkezishvili son of Jan Aslan's, and his cousin, Edisher Cherkezishvili son of Papuna.[59]

